HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ანტიგენდერული მოძრაობის აღმასვლა

ბრძოლა გენდერული
თანასწორობისთვის
ცენტრალურ და
აღმოსავლეთ ევროპაში

ანტიგენდერული მოძრაობების აღმასვლა – ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში
გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

პუბლიკაციაში შესული სტატიების შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან თავად ავტორები. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები არ არის აუცილებელი გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო, 2015

ზოვრეთის ქ. 38. ქ. თბილისი, საქართველო
T +995 32 2380467/68, +995 32 2913739, F +995 32 291 28 97
info@ge.boell.org / www.ge.boell.org / www.facebook.com/hbf.caucasus

ISBN 978-9941-0-8408-9

ანტიგენდერული მოძრაობების აღმასვლა – ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში

2015

სარჩევი

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა 7

შესავალი – გენდერი/„უკურეაქცია“. კიდევ ერთი კონსერვატიული რევოლუციის შემდეგ
კატია გიბელი, გერტ რორბორნი 9

ბრძოლა საჯარო სივრცისთვის
ეკატერინე აღდგომელაშვილი 15

ქალის უფლებების გაძლიერება საქართველოში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის დასაძლევად
ანა არგანაშვილი 22

ცვლილებების მიღწევის საშუალებები: ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტების ერთობლივი ძალისხმევა სომხეთში
ანა ნიკოღოსიანი 36

წინ თუ უკან? გენდერული თანასწორობისკენ მიმართული „უკურეაქციის“ გადალახვის სტრატეგიები უნგრეთში
ბორბალა იუჰასი 44

სიყვარული და შიში. გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ გამოყენებული არგუმენტები სლოვაკეთში
ზუზანა მადიაროვა 53

„ომი გენდერის წინააღმდეგ“ ტრანსნაციონალური პერსპექტივიდან – გაკვეთილები ფემინისტური სტრატეგიების შემუშავებისათვის
ელჟბეტა კოროლჩუკი 67

კულტურული ომი თუ ჩვეულებრივი ბიზნესი? პოლონეთში ქალისა და სქესობრივი უფლებების საწინააღმდეგო „უკურეაქციის“ ბოლო შემთხვევები და ისტორია
მაგდალენა გრაბოვსკა 84

ემანსიპაციის „ნაცრისფერი ზონა“
თამარა ზლობინა 102

გენდერული პრობლემები უკრაინაში: ევრომაიდნის პროტესტები
– პატრიარქალური თუ ეგალიტარიანული?
თამარა მარცენიუკი 115

გენდერული უთანასწორობის კვლევის საზღვრები ბელარუსში
ვოლჰა პიატრუკოვიჩი 131

ჩვენ ეს შეგვიძლია! ქალის უფლებების გაძლიერება, კონსერვატიული
„უკურეაქციისათვის“ წინააღმდეგობის გაწევა და გენდერული სტერეოტიპების
დაძლევა ჩეხეთში
ანა სმიგელს-კავკოვა, ვერონიკა შპრინცოვა 138

ფემინისტური გამოცდილება სერბეთში
ელენა ვიშნიჩი 149

ავტორები 158

ქართული გამოცემის წინასიტყვაობა

გენდერი და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ მწვავე დებატების თემაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. წინამდებარე პუბლიკაციის სათაურის ფორმულირებისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენად რთულია დასავლეთის პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში დამკვიდრებული ცნებების ადგილობრივი კონტექსტისათვის მორგება და სათანადოდ თარგმნა.

კრებული „ანტიგენდერული მოძრაობების აღმასვლა: ბრძოლა გენდერული თანასწორობისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“ შედგენილია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ ბერლინში ჩატარებული საერთაშორისო გენდერული კონფერენციის მასალების მიხედვით. ეს მასალები განსაკუთრებულად საინტერესო იქნება სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ პუბლიკაციის სამი სტატია სომეხ და ქართველ სპეციალისტებს ეკუთვნით, არამედ იმიტომაც, რომ აქ თავმოყრილი მასალა მკითხველს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესახებაც გაუფართოებს თვალსაწიერს. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვგონია საქართველოში, სომხეთში, ბელარუსში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთში, პოლონეთში, რუსეთში, სერბეთში, სლოვაკეთსა და უკრაინაში ერთმანეთის მსგავსი თუ განსხვავებული საზოგადოებრივი, კულტურული და პოლიტიკური პროცესების ტენდენციების ანალიზისთვის; აგრეთვე, გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ „უკურეაქციასთან“[1] დაკავშირებული გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო სტრატეგიების შემუშავების თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც 2013 წელს სომხეთში „ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“ კანონი მიიღეს, თავად სიტყვა „გენდერის“ ჩაწერაც კი საკამათო გახდა. კანონში ტერმინმა „გენდერმა“ერთმანეთს დაუპირისპირა ნაციონალისტი პოლიტიკოსები და სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. „გენდერი“ სომხეთში ეროვნულ ღირებულებებთან შეუთავსებელი შინაარსის მატარებელ ზედსართავ სახელად გადაიქცა. ამ ანტიგენდერული კამპანიის შედეგად, კანონიდან ამოიღეს სიტყვა „გენდერი“ და ყველგან „ქალითა და მამაკაცით“ ჩაანაცვლეს.

სომხეთთან გარკვეული განსხვავების მიუხედავად, არც საქართველოა

1 ინგლ.: backlash.

გამონაკლისი ანტიგენდერული შეხედულებების თვალსაზრისით. აქ ძლიერ მოთამაშეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს, რომლის პოლიტიკური განცხადებები ხშირად სწორედ გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგალითად, 2014 წელს პარლამენტი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტს განიხილავდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულ კანონპროექტს „მომაკვდინებელი ცოდვის“ პროპაგანდა უწოდა. ამის მიზეზი კვლავ ტერმინების მნიშვნელობებზე შეუთანხმებლობა გახდა – ეკლესიისთვის მიუღებელი იყო, რომ დისკრიმინაციის განსაზღვრებათა ჩამონათვალში „გენდერული იდენტობა“ და „სექსუალური ორიენტაცია“ ფიგურირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი პარლამენტმა მიიღო, ქვეყნის ყველაზე პოპულარული საზოგადოებრივი ინსტიტუციის ინიციატივით აგორებულმა კამპანიამ კიდევ ერთხელ გაამყარა წარმოდგენები, რომ გენდერული თანასწორობა ეროვნულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება.

მსგავსი დისკუსიები სომხეთსა და საქართველოში მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონში კვლავ ბუნდოვანია გენდერის კატეგორიის მნიშვნელობა და ის დასავლეთიდან თავსმოხვეულ ცნებად, მიიჩნევა. ეს გამოცემა ამ ცნების აკადემიურად განმარტებისა და ქართულად/სომხურად თარგმ-ნის მცდელობაა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

შესავალი – გენდერი/"უკურეაქცია". კიდევ ერთი კონსერვაჟიული რევოლუციის შემდეგ

კატია გიბელი, გერტ რორბორნი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის გლობალურ პროგრამებში, რომელთა ძირეულ ღირებულებებს სამართლიანობა, მშვიდობა და მდგრადი განვითარება წარმოადგენს, გენდერული დემოკრატია გამჭოლ საკითხად განიხილება. შესაბამისად, ფონდი დაინტერესებულია, გაიაზროს იმ მცდელობებისა და მოძრაობების არსი, რომლებიც მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის ზრდისა და ინდივიდუალური ცხოვრებისეული არჩევანის წინააღმდეგაა მიმართული. გენდერული თანასწორობის მიმართ ამგვარი ულტრაკონსერვატიული წინააღმდეგობის დასაძლევად აუცილებელი სტრატეგიების განხილვის მიზნით, ჩვენმა ოფისებმა ბელგრადში, კიევში, მოსკოვში, პრაღაში, თბილისსა და ვარშავაში მე-3 საერთაშორისო გენდერულ სემინარზე დასასწრებად მეცნიერები და აქტივისტები მოიწვიეს. სემინარი 2014 წლის სექტემბერში ბერლინში ჩატარდა და მას ესწრებოდნენ სპეციალისტები ბელარუსიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საქართველოდან, სერბეთიდან, სლოვაკეთიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, უნგრეთიდან და ჩეხეთიდან.

„უკურეაქციის" კონცეფცია გენდერული თანასწორობისადმი წინააღმდეგობას, ასევე ქალებსა და კაცებს შორის (თავად ქალებისა და კაცების ჯგუფებს შიგნითაც) ურთიერთობის გაუარესებას გულისხმობს. თანასწორობის იდეის დამცველებს მიაჩნიათ, რომ ქალებისა და ლგბტი პირების უფლებები მთელ განვითარებულ სამყაროში უარესდება. ასეც რომ არ იყოს, ფაქტია, მათ წინააღმდეგ გააფთრებული შეტევა საგრძნობლად გახშირდა. გენდერულ თანასწორობას უპირისპირდება საინიციატივო ჯგუფები. ასეთი ჯგუფები მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედებენ და ტრადიციების თავგამოდებული დამცველები არიან. როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში მათ ზურგს უმაგრებენ როგორც აშშ-ის „სიცოცხლის მხარდამჭერი" გავლენიანი ორგანიზაციები, ასევე კრემლის „გეიროპული"[1] პროპაგანდაც, რომელიც მიზანმიმარ-

1 ხელოვნურად შედგენილი სიტყვა "Gayrope", რომელიც მიღებულია „გეისა" და „ევროპის" შერწყმით.

თულად ცდილობს, ევროკავშირი წარმოაჩინოს, როგორც „მორალურად გახრწნილი ადგილი“. ამ პუბლიკაციაში თავმოყრილი სტატიების ავტორებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ რამდენად დაეხმარება „უკურეაქციის“ ცნებას რეგიონალური და მსოფლიო ტენდენციების არსის გაგებას. მიუხედავად ამისა, ეს კონცეფცია ერთგვარი საწყისი წერტილია იმის წარმოსაჩენად, თუ რა მოხდა ბოლო პერიოდში და სამომავლოდ რა სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ.

ადგილობრივი სახალხო მოძრაობები თუ მშობლებად შენიღბული კონსერვატორები?

ამ პუბლიკაციაში შეკრებილი მასალა პირობითად შეიძლება ორ, სამწუხაროდ, საკმაოდ არათანაბარ, ჯგუფად დაიყოს: სტატიები, რომელთა ავტორები შეშფოთებული არიან თავიანთ ქვეყანებში არსებული მდგომარეობით; და – მეტ-ნაკლებად იმედის მომცემი სტატიები. ცოტა ხნის წინ რუსეთში მიღებული „პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონები“ არასრულწლოვანთათვის „არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების შესახებ“ ინფორმაციის მიწოდებას კრძალავს, ეს კი ლგბტი პირების მიმართ კანონგარეშე ძალადობის დე ფაქტო კანონიერი ჩარჩოა. იგი არასამთავრობო ორგანიზაციებს აიძულებს, ფემინისტური პოლიტიკის საკითხებზეც დუმილი ამჯობინონ. მსგავსი ვითარებაა საქართველოსა და სომხეთშიც, სადაც, ახლახან გატარებული საკანონმდებლო რეფორმების მიუხედავად, ოჯახში ძალადობაც ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. ლგბტი პირებმა და ადამიანის უფლებების დამცველმა ჯგუფებმა დააფიქსირეს თავდასხმის უამრავი ფაქტი, რომლებიც, როგორც ამას თავიანთ მასალებში ეკატერინე აღდგომელაშვილი, ანა არგანაშვილი და ანა ნიკოღოსიანი აღნიშნავენ, საჯარო სივრცის გაწმენდის მსურველი სამღვდელოების აგრესიული სტრატეგიის ნაწილია. მეტიც, ისეთი გავლენიანი მოძრაობა, როგორიცაა ინიციატივა „სრულიად სომხეთის მშობლები“, აქტივისტების შავ სიას ადგენს და ინტერნეტსივრცეში სახელს უტეხს მათ.

მართალია, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეს ტენდენცია ნაკლებად თვალსაჩინოა, მაგრამ ზოგ მათგანში ემანსიპაციის საწინააღმდეგო აქტივიზმი საგრძნობლად გაიზარდა. თავის მასალაში ბორბალა იუჰასი გვიხსნის, თუ როგორ ცდილობს უნგრეთის სამოქალაქო ალიანსის

მთავრობა, ქალებისა და მამაკაცების თანასწორი უფლებების ხარჯზე დაიცვას „უნგრული ოჯახები“. ზუზანა მადიაროვა კი აღწერს, როგორი წნეხის ქვეშ არიან სლოვაკეთის მთავრობა და სამოქალაქო სფეროს აქტივისტები, რომელთაც ე. წ. „ჰომოსექსუალობის პროპაგანდისა“ და „ბავშვების სექსუალიზაციის“ შეწყვეტას სთხოვენ. ელჟბეტა კოროლჩუკისა და მაგდალენა გრაბოვსკას მასალებიდან უკეთ ვიგებთ, თუ რატომაა ამჟამად პოლონეთში გაჩაღებული პოლიტიკური ბრძოლა ევროპის საბჭოს კონვენციის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“[2] რატიფიკაციისა და ექიმების, ფარმაცევტებისა და მასწავლებლების ე. წ. „რწმენის დეკლარაციის“ წინააღმდეგ.

გმირი მამაკაცები, მხარდამჭერი ქალები?

სამაგიეროდ, დამაიმედებელია უკრაინის „ღირსების რევოლუციის“ ამბები, რომლებიც პროტესტის მრავალფეროვან ფორმებზე მოგვითხრობენ. ევრომაიდანმა არა მხოლოდ კანონდამრღვევი და მოძალადე რეჟიმი დაამხო, როგორც ამას თავიანთ მასალებში თამარა ზლობინა და თამარა მარცენიუკი აღწერენ, არამედ ახალი, შეცვლილი გენდერული როლების ლაბორატორიადაც გადაიქცა. ევრომაიდანმა აქტივისტებს აგრძნობინა, რომ აუცილებელია ტრადიციული პატრიარქალური მოდელების, მაგალითად, „გმირი მამაკაცებისა“ და „მხარდამჭერი ქალების“, დაძლევა.

ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა ბელარუსში გენდერული თანასწორობის ვოლჰა პიატრუკოვიჩისეული ანალიზი. ეს ის საკითხია, რომლის შესახებაც ინფორმაციას სხვა წყაროებში ვერ მოიპოვებთ.

აღსანიშნავია ჩეხეთის გამოცდილებაც. ამ ქვეყანაში საარჩევნო კამპანიები პარლამენტში ქალების არჩევისა და პოლიტიკურ პარტიებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პოპულარიზაციისთვის გამოიყენება.

თავის ესეში ანა სმიგელს-კავკოვა მოგვითხრობს, თუ როგორ მოახერხა ჩეხეთმა იმედისმომცემი პოლონური მოდელის – „ქალთა კონგრესის“ გამოყენება. ეს პროექტი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ვარშავისა და პრაღის ოფისების მხარდაჭერით განხორციელდა.

2 სტამბოლის კონვენცია.

კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა სერბეთიდან მოვიდა. ლგბტი პირებზე ძალადობრივი თავდასხმების მთელი სერიის შემდეგ ბელგრადში 2014 წლის სექტემბერში მთავრობისგან სანქცირებული გეიაღლუმი ჩატარდა. ელენა ვიშნიჩის თქმით, ამით მთავრობამ წარმოაჩინა, რომ როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, სერბეთი უმცირესობების უფლებებს იცავს. მიუხედავად ამისა, სერბულ საზოგადოებაში ჰომოფობიური განწყობა ჯერ ისევ ფესვგადგმულია.

ექსპერტებმა სემინარზე აღნიშნეს, რომ ცენტრალურ ევროპაში ემანსიპაციის მოწინააღმდეგე ჯგუფების, მაგალითად, საფრანგეთში La Manif Pour Tous-ის, მხარდაჭერის საკითხს გაცილებით სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. სამწუხაროა, რომ აღმოსავლეთი ევროპის ბევრ რეგიონში სიტყვა „ფემინისტი“ ჯერ კიდეც დამამცირებელ ელფერს ატარებს, გამოიყენება სალანძღავ ეპითეტად და არა, როგორც ვინმეს (თუნდაც მკვეთრად გამოხატული) რწმენის მინიშნებად.

გენდერულ პოლიტიკაზე უამრავი სახიფათო მითი და ტყუილი ვრცელდება. მსგავსი ინფორმაციის გავრცელების დროს მხილება აუცილებელია. მაგალითად, ამბობენ, თითქოს ევროპის ზოგ ქვეყანაში, კერძოდ, სკანდინავიის ქვეყნებში, ინცესტი და პედოფილია, გერმანიის საბავშვო ბაღების პროგრამებში კი – ე.წ. პეტინგი[3], „დაკანონებულია“. ასეთ შემთხვევებში კარგი იქნებოდა შესაბამისი ქვეყნის საელჩოს ან წარმომადგენლების ჩართვა. ამის მაგალითად გამოდგება დანიის ელჩის მკაცრი, მაგრამ მახვილგონივრული რეაქცია პოლონეთის კანონისა და სამართლიანობის პარტიის ლიდერის – იაროსლავ კაჩინსკის გამონათქვამზე, თითქოს დანიაში პედოფილია დაკანონებულია და ამას საზოგადოება იწონებს. ეს განცხადება ყოველკვირეულ ეროვნულ ჟურნალ „ვპროსტში“ გამოქვეყნდა. დანიის ელჩმა სტინ ჰომელმა მახვილგონივრული ხერხი გამოიყენა. თავის განცხადებაში ელჩი ირწმუნებოდა, რომ ჟურნალისტებმა კაჩინსკის ნათქვამი არასწორად გაიგეს და „შეცდომის“ იმავე ჟურნალში ოფიციალურად გასწორება მოითხოვა. იმავდროულად, მან გულითადად სთხოვა კაჩინსკის, საელჩოს დაკავშირებოდა, „თუ დანიაზე მეტი ინფორმაციის მიღებას ისურვებდა“.

3 სექსუალური ხასიათის შეხება და მოფერება (ინგლ.: petting).

წინააღმდეგობა, სახელის შეცვლა, დაბრუნება? რეაქციული პოლიტიკის პირისპირ

ამ გამოცემაში განხილული შემთხვევები ნაწილია იმ უფრო ფართო ტენდენციისა, რომლის განზოგადებაც, სულ მცირე, რეგიონის მასშტაბით მაინც არის შესაძლებელი. ეს ტენდენცია მოიცავს მემარჯვენე პოპულისტებს, ულტრანაციონალისტ ექსტრემისტებსა და თანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებს (რომლებიც ხშირად იმიგრანტებისა და ფემინისტების წინააღმდეგაც ილაშქრებენ). სამწუხაროდ, ისინი საჯარო დისკურსში თანდათან იმყარებენ პოზიციებს. ამგვარი მოძრაობები (აღმოსავლეთი) ევროპის ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ კლასს მათთან თანამშრომლობისაკენ უბიძგებს, რადგან ყველა პოპულისტის მსგავსად, თავი ისე მოაქვთ, თითქოს საზოგადოების დიდ ნაწილს წარმოადგენენ. ჩვენი ექსპერტები, რომლებიც საერთაშორისო გენდერულ სემინარს ესწრებოდნენ, ამ მოვლენის ძირეულ მიზეზებზე ვერ შეთანხმდნენ. ერთი ნაწილის აზრით, ეს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ნეოლიბერალური გლობალიზაციითა და ტრანსფორმაციის პროცესებით გამოწვეული მზარდი უკმაყოფილების სიმპტომია, სხვები კი მასში ხედავენ გაუცხოებულ გარემოში საზოგადოების ხელახალი შექმნისა და მის ნაწილად გახდომის მიზნით, ერთი შეხედვით, მარტივი „სულიერების საკითხების“ გარშემო გაერთიანების სურვილის გამოხატვას.

ერთი მხრივ, ვეჯახებით თემის ცნების[4] მჩაგვრელ, კონსერვატიულ ინტერპრეტაციას (რომელიც ღირებულებებს, სიყვარულსა და დაცულობას ტრადიციული ოჯახის სახით გვთავაზობს), ხოლო, მეორე მხრივ, ბაზარზე ორიენტირებულ ლიბერალური ინდივიდუალიზმის კონცეფციას (რომელსაც ეკონომიკური წარმატების მიღწევა დამოუკიდებლობისა და შემწყნარებლობის საფუძველზე სურს). სად არის ჩვენი ადგილი ამ ორ პოლუსს შორის? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის, თუმცა თვალშისაცემია ის უთანასწორობა, რაც თუნდაც მედიაში გვხვდება: საინფორმაციო საშუალებები პოპულისტურ ტრადიციონალიზმს ბევრად მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე გენდერულ თანასწორობასა და ლგბტი პირების უფლებებს. მომხრეები იმ მოძრაობისა, რომელსაც შეიძლება პარადოქსული სახელი – „ნეოკონსერვატიზმი“ (ახალი კონსერვატიზმი) ეწოდოს, ხშირად ემოციებზე გათვლილი, მარტივი და კონტექსტიდან ამოგლეჯილი პასუხებით გაურბიან რაციონალურ დისკუ-

4 ინგლ.: community.

სიას. მათ ნათქვამს კი, როგორც ჩანს, ბევრი ადამიანი იჯერებს. სწორედ ამას უკავშირდება ელჟბეტა კოროლჩუკის მიერ წამოჭრილი საკითხი: ხომ არ შეიძლება ვცადოთ, დავიბრუნოთ და ახლებური ინტერპრეტაცია მივცეთ გარკვეულ ეროვნულ, სოციალურ ან რელიგიურ სიმბოლოებს (მაგალითად, ღვთისმშობელს) და დავიწყოთ პოპულარიზაცია ოჯახის შესახებ იმ შეხედულებებისა, რომლებიც ოჯახის არაძალადობრივ და ინკლუზიურ გაგებას ემყარება?!

სემინარზე ექსპერტები გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ ქორების უარყოფა და სარწმუნო ინფორმაციის გავრცელება საკმარისი არ არის. ასევე აუცილებელია, აქტუალურ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც დემოგრაფიასთან, ისე პენსიებთან, განათლებასთან თუ ინოვაციებთან, საფუძვლიანი პასუხები გაეცეს. პასუხები დამაჯერებელი უნდა იყოს ყველა მოქალაქისათვის, მათი პოლიტიკური შეხედულებების, ბიოგრაფიებისა თუ ცხოვრების წესის მიუხედავად.

ამ მცდელობების პარალელურად, ტერმინ „გენდერს“ თავი კი არ უნდა ავარიდოთ, პირიქით, აქტიურად გამოვიყენოთ ის. თუმცა ეს მიდგომა მაშინაა გამართლებული, როდესაც ტერმინი კონტექსტს მორგებული, ყველასათვის გამჭვირვალე და გასაგებია. გულწრფელად გვჯერა, რომ ამ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალები, ცოდნის გაზიარებასთან ერთად, ექსპერტებისა და აქტივისტების თავდაჯერებულობის ზრდასაც შეუწყობს ხელს. ისინი ხომ ძალიან ხშირად წარმოუდგენლად რთულ პირობებში მუშაობენ, რათა უკეთესი მომავალი და თანასწორობა ყველასათვის უზრუნველყოფილი იყოს.

ბრძოლა საჯარო სივრცისთვის

ეკატერინე აღდგომელაშვილი

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ საქართველოში ანტიგეი გამოსვლებს უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ლგბტი პირების უფლებების მხარდასაჭერად გამართულ მსვლელობებს. 2007 წელს გაზეთმა „ალიამ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია თბილისში „დაგეგმილი გეიაღლუმის“ შესახებ. რეალურად კი იგეგმებოდა აქცია ევროკავშირის გრძელვადიანი კამპანიის ფარგლებში („ყველა – განსხვავებული, ყველა – თანასწორი“). ამ აქციაში სხვებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ლგბტი პირების უფლებადამცველებსაც. იმავე წელს გაზეთმა „ალიამ“ რამდენიმეჯერ გაავრცელა მსგავსი ინფორმაცია, თუმცა მძვინვარება მოჰყვა სწორედ იმ სტატიას, რომელშიც ჟურნალისტმა მითიური აღლუმის ხელშეწყობაში მაშინდელი ხელისუფლება დაადანაშაულა[1].

ჰომოფობიური ისტერია ნელ-ნელა გასცდა გაზეთის ფურცლებს და ცოტა ხანში საზოგადოებისათვის ერთ-ერთ აქტუალურ თემად იქცა. აქციის ორგანიზატორთა და ევროსაბჭოს წარმომადგენელთა მიერ იმავე პერიოდში და იმავე მედიასაშუალებებით მრავალგზის გაკეთებული განმარტებისა და განცხადების მიუხედავად, სიმართლის მოსმენა არავის სურდა. ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები ერთხმად ადანაშაულებდნენ ხელისუფლებას ქართველი ხალხის „გადაგვარებისა და გარყვნის“ მცდელობაში[2]. საქართველოს საპატრიარქომ კი სპეციალური განცხადება მიუძღვნა „გეიაღლუმს“:

> „ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობები არის მძიმე ცოდვა, რო-

1 მამალაძე, ი. (2007). პედერასტები თბილისში „პარადისთვის“ ემზადებიან.

2 ციტატა: „მჯერა, რომ ეს იდეა კანცელარიიდან მოდის. ჰომოსექსუალების აღლუმი არსებული რეჟიმის მიერაა დაგეგმილი, ვინაიდან მათ ასეც სურთ, მსოფლიოსა და ევროსაბჭოს მოაჩვენონ, საქართველოში დემოკრატია ვითარდება და ადამიანის უფლებები დაცულიაო, სანაცვლოდ კი იქიდან გრანტები მიიღონ“. ხორგუაშვილი, მ. (2007).
ფერადოვანი აღლუმი თბილისში? ციტატა: „ეს არის პრეზიდენტ სააკაშვილის მოწყობილი აქცია, რადგან მის რეჟიმში არის ბევრი გაურკვეველი სქესისა და ორიენტაციის ადამიანი და ამგვარი „პარადის“ ჩატარებას პრეზიდენტთან ერთად ისინიც ლობირებენ“. გაზეთი ალია (2007).

> მელიც უნდა იყოს მონანიებული და მისი პროპაგანდა და საჯარო დემონსტრირება მთელ ერს მძიმე განსაცდელად დააწვება“[3].

სანამ გამოგონილი აღლუმის მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი პრეს-კონფერენციებს მართავდა, მეორე ნაწილი ქუჩაში ელოდებოდა აღლუმის მონაწილეების გამოჩენას მათთვის „ცხვირ-პირის დასაჟეჟად“. გეიაღლუმი რომ „ალიას“ შემოგდებული ცრუინფორმაცია აღმოჩნდა, მალევე გაცხადდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მედიასა და სოციალურ ქსელებში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა საუბარი იმის თაობაზე, თუ ვინ როგორ დაარბევდა არარსებული მსვლელობის მონაწილეებს.

ჰომოფობიური მოსაზრებების ხმამაღლა და უკიდურესად აგრესიული ფორმით გამოხატვა იმდენად მაღალი დივიდენდის მომტანი აღმოჩნდა იმ ჯგუფების წარმომადგენელთათვის, ვინც ამ „მორალური პანიკის“ უკან იდგა, რომ მას შემდეგ ეს თემატიკა წინასაარჩევნო შოუების უცვლელ რიტუალად იქცა. იმდროინდელ ხელისუფლებას კი, საზოგადოებაში გაბატონებული ჰომოფობიური განწყობის წყალობით, „ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური“ პოზიციის მქონე პოლიტიკური ძალის იმიჯი შეექმნა.

მეორე მასშტაბური გეების საწინააღმდეგო მსვლელობა 2010 წელს ბათუმში გაიმართა. ჯვრებით „შეიარაღებული“ ადამიანების ჯგუფი, რომელსაც წინ საეკლესიო პირები მიუძღოდნენ, მთელი დღის განმავლობაში დაეძებდა არარსებული მსვლელობის მონაწილეებს ქალაქში. მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ადამიანების ქალაქიდან გასაძევებლად („ჩვენ მათ გამოვრეკავთ ყველა დაწესებულებიდან“). ჭორის სათავეს ამჯერადაც ვერავინ მიაკვლია, თუმცა მსვლელობის მონაწილეებს, როგორც ჩანს, დიდად არ ანაღვლებდათ, რამდენად რეალური იყო მათი პროტესტის საფუძველი[4].

2012 წელს აიდაჰოსადმი მიძღვნილი აქციის მონაწილეებმა მხოლოდ დაგეგმილი მარშრუტის ნაწილის გავლა შეძლეს. კონტრდემონსტრანტებმა, რომელთა უმრავლესობას „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ აქტივისტები წარმოადგენდნენ, შეძლეს გზის გადაკეტვა. დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა. პოლიციამ შეძლო დაპირისპირების შეჩერება, თუმცა მსვლელობა ჩაიშალა.

---

3 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადება 2007 წელს გაზეთ „ალიას“ მიერ დაგეგმილ გეიაღლუმთან დაკავშირებით.

4 ციტატა: „დაზუსტებული ინფორმაცია არც ჩვენ გაგვაჩნია. ჩვენ გვყავს ახლობლები, ვისი საშუალებითაც ვიგებთ ასეთ ინფორმაციებს“. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანთან, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველთან ინტერვიუ. ინტერნეტჟურნალი „ნეტგაზეთი“ (2010).

2013 წლის 17 მაისს თბილისში სასტიკად დაარბიეს აიდაჰოს აღსანიშნავად დაგეგმილი მსვლელობა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამჯერად არ დაიშურა ძალისხმევა და ორთვიანი მუშაობის შედეგად აქციის ასამდე მონაწილის წინააღმდეგ 30000-მდე კონტრდემონსტრანტის მობილიზება შეძლო. პოლიციამ ვერ მოახერხა დემონსტრანტებისა და კონტრდემონსტრანტების გაშველება. ისინი შეეცადნენ, აქციის მონაწილეები შეკრების ადგილიდან ავტობუსებით გაეყვანათ, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კონტრდემონსტრანტებმა ავტობუსებს ალყა შემოარტყეს. უმართავმა ბრბომ ფანჯრები ჩალეწა და ცდილობდა აქციის მონაწილეების მიკროავტობუსებიდან გამოთრევას, ისროდნენ ქვებს... იმავე საღამოს და მომდევნო დღეებში აქციაზე დაზარალებულ ადამიანებს სხვებიც შეემატნენ – ადამიანების დევნა მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. სცემდნენ ყველას, ვინც, მათი აზრით, საეჭვოდ გამოიყურებოდა და ლგბტი პირი იყო. მიუხედავად ამგვარი დევნისა, მომდევნო 3 დღის განმავლობაში ხელისუფლებას არც ერთი მოძალადე არ დაუკავებია. 3 დღის შემდეგ, „ადმინისტრაციული წესრიგის დარღვევის“ გამო, 4 ადამიანს ჯარიმა დაეკისრეს. ხელისუფლების მხრიდან ამგვარმა დაყოვნებულმა რეაქციამ და საპატრიარქოს წარმომადგენლის საჯარო გამოსვლამ, რომელმაც „ქართველ ხალხს გამარჯვება მიულოცა“, ცხადია, კიდევ უფრო წაახალისა მოძალადეები...

მუხლი, რომელიც მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზაციას ახდენდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 2000 წელს ამოიღეს. ამას სხვა საკანონმდებლო ცვლილებებიც მოჰყვა დასაქმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში[5]. 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამონათვალს, რომლის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულიც დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა დაემატა. 2014 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა დაამტკიცა ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძვლებში გარკვევით მოიხსენიებს სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და თვითგამოხატვას. სოგი-ს საკითხები უკვე ადამიანის უფლებათა სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაშიც მოხვდა. ერთი შეხედვით, ლგბტი პირების უფლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლო

5 ნაცვლიშვილი, ა. (2010). ჰომოფობია, ტრანსფობია და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე.

დონეზე ქვეყანაში წლიდან წლამდე უმჯობესდება და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის.

სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით დე ფაქტო სიტუაციაზე. ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა ლგბტი პირების მიმართ დღემდე საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში. როგორც კვლევებიდან და დოკუმენტირებულად დადასტურებული ცალკეული შემთხვევებიდან ჩანს, ძალადობა ლგბტი პირების მიმართ, ისევე, როგორც განსხვავება დე ფაქტო და დე იურე მდგომარეობას შორის, უფრო და უფრო იზრდება.

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ლგბტი პირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების საფუძვლიანი კვლევა. ცალკეული კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ღირებულებასთან/საკითხთან და ჯგუფთან დამოკიდებულებასა და განწყობათა ცვლილების დინამიკას სწავლობს (მათ შორის, ჰომოსექსუალთა მიმართ), გვიჩვენებს, რომ საქართველოში ლგბტი პირები დღემდე რჩებიან ჯგუფად, რომლის მიმართაც, სხვა მარგინალურ ჯგუფებთან შედარებით, საზოგადოება ყველაზე ნაკლებ შემწყნარებლობას ამჟღავნებს[6]. საზოგადოებაში ლგბტი პირების მიმართ უარყოფითი განწყობის ზრდაზე თავად ლგბტი პირებიც საუბრობენ[7].

კვლევების თანახმად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჰომოფობიური სიძულვილის ენა უკიდურესად პოლიტიზებული გახდა და მისი გამოყენება განსაკუთრებით გახშირდა წინასაარჩევნო პერიოდში. პოლიტიკური ოპონენტების მარკირება ჰომოსექსუალებად და მათი „დადანა-

6 პასუხად კითხვაზე, „რამდენად სასურველად მიგაჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების თქვენს მეზობლად ყოფნა“, ძალზე არასასურველად რესპონდენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა ჰომოსექსუალები, შემდეგ კი ნარკომანები და ფსიქიკურად არამდგრადი ადამიანები შეაფასა“. სუმბაძე, ნ. (2012). თაობები და ღირებულებები. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს კვლევამ უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების შესახებ კი აჩვენა, რომ სხვა უმცირესობათა ჯგუფებს შორის, ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ სწორედ ლგბტი პირები არიან.

7 2006 წელს ფონდ „ინკლუზივის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, ლგბტი პირების 57,5% საზოგადოების დამოკიდებულებას აფასებდა, როგორც არატოლერანტულს, 24,2% მიიჩნევდა, რომ საზოგადოება ინდიფერენტულია მათ მიმართ, 10%-ის აზრით, საზოგადოება ტოლერანტული იყო; 2012 წელს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ კვლევამ აჩვენა, რომ ლგბტი პირებს შორის იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც თვლის, რომ საზოგადოება მათ მიმართ არატოლერანტულია, 78%-მდე გაიზარდა. გამოკითხულთა 15% დამოკიდებულებას აფასებს „უფრო არატოლერანტულად, ვიდრე ტოლერანტულად“, 4% – „უფრო ტოლერანტულად, ვიდრე არატოლერანტულად“, კითხვას არ უპასუხა გამოკითხულთა 3%-მა, ხოლო იმ ადამიანების რიცხვი, ვინც საზოგადოების დამოკიდებულებას ტოლერანტულად მიიჩნევს, 1%-ზე ნაკლებია.

შაულება“ ლგბტი პირების მფარველობასა და ხელშეწყობაში წინასაარ-ჩევნო სპექტაკლის უცვლელ ნაწილად იქცა. კვლავ აქტუალური რჩება საბჭოთა მითი ჰომოსექსუალობის დასავლური წარმოშობის შესახებ, რაც ცალკეულ აქტორებს საშუალებას აძლევს, ჰომოსექსუალობა ცალ-სახად დაუკავშირონ იმ დასავლურ, ლიბერალურ ღირებულებებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ამ ფასეულობებით აპელირებენ[8].

ცხადია, დიდხანს შეგვიძლია ვისაუბროთ მიზეზებზე, ჰომოსექსუ-ალობის თემის უკიდურესად პოლიტიზებაზე, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების მიერ ფობიების ხელოვნურ გაღვივებაზე, ჰომოსექსუ-ალობის დასავლური წარმოშობის შესახებ საბჭოური მითის გაცოცხლე-ბასა და გააქტიურებაზე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში (რუსეთი არა მხოლოდ ტერიტორიულად ცდილობს საბჭოთა კავშირის აღდგენა-გა-ცოცხლებას, არამედ იდეოლოგიურადაც, რაც ანტიდასავლური განწ-ყობის გაღვივებით გამოიხატება), საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომელიც რუსული იმპერიული რეჟიმის ერთ-ერთ მძლავრ საყრდენს წარმოადგენს ქვეყანაში...

იმის ცოდნა, რომ 2013 წლის 17 მაისი ეკლესიის მიერ ახალი ხელი-სუფლებისათვის ძალისა და გავლენის წარმოჩენა იყო, ჩვენ კი საბაბად გამოგვიყენეს, ვერ ცვლის დღეს ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს. საზოგადოებაში ჰომოფობიის დონის გათვალისწინებით, უკეთეს მი-ზეზს ეკლესია ვერც მონახავდა ამდენი ადამიანის დასარაზმად და ქუ-ჩაში გამოსაყვანად. ამასთან, აქციის მოწინააღმდეგეები გამუდმებით იმეორებდნენ, რომ აქცია ყოფილი ხელისუფლების წევრებისა და გულ-შემატკივრების მიერ იყო დაგეგმილი. ამან ეკლესიის თანამოაზრეებს საზოგადოების ის ნაწილიც შეჰმატა, ვინც მტრულად იყო განწყობილი ყოფილი ხელისუფლების მიმართ.

2014 წელს, 17 მაისის მოახლოებასთან ერთად, საზოგადოებაში იზ-რდებოდა მოლოდინი და ვნებათაღელვა აქციის გამართვა-არგამართ-ვასთან დაკავშირებით. როგორც საზოგადოების, ისე თემის[9] ნაწილი თვლიდა, რომ აქციის არგამართვა უკან გადადგმული ნაბიჯი და კა-პიტულაცია იქნებოდა. მეორე ნაწილი ფართომასშტაბიანი აქციისაგან თავის შეკავებას გონივრულად თვლიდა, რადგან ადამიანების სიცოცხ-ლის სასწორზე დადებას გაუმართლებლად მიიჩნევდა.

ეკლესიამ ხალხის მობილიზება ორი თვით ადრე დაიწყო. თუ გავით-

8 აღდგომელაშვილი, ე. (2011). სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში.

9 ინგლ.: community.

ვალისწინებთ, რომ ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირების პროცესი დაუფარავად მიმდინარეობდა, სავარაუდო სცენარი კიდევ უფრო სავალალო ჩანს. ეკლესიამ 17 მაისი ტრადიციული ოჯახის დღედ გამოაცხადა და მსვლელობა ქალაქის მთავარ ქუჩაზე დაგეგმა. ამის გამო, პარალელური აქციის გამართვის შემთხვევაში, მსვლელობისა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკება გარდაუვალი იქნებოდა. ჰომოფობიური პლაკატებით შეიარაღებული ადამიანები ნელ-ნელა მოუყვებოდნენ ქუჩას. ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე ჰომოფობიის ზეიმად იქცა, რადგან უსაფრთხოების სათანადო გარანტიების არარსებობის გამო, ორგანიზაციებმა უარი თქვეს მასშტაბურ მსვლელობაზე. ცალკეული ჯგუფების მიერ დახურულ სივრცეებში გამართული დისკუსია/ღონისძიებები თუ „უხილავი“ აქციები საერთო ჰომოფობიურ ზეიმში ჩაიკარგა.

საჯარო სივრცის ყოველმხრივი კონტროლი ეკლესიისათვის ძალაუფლებისათვის ბრძოლის (საჯარო სივრცის „განწმენდა ცოდვათაგან“) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. თუმცა ამ საკითხების „განდევნის“ სტრატეგია საჯაროდან პირად სივრცეში („სახლში რაც უნდათ, ის აკეთონ“) ისეთივე ფორმალური და ყალბია, როგორც ამ სივრცეების გამიჯვნის საბჭოური ტრადიცია. ეკლესია ისევე აქტიურად ცდილობს, გააკონტროლოს პირადი სივრცე, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება აკეთებდა (აბორტის დაშვება/აკრძალვითა და ჰეტეროსექსუალური ოჯახის შიგნით გენდერული იერარქიების გამყარება-განმტკიცებით დაწყებული, ლგბტი პირების ქორწინების აკრძალვით დამთავრებული).

მაშ, სად არის ჩვენი ადგილი? როგორ ავირიდოთ თავიდან მსხვერპლის როლი ისეთ თამაშებში, სადაც სასწორზე ადამიანების სიცოცხლე და უსაფრთხოება დევს? სადაც ბენეფიტი ჩვენი უფლებების განმტკიცება კი არა, ცალკეული პოლიტიკური აქტორების ძალაუფლების დაკანონებაა? ჯერჯერობით ერთი პასუხი გვაქვს: უარი ვთქვათ ომზე, მაგრამ გავაგრძელოთ ბრძოლა, რადგან სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლა ევოლუციური, ყოველდღიური და არა რევოლუციური პროცესია.

ბიბლიოგრაფია:

- აღდგომელაშვილი, ე. (2011). სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიაში. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.mdfgeorgia.ge/index.php?menuid=16&lang=1&id=78.
- გაზეთი „ალია“ (2007). მთავრობას ამ აღლუმის ჩატარებით ევროსაბჭოდან დიდი ფულის მიღება სურს. №83(2056). 19-20 ივლისი.
- მამალაძე, ი. (2007). პედერასტები თბილისში „პარადისთვის“ ემზადებიან. გაზეთი „ალია“. №82(2055). 17-18 ივლისი.
- ინტერნეტჟურნალი „ნეტგაზეთი“ (2010). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანთან, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველთან ინტერვიუ. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.netgazeti.ge/GE/22/News/2280/
- ნაცვლიშვილი, ა. (2010). ჰომოფობია, ტრანსფობია და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. [ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaLegal_E.pdf. Natsvlishvili, A. (2010). Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity. COWI, Legal Report. Georgia].
- სუმბაძე, ნ. (2012). თაობები და ღირებულებები. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი. თბილისი. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.ipska.techtone.info/files/4313/4245/8451/Taobebi_da_Girebulebebi_-_Book_1.pdf.
- ფონდი „ინკლუზივი“ (2006). ლგბტი პირების დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში. საქართველო.
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (2012). ლგბტი პირების დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში. თბილისი, საქართველო.
- ხორგუაშვილი, მ. (2007). ფერადოვანი აღლუმი თბილისში? გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №140 (5741). 21 ივლისი.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2011). კვლევა უმცირესობების მიმართ მოსახლეობის განწყობისა და დამოკიდებულების შესახებ. თბილისი, საქართველო.

ქალის უფლებების გაძლიერება საქართველოში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის დასაძლევად[1]

ანა არგანაშვილი

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით[2], ქალების ეკონომიკური აქტივობა და მათი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დაბალია. გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მაჩვენებლებით საქართველო 136 ქვეყანას შორის 64-ე ადგილზეა. იმავე წყაროს მონაცემებით, წინსვლის ნაცვლად, საქართველოში მდგომარეობა უარესდება. 2012 წელს ქვეყანა 57-ე ადგილზე იყო, ხოლო 2011 წელს 54-ზე გადაინაცვლა.

იმავე წყაროდან ვიგებთ, რომ შრომის თანაბარი ანაზღურების თვალსაზრისით, საქართველო მე-14 ადგილზეა, მაგრამ ქალისა და მამაკაცის წლიური შემოსავლების შეფარდების მიხედვით, ქვეყანა 114-ე ადგილს იკავებს. ქალის ხელფასი ყველა სექტორში უფრო დაბალია, თვით ისეთ სფეროებშიც კი, სადაც დასაქმებულთა უმეტესობა ქალია, მაგალითად, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემაში.

ამ პრობლემის საკანონმდებლო დონეზე მოგვარების მიზნით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, თუმცა ქალის პროფესიული წინსვლა, მისი თანასწორი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და სათანადო ანაზღაურება კვლავაც უმთავრეს ამოცანად რჩება. სიღარიბის ფემინიზაცია და ქალის წინააღმდეგ ძალადობის მაღალი დონე ქალის დაბალი ეკონომიკური აქტივობის შედეგია. ბევრი ქალი დასაქ-

1 ეს სტატია მომზადდა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პერიოდული ანგარიშისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების, „კონსტიტუციის 42-ე მუხლისა“ („42-ე მუხლი“) და „საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის“ (სპკ) მიერ წარდგენილი დამოუკიდებელი ანგარიშის საფუძელზე, რომელიც რაისა ლიპარტელიანმა (სპკ), მაკა გიოშვილმა („42-ე მუხლი“) და ანა არგანაშვილმა („42-ე მუხლი“) მოამზადეს. ეს დამოუკიდებელი ანგარიში განიხილეს 2014 წლის 8 ივლისის 1227-ე და 1228-ე შეხვედრებზე.

2 საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი (2013). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ.

მებულია, მაგრამ მათი საშუალო ხელფასი მამაკაცების ხელფასისაგან განსხვავებულია, რადგან ქალები ხშირად დაბალანაზღაურებად თანამდებობებზე მუშაობენ, მათი დაწინაურება კი ფერხდება.

კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წევრი გახდა 1993 წელს და უკვე ILO-ს 16 კონვენცია აქვს რატიფიცირებული. 2012 წლისათვის საქართველო ერთ-ერთი იყო დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ILO-ს ყველაზე ნაკლები კონვენცია ჰქონდათ რატიფიცირებული. ILO-ს ბოლო კონვენციას (N163) საქართველომ ხელი 2004 წელს მოაწერა. საქართველო ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთის ხელშეკრულების მონაწილეა და ევროკავშირში ინტეგრაცია სურს. საქართველომ, როგორც ევროპის საბჭოს წევრმა, 2005 წელს სოციალურ ქარტიასაც მოაწერა ხელი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ანგარიშის თანახმად[3], 2006 წელს საქართველოში მიღებული შრომის კოდექსი ყველაზე დერეგულირებულია ორგანიზაციის მიერ შესწავლილ ქვეყნებს შორის. მეტიც, ამ მხრივ ლიბერალური ეკონომიკის მქონე ისეთ ქვეყნებსაც კი უსწრებს, როგორებიცაა: აშშ, კანადა და დიდი ბრიტანეთი. ანგარიშში გაკრიტიკებულია ზოგიერთი ინდიკატორი, მაგალითად, გამოსაცდელი პერიოდი, შრომითი ხელშეკრულების რეგულაციები და სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზები. ძველ შრომის კოდექსში, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლო მიზეზები ნახსენები არ არის. აღსანიშნავია ასევე, რომ 2005 წელს ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიკაციისას საქართველო მოთხოვნების მხოლოდ მინიმალურ რაოდენობას დაეთანხმა. საქართველოს მთავრობამ არ გაუკეთა რატიფიკაცია 24-ე მუხლს, რომელიც დასაქმებულის დასაბუთებული მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლებას კრძალავს. იგივე ითქმის მე-3 მუხლზე, რომელიც უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს, და მე-8 მუხლზე – „დედობის დაცვის უფლება დასაქმებული ქალებისათვის“.

3 შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (2012). შრომის კანონმდებლობის მიმოხილვა საქართველოში.

მეტიც, საქართველოს ძველი შრომის კოდექსის თანახმად, დამქირავებელი არ იყო ვალდებული, დაქირავებულის გათავისუფლება დაესაბუთებინა. შესაბამისად, საჩივრები სამსახურიდან დისკრიმინაციული მოტივით გათავისუფლების თაობაზე ხშირი იყო. ძველი შრომის კოდექსის შესაბამისად, დამქირავებელს არ სჭირდებოდა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინების ვადის დაცვა. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც მას კანონის თანახმად უნდა შეესრულებინა, ერთი თვის ხელფასის გადახდა იყო. ძველი შრომის კოდექსი არც ეკონომიკური მიზეზებით სამსახურიდან კოლექტიური დათხოვნის საკითხებს არეგულირებდა. საწარმოს ლიკვიდაცია ერთადერთი მიზეზი იყო, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად სახელდებოდა. დისკრიმინაციის კიდევ ერთი საშუალება იყო სიტყვიერი და მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც კოდექსით აკრძალული არ ყოფილა.

ცვლილებები შრომის კოდექსში

ცვლილებების პირველი ეტაპი – 2012 წელი

2012 წლის 22 ივნისს საქართველოს შრომის კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსსა და „პროფკავშირების შესახებ“ კანონში, ორი ცვლილება შევიდა. ორივე ცვლილება ILO-ს კომიტეტისა და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს ემყარებოდა. შრომის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 49-ე (მე-8) მუხლი, რომელიც გაფიცვის უფლებას 9 კალენდარული დღით ზღუდავდა. შეიცვალა მე-2 (მე-9) მუხლი და პროფკავშირების შექმნისათვის აუცილებელი წევრების რაოდენობა 100-იდან 50-მდე შემცირდა. შესწორებების შემუშავებისა და განხილვის საპარლამენტო პროცესის დროს საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციასთან (სპკ) კონსულტაციები არ გამართულა და ცვლილებებს საქართველოში არსებული მძიმე სამუშაო გარემო არაფრით გაუუმჯობესებია[4].

ცვლილებების მეორე ეტაპი – 2013 წელი

სახალხო დამცველი მიესალმა 2013 წელს წამოყენებულ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომელთა მიზანი დასაქმებულთა უფლებების

4 საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია (სპკ) (2012). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის (ILO) წარდგენილი ანგარიში.

გაზრდა იყო. საკანონმდებლო ცვლილებები 2013 წლის 12 ივნისს დამტკიცდა. ამჯერად ამ პროცესში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და სპკ-ც იყვნენ ჩართული. 2013 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი წაკითხვით მიღებული დოკუმენტი შრომის საერთაშორისო სტანდარტებსა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს ზოგადად შეესებამებოდა, მაგრამ ამის შემდეგ მთავრობამ ღია კონსულტაციები შეწყვიტა და შემდგომ პერიოდში მხოლოდ დამსაქმებლებთან ურთიერთობდა.

საბოლოოდ, მიღებულმა დოკუმენტმა დასაქმებულთა მდგომარეობა მხოლოდ გარკვეულწილად გააუმჯობესა. კერძოდ, ის კრძალავს დისკრიმინაციას წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში (მუხლი 2 (3)), ზუსტად განისაზღვრა შრომითი ურთიერთობების მხარეები, დადგინდა დამქირავებლის მოვალეობები, საგრძნობლად შეიზღუდა ზეპირი და მოკლევადიანი ხელშეკრულებების გამოყენების არეალი, განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების ელემენტარული საფუძვლები და შრომის კოდექსის ან კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევით შედგენილი ხელშეკრულებები ბათილად გამოცხადდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დასაქმებულთა პირობებს აუმჯობესებენ. დაბოლოს, ახალი შესწორებებით ფეხმძიმე ქალების სამსახურიდან დათხოვნა აიკრძალა.

მიღწეული გაუმჯობესების მიუხედავად, შრომის კოდექსში კიდევ ბევრი ხარვეზია. კერძოდ, დარჩენილია გადაუწყვეტელი საკითხები, რომლებიც დამქირავებელს საშუალებას აძლევს, ფიქსირებული ვადით დადებული ხელშეკრულება იმისათვის გამოიყენოს, რომ დაქირავებულებმა ასოციაციების შექმნის უფლებით სარგებლობა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოება ვერ შეძლონ; ბუნდოვანია დებულებები კოლექტიური შრომითი დავების შესახებ, რაც გაფიცვის უფლებას ზღუდავს; დამქირავებელს უფლება აქვს თანამშრომელი „ობიექტური“ მიზეზის გამო დაითხოვოს, რაც ასოციაციების შექმნისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლებას ეწინააღმდეგება; არასაკმარისადაა დარეგულირებული კოლექტიური დათხოვნის საკითხები; არ არის დადგენილი პროფესიული უსაფრთხოების სტანდარტები და სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ქალთა უფლებები. ჯერაც მაღალია იმის რისკი, რომ სამუშაოზე აყვანის დროს დამქირავებელი გარკვეული ჯგუფების დისკრიმინაციას ეწეოდეს, რადგან მე-5 (მე-8) მუხლში ნათქვამია: „დამქირავებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს, თუ რატომ თქვა უარი კონკრეტული პირის დასაქმებაზე“.

ცვლილებების მესამე ეტაპი, რომელიც ჯერ მიღებული არ არის

მოგვიანებით, 2013 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა ქალთა უფლებებთან დაკავშირებული ცვლილებების კიდევ ერთი ეტაპის განხილვა დაიწყო, მაგრამ ეს ცვლილებები სრულიად შეუსაბამო იყო და რეალურ გენდერულ ხედვას არ ეფუძნებოდა. ამ ცვლილებებით დგინდება ფეხმძიმობის, დედობისა და ბავშვის მოვლისათვის შვებულების აღებისა და ანაზღაურების პირობები. შვებულების ხანგრძლივობა აღწევს 730 კალენდარულ დღეს, საიდანაც 183 დღე უნდა ანაზღაურდეს. მძიმე მშობიარობის ან ტყუპების დაბადების შემთხვევაში, ანაზღაურებადი შვებულება 200 კალენდარულ დღეს აღწევს. თანამშრომელს შეუძლია ეს დღეები ფეხმძიმობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე გადაანაწილოს[5]. ერთ წლამდე ასაკის ბავშვის აყვანის შემთხვევაში, თანამშრომელს უფლება აქვს 550 კალენდარული დღე აიღოს, მათგან 90 – ანაზღაურებადი[6].

ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებისა და ბავშვის მოვლის ხარჯებს მთელი პერიოდის განმავლობაში 1000 ლარამდე ოდენობით სახელმწიფო იხდის. დამქირავებელი და დაქირავებული შეიძლება დამატებით ანაზღაურებაზე შეთანხმდნენ[7]. კანონით გათვალისწინებულია ასევე დამატებითი სახსრები საჯარო სამსახურში დასაქმებული ქალებისათვის.

თუმცა, მთავრობის დაპირების მიუხედავად, ეს ცვლილებები 2014 წლის მაისში ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

შრომის ინსპექცია

ILO-ს კომიტეტმა შეშფოთებით აღნიშნა, რომ 2006 წელს, შრომის ინსპექციის სამსახურის გაუქმების შემდეგ, სამუშაო ადგილებზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი ორგანო საქართველოში აღარ დარჩა. საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ შეიქმნება ახალი სამეთვალყურეო ორგანო, მაგრამ ის მხოლოდ პროფესიულ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას გაუწევს მეთვალყურეობას. ILO-ს კომიტეტმა გარკ-

5 ძველი წესებით, მშობიარობისა და ბავშვის მოვლისათვის 477 დღე იყო დაწესებული, მათგან 126 – ანაზღაურებადი. მძიმე მშობიარობის ან ტყუპების დაბადების შემთხვევაში ეს პერიოდი 140 კალენდარული დღეს გრძელდებოდა.

6 ძველი წესებით, 365 დღე იყო გათვალისწინებული, მათგან 70 – ანაზღაურებადი.

7 უწინ მაქსიმალური დახმარება 600 ლარი იყო.

ვევით თქვა, რომ აუცილებელია მამაკაცისა და ქალის თანაბარი ანაზღაურების პრინციპიც სათანადოდ იქნეს პრაქტიკაში გატარებული და სათანადო შრომის სამეთვალყურეო ორგანოს გარეშე ქალის უფლებები სამუშაო ადგილზე დაცული ვერ იქნება.

დისკრიმინაცია

სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში[8] სამუშაო ადგილზე ქალის დისკრიმინაციის რამდენიმე ასპექტია ნახსენები, თუმცა მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, რადგან არ მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები, არ ყოფილა სასამართლო განხილვები და ამგვარი საკითხები არც ანგარიშებში ასახულა. დაზარალებული ქალები ხშირად ვერც კი ხვდებიან, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან, რადგან არახელსაყრელი სამუშაო პირობები ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ.

ფარული დისკრიმინაცია მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურულ სტერეოტიპებთან და ცრურწმენებთან, რომლებისაც ხშირად მსხვერპლსაც სჯერა. ქალები დისკრიმინაციაზე ხშირად არ ლაპარაკობენ, რადგან მეტი დისკრიმინაციისა და იზოლაციის ეშინიათ. ანგარიშში ნათქვამია, რომ სასამართლოში საქმის აღძვრის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულებსაც კი ეშინიათ; ვინმემ რომ იჩივლოს, მნიშვნელოვან ბარიერებს წააწყდება, რომელთა შორის საკმარისი მტკიცებულებების მოპოვებაცაა.

სექსუალური შევიწროვების გახმაურება იშვიათია. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით სექსუალური შევიწროვება იკრძალება, მაგრამ ამ კანონის დებულებები საკმარისად მოქნილი არაა იმისათვის, რომ ქალებს შეეძლოთ გარკვეული ქმედებები სექსუალურ შევიწროვებად მიიჩნიონ. ამას გარდა, კანონი არც სანქციებს ითვალისწინებს. სექსუალური შევიწროვების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება და, სასამართლოში საჩივრის შეტანის შემთხვევაში, არც მსხვერპლის პირადი მონაცემების დაცვაა გარანტირებული. საკმაოდ ხშირად თანამშრომლები და მთლიანად საზოგადოება სექსუალურ შევიწროვებაში სწორედ მსხვერპლს ადანაშაულებენ.

ქალების დაწინაურების შეფერხება დისკრიმინაციის კიდევ ერთი გავრცელებული ფორმაა, თუმცა ამის დამტკიცება ძალიან ძნელია.

8 საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი (2014 წ.). საგანგებო ანგარიში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შესახებ.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ქალებსა და ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება, რომ ამგვარი დისკრიმინაციის დამადასტურებელი მონაცემები და სამხილი მოიპოვონ.

ჩვეულებრივი ამბავია დისკრიმინაცია სამუშაოზე აყვანამდე, რომელიც ვაკანსიის გამოცხადებით იწყება. დისკრიმინაციულია სამუშაოზე აყვანის წინ ჩატარებული გასაუბრების პროცესი და ფორმატი, ასევე კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. ანგარიშში ნათქვამია, რომ ხშირია კონტრაქტის დადებამდე დისკრიმინაციაც, მაგრამ ქალები ამჯობინებენ, ასეთ საკითხებზე არ იდავონ.

ILO-ს კონვენციებისა და რეკომენდაციების განხორციელების საკითხების ექსპერტთა კომიტეტი რეგულარულად გამოხატავს შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი მოცულობის სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს სრულად დაიცავს.

კომიტეტმა ასევე განაცხადა, რომ N100 კონვენციაში ჩამოყალიბებული ეს პრინციპი მკაფიოდ არ არის ასახული 2006 წლის შრომის კოდექსის მე-2 (მე-3) მუხლში, რომელიც ზოგადად კრძალავს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციას. ამ პრინციპს არ ვხვდებით არც კონსტიტუციის მე-14 მუხლში, რომლითაც კანონის წინაშე თანასწორობაა გარანტირებული, და არც 2010 წლის 26 მარტის კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, მთავრობა კონსტიტუციით, შრომის კოდექსითა და სხვა კანონებით გარანტირებულ თანასწორობაზე, ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებში 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმაზე მიუთითებს. 2010 და 2013 წლებში შესწორებებით მიღებული შრომის კოდექსისთვისაც ზოგადი დებულებებია დამახასიათებელი.

კომიტეტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო და თანასწორობის უზრუნველმყოფი ზოგადი დებულებები მნიშვნელოვანია, მაგრამ N100 კონვენციის ეფექტიანად განსახორციელებლად ისინი, ჩვეულებრივ, არასაკმარისია, რადგან „თანაბარი მოცულობის სამუშაოს“ კონცეფციის არსს არ ასახავს. ქალისა და მამაკაცის შრომის თანასწორი ანაზღაურებისა და თანასწორობის დამკვიდრებისათვის კი ეს კონცეფცია ცენტრალურია.

ქალის მისწრაფებებისადმი, პრეფერენციებისა და შესაძლებლობებისადმი ისტორიულად ჩამოყალიბებული მიდგომებისა და სტერეოტიპების საფუძველზე, ზოგიერთ პროფესიაში, ძირითადად ან გამონაკლისების გარეშე, მხოლოდ ქალებს ვხვდებით (მაგალითად, დამხმარე

პროფესიებში), სხვებში კი – მამაკაცებს (მაგალითად, მშენებლობაში). ხელფასების დადგენის დროს „ქალის სამუშაო“ ხშირად მამაკაცის მიერ შესრულებულ იმავე ღირებულების სამუშაოზე ნაკლებად ფასობს. „თანასწორი ღირებულების სამუშაოს“ ცნება პროფესიულ გენდერულ სეგრეგაციასთან ბრძოლის საქმეში უმნიშვნელოვანესია, რადგან ის უფრო ფართო შედარების საშუალებას იძლევა და შეეხება თანაბარ ანაზღაურებას, მათ შორის, და არა მხოლოდ, „თანაბარი“, „იდენტური“ ან „მსგავსი“ სამუშაოებისათვის. ეს ასევე მოიცავს სრულიად განსხვავებული ბუნების სამუშაოებს, რომლებიც, მიუხედავად ამ განსხვავებისა, მაინც იგივე ღირებულებისაა.

კომიტეტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მთავრობას, კონკრეტული ნაბიჯები გადადგას იმ მიმართულებით და კანონმდებლობაში სრულად აისახოს ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი მოცულობის სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი, რათა კონვენცია სრულად და ეფექტიანად განხორციელდეს.

სასამართლო პრაქტიკა

ზემოაღნიშნული ანგარიშის წარმდგენმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააანალიზეს, თუ როგორ იხილავს ადგილობრივი სასამართლოები ქალის შრომით უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებს (ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ფარგლებში). გაანალიზებული იყო ხუთწლიანი პერიოდი. მკვლევარებმა ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ინტერნეტში განთავსებული რეესტრიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფკავშირების მონაცემთა ბაზებიდან მოიპოვეს. სულ 49 საქმე გამოვლინდა. მათი უმეტესობა სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და გათავისუფლებული პირების სამსახურში აღდგენა და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნა იყო. მომჩივანი პირები მორალური ზარალის ანაზღაურებას მხოლოდ ორ შემთხვევაში ითხოვდნენ, ორი შემთხვევა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების მოთხოვნით იყო განპირობებული. არც ერთ საქმეში არ ყოფილა გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრეტენზიები. ასევე აღსანიშნავია, რომ არც ერთი მომჩივანი არ ამბობდა, რომ გენდერული დისკრიმინაციის გამო დაიჩაგრა.

2012 წლის არჩევნების შედეგად, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რამდენიმე ასეულმა საჯარო მოსამსახურემ განაცხადა,

რომ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს. მათ შორის საკმაოდ ბევრი ქალი იყო. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგაც კი მომჩივანს ასეთი გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება ხშირად არ შეუძლია. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს შორისაა იურიდიული დახმარებისა და კონსულტაციის უკმარისობა. ხალხს არ აქვს საკმარისი სახსრები, რომ ადვოკატს მიმართოს, ხოლო სასამართლოში მათი ინტერესების დაცვა სულ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას (საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, კონსტიტუციის 42-ე მუხლს და კიდევ რამდენიმე ორგანიზაციას) შეუძლია. შესაბამისად, ქალები კანონიერი გზების არარსებობასა და მათი შრომითი უფლებების დარღვევას უჩივიან.

2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოავლინა შემთხვევები, როცა სამსახურიდან ფეხმძიმე ქალები დაითხოვეს. მათმა უმეტესობამ წასვლის შესახებ განცხადება თვითონ დაწერა, თუმცა სახალხო დამცველის მიერ წარმოებულმა მოკვლევამ გამოარკვია, რომ ეს განცხადებები ზეწოლისა და მოტყუების შედეგად დაიწერა, მაგრამ ვინაიდან დისკრიმინაცია აშკარა არ ყოფილა, სამსახურიდან დათხოვნილებს დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა არ შეეძლოთ. სახალხო დამცველმა თელავისა და ქარელის მუნიციპალიტეტებს რეკომენდაციებით მიმართა, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას ისინი არ გაუთვალისწინებია. მიუხედავად ამისა, ქარელის შემთხვევა სასამართლოში გადაწყდა. დათხოვნილი ქალი სასამართლომ სამსახურში აღადგინა, ხოლო მუნიციპალიტეტი იძულებული გახდა, კომპენსაცია გადაეხადა.

დისკრიმინაციისგან სხვებზე მეტად დაზარალებულ ქალთა ჯგუფები

აქამდე არ ჩატარებულა სიტუაციის ზოგადი კვლევა, რომელიც გვიჩვენებდა, ყველაზე მეტად ქალების რომელი ჯგუფები ზარალდება, თუმცა სხვადასხვა ანგარიში მიუთითებს, რომ ხშირად ილახება შემდეგი ჯგუფების უფლებები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ქალები, სექსუალური უმცირესობები (ლბტ ქალები), იძულებით გადაადგილებული ქალები, სოფლად მცხოვრები ქალები, ადრეული ქორწინების მსხვერპლი ქალები, ოჯახის მარჩენალი ქალები, შშმ შვილებისა და მარტოხელა დედები.

შრომითი უფლებების დარღვევის ხელშემწყობი ფაქტორები (უახლესი, ისტორიული, სისტემური და სხვ.)

ქალის შრომის უფლებების დარღვევას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. ამდენად, ამ მხრივ რამდენიმე სფეროა შესასწავლი. სხვა საკითხებთან ერთად, გასათვალისწინებელია ტრადიციული კულტურა და სტერეოტიპები, რომლებიც ქალების გააქტიურებას უშლის ხელს, ქალთა გაძლიერების სპეციალური ზომების ნაკლებობა და კანონმდებლობა, რომელიც გენდერული საკითხებისადმი მეტისმეტად გულგრილია. გასათვალისწინებელია ასევე დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდულობა და პრობლემები იურიდიული მომსახურებისა და კონსულტაციის სფეროში.

საოჯახო საქმეები ყოველთვის ქალის მოვალეობად ითვლებოდა. სტერეოტიპული წარმოდგენები, რომ ქალს მენეჯერისა და გადაწყვეტილებების მიმღების თანამდებობაზე მუშაობა არ შეუძლია, ჯერ კიდევ ფესვგადგმულია ხალხის ცნობიერებაში. სამწუხაროდ, ამგვარ საკითხებში ხალხის ინფორმირებულობის ასამაღლებლად საქართველოს მთავრობას არავითარი კამპანია არ უწარმოებია. ზემოხსენებულ სტერეოტიპებს სასკოლო პროგრამებშიც წააწყდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენას ისინი კვლავ ახდენენ.

მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, კანონმდებლობაში ჯერ კიდევ ცოტაა გენდერულად მგრძნობიარე დებულებები, ხოლო ქალთა გაძლიერების სპეციალური ზომების საჭიროება ხშირად უგულებელყოფილია (ოფიციალური პირები გენდერულ კვოტებზე ანეკდოტებს ჯერ კიდევ ჰყვებიან).

სამუშაო ადგილების ნაკლებობა დიდ პრობლემებს უქმნის ისეთ ქალებს, რომელთაც სკოლამდელ დაწესებულებებზე ხელი არ მიუწვდებათ. შესაბამისად, მათ კარიერისა და საოჯახო ვალდებულებების შეთავსება უწევთ.

დასაქმებული დედებისთვის ბავშვის მოვლის ერთადერთი ალტერნატივა საბავშვო ბაღები, სკოლები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მოვლის ცენტრებია. თუმცა, ბევრ რეგიონსა და სოფელში საბავშვო ბაღები საერთოდ არ არის, ხოლო დღის განმავლობაში ბავშვთა მოვლის ცენტრებში მხოლოდ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილები მიიღებიან. ეს ორი ფაქტორი საოჯახო და შრომის უფლებებით ერთდროულად სარგებლობის საშუალებას ბევრ ქალს ართმევს. შედეგად, ბევრი ბავშვიანი ქალი ვერ მუშაობს და თავის პოტენციალს სრულად ვერ იყენებს.

დისკრიმინაციის შედეგები

ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარებული კვლევებისა და სახალხო დამცველის ანგარიშების თანახმად, ქალები გენდერული ძალადობის შესახებ ძირითადად იმიტომ არ ლაპარაკობენ, რომ ფინანსურად მოძალადეებზე არიან დამოკიდებული. ბევრი ქალი შრომის ბაზარზე ვერ გადის, სანამ მათი შვილები იმ ასაკს არ მიაღწევენ, როცა მოვლა აღარ დასჭირდებათ, მანამდე კი ქალები ფინანსურად მთლიანად მათ პარტნიორებსა თუ ქმრებზე არიან დამოკიდებული. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში იმ ქალებს, რომლებსაც მშობლებისაგან ქონება მემკვიდრეობით არ მიუღიათ (ტრადიციის თანახმად კი – მთელი ქონება ვაჟს უნდა ერგოს), არჩევანის გაკეთება სახლის დატოვებას ან ძალადობის მოთმენას შორის უწევთ. მთავრობა ძალადობის მსხვერპლ ქალებს საცხოვრებელ ფართს მხოლოდ 6 თვით სთავაზობს, ამიტომ ქალები მოძალადეებისაგან გაშორებას ვერ ბედავენ. სამუშაოს გარეშე ისინი ბინის დაქირავებასა და საკუთარი თავისა და შვილების რჩენას ვერ შეძლებენ. შესაბამისად, ქალების დაუსაქმებლობის შედეგი ოჯახში ძალადობის დამალვა და გენდერული ძალადობის მიმართ შემგუებლობის მაღალი დონეა.

ამას გარდა, ქალებს არ ეძლევათ მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის საშუალება, რასაც ხშირად მათი იზოლაცია და სოციალური კრიზისი მოჰყვება. ქალები თავიანთ მიზნებს ვერ აღწევენ და საკუთარი ცხოვრებით ვერ ცხოვრობენ, რაც მათ თავმოყვარეობას ლახავს. ოჯახის წევრები მათ მუდმივად ახსენებენ, რომ ფინანსურად სხვებზე არიან დამოკიდებული და ამიტომ ასეთი ქალების სიტყვას ნაკლები წონა აქვს. უამრავი უარყოფითი შედეგი მოჰყვება სამუშაო ადგილზე ქალის უფლებების შელახვასაც. დისკრიმინაციის შემთხვევაში მტკიცების ვალდებულება ქალს ეკისრება, მაგრამ მტკიცებულებების წარდგენა ძალიან ძნელია. დისკრიმინაციის ეკონომიკური შედეგი სერიოზულია და სიღარიბის ფემინიზაციას იწვევს.

სტრატეგიები ქალის უფლებების განსამტკიცებლად

ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები პრიორიტეტს სხვა საკითხებს ანიჭებენ და თვლიან, რომ შრომის უფლებების დაცვასთან ერთად სამუშაო ადგილზე ქალის დისკრიმინაცია აუცილებლად შემცირდება. მაგრამ შედეგი ასეთ მიდგომას ყველა ჯერ არ მოუტანია და

ვერც მოიტანს, სანამ მისი ნაკლოვანებები სათანადოდ არ იქნება გააზრებული. გენდერული საკითხების იმგვარი მეინსტრიმინგის[9] შედეგად, რომელიც არ ითვალისწინებს მოწყვლადი ჯგუფების კონკრეტულ საჭიროებებს, მეინსტრიმინგის იდეას აზრი დაუკარგა. შეუძლებელია, ქალი დაარწმუნო, რომ სასამართლოს უნდა მიმართოს, თუ ის სათანადოდ არ არის მომზადებული.

შრომითი დისკრიმინაციისაგან ქალების დასაცავად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია შემუშავდეს ისეთი ერთობლივი სტრატეგიები, რომლებიც ქალებს სასამართლო სისტემასთან ურთიერთობას გაუადვილებს, სოციალური კეთილდღეობის სტანდარტებს აამაღლებს და დისკრიმინაციის პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებს დაუპირისპირდება. ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ქალის უნარ-ჩვევების, ასევე მათი თვითშეფასების ამაღლება და ქმედუნარიანობის გაძლიერება. საინფორმაციო საშუალებები და ჟურნალისტები, რომლებიც მართებულ ინფორმაციას ავრცელებენ და ამ სფეროში არსებული სტერეოტიპების გადახედვას უწყობენ ხელს, აღნიშნულ საქმეში საუკეთესო მოკავშირეები არიან. განსახილველია კონკრეტული საკითხები, რომლებიც ქალისთვის აუცილებელია, მაგალითად, წერისა და საჯარო პრეზენტაციებში მონაწილეობის უნარ-ჩვევები, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის შიშის გადალახვა, ბავშვის მოვლისათვის დამხმარე პირის პოვნა და ა. შ. ქალის შრომითი უფლების დაცვა უფრო რომ გაძლიერდეს, ამ სპეციალურ საჭიროებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა აუცილებელია.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ (PHR) და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა საქართველოს რეგიონებში წამოიწყეს პროგრამა, რომლის მიზანი ადგილობრივი მცირე თემების უფლებამოსილებებისა და ადგილობრივ მმართველობაში მონაწილეობის გზით ქალების უფლებების ზრდაა. ამისათვის შეირჩა განსაკუთრებით დაუცველი ქალების ჯგუფი – ქალები შეზღუდული შესაძლებლობებით და ქალები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შვილები ჰყავთ. ამჟამად PHR შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებს გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტებსა და ხელშეკრულებებს აცნობს და სოციალური აუდიტის საკითხებს ასწავლის. PHR-ს დახმარებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების მიერ დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი მთავ-

9 ქალთა და მამაკაცთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

რობის ოფიციალურ დოკუმენტებს იხილავს და ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი გაეროს კონვენციებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. შედეგად უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დასაქმდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები. ეს რეკომენდაციები უნდა წარედგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულოებს). ზემოხსენებული ჯგუფის წევრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხდომებს ესწრებიან და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებისა და სოციალური პროგრამების შექმნაში მონაწილეობენ. PHR უზრუნველყოფს საჯარო დოკუმენტების, ბიუჯეტის პროექტებისა და კანონპროექტების ხელმისაწვდომობას, მართავს შეხვედრებს სხდომებამდე და სხდომების შემდეგ იმ მიზნით, რომ ქალებს საჯარო შეხვედრებზე აზრის გამოთქმა შეეძლოთ. PHR ასევე ამყარებს კონტაქტებს ურთიერთობს საინფორმაციო საშუალებებთან, რომლებმაც ეს ღონისძიებები უნდა გააშუქონ. ბევრი ქალი ასეთ შემთხვევებში ტელეეკრანებზე პირველად გამოჩნდა. მანამდე უჩინარი ბევრი ქალი თანდათან წინა პლანზე გამოვიდა. PHR-ს მიერ გაწეული უფასო იურიდიული მომსახურების წყალობით, ბევრ მათგანს ამჟამად შეუძლია სასამართლოში საქმე აღძრას და სასამართლო დავებში ჩაერთოს. ამას გარდა, PHR-ს წევრები მათ გამოცდილებასაც უზიარებენ, რათა თავიანთ უფლებებს სხვა ქალებიც გაეცნონ და მსხვერპლი აქტივისტად იქცეს.

ქალის გაძლიერება ისე, რომ მან თავისი შრომითი უფლებები დაიცვას, PHR-სთვის მისი თავდაჯერებულობისა და კომპეტენციის ამაღლებას გულისხმობს. ჩვენი მხარდაჭერით ეს აქტივისტი ქალები მხოლოდ თავიანთი თავის დასაცავად კი არ იბრძოლებენ, არამედ მსგავს საკითხებში სხვა ქალებსაც დაეხმარებიან. ამას შედეგად მოჰყვება ქალებს შორის სოლიდარობა. ისინი ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ და ამით მთელი საზოგადოების წინსვლას შეუწყობენ ხელს.

ბიბლიოგრაფია:

- საქართველოს პროფკავშირების კონფედერაცია (სპკ) (2012). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის (ILO)-სათვის წარდგენილი ანგარიში.
- საქართველოს სახალხო დამცველი (2013). ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf.
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი (2014 წ.). საგანგებო ანგარიში შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შესახებ.
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (2012). შრომის კანონმდებლობის მიმოხილვა საქართველოში. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---dialogue/documents/publication/wcms_202301.pdf. [International Labour Organization (2012). Employment Protection Legislation in Georgia: A review based on ILO standards, OECD indicators and comparative labour law].

ცვლილებების მიღწევის საშუალებები: ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტების ერთობლივი ძალისხმევა სომხეთში

ანა ნიკოღოსიანი

ქალების უფლებები სომხეთში

სომხეთის საზოგადოება პატრიარქალურია და გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური მიდგომები აქ თაობიდან თაობას გადაეცემა. 2010-2011 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება ძალადობის გარეშე“ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა „საკუთარ სტერეოტიპებს თავს ნუ მომახვევ!“, რომლის მიხედვითაც, მამაკაცების 60%-ს და ქალების 37%-ს მიაჩნიათ, რომ ქალები კარგი ხელმძღვანელები არ არიან, ქალების 53%-მა კი განაცხადა, რომ ამა თუ იმ კარიერაში წარმატებულ ქალს პირადი ცხოვრების მოწყობა გაუჭირდება.

სომხეთის საზოგადოებაში მამაკაცებს მეტი ძალა და შესაძლებლობა აქვთ. შესაბამისად, კვლევით დადგინდა, რომ სომეხი ქალების 63.8% ნანობს, კაცად რატომ არ დაიბადა, თუმცა, იმავდროულად, მათ პატრიარქალური ბორკილებისა და ნორმებისაგან გათავისუფლების ეშინიათ და ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ. სომხეთში საზოგადოებრივ აზრს ბევრად მეტი წონა აქვს, ვიდრე ინდივიდუალურ მიდგომებს, რაც ადამიანებს აიძულებს, დინების მიმართულებით იცურონ. იმავე კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 74% აღნიშნავდა, რომ „საზოგადოებრივი აზრი“ მათ თავისუფლებას უზღუდავს. ეს შეზღუდვები ქალებისა და გოგონებისათვის განსაკუთრებით მკაცრია.

სომხეთის საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობა ფართოდაა გავრცელებული და ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით ოჯახში, ნორმადაც არის მიჩნეული. კვლევის შედეგების თანახმად, მამაკაცების 57% , ქალების კი – 44% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ქალი თავისი ქმედებით თავად აიძულებს ქმარს, სცემოს“. უმეტესად სომეხი ქალები ოჯახში ძალადობას წლების განმავლობაში ითმენენ „ბავშვების საკეთილდღეოდ“ ან „მარტო დარჩენისა და გარიყვის“ შიშით. ძალადობისადმი ამ „შემწყნარებლობას“ მივყავართ ისეთ შემთხვევებამდე, რომელთაგან ზოგი სიკვდილითაც კი მთავრდება. 2012 წელს ოჯახში ძალადობის შედეგად

ხუთი ქალი დაიღუპა და დედის გარეშე 12 ბავშვი დარჩა. 2012 წელს სომხეთის პოლიციამ ოჯახში ძალადობის 766 შემთხვევა დაარეგისტრირა, თუმცა ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ცხელი ხაზებისა და კვლევების მონაცემებით დგინდება, რომ მათი რეალური რიცხვი გაცილებით მაღალია (ზოგი მონაცემით, სომეხი ქალების დაახლოებით 66% ძალადობის მსხვერპლია).

სომხეთში ოჯახში ძალადობის შემთხვევები სააშკარაოზე ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფებს გამოაქვთ. მიუხედავად ამისა, ამ საკითხების მოსაგვარებლად ქვეყანაში პოლიტიკური ნება თითქმის არ არსებობს. 2013 წლის თებერვალში ჩავარდა კანონპროექტი ოჯახში ძალადობის შესახებ, რის შედეგადაც ოჯახში ძალადობის „პრევენცია“ და ამ დანაშაულის ჩამდენთა „სათანადოდ დასჯა“ შეუძლებელი გახდა.

სომხეთისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გენდერული ნიშნით სქესის პრენატალური სელექცია, რაც ქალის დაბალ სტატუსზე მიუთითებს. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ამჟამად სომხეთში ყოველ 100 გოგოზე 116 ბიჭი იბადება, მაშინ, როცა ბუნებრივი შეფარდება 100 გოგოზე 102-106 ბიჭია. აღნიშნული კვლევის ინიციატორი ამ საკითხებში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტი კრისტოფ ზ. გილმოტო იყო. გენდერული ნიშნით სქესის პრენატალური სელექციის სიხშირის მიხედვით, სომხეთი ჩინეთის შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა, მაგრამ სომხეთის ერთ-ერთ რეგიონში, გეღარქუნიქში, ყოველ 100 გოგოზე 124 ბიჭი იბადება, რაც უმაღლესი მაჩვენებელია მსოფლიოში.

მამრობითი სქესის შთამომავლობისათვის უპირატესობის მინიჭებას სომხეთში რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს მთიანი ყარაბაღის ომს უკავშირდება. 1990-იანი წლების შემდეგ სომხეთის მოსახლეობას ბიჭების ყოლა ურჩევნია, რადგან ისინი შეიძლება ჯარისკაცები გახდნენ და ქვეყანა დაიცვან. ამას გარდა, ომის დროს ბევრი მამაკაცი დაიღუპა და ოჯახებმა გადაწყვიტეს, დანაკარგის ასანაზღაურებლად მეტი ბიჭი ჰყოლოდათ. თუმცა დარღვეულ ბალანსს სხვა მიზეზებიც აქვს. სომხეთი პატრიარქალური საზოგადოებაა, რომელშიც ქალებსა და მამაკაცებს ძალიან განსხვავებული და სოციალურად წინასწარ განსაზღვრული როლები აქვთ. სომხურ კულტურაში მნიშვნელოვანია, რომ ცოლ-ქმარს ერთი ბიჭი მაინც ჰყავდეს. ყველა იმედოვნებს, რომ პირველად სწორედ ბიჭი დაიბადება, რადგან ამ შემთხვევაში „ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა შესრულდება“.

გენდერული ნიშნით სქესის პრენატალურ სელექციას სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებიც აქვს. ტრადიციის თანახმად, როცა გოგო გაიზრდება და იქორწინებს, მშობლების ოჯახი უნდა დატოვოს, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგოებში „ჩადებული ინვესტიციებიდან“ ამონაგები ძალიან მცირეა.

გენდერული ნიშნით სქესის პრენატალური სელექცია ქალთა ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს, ერის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ სტაბილურობას კი საფრთხეს უქმნის. აქედან გამომდინარე, ქალთა უფლებების დამცველი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სომხეთის მთავრობასთან ერთად, ახლა ამ ფენომენის საწინააღმდეგო სტრატეგიებს შეიმუშავებენ.

ფემინიზმისა და ქალთა უფლებების დამცველი აქჯივისტებისადმი სომხეთის საზოგადოების დამოკიდებულება

სომხეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანაა. საზოგადოება აქ განსხვავებულობისა და მრავალფეროვნებისადმი უარყოფითადაა განწყობილი. უდავოა, რომ ქალების, ლგბტი პირებისა და მათი სახელით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ აქ შეუწყნარებლობაა გამეფებული. ამ პრობლემას ხშირად ამწვავებს საინფორმაციო საშუალებების მიერ საკითხის არასწორი გაშუქება, რაც ჩვეულებრივი ამბავია. შესაბამისად, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებისა და მედიის მხრიდან უხეშ დამოკიდებულებას აწყდებიან.

2013 წლის მაისში სომხეთის პარლამენტმა მიიღო კანონი „მამაკაცებისა და ქალების თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ“. ამ კანონმა დიდი კამათი გამოიწვია და საზოგადოება ერთგვარ ისტერიაშიც კი ჩააგდო. აღშფოთების მთავარი მიზეზი (ყოველ შემთხვევაში – დასაწყისში) გახდა კანონის მე-3 მუხლი, რომელიც გენდერს განსაზღვრავს „განსხვავებული სქესის ადამიანების შეძენილ და სოციალურად განპირობებულ ქცევად“. ამის მიზეზი ის იყო, რომ სიტყვა „გენდერი“ ან არასწორად გაიგეს, ან განგებ განმარტეს არასწორად, როგორც „სქესის შეცვლის, პედოფილიის, ზოოფილიისა და ჰომოსექსუალობის პროპაგანდა“. ყველა ცნება ერთმანეთში აირია. ამგვარმა რეაქციამ გვიჩვენა, რომ ხალხს არ ესმის, სინამდვილეში რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა. ცოტა ხანში სიტყვა „გენდერი“ უკვე ზედსართავ სახელად იქცა.

ახლად წარმოქმნილმა ულტრანაციონალისტურმა ჯგუფებმა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის საწინააღმდეგო კამპანია და ცეცხლზე ნავთის დასხმა დაიწყეს. ამ მიზნით ისინი დასაყრდენად სოციალურ ქსელებს, განსაკუთრებით კი – Facebook-ს იყენებდნენ. ქვეყნდებოდა საეჭვო წარმომავლობისა და შინაარსის სტატიები და ვიდეოები (ძირითადად, რუსულად). სიძულვილის ენის გამოყენებასთან ერთად, თავს ესხმოდნენ ქალთა უფლებების კონკრეტულ დამცველებს, რომლებიც ამ საკითხის გარშემო ატეხილი ისტერიით შეშფოთებას საჯაროდ გამოხატავდნენ. ქვეყნდებოდა ამ ადამიანების სურათები და მათ აბუჩად ასაგდებად დაწესდა პრიზი „სომხეთის გამოჩენილი გენდერი“. ულტრანაციონალისტები ამტკიცებდნენ, რომ კანონში მოცემული გენდერის განმარტება „ბუნდოვანია და მამაკაცისა და ქალის თანასწორობის კანონისმიერი ტრადიციული აღქმის საზღვრებს სცდება“.

საზოგადოებაში სიძულვილისა და შიშის გავრცელების მიზნით ეს ჯგუფები კანონის ფორმულირებებით მანიპულირებენ და „გენდერული თანასწორობის“ შინაარსის უმართებულო განმარტებებს ავრცელებენ, ქალთა უფლებების დამცველებს კი „ქვეყნის მოღალატეებს“, „ოჯახის დამანგრევლებს“, „სომხური ღირებულებებისათვის საფრთხის შემცველებსა“ და „არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობის ხელშემწყობებს“ უწოდებენ. ამგვარ შეხედულებებს აძლიერებენ საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით – ტელევიზიები, რომლებიც საზოგადოებას გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების თაობაზე აზრს უცვლიან. სიტყვა „გენდერს“ დღეს სომხეთში ბევრი გაუკუღმართებულისა და ცოდვასთან დაკავშირებულის მნიშვნელობით იყენებს და ტრადიციული სომხური ღირებულებებისა და ოჯახისათვის სახიფათოდ მიიჩნევს.

აღწერილი უკურეაქცია სამოქალაქო საზოგადოებისადმი უფრო ფართო შეტევის ნაწილია და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის უმეტესი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი. ეს არის, სულ მცირე, სანახევროდ ორგანიზებული მცდელობა, შეარყიონ ევროპული ღირებულებები და ადამიანის უფლებები, შეაჩერონ ევროპასთან მჭიდრო ინტეგრაცია. სომხეთში გენდერული საკითხები და კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მარტივი სამიზნე გახდა, ხოლო მათ წინააღმდეგ აგორებული კამპანია ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენეს, თითქოს ქალთა ჯგუფები ცდილობენ, ტრადიციული ოჯახური ღირებულებები „გარყვნილი“ ევროპული ღირებულებებით ჩაანაცვლონ.

„გენდერის“, გენდერულ საკითხებზე მომუშავე ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისა და პირის მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ საკითხებით საინფორმაციო საშუალებები მანიპულირებენ. მოვიყვანოთ მრავალი მაგალითიდან ერთი: 2014 წლის 15 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება ძალადობის გარეშე“ მოაწყო მრგვალი მაგიდა თემაზე „გენდერი სოციალური მეცნიერების სწავლებაში“. ორგანიზაციის მიზანი იყო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარედგინა ის რეკომენდაციები, რომლებიც გენდერული საკითხების, როგორც სოციოლოგიის პროგრამის ნაწილის, სწავლებას შეეხებოდა. რამდენიმე ნეონაციონალისტურმა ექსტრემისტულმა ჯგუფმა ამ ღონისძიების შესახებ შეიტყო და მისი ჩაშლა სცადა. მათი წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ ლოზუნგებით: „არა ოჯახის საწინააღმდეგო პროპაგანდას!“, „ჰომოფაშიზმი არ გაგივათ!“ და ა. შ. ექსტრემისტებმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ძალის გამოყენებაც სცადეს.

ზოგმა ჟურნალისტმა უაღრესად მიკერძოებული სტატიებისა და ვიდეოების მეშვეობით ამ ინციდენტში მრგვალი მაგიდის მონაწილეები დაადანაშაულა. ღონისძიება სასტუმროში ტარდებოდა და ორგანიზატორებმა დაცვის თანამშრომლები გამოიძახეს, მაგრამ როცა ერთ-ერთი მცველი ადგილზე გამოცხადდა, ოთხმა თუ ხუთმა ექსტრემისტმა ის სასტუმროდან გააძევა. რამდენიმე საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებულ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ შეტევა სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება ძალადობის გარეშე“ წამოიწყო. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როცა მთავრობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა და პარლამენტის წევრმა განაცხადეს, რომ არეულობა სწორედ ამ ადამიანების საკონფერენციო დარბაზში არშეშვებამ გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს, „საზოგადოება ძალადობის გარეშე“ იძულებული გახდა, პოლიცია გამოეძახებინა. საბედნიეროდ, პოლიციელებმა სიტუაციის განმუხტვა შეძლეს.

ქალთა და ლგბტი პირების უფლებების დამცველ ორგანიზაციებზე სომხეთში მომხდარი ამგვარი თავდასხმები გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ნეონაციონალისტური ექსტრემიზმი ძლიერდება და აქტივისტები მუდმივი ძალადობისა და თავდასხმებისაგან დაცული არ არიან. მეტიც, ქალთა უფლებების დამცველთა და ფემინისტთა მიმართ სიძულვილსა და შეუწყნარებლობას საზოგადოების დიდი ნაწილი და ოფიციალური პირები ამართლებენ, ხოლო საინფორმაციო საშუალებები ამ ტენდენციას კიდევ უფრო ამძაფრებენ.

ცვლილებების მიღწევის საშუალებები: ერთობლივი ძალისხმევა

2011 წლიდან სომხეთის ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა თავიანთი პოტენციალი უფრო ინტენსიური თანამშრომლობის წყალობით გააძლიერეს. ექვსმა ორგანიზაციამ, მათ შორის, „საზოგადოებამ ძალადობის გარეშე", 2011 წელს ჩამოაყალიბა კოალიცია „შეწყდეს ქალთა მიმართ ძალადობა"[1]. ეს კოალიცია მას შემდეგ შეიქმნა, რაც 20 წლის ქალს ზარუჰი პეტროსიანს ქმარმა სასიკვდილოდ სცემა. კოალიციის წევრებმა ოჯახში ძალადობის რამდენიმე შემთხვევასთან დაკავშირებით სასამართლოში საქმეები აღძრეს და ეს საკითხები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად გამოიყენეს. დღეს კოალიციაში სომხეთში ქალთა უფლებების დამცველი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციები არიან გაწევრიანებული. მის შემადგენლობაში რვა ორგანიზაცია და რამდენიმე დამოუკიდებელი ფემინისტია.

2013 წლიდან სომხეთის ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობები, თანამშრომლობა და ნდობა საგრძნობლად მტკიცდება, რისი საფუძველიც გენდერული თანასწორობის კანონის წინააღმდეგ საგანგებოდ ორგანიზებული უკურეაქციის მზარდი საფრთხეებია. ამის შედეგად ქალთა უფლებების დამცველმა რამდენიმე ორგანიზაციამ და დამოუკიდებელმა აქტივისტებმა ანალიტიკური საქმიანობა გააძლიერეს და სტრატეგიები და თანამშრომლობა გააუმჯობესეს. იმ ფაქტმა, რომ ისინი სხვა ჯგუფების სამიზნეებად გადაიქცნენ, თვით ამ ორგანიზაციებს შორის ერთიანობა, კავშირი და ნდობა გააძლიერა.

ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტები, ფემინისტები და ამ სფეროს ექსპერტები ამბობენ, რომ სომხეთში დამოუკიდებელი ფემინისტური მოძრაობის ჩამოყალიბება იწყება. განსაკუთრებული ერთგულებით ემსახურებიან ამ საქმეს ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ისეთ საკითხებში აქტიურობენ, როგორებიცაა: გარემოს დაცვა, კამპანიები პარკების შენარჩუნების მიზნით ან სპილენძისა და რკინის მოპოვების საწინააღმდეგო აქციები. ქალთა უფლებების დამცველი ზოგი აქტივისტი სხვა საკითხებზე ჩატარებულ აქციებსაც უერთდება, რაც აქტივისტების რიცხვის ზრდას უწყობს ხელს.

1 კოალიციის „შეწყდეს ქალთა მიმართ ძალადობა!" დამფუძნებლები არიან „საზოგადოება ძალადობის გარეშე", „ქალთა უფლებების ცენტრი", „ქალთა რესურსცენტრი", „სექსუალური ძალადობის ცენტრი", „ქალთა მხარდაჭერის ცენტრი" და „ვარდისფერი სომხეთი".

აღწერილი გამოწვევების გადასალახავად ერთობლივი ქმედება და სოლიდარობა აუცილებელია. ამგვარ „უკურეაქციას“ მხოლოდ ერთი ორგანიზაცია ვერ გაუმკლავდება. აუცილებელია ძალების გაერთიანება. კოალიციის „შეწყდეს ქალთა მიმართ ძალადობა!“ შიგნით და გარეთ უამრავ ღონისძიებას ვმართავთ, ვესწრებით სასამართლო პროცესებს მიუკერძოებელი და გამჭვირვალე პროცედურების უზრუნველსაყოფად, ვმართავთ აქციებს „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონის მხარდასაჭერად, ვწერთ პეტიციებს, ორგანიზებისთვის ვეწევით ერთგვარ კამპანიას, ვმართავთ პრესკონფერენციებსა და საპროტესტო აქციებს სამთავრობო და სამართალდამცავი ორგანოების შენობებთან. ყველაფერ ამას კი იმისთვის ვაკეთებთ, რომ ქალებსა და გოგონებს სამართლიანად მოეპყრონ.

ამას გარდა, ვცდილობთ, თავი მოვუყაროთ მოსახლეობაში გაფანტულ ფემინისტებსა და სხვა აქტივისტებს. ბოლო დროს ამის უამრავი მაგალითი დაგროვდა. სომხეთში ერთი მილიონი ადამიანი შეიკრიბა 2014 წლის 14 თებერვალს, 2013 წლის 27 ივლისსა და 2014 წლის 8 მარტს ერევანში საყოველთაო აქციები გაიმართა მშვიდობისათვის.

ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მისაღწევად რამდენიმე სტრატეგიას ვიყენებთ როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ინტერნეტ-სივრცეში. ინტერნეტში უმთავრესი სტრატეგია სოციალური მედიაა. ვიყენებთ Facebook-ისა და Google-ს პლატფორმებსა და სხვა საშუალებებს, რომლებიც კომუნიკაციასა და მობილიზაციას აადვილებს. ჩვენი სათქმელის ხმამაღლა გასაჟღერებლად ვიყენებთ ასევე ტაქტიკას „სატელევიზიო არხების დაკავება“[2].

ვიყენებთ რეალურ სივრცესაც – შეხვედრებს, განხილვებს, საჯარო აქციებს, მანიფესტაციებსა და სხვა ღონისძიებებს, რათა ჩვენი სათქმელი მთელ საზოგადოებას და უფლებამოსილ პირებს გავაგებინოთ; ვატარებთ პრესკონფერენციებს, ვავრცელებთ განცხადებებს, ვწერთ პეტიციებსა და ღია წერილებს იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. სასურველი შედეგისა და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, შეგვიძლია ჩავატაროთ დახურული ღონისძიებები ან ჩავერთოთ ანონიმურ აქტივობებსა და გამოძიებებში.

ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს, წინასწარ გამოვავლინოთ გამოწვევები და რისკები, სამოქმედო სტრატეგია და გეგმები კი ამის შესაბამისად შევიმუშაოთ.

2 ინგლ. “Occupy TV channels“.

ამავდროულად, ვცდილობთ, საერთაშორისო თანამეგობრობას გავაგებინოთ, თუ რა პრობლემებს ვაწყდებით, როგორ ვიყენებთ ეროვნულ და საერთაშორისო დონის მექანიზმებს იმისათვის, რომ ჩვენი მთავრობა პასუხისმგებლობას ვერ გაექცეს და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად იმოქმედოს. ეს ყველაფერი ძალიან რთული გასაკეთებელია, თუმცა იმასაც ვხედავთ, რომ ჩვენი ერთობლივი ქმედებების წყალობით რაღაც ნამდვილად იცვლება. რაც მთავარია, ვხედავთ, რომ სომხეთის ფემინისტური მოძრაობა უფრო სოლიდარულია, ეს კი ჩვენი საქმიანობის შედეგს საგრძნობლად ზრდის.

არ არის ადვილი, ჩვენს ქვეყანაში ფემინისტი იყო, თუმცა ამ სირთულეებს ერთობლივ ძალისხმევას ვუპირისპირებთ და იმედი გვაქვს, რომ ყველა ქალსა და გოგონას, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, უკეთესი მომავალი ექნება.

წინ თუ უკან? გენდერული თანასწორობისკენ მიმართული "უკურეაქციის" გადალახვის სტრატეგიები უნგრეთში

ბორბალა იუჰასი

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის საკითხი უნგრეთსა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში თავდასხმის ობიექტი გახდა. ამგვარი უკურეაქცია შესაძლებელი უნგრეთის საზოგადოების პატრიარქალური ბუნების გამო გახდა. ორმოცი წლის განმავლობაში, სახელმწიფო სოციალიზმის მშენებლობის მიუხედავად, ამ საზოგადოების ბუნება არ შეცვლილა. მოვლენების ამგვარ განვითარებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ უნგრეთის მთავრობას გენდერული საკითხებისკენ ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მნიშვნელობა არ ესმის, რის გამოც გენდერული მიდგომები პოლიტიკური საკითხი არ გამხდარა. დაბოლოს, ფემინისტურ პოლიტიკას უტევს კათოლიკური ეკლესიაც, რომელიც გაბრიელე კუბის წიგნებში მოყვანილ არგუმენტებს ეყრდნობა. ის მოსაზრება, რომ გენდერი ოჯახსა და სიცოცხლეს უპირისპირდება და ჰომოსექსუალობას უჭერს მხარს, უნგრეთის საზოგადოებრივ დისკურსში ბევრად უფრო სწრაფად გავრცელდა, ვიდრე გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ცნებები. შესაბამისად, საზოგადოებაში გენდერული საკითხების კონსტიტუციური გავრცელება სახელმწიფო ორგანოებმა ძალიან სწრაფად შეწყვიტეს. დღეს უნგრეთში გენდერული თანასწორობის თეორიას მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და ერთი მუჭა მეცნიერი თუ უჭერენ მხარს. მიუხედავად ამისა, დამაიმედებელია ის ფაქტი, რომ ამ საკითხებით სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი ინტერესდება. იგივე ითქმის ბიზნესმენ ქალებსა და მათზე, ვინც ოჯახში ძალადობა საკუთარ თავზე გამოსცადა. სოციალური მედია და ინტერნეტბლოგები ამჯერადაც მოუწესრიგებელი „მოძრაობის“ ზრდას უწყობენ ხელს.

„უნგრეთის ქალთა ლობი“ (HWL) მრავალ დარგში (ქალთა მიმართ ძალადობა, პირადი ცხოვრებისა და სამუშაოს ბალანსი, ბოშა ქალთა ორგანიზაციები, სოფლად მომუშავე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირებთან მომუშავე ასოციაციები, ლესბოსელთა ორ-

განიზაცია და ა. შ.) მომუშავე ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფსა და არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. HWL 2003 წელს შეიქმნა და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ევროკავშირის უდიდეს ორგანიზაციასთან – „ევროპის ქალთა ლობისთან“ მიერთება დაისახა მიზნად. ამ მიზანს მიაღწია კიდეც 2004 წელს, როცა უნგრეთი ევროკავშირის წევრი გახდა. HWL ე.წ. „გუშაგი ორგანიზაციის“, ანუ „watchdog-ის“ როლს ასრულებს (დამოუკიდებელ ანგარიშებს წარუდგენს „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციას“, ევროკომისიას და ა. შ.). ორგანიზაცია პოლიტიკის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობს[1] და ლობირებს ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე (მაგალითად, დირექტივა დეკრეტული შვებულების შესახებ, კამპანია 50/50, ძალადობა ქალების წინააღმდეგ, მიგრანტი და ბოშა ქალების უფლებები და ა.შ.), ატარებს სამეცნიერო კვლევებსაც (მაგალითად, გამოცემული აქვს წიგნი უნგრეთის გარდამავალი პერიოდის შემდგომი მთავრობების გენდერული პოლიტიკის შესახებ – „უქალო წლები“[2]), ეწევა საინფორმაციო კამპანიას და მონაწილეობს ისეთ საერთაშორისო კამპანიაში, როგორიცაა: „ჩვენ მილიარდი ვართ“. HWL დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც პოლიტიკოსებთან, ანალიტიკურ ცენტრებთან, მეცნიერებთან და საინფორმაციო საშუალებებთან თანამშრომლობს.

უნგრეთის ევროკავშირში გაწევრიანების დროს მიიჩნეოდა, რომ აუცილებელი იყო გენდერული თანასწორობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. გენდერული თანასწორობა (რომელიც უნგრულად არასწორად ითარგმნა, როგორც „თანაბარი შესაძლებლობები“, ეს კი სხვა დაჩაგრულ ჯგუფებსაც მოიცავს, მაგალითად, ბოშებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და ა. შ.) ერთ-ერთი საკვანძო თემა იყო ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების პროექტების შეფასებისას. რამდენიმე წლის განმავლობაში ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები კარგად მუშაობდნენ, რის გამოც გენდერული პოლიტიკის მხარდამჭერები ზოგადად აღტაცებული იყვნენ, მაგრამ ბოლო ხანებში უნგრეთის ოფიციალური პირები გენდერული თანასწორობის იდეას ნელ-ნელა დაშორდნენ და მის ადგილმონაცვლედ უნგრეთში შექმნილი კონცეფცია „ოჯახი უპირველეს ყოვლისა“ წარმოადგინეს[3].

1 HWL-ის 2013 წლის „რეკომენდაციები გენდერული პოლიტიკის თაობაზე“.

2 ბორბალა, ი. (2014). დაუქორწინებელი წლების ფასი.

3 ბუდაპეშტის ფრიდრიჰ ებერტის ფონდის მიერ 2014 წლის ოქტომბერში ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ევროკავშირის წევრობის ათი წელი, მდგომარეობის გაუმჯობესება და „უკურეაქცია“ გენდერული თანასწორობის საკითხებში“ პრობლემის საფუძვლიანი მიმოხილვა ჩატარდა. იხ. www.youtube.com/watch?v=s5xfgKwHh-A&feature=youtu.be.

რატომ უნდა აღიქმებოდეს გენდერული თანასწორობა საფრთხედ? ვნახოთ, როგორია ამ ტერმინის განმარტება: „გენდერული თანასწორობა გულისხმობს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონმდებლობასა და პოლიტიკაში, ოჯახში, თემსა და საზოგადოებაში რესურსებსა და მომსახურებაზე თანაბარ წვდომას. ის გულისხმობს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად მიუწვდებათ ხელი ცხოვრების ყველა სფეროზე და თანაბრად არიან ჩართული ამ სფეროებში, მათ შორის, დემოკრატიულ მმართველობაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და უსაფრთხოების სექტორში. გენდერული თანასწორობის მოთხოვნაა, რომ ქალებისა და მამაკაცების უფლებები, მათ შორის, უსაფრთხო და მეგობრულ ოჯახსა და თემში ძალადობისაგან თავისუფალ და უსაფრთხო პირობებში ცხოვრების უფლება, სათანადოდ და სამართლიანად იყოს დაცული“[4]. ევროპის ზოგიერთი ქვეყანა გენდერულ თანასწორობას ეროვნულ ბრენდადაც კი იყენებს: „გენდერული თანასწორობა შვედეთის საზოგადოების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ის გულისხმობს, რომ ქალებსა და მამაკაცებს ცხოვრების ყველა სფეროში ერთნაირი შესაძლებლობები, უფლებები და ვალდებულებები აქვთ. ყველას აქვს უფლება, იშრომოს და თავი ირჩინოს, მონახოს ოქროს შუალედი კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის და არ ჰქონდეს ცუდი მოპყრობისა და ძალადობის შიში. 2010 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალურ ანგარიშში“, შვედეთი თანასწორობის თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია“[5].

მეორე მხრივ, კატალინ ნოვაკმა, უნგრეთის სახელმწიფო მინისტრმა ოჯახისა და ახალგაზრდობის საქმეებში (რომელსაც გენდერული თანასწორობის საკითხებიც ეხება და ადამიანური რესურსების სამინისტროს ექვემდებარება) 2014 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „დასავლეთი ევროპის ზოგიერთი ლიბერალური სახელმწიფო და მთავრობა ცდილობს, დოკუმენტებში თავისი ღირებულებები სხვადასხვა ხრიკის მეშვეობით დამალოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მაგალითად, გაეროს განვითარების მიზნების დოკუმენტები შეიცავს ტექსტებს, რომლებშიც გაფართოებულია ოჯახის ცნება (...). უნგრეთი მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საზოგადოდ აღიარებულ ნორმებს, მაგრამ უნდა გვქონდეს იმის თავისუფლება, რომ ოჯახი და ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობები ისე

4 ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.osce.org/odihr/78432.

5 ამონარიდი შვედეთის საელჩოს ოფიციალური ბროშურიდან.

განვსაზღვროთ, როგორც ჩვენ გვსურს“[6]. ამ განცხადებაში იგულისხმება, რომ სიტყვა „გენდერს“ (რომელიც უნგრულ ენაში არ არსებობს და მის ნაცვლად ინგლისური სიტყვა გამოიყენება) მივყავართ ოჯახის ისეთ გაგებამდე, რომელიც ლესბი/გეი წყვილებსაც მოიცავს.

უნგრეთმა ქალთა უფლებების შესახებ რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტს მოაწერა ხელი (გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას, პეკინის მიზნებს, ევროკავშირის დირექტივებს, სტამბოლის კონვენციას), ხოლო 2010 წელს შეიმუშავა ეროვნული გენდერული სტრატეგიაც (რომელიც რეალურად არ განუხორციელებია), თუმცა ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი საბიუჯეტო თანხები იშვიათად გამოიყოფოდა. 2010 წლიდან კი ორბანის კონსერვატიული მთავრობა ამ იდეალებს სულ უფრო შორდება[7]. გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც სამმხრივი საკონსულტაციო ორგანოა და საჯარო მოსამსახურეების, გენდერის სპეციალისტებისა და ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან შედგება, ბოლოს 2010 წელს შეიკრიბა, მისი ყურადღება ზოგადად გენდერული საკითხებიდან მოსახლეობისა და ოჯახისაკენ მიმართულ პოლიტიკაზე იქნა გადატანილი. გენდერული საკითხების განხილვის კონტექსტი იყო მხოლოდ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსი და დედების არასრულ განაკვეთზე დასაქმება (რაც უნგრეთში პრაქტიკულად არ არსებობს). ამას გარდა, გატარდა გარკვეული რეფორმები ოჯახის დაბეგვრის საკითხებში (რითაც ისარგებლეს მხოლოდ იმ საშუალო კლასის ოჯახებმა, რომლებსაც სამი ან მეტი შვილი ჰყავთ) და ე. წ. „მოქნილი დეკრეტული შვებულება“, რაც იმ დედებისათვის, რომლებიც სამსახურში მშობიარობიდან სამ წელიწადზე ადრე გადიან (ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება უნგრეთში შეიძლება სამ წელიწადს გაგრძელდეს), გარკვეული ოდენობის სახსრების გამოყოფას ითვალისწინებდა. თუმცა, იმავდროულად, დაინგრა სოციალური დახმარების სისტემა, უმუშევრობის დახმარების გაცემის ვადა ცხრიდან სამ თვემდე შემცირდა, ხოლო სხვა დახმარებები სავალდებულო სამუშაოს პროგრამებს, ხშირად – ქუჩების დასუფთავებასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, დაუკავშირდა, ამ სფეროებში კი ხელფასი თვეში 160

6 ავტორის თარგმანი. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://orientpress.hu/130722 (13 ივლისი, 2014).

7 ბორბალა, ი. (2012). ორბანის მთავრობის პოლიტიკის გენდერული ანალიზი. უნგრეთში გენდერული მექანიზმების განვითარების შესახებ იხ.: http://eige.europa.eu/content/document/effectiveness-of-institutional-mechanisms-for-the-advancement-of-gender-equality.

ევროა (რაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა). ამას გარდა, შემუშავებულია საოჯახო დახმარების (38 ევრო, რომელსაც მშობლები ყოველთვიურად იღებენ) გაუქმების გეგმა იმ ოჯახებისათვის, სადაც არც ერთი სრულწლოვანი არაა დასაქმებული. უნგრეთში ასევე დაწესდა ევროპაში ყველაზე მაღალი დღგ (27%). ზოგიერთი მიმომხილველი ამას უწოდებს „ღარიბებთან ომს“, რომელშიც, როგორც ჩანს, ყველა ოჯახს ერთი ფასი არ აქვს[8]. ამ ღონისძიებებს თან ახლავს ბოშების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რაც მემარჯვენე ამომრჩევლების რიცხვის ზრდით ადვილად აიხსნება.

ევროკავშირის მოთხოვნაა, სტრუქტურული ფონდები მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების პრინციპზე დაფუძნებული გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად გამოიყენებოდეს (ამ უკანასკნელთა შემუშავება, როგორც წესი, იშტვან ტურის ტრენინგებისა და კვლევის ინსტიტუტს ეკისრება ხოლმე, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციას გენდერული თანასწორობის საკითხებში გამოცდილება არ აქვს, მაგრამ მთავრობის პოლიტიკა და ეს პროგრამები ერთმანეთს ხშირად ეწინააღმდეგება).

გენდერული თანასწორობის იდეაზე თავდასხმას ისეთივე იდეოლოგიური საფუძველი უდევს, როგორიც აღმოსავლეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში ე. წ. „ომს გენდერის წინააღმდეგ“, რისი მაგალითიც გერმანელი კათოლიკე სოციოლოგისა და მწერლის, გაბრიელე კუბის წიგნებია[9]. გენდერულ საკითხებზე დაწერილ წიგნებს შორის უნგრულ ენაზე ყველაზე ფართო რეკლამა მის ნაშრომებს აქვს. ამ ნაშრომებში კუბი გენდერული თანასწორობის საკმაოდ მიკერძოებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და ამტკიცებს, რომ ეს არის იდეოლოგია, რომელიც ერთმანეთში ურევს ბიოლოგიურ სქესსა და სოციალურად კონსტრუირებულ გენდერს, პროპაგანდას უწევს გენდერულ თანასწორობას, რომელიც აბორტებისა და ლგბტი პირებს შორის ქორწინების ეკვივალენტურია, შესაბამისად კი – „სიკვდილის იდეოლოგიაა“. კუბის აზრით, ლიბერალური კაპიტალიზმის „ჰიპერსექსუალიზებული“ კულტურა გენდერულ იდეოლოგიასთანაა დაკავშირებული, ხოლო სექსუალური განათლება პედოფილიის პოპულარიზაციის ტოლფარდია (მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ჰიპერსექსუალიზაციის კულტურისა და ბავშვებზე სექსობრივი ძალადობის წინააღმდეგ სწორედ ფემინისტები იბრძვიან). ეს შეხედულება უნგრეთის კათოლი-

8 სიკრა, დ. (2013). ქამრების შემოჭერის პოლიტიკა და მისი ეფექტი გენდერულ თანასწორობაზე.

9 კუბი, გ. (2008). გენდერის რევოლუცია.

კურმა ეკლესიამაც აიტაცა, მას ამჟამად ქადაგებებშიც მოისმენთ და ადგილობრივ საეკლესიო გაზეთებშიც წაიკითხავთ. ამას გარდა, 2013 წლის დეკემბერში უნგრულად ითარგმნა და უნგრეთის კათოლიკურ ეკლესიებში წაიკითხეს სლოვაკეთის ეპისკოპოსის საშობაო ეპისტოლე „გენდერული იდეოლოგიიდან“ მომდინარე საფრთხეების შესახებ.

ორბანის მთავრობამ გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი სამინისტრო ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას (ქდპ) ჩააბარა, რის შედეგადაც ამ პარტიის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოიპოვა. 2010 წლიდან უნგრეთის კონსტიტუცია ხუთჯერ შეიცვალა. მას სახელიც შეუცვალეს და „ძირითადი კანონი“ უწოდეს. ერთ წინადადებაში გამოხატული სიახლე შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბორტების შესახებ უნგრეთის შედარებით ლიბერალური კანონის წინააღმდეგ. „ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლისა და ადამიანური ღირსების უფლება; ნაყოფის სიცოცხლე დაცულია ჩასახვის მომენტიდან“ (ძირითადი კანონი, თავისუფლება და პასუხისმგებლობა, მუხლი II)[10]. კიდევ ერთი წინადადება, რომელსაც ადამიანის უფლებათა დამცველები, ფემინისტები და ლგბტი აქტივისტები აკრიტიკებენ, შემდეგია: „უნგრეთი იცავს ქორწინების ინსტიტუტს, როგორც მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილ კავშირს და ოჯახს, როგორც ერის გადარჩენის საფუძველს. ოჯახური კავშირები დამყარებულია ქორწინებაზე და/ან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობებზე“ (ძირითადი კანონი, მუხლი L.1). მიუხედავად ამისა, არსებული კანონები, რომლებიც აბორტების საკითხს არეგულირებენ, არ შეუცვლიათ და არც რეგისტრირებულ ლესბი/გეი წყვილებს შეხებია.

2013 წელს გაჩაღდა „ომი გენდერის წინააღმდეგ“. საინფორმაციო საშუალებებმა ერთიანი ძალებით შეუტიეს ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის, რამდენიმე ფემინისტურ ორგანიზაციას და ბრალი დასდეს, რომ ჯორჯ სოროსის „იმპერიის“ ნაწილი იყვნენ, ხოლო სოროსმა თითქოს ევროპის ეკონომიკური ზონის ნორვეგიის გრანტების არასამთავრობო ორგანიზაციის ფონდში შეაღწია. ყოველკვირეულ გაზეთ „ჰეტი ვალასში“ გამოქვეყნებული „საგამოძიებო“ სტატია კონკრეტულად „უნგრეთის ქალთა ლობისა“ და მის წევრ ოთხ ორგანიზაციას ესხმოდა თავს. ეს ორგანიზაციები იყო: ასოციაცია NANE (ძალადობის მსხვერპლი ქალების დამხმარე პირველი

10 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.kormany.hu/en/news/the-new-fundamental-law-of-hungary.

ორგანიზაცია უნგრეთში), საპატენტო ასოციაცია (ეხმარება ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს), ლესბოსელების ასოციაცია „ლაბრისი“ და ფონდი MONA (ფემინისტური კვლევითი ცენტრი და ინსტიტუტი). შემთხვევითა არაა, რომ თავდასხმის ობიექტებიდან ბევრი ფემინისტური ორგანიზაცია იყო. 2014 წელს ბრალდებები სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიებითა და ნორვეგიის სამოქალაქო ფონდსა და მისი ბენეფიციარების დიდ ნაწილზე მიტანილი სრულმასშტაბიანი იერიშით დასრულდა. ეს უკანასკნელებიც, ძირითადად, ადამიანის უფლებათა, სიტყვის თავისუფლებისა და გარემოს დამცველი, ლგბტი პირები და ფემინისტური ორგანიზაციები იყვნენ, მათ შორის, „უნგრეთის ქალთა ლობი“ და მისი წევრი სამი ორგანიზაცია. პრემიერ-მინისტრის აპარატმა შავ სიაში 13 არასამთავრობო ორგანიზაცია შეიყვანა, ხოლო კონტროლის ცენტრალურმა ოფისმა 63 ბენეფიციარის საქმეების გამოძიება დაიწყო (ბრალდებულები ამ გამოძიებას უკანონოს უწოდებდნენ). ამას გარდა, ფონდების მენეჯერების კონსორციუმს (ფონდი „ოკოტარში“ და პარტნიორები) საიდენტიფიკაციო საგადასახადო ნომერი ჩამოერთვა, პოლიციამ კი მათ ოფისებში საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და „ოკოტარშის“ წინააღმდეგ ორი სხვადასხვა გამოძიება წამოიწყო[11]. მოგვიანებით დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება ნორვეგიამაც ჩაატარა.

2014 წლის 15 სექტემბრის უნგრეთის პარლამენტისადმი მიმართვაში პრემიერ-მინისტრმა ორბანმა ნორვეგიულ საგაზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ერთადერთი, რასაც ვითხოვთ, ჭეშმარიტებაა (...), რომელიც ორპირობითა და სიცრუით არაა შენიღბული. არ მოგვწონს, როცა ამტკიცებენ, რომ თავისუფლებისათვის იბრძვიან მაშინ, როცა მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული პირები არიან; როცა ამტკიცებენ, რომ მათი ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილია, სინამდვილეში კი ხელფასიანი პოლიტიკური აქტივისტები არიან; ან როცა კანონის უზენაესობაზე მედიდურად გველაპარაკებიან, მაგრამ თუ თვითონ მათ ფინანსებზე მიდგება საქმე, განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვენ და ამტკიცებენ, რომ უნგრეთის ფული არაფერ შუაშია. უნგრელ ამომრჩევლებსა და მოქალაქეებს ასეთი მდგომარეობა არ მოსწონთ და მთავრობამ უნდა ცხადყოს, რომ კანონი ყველასათვის ერთია, პოლიტიკური პარტია იქნება ეს, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ რიგითი მოქალაქე“.

11 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.boell.de/en/2014/09/25/police-raids-against-hungarian-ngos.

უნგრეთში მდგომარეობა გაუუარესდათ არა მხოლოდ იმ არასამთავრობოებს, რომლებშიც აუდიტორული შემოწმება ჩატარდა და ღალატი დაბრალდათ. 2014 წლის მაისის ბოლოს უნგრეთის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ განმეორებით გაიარა რეგისტრაცია სასამართლოებში ახალი წესდებებით, რათა საქველმოქმედო ორგანიზაციების სტატუსი არ დაეკარგათ. რეგისტრაციის პროცესი საგანგებოდ გაართულეს შემოსავლების, ადამიანური რესურსების, ადმინისტრაციისა და ბუღალტერიის სტანდარტების ნაწილში, რის შედეგადაც საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი ბევრმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაკარგა, ხოლო ბევრმა უნგრელმა, ვისაც ქალთა უფლებებზე საკუთარი აზრის გამოთქმა ან საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება სურდა, ფონდებსა თუ ასოციაციებში მუშაობის ნაცვლად სოციალურ მედიაში გადაინაცვლა. ბოლო ორი წლის განმავლობაში უნგრეთში არაერთი ფემინისტური ბლოგი და Facebook-ის ჯგუფი შეიქმნა, რაც იმას მოწმობს, რომ სამოქალაქო აქტივიზმი თითქმის ჩამკვდარია[12].

ბიბლიოგრაფია:

- ბორბალა, ი. (2014). დაუქორწინებელი წლების ფასი. [Borbála, J. (ed.), Anőtlenévekára. Magyar Női Érdekérvényesí tő Szövetség. Budapest, 2014].
- ბორბალა, ი. (2012). ორბანის მთავრობის პოლიტიკის გენდერული ანალიზი. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.fesbp.hu/common/pdf/Nachrichten_aus_Ungarn_1_2012_HU.pdf. [Borbála, J. (2012). Az Orbán-kormány politikájának elemzése a társadalmi nemek szempontjából. Budapest]. ევროპული ინსტიტუტი გენდერული თანასწორობისთვის (2013). ანგარიში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შესახებ. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://eige.europa.eu/content/document/effectiveness-of-institutional-mechanisms-for-the-advancement-of-gender-equality. [EIGE (2013). Report on Effectiveness of Institutional Mechanisms for

12 უნგრეთის რამდენიმე ფემინისტური ბლოგი: http://gumiszoba.com/; http://csakazolvassa.hu/; www.sajatszoba.hu; http://dezsa.tumblr.com; http://iphigeniaemleklap.blogspot.hu/; https://lathatosagimelleny.wordpress.com/; http://noszinten.com/; http://nokert.hu/; https://www.facebook.com/ujrakezdes.nyilvanos?fref=ts; http://szabomo.blogspot.com/.

the Advancement of Gender Equality Review of the implementation of the Beijing Platform for Action in the EU Member States].

- კუბი, გ. (2008). გენდერის რევოლუცია. [Kuby, G. (2013). A nemek forradalma. A gender forradalma. A nevelés államosí tása. Budapest: Kairosz Kiadó. Kuby, G. (2013). Globális szexuális forradalom: A szabadság elpusztí tása a szabadság nevében. Budapest: Kairosz Kiadó].
- სიკრა, დ. (2013). ქამრების შემოჭერის პოლიტიკა და მისი ეფექ-ტი გენდერულ თანასწორობაზე. ჩამოტვირთულია ვებგვერდი-დან: www.fesbp.hu/publikationen.php. [Szikra, D. (2013). Austerity Policies and Gender Impacts in Hungary.Working Paper. Friedrich Ebert Stiftung, Budapest Office].

სიყვარული და შიში. გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ გამოყენებული არგუმენტები სლოვაკეთში

ზუზანა მადიაროვა

1. დაცვიდან შეზღუდვამდე. ბოლოდროინდელი მოვლენები სლოვაკეთში

სლოვაკეთის კონსტიტუციის დღე, 1 სექტემბერი, 2014 წელს იმედგაცრუების დღე აღმოჩნდა: ამოქმედდა ლგბტი ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული კანონი. ქრისტიან-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ მიიღო საკონსტიტუციო შესწორება, რომლის ძალითაც ორ სფეროში, სასამართლოსა და ქორწინებაში, 14 ცვლილება იქნა შეტანილი. 41-ე მუხლის პირველ პუნქტს – „ამ კანონით დაცულია ქორწინება, მამობა, დედობა, და ოჯახი. გარანტირებულია ბავშვებისა და არასრულწლოვნების განსაკუთრებული დაცვა“ – დაემატა ორი წინადადება, რომლებიც ქორწინებას განსაზღვრავს, როგორც უნიკალურ ურთიერთობას ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის და აცხადებს, რომ სლოვაკეთის რესპუბლიკა იცავს და ხელს უწყობს ჰეტეროსექსუალურ ქორწინებას.

ეს საკონსტიტუციო ცვლილება მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ეპიზოდია სლოვაკეთში გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ განხორციელებული შეტევების ხანგრძლივი ისტორიისა. აღსანიშნავია აგრეთვე „ოჯახის დაცვის“ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა, რომელიც პრეზიდენტმა ანდრეი კისკამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა.

სლოვაკეთში კონსერვატიული მოძრაობები დიდი ხნის განმავლობაში იკრებდნენ ძალას, თუმცა ძნელი დასადგენია, როგორ წარმოიშვა ახლანდელი მოძრაობა[1]. 2013 წელს უამრავი კონსერვატიული კამპანია

1 პირველი კონსერვატიული კამპანია (Okrúhly stôl začiatočníčok II, 2009) აბორტის აკრძალვის მოთხოვნით 1990-იანი წლების დასაწყისში გაიმართა. კონსერვატორების დღის წესრიგისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო აგრეთვე „გენერალური შეთანხმება“ სლოვაკეთსა და ვატიკანს შორის (2000 წ.). 2000-იანი წლების დასაწყისში ფემინისტური ორგანიზაციები ამ შეთანხმებიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებზე ალაპარაკდნენ. კერძოდ, ისინი აცხადებდნენ, რომ კათოლიკურ ეკლესიას დიდი გავლენა ექნებოდა სქესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლებაზე, გავლენას მოახდენდა პოლიტიკაზე, ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებდა მთავრობისგან, ხოლო კათოლიკური ეთიკა ადამიანის უფლებებზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდებოდა.

გაიმართა. წლის დასაწყისში რამდენიმე კონსერვატიულმა ორგანიზაციამ, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს წევრებმა: ბრანისლავ შკრიპეკმა, რიხარდ ვაშეჩკამ და შტეფან კუფამ და ევროპარლამენტის წევრმა ანა ზაბორსკამ შეადგინეს პეტიცია, რომელშიც პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს სთხოვდნენ „ჰომოსექსუალი ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების“ დაფინანსების შეწყვეტას. მათ შეადგინეს ასევე იმ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და პირების სია, რომლებსაც ისინი „ჰომოლობის“ უწოდებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სლოვაკეთის მთავრობა მათ სხვადასხვა პროექტის მეშვეობით აფინანსებდა. ერთ-ერთი მათ მიერ დასახელებული ორგანიზაცია იყო „ბანსკა ბისტრიცას თოჯინების თეატრი გზაჯვარედინზე“[2]. ის იმ იშვიათ თეატრთაგან ერთ-ერთია, რომელიც ფემინისტურ და საგანმანათლებლო წარმოდგენებს დგამს და გენდერულ სტერეოტიპებს ებრძვის. სლოვაკეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე პატარა ქალაქის ამ თეატრისათვის ეს შეტევები შეიძლებოდა იმით დამთავრებულიყო, რომ ზოგიერთ სკოლას წარმოდგენებზე მოსწავლეები აღარ გაეშვა, შესაბამისი კამპანია კი სერიოზულ გავლენას იქონიებდა მის რეპუტაციაზე, დაფინანსებასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე. რამდენიმე ორგანიზაციას, რომლებიც გენდერულ თანასწორობას, ფემინისტურ საკითხებსა და ლგბტი პირებისა და სხვა ჯგუფების უფლებებს, ასევე სექსუალური განათლების აუცილებლობას იცავდნენ და მხარს უჭერდნენ, ბრალი ბავშვებისა და მთლიანად საზოგადოების „ჰომოსექსუალიზაციის“ მცდელობაში დასდეს. ინტერნეტში გავრცელდა ე. წ. „ჰომოსექსუალურ ლობიში“ შემავალი ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების სიები (ზოგჯერ ფოტოებითა და პირადი ინფორმაციით). ზოგ ფემინისტს, აქტივისტსა და პოლიტიკოსს კორუმპირებულობა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა დაბრალდა.

შეტევების ახალი ტალღა დაიწყო 2013 წლის სექტემბერში, როცა კონსერვატორებმა „ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ეროვნული სტრატეგიის“ წინააღმდეგ გაილაშქრეს. ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ეს სტრატეგია ჰომოსექსუალობასა და „გენდერულ იდეოლოგიას“ ემხრობოდა, რითაც თვით საზოგადოებრივ ქსოვილს უქმნიდა საფრთხეს. ელექტრონული ფოსტით ასობით წერილი დაეგზავნა ადამიანის უფლებების, ეროვნული უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის სამთავრობო საბჭოს თავმჯდომარეს – მიროსლავ ლაიჩაკს, საბჭოს მდივანს – ოლგა პეტრუჩოვასა და სხვა პირებს, ასევე

2 Bábkové divadlo na Rázcestí v Banskej Bystrici.

ძირითადად ფემინისტურ და ლგბტი არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც ლობისტურ საქმიანობაში, კორუფციასა და კულტურული ომის წარმოებაში ადანაშაულებდნენ. მთავრობამ ამ „ცილისმწამებლური კამპანიის“ წინააღმდეგ განცხადება გაავრცელა და მასში ჩართულ პირებს მოუწოდა, ან ამგვარი ქმედებებისთვის თავი დაენებებინათ, ან სასამართლო პროცესისათვის მომზადებულიყვნენ. ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა გაგრძელდა, მაგრამ ზოგ საკამათო საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, რის გამოც სტრატეგია დღემდე დაუსრულებელია.

2013 წლის შემოდგომაზე სლოვაკი ეპისკოპოსების გაერთიანებამ და სხვა მრავალმა კონსერვატიულმა ორგანიზაციამ ქალაქ კოშიცეში გამართეს სიცოცხლისათვის საყოველთაო მსვლელობა. ეს ღონისძიება ჩაფიქრებული იყო, როგორც კონტრაქცია იმ ლგბტი აღლუმების წინააღმდეგ, რომლებიც ბრატისლავაში 2010 წლიდან, ხოლო კოშიცეში 2013 წლიდან იმართებოდა. მსვლელობის ძირითადი მიზანი „გენდერიზმის“, „ჰომოსექსუალობისა“ და აბორტებისაგან ტრადიციული ოჯახების დაცვა იყო. მსვლელობა, როგორც საოჯახო ღონისძიება, კვირას ჩატარდა და მას უამრავი ოჯახი და ბავშვი ესწრებოდა. ამან მონაწილეების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა და, ორგანიზატორების თქმით, 70 ათას ადამიანს მიაღწია. დამსწრეთა მნიშვნელოვანმა რაოდეობამ ორგანიზატორებს შესაძლებლობა მისცა, ემტკიცებინათ, რომ ისინი „რიგითი ადამიანების“ სათქმელს ახმოვანებდნენ.

ამას მოჰყვა 2013 წლის ოქტომბრის კამპანია ქალების მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის წინააღმდეგ. პარლამენტის ყველა წევრს დაეგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კონვენცია „გენდერულ იდეოლოგიას“ უჭერდა მხარს, რადგან ის განსაზღვრავდა გენდერს[3], როგორც სოციალურად კონსტრუირებულ კატეგორიას. ამ ძლიერი წნეხის შედეგად, 2013 წლის ბოლოს, გადაწყდა, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაცია 2016 წლისათვის გადაედოთ.

კამპანიის გაგრძელება იყო ღია წერილი, რომლითაც შრომის, სოციალურ საკითხთა და ოჯახის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტის დირექტორისა და ადამიანის უფლებების, ეროვნული უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის სამთავრობო საბჭოს მდივნის, ოლგა პეტრუჩოვას გადაყენებას ითხოვდნენ. ოლგა პეტრუჩოვას, რომელიც ფემინისტი და

3 კონსერვატორები გენდერს განიხილავენ, როგორც ქალისა და მამაკაცის ბუნებრივ მახასიათებელს.

ყოფილი აქტივისტია, საკუთარ ბლოგზე გენდერული თანასწორობისა და ოპონენტების, მათ შორის, სიცოცხლისათვის ეროვნული მსვლელობის შესახებ წერისათვის აკრიტიკებდნენ. ამ კამპანიის უკან რამდენიმე კონსერვატიული არასამთავრობო ორგანიზაცია იდგა. 13 ათასი ადამიანის მიერ ხელმოწერილი წერილი შრომის, სოციალურ საკითხთა და ოჯახის მინისტრს, საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს დაეგზავნათ. ამგვარი ზეწოლის მიუხედავად, ოლგა პეტრუჩოვა თანამდებობას ინარჩუნებს, თუმცა გენდერის საწინააღმდეგო კამპანია გრძელდება.

გენდერული თანასწორობის შესახებ მღელვარება, რომელსაც ხშირად გმობენ, როგორც „გენდერულ იდეოლოგიას“, „სიკვდილის კულტურას“, „ჰომოსექსუალურ ლობის“ ან „გენდერიზმს“, სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. ყველაზე აქტიურად მას კონსერვატიული არასამთავრობო ორგანიზაციები, ცალკეული პირები და პოლიტიკოსები უჭერდნენ მხარს. მათ შორის იყო ასევე კათოლიკური ეკლესია, კერძოდ კი – სლოვაკ ეპისკოპოსთა გაერთიანება. 2013 წლის საშობაო მარხვის პირველ კვირას ეპისკოპოსებმა ქვეყნის ყველა ეკლესიას დაუგზავნეს ეპისტოლე, რომელშიც გარკვეულ პირებს ადანაშაულებდნენ, რომ ისინი ადამიანის უფლებების საფარველქვეშ სიკვდილის პროპაგანდას ეწეოდნენ, ხოლო საგანმანათლებლო სისტემაში „სოდომურ იდეოლოგიას“ ავრცელებდნენ, რაც ღვთის რისხვას იწვევდა. ამ ეპისტოლეს შეფასებები უპირობო მხარდაჭერასა და მკაცრ კრიტიკას შორის მერყეობდა. კათოლიკურმა ეკლესიამ საზოგადოების პოლარიზება კიდევ ერთხელ მოახერხა.

უთანხმოებამ თავი პარლამენტშიც იჩინა. 2013 წლის სექტემბერში პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჰომოსექსუალები დახოცილიყვნენ[4]. ლგბტი პირების შეურაცხყოფა ამით არ დამთავრებულა. მათი უფლებების დასაცავად ხმა პარლამენტის მხოლოდ რამდენიმე წევრმა აღიმაღლა. ოპოზიციურმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ (Kresťanskodemokratickéhnutie, KDH) ტრადიციული ოჯახის „დასაცავად“ საკონსტიტუციო შესწორების პროექტი შემოიტანა. 2014 წლის თებერვალში მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (Sociálna demokracia, Smer-SD), რომელიც ევროპელი სოციალისტების ჯგუფის წევრია, ამ შესწორების თაობაზე ქრისტიან-

4 ციტატა: „უმჯობესი იქნებოდა, ვინმეს თქვენთვის კისერზე წისქვილის ქვა ჩამოეკიდა და წყალში გადაეყარეთ, ვიდრე ამ პატარებისათვის თქვენი არსებობით შეურაცხყოფა მიგეყენებინათ“. კუფა, შ. (2013). ჩვეულებრივი ადამიანები და დამოუკიდებელი პიროვნებები.

დემოკრატებთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, სოციალ-დემოკრატები სასამართლოს რეფორმას გაატარებდნენ, ხოლო ქრისტიან-დემოკრატები ტრადიციულ ოჯახს დაიცავდნენ. ტრადიციული ოჯახის საკითხი 2014 წლის მარტის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც წამოიჭრა. სხვა კანდიდატებთან ერთად პრეზიდენტობისთვის სოციალ-დემოკრატების ლიდერი და პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო და ქრისტიან-დემოკრატების ყოფილი ლიდერი პავოლ ჰრუშოვსკიც მონაწილეობდნენ[5]. ორივე კანდიდატის კამპანიამ ცხადყო, რომ კონსერვატორი ამომრჩევლების ხმებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ორივე ბანაკში კონსერვატიული ღირებულებები იყო გაბატონებული.

მას შემდეგაც, რაც პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილება დაამტკიცა, კონსერვატორებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს. 400 ათასი ადამიანის ხელმოწრილი პეტიციით მათ მოითხოვეს რეფერენდუმის ჩატარება შემდეგ ოთხ საკითხზე:

1. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ქორწინებად შეიძლება მხოლოდ ერთ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის კავშირი იწოდებოდეს?

2. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ლგბტი წყვილს თუ ჯგუფს ბავშვის აყვანისა და აღზრდის უფლება არ უნდა ჰქონდეს?

3. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დაქორწინებული ადამიანების გარდა, სხვა არავითარ კავშირს არ უნდა ჰქონდეს დაცვა, უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც 2014 წლის მარტიდან დადგენილია, როგორც საკანონმდებლო სტანდარტი ქმარსა და ცოლს შორის ქორწინებისათვის?

4. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ სკოლები არ უნდა სთხოვდნენ ბავშვებს, დაესწრონ სქესობრივი განათლების გაკვეთილებს, თუ მათი მშობლები ან თვითონ ბავშვები სასწავლო პროგრამის შინაარსს არ ეთანხმებიან?

აქ უკვე ტრადიციული ოჯახის დაცვის მცდელობიდან გარკვეული ჯგუფების უფლებების შეზღუდვაზე გადასვლა იწყება. პრეზიდენტმა ანდრეი კისკამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება ამგვარი რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეღო, რადგან სლოვაკეთის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები რეფერენდუმზე არ უნდა წყდებოდეს. ამჟამად ველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა მის მიღებას შეიძლება რამდენიმე თვე ან წელი დასჭირდეს.

5 რობერტ ფიცო გავიდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში. ამ არჩევნების შედეგად 2013 წლის 29 მარტს სლოვაკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ანდრეი კისკა იქნა არჩეული.

2. თეორიული ჩარჩოები

რა არგუმენტებს იყენებენ კონსერვატიული ჯგუფები გენდერული თანასწორობისა და ლგბტი პირების უფლებების წინააღმდეგ? ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილი 2014 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში გენდერული დისკურსის წინააღმდეგ გამოყენებული არგუმენტების ჩემ მიერ ჩატარებულ ანალიზს ემყარება[6]. თავის მხრივ, ეს ანალიზი ეფუძნება კომუნიკაციის თეორიას, რომელიც არგუმენტს განსაზღვრავს, როგორც განსაკუთრებული ტიპის ურთიერთობას განსხვავებული მოსაზრებების მქონე ორ ადამიანს შორის. ის ეყრდნობოდა კომუნიკაციის პროცესუალურ ხასიათს, მათ შორის, სტრატეგიას, დარწმუნებას, შეპირისპირებასა და აუდიტორიის განწყობის გათვალისწინებას[7]. დაგლას უოლტონის ნიმუშების მიხედვით, გამოვავლინე არგუმენტების გამოყენების სამი ყველაზე ხშირი სტრატეგია, კერძოდ, შიშების გამოწვევა, პირად გრძნობებზე თამაში და მასობრივ მხარდაჭერაზე მითითება. უოლტონის თანახმად, საინფორმაციო საშუალებები ამ ტიპის ხერხებს ხშირად იყენებენ, რათა საზოგადოება ვინმეს ნდობის ან რაღაცის კეთების აუცილებლობაში დაარწმუნონ. გადამწყვეტი პროცესი აქ დარწმუნებაა, ანალიზის მიზანი კი იმის გარკვევაა, თუ როგორ ხდება ამ მიზნის მიღწევა.

2.1. შიშები

ამ ტიპის არგუმენტები ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში კომუნიკატორი აღწერს საფრთხეს. ეს ისეთი რამაა, რისიც რეციპიენტს უნდა ეშინოდეს. მეორე ნაწილში შემოთავაზებულია ალტერნატიული სცენარი, რომელიც პირველ ნაწილში აღწერილი საფრთხის თავიდან აცი-

6 კვლევა „გენდერულად დაბალანსებული დისკურსის დამხმარე სახელმძღვანელოზე ჩეხეთის რესპუბლიკაში საინფორმაციო საშუალებების რეაქციის ანალიზი“ გენდერული თანასწორობის ინსტიტუტის ეროვნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა. გენდერულად სენსიტიური ენის დამხმარე სახელმძღვანელო ჩეხეთის რესპუბლიკის განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ 2010 წელს გამოსცა, რასაც საინფორმაციო საშალებებში მისი განხილვა მოჰყვა. რეაქცია, ძირითადად, უარყოფითი იყო. ავტორებს პირადად ესხმოდნენ თავს. შეიმჩნეოდა იდეოლოგიური თავდასხმები გენდერული თანასწორობის საკითხზეც. გამოითქვა ბევრი არაეთიკური და აგრესიული შინაარსის მატარებელი არგუმენტი, რომლებსაც გამოცემის შინაარსთან საერთო არაფერი ჰქონდა. ენათმეცნიერები, ჟურნალისტები და, ზოგადად, საზოგადოების წარმომადგენლები მსგავს არგუმენტებს იყენებდნენ, ამიტომ გადავწყვიტე, არგუმენტების გამოყენების განსხვავებული სტრატეგიები გამეანალიზებინა.

7 ვილარდი, ჩ. (1989).

ლების საშუალება უნდა გახდეს[8]. ამ სტრატეგიის მიზანია, აუდიტორია აიძულოს, ისე მოიქცეს, როგორც ეს კომუნიკატორს სურს.

2.2. პირად გრძნობებზე თამაში

პირად გრძნობებზე თამაში პიროვნებაზე შეტევაა. უოლტონი აქ ხუთ ძირითად ქვეტიპს გამოყოფს:

- *შეურაცხმყოფელი (პირდაპირი) თამაში პირად გრძნობებზე.* ეს ტაქტიკა ორი მხარის, არგუმენტის წარმდგენისა და რესპონდენტის არსებობას გულისხმობს. ასეთ შემთხვევებში პირველი ამტკიცებს, რომ რესპონდენტი ცუდი ადამიანია, ფარისევლობს ან უპატიოსნოა და მისი ნდობა არ შეიძლება;
- *ირიბი თამაში პირად გრძნობებზე.* ასეთ შემთხვევებში საუბარია იმაზე, რომ შეტევის ობიექტი არათანმიმდევრულად მოქმედებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმას არ აკეთებს, რასაც ქადაგებს“. ეს არგუმენტი შეიძლება პირად გრძნობებზე პირდაპირი შეტევის განსახორციელებლად იქნეს გამოყენებული;
- *მიკერძოების დაბრალება.* ეს არგუმენტიც ოპონენტის სანდოობას აყენებს ეჭვქვეშ. არგუმენტის წარმდგენი ამტკიცებს, რომ რესპონდენტი მიკერძოებულია და, ამდენად, სანდო არაა;
- *მოწამლული ჭის* არგუმენტი ეწოდება „არგუმენტის წარმდგენის მტკიცებას, რომ ოპონენტი რაღაც პოზიციაზე დგას და მას უდრეკად და დოგმატურად იცავს“[9]. აქ უნდა დავასკვნათ, რომ ოპონენტის ნდობა რაიმე საკითხზე არასოდეს შეიძლება და ის საღი აზრის საფუძველზე უნდა განვიხილოთ;
- *„შენ თვითონ“* არგუმენტი გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, როცა ერთი მხარე პირად გრძნობებზე შეტევას პირად გრძნობებზე საპასუხო შეტევით იგერიებს. ამ ქვეტიპის კლასიფიკაციის დროს ზოგადი სახის პრობლემები წარმოიქმნება.

პირად გრძნობებზე პირდაპირი შეტევის ხუთივე ტიპი პიროვნებაზე შეტევაა. აქ ერთი მხარე (არგუმენტის წარმდგენი) მეორე მხარეს (რესპონდენტს) უტევს დიალოგში, რომლის დროსაც ისინი რაღაც საკითხზე დავობენ. არგუმენტის წარმდგენი ეჭვქვეშ აყენებს რესპონდენტის სანდოობას, რათა დაამტკიცოს, რომ რესპონდენტის არგუმენტი დამაჯერებელი არ არის.

8 უოლტონი, დ. (2007).
9 იქვე, გვ. 168.

2.3. მასობრივ მხარდაჭერაზე მითითება

მასობრივ მხარდაჭერაზე მითითება გულისხმობს არგუმენტის წარმდგენის სურვილს, რომ მეორე მხარემ რაღაც გააკეთოს ან რაიმე მოსაზრება გაიზიაროს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უმრავლესობის აზრს შეესაბამება. ეს არგუმენტი ემყარება „საღ აზრზე“ დაფუძნებულ ვარაუდს, რომ არის რაღაც, რასაც მტკიცება არ სჭირდება, და სურვილს, რომ „ჯგუფს არ გამოეყო ან არ გაგრიყონ“[10].

3. სიყვარული და შიში. არგუმენტები გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ

გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ გამოყენებული რამდენიმე არგუმენტის საილუსტრაციოდ ყურადღებას გავამახვილებ ორ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, რომლებიც თითქმის ყველა ზემოხსენებულ მოვლენაში იყვნენ ჩართული. ეს ორგანიზაციებია „ალიანსი ოჯახისათვის“[11] და ლეონ XIII-ის ინსტიტუტი[12]. ვინაიდან ეს ანალიზი ამომწურავი ვერ იქნება, ყურადღებას სლოვაკეთში გენდერული თანასწორობის საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში მომხდარ ბოლო რამდენიმე მოვლენაზე გავამახვილებ.

როცა ზემოხსენებული რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნა პრეზიდენტს გადაეცა, ბევრი კითხულობდა, თუ რა საჭირო იყო ასეთი რეფერენდუმი მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში ცვლილება უკვე შევიდა. „ალიანსმა ოჯახისათვის“ ასეთი შეკითხვები შესაბამისი პასუხებითურთ თავის ინტერნეტგვერდზე განათავსა. შეკითხვას – „აუცილებელია თუ არა რეფერენდუმი?“ მოსდევდა შემდეგი პასუხი: „ალიანსმა ოჯახისათვის“ 2014 წელს გადაწყვიტა, ოჯახის დაცვის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება მოეთხოვა. ჩვენი სურვილია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ოჯახი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად დარჩეს. ჩვენი სურვილია, გადაწყვეტილება ოჯახებმა მიიღონ“.

თუ რამეს დაცვა სჭირდება, ჩნდება მარტივი ვარაუდი, რომ სადღაც საფრთხე იმალება. ამ შემთხვევაში ამტკიცებენ, რომ დაცვა სჭირდება ოჯახს, და ვინაიდან ოჯახი ყველას გვაქვს, საფრთხე ყველას გვემუქრება. იმის აღსანიშნავად, თუ რამდენად სერიოზულია ეს საფრთხე, მომ-

10 იქვე, გვ. 198.
11 Alianciazarodinu.
12 Inštitút Leva XIII.

დევნო აბზაცში მოცემულია პასუხი კითხვაზე: „საფრთხე გვემუქრება?“ პასუხში ნათქვამია, რომ ეს არა უბრალოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო დონის პრობლემაა. ამ შემთხვევაში არგუმენტი ისაა, რომ ზეწოლა საერთაშორისო საზოგადოებიდან მოდის და ამ მიმართულებას სამოქალაქო პარტნიორობიდან ჰომოსექსუალებს შორის ქორწინებამდე, მათ მიერ შვილების აყვანამდე და ამის საწინააღმდეგო მოსაზრებების აკრძალვამდე მივყავართ. მცდარი დასკვნა აქ სამოქალაქო პარტნიორობის სტადიიდან ცენზურის სტადიაზე გადასვლისას წარმოიშობა, ეს პროცესი კი ზოგიერთს ძალიან აწუხებს და ეშინია მისი.

სტრატეგიის მომდევნო ნაბიჯი საზოგადოების დარწმუნებაა, რომ ეს საქმე სასწრაფოა. აბზაცში სათაურით „დღეს ჯერ კიდევ შეგვიძლია...“ ნათქვამია, რომ „უმთავრესი ღირებულებების“ დაცვა დღესაა აუცილებელი, რადგან ხვალ გვიან იქნება. „დღეს თუ არ ვიმოქმედეთ, ხვალ მათ უპირატესობა ექნებათ. თუ მათ მოქმედება დაგვასწრეს, დავმარცხდებით და, საბოლოოდ, ჩვენი მოსაზრებების გამო დავისჯებით“. ეს არგუმენტი მნიშვნელოვანია, რადგან ის არა მხოლოდ კათოლიკეებს („ალიანსი ოჯახისათვის“ კათოლიკური ორგანიზაციაა) ან მორწმუნეებს ეხებათ, არამედ ყველას. აქ არის ასევე წარსულის, განსაკუთრებით კი – სოციალიზმისა და მისთვის დამახასიათებელი ცენზურისა და დევნის გახსენება.

ინტერნეტგვერდზე ასევე ნათქვამია: „ჩვენს შვილებზე ექსპერიმენტების ჩატარება არ გვჭირდება“. როცა ემოციების მოთოკვას ვცდილობთ, ბავშვების ხსენება ყოველთვის ძლიერი არგუმენტია. განცხადება, რომ ვიღაცები ჩვენს ბავშვებზე „სოციალური ინჟინერიის“ ექსპერიმენტებს ატარებენ, ბევრის ყურადღებას მიიპყრობს. ამას ბევრი მოუსმენს. ალიანსის აზრით, ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინების გარდა, სხვა რომელიმე კავშირი სოციალური ინჟინერიაა და მან შეიძლება ბავშვებზე უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს. თუმცა ეს ერთადერთი საფრთხე არ არის. სქესობრივი განათლება სკოლაში ასევე სახიფათოა, რადგან ზოგიერთს უნდა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მასტურბაცია ასწავლოს იმ მიზნით, რომ ჰომოსექსუალებად გადააქციოს ისინი. „ჩვენი აზრით, მშობლებს უნდა ჰქონდეთ უფლება, თავიანთი შვილები საკუთარი ღირებულებებისა და რწმენის შესაბამისად აღზარდონ, ხოლო სკოლებმა მათ სექსუალური ქცევები ან კულტურულ-ეთიკური საკითხები თავს არ უნდა მოახვიონ“.

აბზაცში, რომელიც დასათაურებულია, როგორც „განსაკუთრებული საფრთხე ოჯახებისათვის სლოვაკეთსა და საზღვარგარეთ“, ჩამოთვლილია სხვა ქვეყნების მაგალითები და მითითებულია კანონმდებლობა,

რომელიც ოჯახებს საფრთხეს უქმნის (მაგალითად, სიტყვა „მშობლის“ გამოყენება ოფიციალურ დოუმენტებში „მამისა“ და „დედის“ ნაცვლად). ალიანსის მტკიცებით, სლოვაკეთს ამჟამად ცხრა საფრთხე ემუქრება, მათ შორის – ლესბოსელების, გეების, ბისექსუალების, ტრანსგენდერებისა და ინტერსექსის უფლებათა დაცვის კომიტეტი[13] (რომელიც ადამიანის უფლებების, ეროვნული უმცირესობებისა და გენდერული თანასწორობის სამთავრობო საბჭოს სათათბირო ორგანოა), სტამბოლის კონვენცია, ლანსაროტეს კონვენცია და „ადამიანის უფლებების დაცვისა და პროპაგანდის ეროვნული სტრატეგია“.

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები საფრთხეების შექმნის მძლავრ იარაღად იქცა. 2013 წლის მარტში გამოჩნდა ბილბორდები, რომლებზეც პატარა ბავშვი იყო გამოსახული. მთელ ბილბორდზე განთავსებული იყო შემდეგი ტექსტი: „სქესობრივი განათლება 4 წლამდე ბავშვებისათვის ასწავლის „საკუთარი სხეულის შეხებისგან სიხარულისა და სიამოვნების მიღებას და ადრეული ასაკიდან მასტურბაციას“. მშობლებო, გვინდა ეს ჩვენი ბავშვებისთვის?!“ ციტატის წყაროდ მითითებული იყო „სქესობრივი განათლების სტანდარტები ევროპაში“, გაერო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

ციტატა სიამოვნებისა და მასტურბაციის შესახებ, მართლაც, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი დოკუმენტიდანაა ამოღებული, თუმცა კონტექსტიდან ამოგლეჯილია და იმის საჩვენებლადაა გამოყენებული, რომ გაეროს ეგიდით მასწავლებლებმა და, შესაძლოა, აქტივისტებმა ბავშვებს მასტურბაცია უნდა ასწავლონ. ამგვარად, „გარყვნილი სექსის“ ცნება (რომელსაც ბევრი ჯერ კიდევ იყენებს) „უმწიკვლო ბავშვის“ სახეს უპირისპირდება, მიზანი კი სქესობრივი და, ზოგადად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლების უარყოფაა. აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ოპონენტების კონტექსტიდან ამოგლეჯილ მოსაზრებებსა და განცხადებებს ეს ჯგუფები ხშირად იყენებენ[14].

ანალოგიური მეთოდები გამოიყენებოდა გენდერულ ასპექტებზე ორიენტირებული პედაგოგიკისა და თეატრის წინააღმდეგ. 2013 წლის დასაწყისში ლეონ XIII-ის ინსტიტუტმა, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჰომოლობისა“ და „გენდერული იდეოლოგიის“ სახელმწიფო დაფინანსების კრიტიკა დაიწყო. მათ განსაკუთრებით შეუტიეს „ბანსკა ბისტრიცას თოჯინების თეატრს გზაჯვარედინზე“და ფემინისტურ

13 Výbor pre právalesieb, gejov, bisexuálnych, transrodových a intersexuálnychosôb.

14 სარეკლამო საბჭომ ეს ბილბორდები არაეთიკურად მიიჩნია და მათი ჩამოხსნა ბრძანა. ამ ბილბორდების შემკვეთი უცნობია (კრბატოვა, ლ. (2014)).

ორგანიზაცია ASPEKT-ს , რომელთაც საზოგადოების, განსაკუთრებით კი – ბავშვების, „ჰომოსექსუალიზაციაში“ დასდეს ბრალი. მოგვიანებით, 2013 წლის ნოემბრის სტატიაში „ჰომოთოჯინების თეატრი ჰომოფესტივალზე, ანუ რა არის ცუდი გენდერული მგრძნობელობის გაზრდაში?“[15] ავტორი ტომაშ კოლეკი წერდა: „საკუთარ ინტერნეტგვერდზე თეატრი აღიარებს, რომ თავისი საბავშვო პროგრამა ფემინისტური და ლესბოსური ორგანიზაცია ASPEKT-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობა. ნორმალურმა მშობელმა ეს საკმარისად უნდა ჩათვალოს, რომ შვილები ამგვარ გართობას მოარიდოს. მოდით, უფრო ახლოს გავეცნოთ, თუ როგორ თანამშრომლობენ „ბანსკა ბისტრიცას თოჯინების თეატრი გზაჯვარედინზე“ და ASPEKT.

„ნორმალური მშობლის“ ცნების გამოყენებისას, შიშების გამოწვევასთან ერთად, მასობრივი მხარდაჭერის გამოყენებაც შეინიშნება. ზუსტად არავინ იცის, რა არის „ნორმალური მშობელი“, მაგრამ ამ კატეგორიის მიღმა დარჩენა იმის ნიშანი იქნება, რომ ცუდი მშობელი ხარ, რაც არავის უნდა. ამ გაგებით ზემოხსენებული სტატია ნორმატიულია. სტატიაში ასევე უდავო ფაქტადაა მიჩნეული, რომ ASPEKT ზიანის მომტანი ორგანიზაციაა. აუცილებელი არაა იმის ახსნა, თუ რატომაა ის ზიანის მომტანი. საკმარისია „ფემინისტური“ და „ლესბოსური“ უწოდო და უარყოფითი შეფასება გარანტირებულია. ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის საილუსტრაციოდ ავტორი გრაფიკულ სურათს იყენებდა.

აღნიშნულ ილუსტრაციაში არგუმენტის გასამყარებლად რამდენიმე „ცუდი სიტყვა“ იყო მოხმობილი. თავიდან ერთმანეთთან დააკავშირეს მარქსიზმი, ფემინიზმი და ქვიარ თეორია[16], როგორც გენდერული იდეოლოგიის წყარო. ილუსტრაციის მიხედვით, ამ იდეოლოგიას ორგანიზაცია ASPEKT და მისი დირექტორი იანა ცვიკოვა წარმოადგენდნენ. თავის მხრივ, მას (ორგანიზაციას/დირექტორს) გავლენა ჰქონდა „ბანსკა ბისტრიცას თოჯინების თეატრზე“, რომელსაც მისი დირექტორი ივეტა შკრიპკოვა წარმოადგენდა, ხოლო მათ შორის თანამშრომლობა სახიფათო იყო წარმოდგენებსა და სპექტაკლებზე დამსწრე ბავშვებისათვის.

15 Homo-bábkové divadlo na homo-festivale. Alebo, čo je zlé narodovom scitlivovaní det?

16 კრიტიკული თეორია (ინგლ. Queer Theory), რომელიც განვითარდა გენდერის ესენციალისტური მოდელების ფემინისტური კრიტიკის საფუძველზე. ქვიარ თეორიის ძირითადი ფოკუსი სქესის/გენდერისა და სექსუალობის ჰეტერონორმატიული ბინარულობის კრიტიკაა.

პარალელებს ფემინიზმს, ქვიარ თეორიასა და მარქსიზმს (ან ფაშიზმსა და ნაციზმს) შორის არც ისე იშვიათად ავლებენ. არის სხვა ილუსტრაციები და გრაფიკები, რომელთა გამოყენებითაც ამტკიცებენ, რომ ნაციზმი ისევე მომაკვდინებელია, როგორც მარქსიზმი, ფემინიზმი კი, უბრალოდ, ამგვარი ტოტალიტარიზმის ახალი ნაირსახეობაა. მსგავსი შედარებები ჩეხეთის რესპუბლიკაშიც ხშირად გამოიყენებოდა, ოღონდ არა რელიგიური, არამედ ნეოლიბერალური პოზიციებიდან. სლოვაკეთში ლეონ XIII-ის ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ სოციალური ინჟინერია და სქესობრივი განათლება ოჯახებზე გავლენას ახდენს. ორივე არგუმენტი გულისხმობს, რომ ფემინიზმი საზოგადოებაში მტრებს ბადებს (მაგალითად, ამ იდეების მოწინააღმდეგე ენათმეცნიერებსა და კათოლიკეებს), რასაც ტოტალიტარული რეჟიმის შექმნამდე მივყავართ. ლეონ XIII-ის ინსტიტუტის მშობლებისა და მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ინტერნეტგვერდი sovietskypribeh.sk ამ პოზიციის ასახსნელად ერთ ლოზუნგს იყენებს: „სექსი, ნარკოტიკები და როკ-ენ-როლი = მარქსიზმი 3.0, ტოტალიტარიზმი, მკვლელობა“.

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელიც მე-2 სურათში ჩანს, ე. წ. „გენდერული იდეოლოგიის“ პერსონალიზაციაა. იანა ცვიკოვასა და ივეტა შკრიპკოვას სურათების დანიშნულება გენდერული იდეოლოგიის სახედ მათი გამოყენებისა და ამ ორი ქალის დეჰუმანიზაციის მიზანს ემსახურება. ასეთი ქმედება სრულად შეესაბამება ინტერნეტში „ჰომოლობის“ წარმომადგენელთა სიებისა და მათი პირადი მონაცემების გავრცელებას, რის შემდეგაც ამ ადამიანებს თავს ესხმიან და ლობირებაში, კორუფციასა და ტყუილში ადანაშაულებენ. წერენ იმის შესახებ, რომ ისინი დაფინანსებას უცხოური ორგანიზაციებისაგან იღებენ და ფუფუნებაში ცხოვრობენ. მსგავსი ტაქტიკა გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების დეპარტამენტის დირექტორ ოლგა პეტრუჩოვას წინააღმდეგაც იქნა გამოყენებული. ლეონ XIII-ის ინსტიტუტის ინტერნეტგვერდზე lifenews.sk არის განყოფილება სახელწოდებით „ოლგა პეტრუჩოვას სკანდალები“, სადაც მის პროფესიულ და პირად ცხოვრებაზე კომენტარებია გამოქვეყნებული. გენდერული თანასწორობის, ფემინიზმისა თუ ლგბტი პირების უფლებების პერსონალიზებული სახით წარმოჩენით ვხედავთ, რომ ეს საკითხები მხოლოდ ერთ მუჭა კორუმპირებულ და უზნეო ადამიანს აწუხებს, ხალხი კი „უბრალო ადამიანსა“ და მათ ცხოვრებას ძალიან დაშორებულა.

სამაგიეროდ, ვერსად შეხვდებით „ნორმალური“ მშობლის თუ ოჯახის ან „ნორმალური“ სექსისა და სიყვარულის განმარტებას. „ალიანსს ოჯა-

ხისათვის“ არ შეუძლია ახსნას, რატომაა მხოლოდ ერთ ქალსა და ერთ მამაკაცს შორის ურთიერთობა მართებული. ამის სანაცვლოდ ისინი „მტრისა“ და მასობრივი მხარდაჭერის არგუმენტებს იყენებენ.

4. დასკვნა

ამ სტატიაში შევეცადე, მეჩვენებინა კონსერვატიული ჯგუფების მიერ გამოყენებული სტრატეგიები იმ დებატების ანალიზის საფუძველზე, რომელიც სლოვაკეთში გენდერისა და გენდერულად სენსიტიური ენის დამკვიდრების წინააღმდეგ წარიმართა. მათ დისკურსში გენდერული თანასწორობა, ფემინიზმი და ლგბტი პირების უფლებები წარმოჩენილია საფრთხედ, რომელსაც ტოტალიტარიზმისაკენ მივყავართ. კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ოჯახებს ამ საფრთხისგან დაცვა სჭირდებათ და მშობლებს მოუწოდებენ, უარყონ ყველაფერი, რაც გენდერულ თანასწორობასთანაა დაკავშირებული. ამ პროცესში გენდერულ თანასწორობაზე, ფემინისტურ და ლგბტი პირების შესახებ საკითხებზე მომუშავე მოძრაობების შინაარსი და დღის წესრიგი დამახინჯებულად და არასწორი ინტერპრეტაციითაა წარმოჩენილი. ამასთან, ბრალდებები პერსონალიზებულია და დაყვანილია რამდენიმე პირის დონეზე; ეს პირები თითქოს საზღვარგარეთიდან და სლოვაკეთის მთავრობისგან იღებენ დაფინანსებას. ეს ყველაფერი კეთდება „ნორმალური ოჯახის“ სახელით, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტება და ღირებულებაა. მართალია, ის არავის უნახავს, მაგრამ ყველას ჰგონია, რომ არსებობს.

2014 წლის 28 ნოემბრის შენიშვნა: სტატია უკვე დაწერილი იყო, როდესაც სლოვაკეთის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ზემოხსენებული სადავო რეფერენდუმი გაიმართება პირველ, მე-2 და მე-4 შეკითხვებზე პასუხების გამოსავლენად.

ბიბლიოგრაფია:

- ვილარდი, ჩ. (1989). არგუმენტაციის თეორია. [Willard, Ch (1989). ATheory of Argumentation. Tuscalossa- London: The University of Alabama Press].
- კლიმენტი, მ. (2001) [Kliment, M. (2001). Základnázmluvamedzi SR aSvätoustolicou zhľadiskasexuálnych areprodukčnýchpráv azdravia. Cviková, J., Juránová, J. (eds.). Možnosťvoľby. Aspektypráv azodpovednosti. Bratislava: ASPEKT 2001, p. 84-89].
- კრბატოვა, ლ. (2014), ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://spravy.pravda.sk/domace/clanok/312390-bilbordy-o-sexualnej-vychove-musia-stiahnut-alebo-prelepit/. [Krbatová, L. (2014). Bilbordy o sexuálnej výchove musiastiahnuť alebo prelepiť. Pravda.sk. March 23].
- მადიაროვა, ზ. (2014). [Madárová, Z. (2014). Analýza mediálnej odozvy na príručku rodovo vyváženého jazyka v Českejrepublike. In Cviková, J.(ed.) (2014). Analýzy významu a možností používania rodovo vyváženého jazyka. Bratislava: Centrum vzdelávaniaMPSVR SR. p. 91-112].
- მაკნეირი, ბ. (2011). შესავალი, პოლიტიკური კომუნიკაცია. [McNair, B. (2011). An Introduction to Political Communication. London – New York: Routledge].
- უოლტონი, დ. (2007). მედია არგუმენტაცია: დიალექტიკა, დარწმუნება და რიტორიკა. [Walton, D. (2007). Media Argumentation. Dialectics, Persuasion, and Rhetoric. Cambridge University Press 2007].
- ცვიკოვა, ი. (2001). ვატიკანის ხელშეკრულება [Cviková, J. (2001). Čomáčadarspoločné s vatikánskouzmluvou? Cviková, J., Juránová, J. (eds.). Možnosťvoľby. Aspektypráv azodpovednosti. Bratislava: ASPEKT p. 90-92].
- ცვიკოვა, ი. (რედ.) (2001). მრგვალი მაგიდა დამწყებთათვის. [Cviková, J., Juránová, J. (eds.). Feminizmy pre začiatočníčky. Aspekty zrodu rodového diskurzu na Slovensku. Bratislava: ASPEKT 2009, p. 41-104].

"ოჯი გენდერის წინააღმდეგ" ტრანსნაციონალური პერსპექტივიდან – გაკვეთილები ფემინისტური სტრატეგიების შემუშავებისათვის

ელჟბეტა კოროლჩუკი

პოლონეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა საშობაო ეპისტოლეში, რომელიც 2013 წლის დეკემბერში გამოაქვეყნეს და ტაძრებში წაიკითხეს, ეკლესია ამტკიცებდა, რომ:

> „გენდერული იდეოლოგია შედეგია მრავალი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე იმ იდეოლოგიური და კულტურული ცვლილებებისა, რომელთაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები მარქსიზმსა და ნეომარქსიზმში, ასევე სექსუალურ რევოლუციაში და რომლებსაც ზოგიერთი ფემინისტური მოძრაობა პრაქტიკაში იყენებს (...). ის ამბობს, რომ ბიოლოგიური სქესი სოციალურად მნიშვნელოვანი არ არის და უფრო მნიშვნელოვანია კულტურული სქესი, ადამიანებს შეუძლიათ გენდერის თავისუფლად განვითარება და განსაზღვრა, მიუხედავად ბიოლოგიური წინაპირობებისა (...). გენდერული იდეოლოგიის საფრთხე მის დესტრუქციულ ბუნებაშია. ადამიანი, რომელიც თავის სექსუალურ იდენტობაში დაეჭვებულია, ქორწინებაში, ოჯახში, სოციალურ და პროფესიულ ცხოვრებაში რაიმე ამოცანას ვერც დაისახავს და ვერც შეასრულებს“[1].

ეს ეპისტოლე ერთ-ერთია იმ უამრავი ინიციატივიდან, რომლებსაც კათოლიკური ეკლესია და კონსერვატიული პოლიტიკოსები და ჯგუფები პოლონეთში ე. წ. „გენდერულ იდეოლოგიასთან“ საბრძოლველად იყენებენ. ბავშვების, ოჯახისა და, საბოლოოდ, ჩვენი ცივილიზაციის

1 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://episkopat.pl/dokumenty/listy_pasterskie/5584.1,Pastoral_letter_of_the_Bishops_Conference_of_Poland_to_be_used_on_the_Sunday_of_the_Holy_Family_2013.html.

„გადასარჩენად“ მიმართავენ შემდეგ ღონისძიებებს: დეკლარაციებს, პროტესტს, მედიაკამპანიებს, მართავენ შეხვედრებსა და გენდერის საწინააღმდეგო ტრენინგებს მათთვის, ვისაც სურს „გენდერის წინააღმდეგ „წმინდა ომში“ მონაწილეობა[2]. კონსერვატორი აქტივისტების სამიზნეებია ფემინისტები, ლგბტი ორგანიზაციები, სქესობრივი განათლების მხარდამჭერები, საჯარო მოხელეები და, საერთოდ, ყველა ჯგუფი თუ კონკრეტული პირი, რომლებიც გენდერულ თანასწორობას, სკოლებში სქესობრივ განათლებას, სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას და ა. შ. ემხრობა. ამ ტენდენციის პირველი ფაზა პოლონეთსა და რეგიონის სხვა რამდენიმე ქვეყანაში 2013 წელს კიევში ჩატარებულ მეორე საერთაშორისო გენდერულ სემინარზე იქნა განხილული. ამ ესეს მიზანი აღნიშნული განხილვის გაგრძელებაა.

ჩემი აზრით, გენდერის წინააღმდეგ გამოცხადებული ომი თავისი ხასიათით უფრო ტრანსნაციონალური მოვლენაა, ვიდრე ადგილობრივი, თან არც ახალია. პოლონეთსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში „გენდერის“ ცნება ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, თუმცა მორალური პანიკა სკოლებში სქესობრივი განათლების, ლგბტი პირების უფლებებისა და პედოფილიის გარშემო ახალი მოვლენა არ არის. შესაბამისად, ის უნდა განვიხილოთ, როგორც გრძელვადიანი პროცესის ერთი ფაზა და არა რაღაც სრულიად ახალი. მეტიც, მიმაჩნია, რომ კრიტიკულად უნდა გადაიხედოს „უკურეაქციის“, როგორც განმარტებითი ჩარჩოს ცნება, განსაკუთრებით – პოსტსოციალისტურ/პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. მსჯელობას დავასრულებ გარკვეული წინასწარი შენიშვნებით იმის თაობაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გენდერის წინააღმდეგ ომს რეგიონსა და მის გარეთ ქალების უფლებამოსილების ზრდისა და ფემინისტური სტრატეგიისათვის.

ადგილობრივ კონტექსტს გარეთ

პოლონელი სოციოლოგის, მაგდალენა გრაბოვსკას აზრით, ამჟამინდელი კამათი „გენდერული იდეოლოგიის“ გარშემო პოლონეთში 2012 წელს დაიწყო, როცა ცნობილმა პოლონელმა პოლიტიკოსმა და იმ დროს იუსტიციის მინისტრმა იაროსლავ გოვინმა საჯაროდ განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალების წინააღმდეგ ძალადობისა და

2 გრაბოვსკა, მ. (2013).

ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ უაღრესად იდეოლოგიზებული იყო და ის ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს საფრთხეს უქმნიდა იმით, რომ მხარს უჭერდა პოლონური კულტურისათვის უცხო „გენდერს“, როგორც ცნებას და არასტერეოტიპულ გენდერულ როლებს. ამას მალე მოჰყვა სტატიების, საჯარო გამოსვლების, ინტერნეტგვერდებისა და წიგნების მთელი ნაკადი. ბევრი მათგანის ავტორი და სულისჩამდგმელი იყო კათოლიკური ეკლესია, რომელმაც გენდერულ საკითხებზე ყველაზე თამამად დაიწყო ლაპარაკი.

კამათი განსაკუთრებით მწვავედ გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და საბავშვო ბაღებსა და სკოლებში გენდერული თანასწორობის სწავლების შესახებ ევროპული რეგულაციების გარშემო წარიმართა. დროთა განმავლობაში მეორე ასპექტი ცენტრალურ საკითხად იქცა, რაც ნაწილობრივ იმის გამო მოხდა, რომ „1990 წლიდან, როცა პოლონეთის სკოლებში რელიგიის სწავლება ადრეული ასაკიდან შემოიღეს, ბავშვებს შორის კათოლიციზმი პოპულარიზაციის ხელშეუხებელი და უკონკურენტო სფერო გახდა“[3], მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ზნეობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პანიკური სიტუაციების დროს ეკლესიისა და კონსერვატიული ჯგუფების მიერ გენდერის საწინააღმდეგო კამპანიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს საფრთხეში ჩავარდნილი ბავშვი, რომელსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სექსუალიზაცია, ჰომოსექსუალად გადაქცევა ან ჰომოსექსუალი მამაკაცების გაუკულმართებული პედოფილიური მისწრაფებების მსხვერპლად ქცევა ემუქრება. მოხდა „გენდერისა“ და „გენდერიზმის“, როგორც პოლონელი ბავშვების უმანკოების შემბღალავი მზაკვრული და კარგად მოფიქრებული გეგმის, დემონიზაცია. გამოითქვა მოსაზრებები, რომ ბავშვების წარმოდგენები გენდერული როლების თაობაზე ადრეული ასაკიდანვე უნდა გაბუნდოვანდეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოგვიანებით ჰომოსექსუალების, ფემინისტების თუ ეკლესიის მოწინააღმდეგეობის მონები გახდნენ. ერთი ჟურნალისტი კათოლიკურ ჟურნალ „ნეძელაში“ აღწერდა, რომ „გენდერული იდეოლოგია“ კატასტროფულ შედეგებს მოუტანდა:

> „პოლონურ ოჯახებს, ეკლესიასა და, საბოლოოდ, მთელ პოლონელ ერს იმ ახალი ტიპის ადამიანის პროპაგანდით, რომელსაც ბიოლოგიური სქესის მიუხედავად, თავისუფლად შეუძლია აირ-

3 გრაბოვსკა, მ. (2013).

> ჩიოს სექსუალური იდენტობა. ასეთი თავისუფლება „ბუნების კანონსა“ და ღვთის ნებას ეწინააღმდეგება, ამიტომ ეს ტენდენცია გარდაუვლად გამოიწვევს ემოციურ და მორალურ დაბნეულობას, რაც, საბოლოოდ, თვით ჩვენი ცივილიზაციის საფუძვლებს შეარყევს“[4].

პოლონელი ბავშვები ერის მომავლის უმთავრეს იმდენად არიან მიჩნეული, ამიტომ აქცენტი იმაზე კეთდება, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა, განათლება და იდეოლოგიური ორიენტაცია. კარგად მოფიქრებული კამპანიის დროს „გენდერისტებს“ ბრალდებათ, რომ ისინი ბავშვებს ღუპავენ, რადგან კომუნისტური ინდოქტრინაციის გზას ადგანან და, იმავდროულად, ოჯახურ ურთიერთობებსა და ადამიანების პირად ცხოვრებაში ევროკავშირის დაუფარავი ჩარევით გამოწვეულ საფრთხეებს ასახიერებენ.

გენდერთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი აზრი ხშირად განიხილება, როგორც 1989 წელს დაწყებული კულტურული ომის ერთ-ერთი ფაზა. ეს იმ „უკურეაქციის“ გამოვლენაა, რომელიც ქვეყნის ევროკავშირში შესვლისა და გაეროს მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით ბოლო ხანებში პროგრესული პოლიტიკის გატარებას მოჰყვა[5]. ამ მოსაზრებების საფუძველზე კომენტატორების, მეცნიერებისა და ჟურნალისტების უმრავლესობა გენდერის საწინააღმდეგო მობილიზაციას ადგილობრივ მოვლენად მიიჩნევს და მას პოლონეთის კათოლიკურ ეკლესიაში პედოფილიასთან დაკავშირებული სკანდალების გადაფარვის მცდელობად აფასებს. ამგვარი მიდგომის კარგი მაგალითია ცნობილი პოლონელი ინტელექტუალისა და ლიბერალური კვლევითი ცენტრის – „კრიტიკა პოლიტიჩნას“ („პოლიტიკური კრიტიკა“) დამაარსებლის, სლავომირ სერაკოვსკის მიერ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატია. სერაკოვსკი ამტკიცებს, რომ:

„ამგვარი წინასწარ დაგეგმილი ქმედებების მიზეზები შეიძლება ეკლესიის ბოლოდროინდელ პრობლემებში ვეძიოთ. პოლონელები აღაშფოთა ფართომასშტაბიანმა ფინანსურმა თაღლითობამ კომისიაში, რომლის ამოცანაც კომუნისტური მთავრობის მიერ მიტაცებული საეკლესიო

4 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://sunday.niedziela.pl/artykul.php?dz=spoleczenstwo&id_art=00969.

5 2014 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.tvn24.pl/wiadomosci-z-kraju,3/prawicowa-wojna-z-gender-ma-wytworzyc-aure-grozy,426672.html და http://natemat.pl/46317,ten-straszny-gender-z-kim-idzie-na-wojne-kosciol-i-czemu-z-samym-soba.

საკუთრების ხელმეორე პრივატიზაციის ჩატარება იყო. პოლონელებს ასევე აწუხებთ ეკლესიაში გახშირებული პედოფილიის შემთხვევები"[6].

სერაკოვსკი ერთადერთი არაა, ვინც „გენდერის წინააღმდეგ ომს" ადგილობრივ და არა ტრანსნაციონალურ ტენდენციებს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ ეს ტაქტიკა პოლონეთის ეკლესიაში გახშირებული პედოფილიისა და ფინანსური თაღლითობის შემთხვევებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობაა[7]. თუმცა გვაქვს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ „გენდერიზაციის", „გენდერული იდეოლოგიისა" თუ „გენდერული ლობის" წინააღმდეგ ამჟამინდელი მობილიზაცია მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ტენდენცია არ არის.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება არა მარტო რეგიონის სხვა ქვეყნებში, მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში, უნგრეთში, სლოვაკეთსა და საქართველოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც, კერძოდ, საფრანგეთსა და გერმანიაში, ასევე – აშშ-ში. „გენდერის" ცნება საჯარო დისკურსში სულ ახლახან გაჩნდა, მაგრამ იმ სოციალური ფაქტორების (ორგანიზაციების, სახალხო ჯგუფების, ქსელებისა და ინტერნეტსაზოგადოებების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებისა და პოლიტიკური პარტიების) რიცხვი, რომლებიც გენდერულ თანასწორობასა და უმცირესობების უფლებების დაცვას ეწინააღმდეგებიან, გამუდმებით იზრდება, მათ შორის, დასავლეთის ქვეყნებში. ევროპის პარლამენტის მოსახლეობისა და განვითარების ფორუმის ბოლო ანგარიში გვიჩვენებს, რომ ევროპაში სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების მოწინააღმდეგე ორგანიზაციების რიცხვი იზრდება. ამჟამად ევროპის 32 ქვეყანაში 490 ასეთი ორგანიზაცია მოქმედებს და მათი უმრავლესობა რელიგიურია (კათოლიკური, ტრადიციული პროტესტანტული და მართლმადიდებელი)[8]. ანგარიშში ასევე ლაპარაკია ამ ჯგუფების მზარდი პროფესიონალიზაციის შესახებ და ნაჩვენებია, რომ ბევრი მათგანი ეროვნულ დონეზე მოქმედებს, თუმცა არის ტრანსნაციონალურ ქსელებში ჩაბმული ჯგუფებიც, რომლებიც პროპაგანდას ევროკავშირის დონეზე აწარმოებენ. ზოგი ორგანიზაცია და ჯგუფი ცოტა ხნის წინაა შექმნილი, ზოგი კი 1990-იანი წლებიდან მოქმედებს. განსხვავებულია მათი მიზნებიც. ზოგი ნაცი-

6 2014 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.nytimes.com/2014/01/27/opinion/sierakowski-the-polish-churchs-gender-problem.html?_r=4.

7 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.eurozine.com/articles/2014-03-28-wigura-en.html.

8 დატა, ნ. (2013).

ონალისტურია, ზოგი – ღიად ჰომოფობიური, ზოგიც – რასისტული. დანარჩენები ძირითადად ოჯახისა და მშობლების უფლებების დაცვასა და ბავშვების აღზრდაში მათ როლზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ ორგანიზაციებისათვის საერთოა კონსერვატიზმი და ანტილიბერალიზმი. ყოველი მათგანი „გენდერულ იდეოლოგიას“ არა მხოლოდ ბავშვისა და ოჯახის კეთილდღეობისათვის, არამედ,ზოგადად, საზოგადოებისა და თვით ქრისტიანული ცივილიზაციისათვისაც კი საფრთხედ მიიჩნევს.

„გენდერისა“ და „გენდერული იდეოლოგიისადმი“ წინააღმდეგობა განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებს იღებს, მათ შორისაა:

1. საერთაშორისო/ტრანსნაციონალური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სტრასბურგში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პროცესებსა და ევროკავშირში, გაეროსა და სხვა ორგანიზაციებში ლობირებაში მონაწილეობენ იმ მიზნით, რომ ლგბტი პირებისა და რეპროდუქციული უფლებების, განსაკუთრებით კი – აბორტის უფლების, აღიარება შეიზღუდოს. ასეთი ორგანიზაციების ერთ-ერთი მაგალითია სტრასბურგის კანონისა და სამართლის ევროპული ცენტრი, რომლის ინტერნეტგვერდზეც ნათქვამია, რომ ის არის „საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების პროპაგანდითა და დაცვითაა დაკავებული. კანონისა და სამართლის ევროპულ ცენტრს 2007 წლიდან გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სპეციალური საკონსულტაციო სტატუსი აქვს“[9];
2. პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი საპარლამენტო კომიტეტები, მაგალითად, პოლონეთის პარლამენტის კომიტეტი „შეაჩერეთ გენდერული იდეოლოგია“, რომელსაც მემარჯვენე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ, და რუსეთის დუმის „ოჯახის, ქალისა და ბავშვის კომიტეტი“;
3. ეროვნული/ადგილობრივი კონსერვატიული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონცენტრირებული არიან „ოჯახური ღირებულებების“ დასაცავად. მაგალითად, „დედისა და მამის ფონდი“ პოლონეთში ან რუსეთის „ეროვნული დიდების ცენტრი“ და „წმინდა ანდრია პირველწოდებულის ფონდი“, რომელიც დედობის სიწმინდის პროგრამას ახორციელებს. ამ ჯგუფებს ხანდახან გავლენიანი

9 იქვე.

პირები მფარველობენ (რუსეთში ესენი არიან რუსეთის რკინიგზის კომპანიის პრეზიდენტი ვლადიმერ იაკუნინი და სანქტ-პეტერბურგის გუბერნატორი გიორგი პოლტავჩენკო)[10];

4. შეშფოთებული მშობლების სახალხო ჯგუფები, მაგალითად, La Manif Pour Tous და „ფრანგული გაზაფხული“, რომლებიც ძირითადად ახალი კანონებით ერთი სქესის ადამიანთა შორის ქორწინებისა და ასეთი ოჯახების მიერ შვილების აყვანის ლეგალიზაციას ეწინააღმდეგებიან; მშობელთა ჯგუფები გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ბადენ-ვურტემბერგის მხარესა და კიოლნში. ისინი ეწინააღმდეგებიან მთავრობის წინადადებას სასკოლო პროგრამაში სქესობრივი განათლების შეტანის თაობაზე; მშობელთა კომიტეტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სკოლებში სქესობრივი და გენდერული თანასწორობის სწავლებას რუსეთის არაერთ რეგიონში[11], ასევე სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში (Materials of the Second International Gender Workshop 2013);
5. ინტერნეტგვერდები, ჯგუფები და ღია პლატფორმები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას, ბუკლეტებსა და წიგნებს, აგროვებენ პეტიციებზე ხელმოწერებს, აწყობენ საპროტესტო აქციებს და მოქმედებენ ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე (პოლონეთში ისინი ძირითადად ერთ რომელიმე ორგანიზაციასთან არიან დაკავშირებული, მაგალითად, http://www.stopgender.pl/ და http://stop-seksualizacji.pl, თუმცა არის ასევე ისეთი ღია პლატფორმები, როგორიცაა: ესპანეთში რეგისტრირებული www.citizengo.org, რომელიც მასალებს 11 ენაზე აქვეყნებს, მათ შორის – ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად, პორტუგალიურად, იტალიურად, გერმანულად, რუსულად და პოლონურად). ამ ინტერნეტგვერდზე აქტივისტები აცხადებენ: „ჩვენ გავლენას ვახდენთ ინსტიტუციებზე, მთავრობებსა და ორგანიზაციებზე 50 ქვეყანაში. CitizenGO არის სიცოცხლისათვის, ოჯახისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი აქტიური მოქალაქეების ერთობლიობა, რომელიც რესურსად იყენებს ინტერნეტში გამოქვეყნებულ პეტიციებსა და განაცხადებს აქციების ჩატარების შესახებ. ჩვენი მიზანია, ვაიძულოთ ხელისუფლება, პატივი სცეს ადამიანურ ღირსებასა და პიროვნულ უფლებებს“.

10 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://istoki-foundation.org/en/management/trustee_board.
11 ჰოიდესტრანდი, თ. (2014).

ჯერ კიდევ გამოსაკვლევია, თუ რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობენ ეს ჯგუფები და ორგანიზაციები და რამდენად ინტენსიურად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას, მაგრამ ამჟამად არსებული კონსერვატიული ტენდენცია გლობალური გავლენისა და ადგილობრივი ძალების მობილიზაციის ნაზავი ჩანს. ბევრი არგუმენტი, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა კონტექსტში ინტენსიურად გამოიყენება, ერთმანეთს საოცრად ჰგავს. დაბეჭდილია უამრავი წიგნი და პროპაგანდული მასალა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის კონსერვატორ აქტივისტებს შორის პოპულარული გახდა. ასეთია, მაგალითად, გერმანელი სოციოლოგის – გაბრიელე კუბის წიგნი „გლობალური სექსუალური რევოლუცია: თავისუფლების განადგურება თავისუფლების სახელით“. ეს წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა, ხოლო ავტორი კონსერვატიულ წრეებში უაღრესად პოპულარული გახდა. ქალბატონი კუბი მუდმივად მოგზაურობს მთელ ევროპაში, გამოდის სიტყვით, იძლევა ინტერვიუებს, რომლებშიც პოპულარიზაციას უწევს იდეას, რომ „გენდერის ძირითად საკითხად გადაქცევის გლობალური ტენდენცია საფრთხეს უქმნის ჩვენი ადამიანური ბუნების ელემენტარულ საფუძვლებს, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვება ბავშვების, ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოებისათვის“[12].

მნიშვნელოვანი მსგავსებაა ასევე სხვადასხვა ქვეყანაში მიღებულ იმ საკანონმდებლო რეგულაციებს შორის, რომლებსაც ეს ჯგუფები ეწინააღმდეგებიან. პოლონეთში ესაა ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, უკრაინაში – „ეროვნული პროგრამა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად“[13], რუსეთში – ე. წ. „იუვენალური სამართლის“ რეფორმა[14], საფრანგეთში კი უკმაყოფილო ხალხი უპირისპირდება ე. წ. „ტობირას კანონს“, რომელიც ერთი სქესის ადამიანთა შორის ქორწინებასა და ლესბი/გეი ოჯახების მიერ ბავშვების აყვანას აკანონებს[15]. ეს სადავო აქტები სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება – ერთი სქესის ადამიანთა შორის ქორწინებებს, იუვენალური პენიტენციალური სისტემის რეფორმასა და ქალისა და ბავშვის დაცვას ოჯახში ძალადობისაგან,

12 2014 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.catholicworldreport.com/Item/3357/the_global_sexual_revolution_and_the_assault_on_freedom_and_family.aspx.

13 ჰენკივსკი, ო. და სკორიკი, მ. (2014).

14 ჰოიდესტრანდი, თ. (2014).

15 www.lamanifpourtous.fr/en/.

მაგრამ ისინი ხშირად უკავშირდება ტრანსნაციონალურ ხელშეკრულებებს გენდერული თანასწორობის, ბავშვის უფლებების ან სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციისაგან დაცვის შესახებ. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მათი ინიციატორები და/ან სპონსორები ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციები არიან. სწორედ ამიტომ, საზოგადოების „დემორალიზაციის" გამო, დამნაშავეებად გამოაცხადეს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა: გაერო და ევროკავშირი და/ან უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ აქტებს ეროვნულ დონეზე უჭერენ მხარს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ორგანიზაციები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, კონსერვატორები, როგორც წესი, ყურადღებას მხოლოდ ერთ საკითხზე ამახვილებენ, კერძოდ, იმ საქმიანობაზე, რომელიც პირად/ოჯახურ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის ლეგიტიმაციას უკავშირდება და იცავს ოჯახის ცალკეული წევრების უფლებებს. ეს უკანასკნელი კი, მათი შეხედულებით, ოჯახის, როგორც ერთი მთელის უგულებელყოფას უწყობს ხელს.

ამ მსგავსებების გამო ვასკვნით, რომ გენდერული თანასწორობის სწავლებისა და შესაბამისი კანონმდებლობისადმი წინააღმდეგობა ახალი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ თვით ტერმინი „გენდერული იდეოლოგია" ახალი მოგონილია[16]. ფაქტობრივად, საოცარ მსგავსებებს აღმოვაჩენთ, თუ გავეცნობით გენდერული თანასწორობის ან „გენდერული იდეოლოგიის" სწავლების ოპონენტთა პრეტენზიებს, სტრატეგიებსა და არგუმენტებს აშშ-ში 1990-იან წლებში და ამჟამად რუსეთში, უკრაინაში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში. საოცრად ჰგავდა ერთმანეთს ასევე კამათი და უთანხმოება ორი გამოცემის ირგვლივ: ერთი იყო იოანა პიოტროვსკას, ევა რუტკოვსკასა და ანა ძეჟგოვსკას პოლონური სახელმძღვანელო „თანასწორობის საბავშვო ბაღი"[17], ხოლო მეორე – „ცისარტყელას ბავშვების" მულტიკულტურული სასკოლო პროგრამა, რომელშიც სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ორი დედისა და ორი მამისაგან შემდგარი ოჯახები იყო წარმოდგნილი. ამ პროგრამის გარშემო კამათი1993 წელს დაიწყო ნიუ-იორკში[18]. ორივე შემთხვევაში საკამათო ის იყო, რომ ავტორები კანონიერად აცხადებდნენ სხვადასხვა ტიპის ოჯახებსა და სექსუალურ ორიენტაციას. განსაკუთრებული უთანხმოება კი იმან გამოიწვია, რომ ამ სახელმძღვანელოებში ავტორები მიზნად ისახავდნენ,

16 მაგალითად, იხ. ბატლერი, ჯ. (2004).
17 გრაბოვსკა, მ. (2013).
18 ერვინი მ., ჯ. (2002).

ბავშვებისთვის სხვა ადამიანების არჩევანის პატივისცემა ჩაენერგათ. კამათის საგანი გახდა ისიც, იყო თუ არა სახელმძღვანელოები სწორედ ბავშვებისთვის გამიზნული. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის სწავლების ოპონენტები როგორც პოლონეთში, ისე აშშ-ში, ამტკიცებდნენ, რომ ავტორების მთავარი მიზანი ბავშვებისთვის იმის სწავლება იყო, თუ როგორ გამხდარიყვნენ ჰომოსექსუალები. ისინი ასევე ამბობდნენ, რომ ბავშვებთან სექსზე ლაპარაკი იგივეა, რაც მათი გახრწნის მცდელობა. ანალოგიურ შეხედულებებს ავრცელებენ აქტივისტები რუსეთში. ამის მაგალითია სანქტ-პეტერბურგის ნაციონალისტური ორგანიზაციის ლიდერის – ანატოლი არტიუხის გამონათქვამები, რომლებიც ჰოიდესტრანდს მოჰყავს. არტიუხი ამტკიცებს, რომ ლიბერალურ ჯგუფებსა და პოლიტიკოსებს:

> „... ბავშვები წესიერი ოჯახებიდან გაჰყავთ და „პედერასტებს“ გადასცემენ ან (...) გერმანული თუ შვედური ნახატებით ბავშვებს სკოლაში ქარგვის ნაცვლად მასტურბაციას ასწავლიან“[19].

ამ თვალსაზრისით, რუსების მობილიზაცია სექსუალური განათლებისა და გენდერული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეიძლება სხვა ქვეყნებში გამართულ მორალურ ლაშქრობებს შევადაროთ, თუმცა რუსეთის მოვლენები, ვთქვათ, ორგანიზაციისგან „ამერიკის ახალი ქრისტიანული უფლებები“ ძირითადად იმით განსხვავდება, რომ საბჭოეთის ნოსტალგიითა და კაპიტალისტური ნეოლიბერალიზმისადმი ეჭვიანი დამოკიდებულებით ხასიათდება“[20]. ამას გარდა, პოსტსაბჭოთა კონტექსტსა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კონსერვატიული და ანტილიბერალური აქტივობა ანტიდასავლური განწყობით საზრდოობს, თუმცა, იმავდროულად, მათი შთაგონების წყარო სწორედ დასავლეთის ექსპერტებისა და აქტივისტების არგუმენტებია.

აშშ-ში ასეთი ჯგუფების სამიზნე სექსუალური განათლება იყო, დღეს კი მისი ადგილი „გენდერულმა იდეოლოგიამ“ დაიკავა. მიუხედავად ამისა, ორივე ტენდენცია განიხილება გრძელვადიან პროექტად, რომლის მიზანი სქესებს შორის „ბუნებრივი“ განსხვავებების მოშლა და ამით ნორმალურად და მისაღებად მიჩნეულ გენდერულ როლებში, ოჯახებსა და სოციალურ ურთიერთობებში ღრმა ქაოსის შეტანაა. ფრანგული

19 არტიუხი, ა. (2013), რომელსაც იმოწმებს ჰოიდესტრანდი, თ. (2014).
20 ჰოიდესტრანდი, თ. (2014).

მოძრაობის „La Manif Pour Tous“ აქტივისტები, რომლებმაც გამოსვლები ერთი სქესის ადამიანებს შორის ქორწინების წინააღმდეგ 2013 წელს დაიწყეს, თავიანთ პოზიციას ზემოხსენებულ პოლონურ კათოლიკურ გაზეთ „ნეძელას“ ჟურნალისტის მსგავსად ასაბუთებენ. ისინი ხალხს აფრთხილებენ, რომ:

> „გენდერული თეორია (...) „გენდერს“ სქესზე უფრო მაღლა აყენებს. ამ თეორიის მიხედვით, გენდერი სოციალური კონსტრუქტია, რომელსაც სუბიექტები თავისუფლად იღებენ ან უარყოფენ, ხოლო სქესი განმარტებულია, როგორც ბიოლოგიური შემთხვევითობის ნაყოფი. გენდერული იდეოლოგია უბრალოდ ანალიტიკური მეთოდი კი არა, ნამდვილი სისტემაა, რომლის თანახმადაც, რეალობა უსქესო უნდა გახდეს. ეს სისტემა სტაბილურ როლებს – დეტერმინიზმებს – განგვისაზღვრავს იმისათვის, რომ სქესის არჩევა შესაძლებელი გახდეს. (...) ტობირას კანონი ამ დესტრუქციულ თეორიაშია ჩაძირული, რაც მინისტრმა გვიჩვენა კიდეც ეროვნულ ასამბლეაში დებატების დროს, როცა განაცხადა, რომ მისი მიზანია „ოჯახის იერარქიისგან ბავშვების დახსნა“[21].

აქაც გაცხადებული მიზანია ბავშვების დაცვა „გენდერული იდეოლოგიის“ მომხრეების გაუკუღმართებული და არაბუნებრივი იდეებისაგან, ერთ-ერთი უმთავრესი საფრთხე კი ჰომოსექსუალობაა. ფრანგი აქტივისტების აზრით, ყველა ბავშვი იმსახურებს კაცისა და ქალის, მამისა და დედის მიერ შექმნილ ოჯახში ცხოვრებას. ეს უფლება კი იმაზე მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ჰომოსექსუალი წყვილების მიერ საკუთარი ბავშვის ყოლის უფლება. ბევრი უკრაინული, პოლონური და რუსული, განსაკუთრებით – რელიგიური ფესვების მქონე ჯგუფისაგან განსხვავებით, „La Manif Pour Tous-ისა“ და „ფრანგული გაზაფხულის“ წევრები ფრთხილობენ და ჰომოფობიურ შეხედულებებს გმობენ, თუმცა, იმავდროულად, გარკვევით ამბობენ, რომ ლესბი/გეი წყვილის მიერ ბავშვის აღზრდა „ბუნებრივი“ და „ჯანსაღი“ არ არის. თავიანთ ინტერნეტგვერდზე ისინი ასევე აცხადებენ, რომ მათთვის „ნაცნობია კვლევები, რომლებიც ჰომოსექსუალი წყვილების მშობლებად გახდომის გასამართლებლად ჩატარდა. ისინი ხშირად ლგბტი ორგანიზაციების მიერაა დაფინანსებული“.

21 http://www.lamanifpourtous.fr/en/why/the-heart-of-the-matter.

1990-იან წლებში აშშ-ში სქესობრივი განათლების გარშემო გამართული ბრძოლის ანალიზისას ჯენის მ. ერვინი განმარტავს, რომ „ინიციატივები, რომლებიც სქესის შესახებ თითქოსდა გამხრწნელი საუბრებისგან ბავშვების დაცვას ისახავს მიზნად, სქესობრივი განათლების პროგრამები იქნება ეს თუ საუბარი საინფორმაციო საშუალებებში, კონსერვატიული კულტურული პოლიტიკის ცენტრალური საკითხია“[22]. დღეს სქესზე საუბარი გენდერზე საუბრით შეიცვალა, მაგრამ ცენტრალური საკითხი არ შეცვლილა. საბოლოოდ, ყველაფერი მაინც იქამდე დაიყვანება, თუ ვინ უნდა მიიღოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გენდერული იდეოლოგიის“ ოპონენტების რიტორიკა ღრმად ანტიფემინისტურია და მათი აქტივისტები უპირისპირდებიან ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფებს, სქესობრივი განათლების საგნების მასწავლებლებს და ყველას, ვინც კი გენდერულ თანასწორობას უჭერს მხარს. მთავარი საკითხი კი მაინც ის არის, რამდენად უნდა ერეოდეს სახელმწიფო სკოლების, საავადმყოფოების, სასამართლოებისა და ა. შ. მეშვობით პირად ცხოვრებაში. ეს დღეს „გენდერის წინააღმდეგ ომის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს ეხება. რუსეთშიც კი, სადაც სახალხო მოძრაობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია, კონსერვატორი მშობლების ბევრი ორგანიზაცია სახელმწიფოსადმი უნდობლობას საკმაოდ ღიად გამოხატავს, მაგრამ მათი სამიზნე პუტინი არ არის. სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობა დემოკრატიის ლიბერალური მოდელისკენაა მიმართული, ხოლო აქტივისტები ცალკეული ადამიანის უფლებების დაცვაზე მაღლა უმრავლესობის მმართველობას აყენებენ. მათთვის მიუღებელია ასევე იდეა, რომ სახელმწიფო ან გარდამავალი ინსტიტუციები ბავშვების აღზრდაში ან ოჯახურ ურთიერთობებში თავიანთ როლს თამაშობდნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ პირადი თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების ყველაზე დიდი დარღვევა სწორედ ასეთი ჩარევაა. ამგვარად, ისინი ეწინააღმდეგებიან არა მხოლოდ ფემინისტურ შეხედულებებს, არამედ თვით იმ იდეას, რომ სახელმწიფოს მიერ ინდივიდის უფლებების დაცვა და კერძო ურთიერთობებში მისი ჩარევა შეიძლება კანონიერი და სასურველი იყოს. ეს ყველაფერი მათთან არალიბერალური დემოკრატიის იდეითაა ჩანაცვლებული.

22 ერვინი მ., ჯ. (2002), გვ. 1.

გაკვეთილები ფემინისტური სტრატეგიებისათვის

რა უნდა ისწავლონ ზემოთ ნათქვამიდან ფემინისტური სტრატეგიების შემმუშავებლებმა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მსურველებმა? მართალია, განხილული მაგალითები არასრულია, მაგრამ ისინი, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენებს, რომ ადგილებზე გენდერული თანასწორობისა და ქალთა და ლგბტი პირების უფლებებისადმი წინააღმდეგობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული და, ალბათ, ადგილობრივ, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის შედეგია.ზოგი ასეთი ჯგუფი 1990-იან წლებშიც კი არის შექმნილი. პროტესტის მონაწილეთაგან ბევრი, განსაკუთრებით – აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, თითქოს, დეკადანტურ კულტურულ გავლენასთან ერთად, დასავლეთიდან შემოტანილ ფემინიზმსა და „გენდერიზმს“ ეწინააღმდეგება და ადგილობრივი კულტურული და მორალური ღირებულებების დაცვას ისახავს მიზნად, მაგრამ თვით მათი მობილიზაციაც გლობალური და ადგილობრივი გავლენების გადაკვეთის შედეგი ჩანს და სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი აქტორები ერთმანეთისაგან ბევრს სწავლობენ. ცხადია, თავიანთ პრეტენზიებსა და სტრატეგიებს ისინი საკუთარი ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებს არგებენ. რუსეთში ამის შედეგად შესაძლებელი ხდება ე. წ. ლგბტი პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის მიღება, საფრანგეთში კი ასეთი ორგანიზაციები აშკარა ჰომოფობიურ განცხადებებს ერიდებიან. იმავდროულად, მთავარი აქცენტი, განსაკუთრებით კი – ყურადღების გამახვილება საფრთხეებზე, რომლებსაც „გენდერული იდეოლოგია“ ბავშვებსა და ოჯახს და, საბოლოოდ, მთელ საზოგადოებას უქმნის, ძალიან ჰგავს სხვადასხვა კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში. შესაბამისად, გენდერის წინააღმდეგ ომი უნდა გავაანალიზოთ და განვიხილოთ, როგორც ხანგრძლივი ტრანსნაციონალური ფენომენი და არა ლოკალურად წარმოქმნილი რაღაც ახალი მოვლენა. იმისათვის, რომ ეს პროცესები მთლიანად გასაგები გახდეს, აუცილებელია ამ მოვლენის განსხვავებულ ეროვნულ და ტრანსნაციონალურ სივრცეებში განვითარების შედარებითი ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ წარმოიშვა „ომი გენდერის წინააღმდეგ“, და წარმოაჩენს კავშირებსა და მსგავსებებს კონსერვატიული მობილიზაციის, ერთი შეხედვით, განსხვავებულ და ერთმანეთისაგან დაშორებულ შემთხვევებს შორის.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ „გენდერის“ მოწინააღმდეგე ბევრი ადგილობრივი მოძრაობა დაახლოებით ერთსა და იმავე დროს და ერთი

საკითხის გარშემო შეიქმნა. ბევრი მათგანი ერთმანეთთან უფრო დიდი, ხშირად ამერიკული[23] ორგანიზაციებისა და/ან ინტერნეტის, მათ შორის, ფორუმების, სოციალური მედიის, ბლოგებისა და ახალი ამბების სააგენტოების მეშვეობითაა დაკავშირებული. ეს თანხვედრა გარკვეულწილად შეიძლება ოჯახის ამჟამად მიმდინარე ტრანსფორმაციის შედეგიც იყოს, რადგან ახლა მიმდინარეობს გენდერული კონტრაქტის მოდერნიზაცია, იკლო შობადობის დონემ, ხოლო ოჯახის სტრუქტურა უფრო პლურალისტური გახდა. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ამ ცვალებად სამყაროში გენდერული თანასწორობა, ლგბტი პირების უფლებები, აბორტები, ბავშვის უფლებები, იუვენალური სამართალი, საგანმანათლებლო რეფორმები და ა. შ. ძირს უთხრიან „ტრადიციულ“ ოჯახს, რომელზეც საზოგადოების ზნეობრივი წესრიგია დამყარებული. შესაბამისად, მას სხვადასხვა ჯგუფი დამოუკიდებლად უნდა დაუპირისპირდეს, მაგრამ თუ არგუმენტებსა და სტრატეგიებს შორის თვალშისაცემ მსგავსებებს გავითვალისწინებთ, გონივრული იქნებოდა, დაგვესკვნა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ამ ჯგუფებიდან ზოგიერთი მაინც თანამშრომლობს, ერთმანეთს ცოდნასა და რესურსებს უზიარებს და ადგილზე არსებული კონკრეტული მდგომარეობის შესაბამის სტრატეგიებს იყენებს. ეს ნიშნავს, რომ გადასახედია გენდერის წინააღმდეგ ომისადმი ამჟამად არსებული მიდგომა, რომელსაც გენდერის ბევრი მკვლევარი და ფემინისტი იყენებს. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ გენდერის საწინააღმდეგო მობილიზაციის ფესვები უცოდინარობაშია და შეიძლება რაღაც „ეშველოს“, თუ მოწინააღმდეგეებს ზუსტ ინფორმაციას მივაწვდით. ასეთი მიდგომა შეიძლება არაპროფესიონალებთან იყოს გამოსადეგი, მაგრამ რაც შეეხება კონსერვატორ აქტივისტებს, ჩემი აზრით, ისინი შეგნებულად იყენებენ დამახინჯებულ ინფორმაციასა და ემოციურად დატვირთულ, ჰიპერბოლიზებულ ენას, რათა ხალხის მობილიზაცია მოახდინონ. ერვინმა უკვე გააანალიზა სქესობრივი განათლების გარშემო დაწყებული კამათი აშშ-ში. სწორედ ასევე „გენდერული იდეოლოგიის“ თანამედროვე კრიტიკოსები შეგნებულად თამაშობენ კულტურული შიშების, „მგრძნობიარე ლექსიკის“ გამოყენებით, მათ შორის, ისეთი სიტყვებით, როგორებიცაა: „პორნოგრაფია“, „მასტურბაცია“, „სქესის შეცვლა“ და „პედოფილია“. ცხადია, მათ მიაჩნიათ, და სამართლიანადაც, რომ აუდიტორიის მისამხრობად მათი მეტყველება არა ზუსტი, არამედ დამაჯე-

23 ზოგიერთი მაგალითი იხ.: www.motherjones.com/politics/2014/02/world-congress-families-russia-gay-rights and www.alternet.org/story/151286/russia%27s_anti-choice_movement_begins_to_mimic_america%27s.

რებელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ფემინისტურ და პროგრესულ ჯგუფებს ახალი სტრატეგიები სჭირდებათ, რათა დაუპირისპირდნენ უკიდურესად პოლემიკურ დისკურსს, რომელიც ძირითადად მიკერძოებული და ფალსიფიცირებული ინფორმაციით, ჰიპერბოლებითა და გენდერული განათლებისა და თანასწორობის კატასტროფული შედეგების შესახებ „ქალაქური მითებითაა“ გაჯერებული.

ამასთან, უნდა გადაიხედოს „უკურეაქციის“ ცნება, რომელიც ამ ფენომენის აღსანიშნავად ამჟამად სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, გენდერული თანასწორობის სწავლებისადმი წინააღმდეგობა შეიძლება აღვიქვათ რეაქციად ქალთა მოძრაობების გავლენით მომხდარი კულტურული და პოლიტიკური ცვლილებების წინააღმდეგ, მაგრამ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: პოლონეთი, უკრაინა და რუსეთი, ქალთა უფლებების გაფართოება და ლგბტი პირების ემანსიპაცია არათანმიმდევრულად, მყიფედ და სრულიად არარევოლუციურად მიმდინარეობს. მეტიც, მოწინააღმდეგეები აღმოსავლეთ ევროპაში ხშირად იმ დროს უტევენ შესაბამის კანონებს, როცა ისინი არა თუ მიღებული, შემოთავაზებულიც კი არ არის. ამდენად, ამ ტერმინის იმავე მნიშვნელობით დამკვიდრება, რაც უკვე მიღწეულ წარმატებაზე საპასუხო რეაქციას გულისხმობს, მაინცდამაინც ნაყოფიერი არ უნდა იყოს. სხვა საკითხია „გენდერის“ მიმართ ამჟამად არსებული წინააღმდეგობა, რაც შეგვახსენებს, რომ ბრძოლა გენდერული თანასწორობისათვის ჯერ არ დასრულებულა. ქალებისა და ასევე სხვადასხვა უმცირესობის თანასწორი უფლებები ზოგიერთი გარდამავალი და ეროვნული ინსტიტუციისა და ადგილობრივი მთავრობის მიერ აღიარებული ან საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ მხარდაჭერილი რომ იყოს, ეს მაინც არ იქნება იმის ნიშანი, რომ მოწინააღმდეგე ძალები დამარცხებულია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ომი გენდერის წინააღმდეგ უნდა განვიხილოთ არა უკვე მიღწეულის საპასუხო რეაქციად[24], არამედ საბუთად, რომ (ფემინისტური) რევოლუცია დასასრულებელია.

დაბოლოს, დიდმა ნაწილმა იმ მშობლებისა, რომლებიც ხშირად კონსერვატორების აქციებში მონაწილეობენ, უნდა გვიკარნახოს, რომ ფემინისტური პოზიციები დედობის, მამობისა და შვილების კეთილდღეობის საკითხებზე გადასახედია. ისეთ ქვეყანაში, როგორიც პოლონეთია, ფემინისტური მოძრაობები ძირითადად რეპროდუქციულ უფლებებზე, პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და ოჯახში ძალადო-

24 მაგალითად, იხ. გრაბოვსკა, მ. (2012).

ბაზეა კონცენტრირებული. დედობასა და ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული საკითხების ფართო განხილვა მხოლოდ ბოლო ხანებში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფემინისტური ჯგუფები ადგილებზე დედებისა და მშობლების მობილიზაციასაც კი ახდენენ (მაგალითად, კვების ფონდის დასაცავად ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის დახმარების მოსაპოვებლად), გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. უნდა დავკავდეთ ისეთი საკითხებით, როგორებიცაა: საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს რღვევა, მზრუნველობის კრიზისი და სამუშაო და საცხოვრებელი პირობების არასაიმედოობის ზრდა, რაც განსაკუთრებით ბავშვიან ოჯახებსა და მარტოხელა დედებს უქმნის პრობლემებს. არსებობს მოსაზრება, რომ მომავალი ფემინისტური სტრატეგიისთვის აუცილებელია პოლიტიკური მატერნალიზმის[25] ახალი ფორმის დამკვიდრება და ადგილობრივ კონტექსტს მორგებული მიდგომების შემუშავება გენდერული თანასწორობის სწავლებისა და ლგბტი პირების უფლებების მხარდასაჭერად.

ბიბლიოგრაფია:

- ბურეიჩაკი, ტ. (2013). გენდერული კონსერვატიზმი და ჰომოფობია, როგორც თანამედროვე უკრაინის მორალური ხნის სტრატეგია. [Bureychak, T. (2013). Gender conservatism and homophobia as strategies of moral salvation in contemporary Ukraine].
- გრაბოვსკა, მ. (2013). გენდერის კვლევებსა და „გენდერულ იდეოლოგიას“ შორის. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://pl.boell.org/pl/2014/01/07/pomiedzy-gender-studies-ideologia-gender. [Grabowska, M. (2013). Pomiħdzy gender studies a „ideologiʒ gender“].
- გრაბოვსკა, მ. (2012). მეორე სამყაროს შექმნა. [Grabowska, M. (2012). Bringing the second world. Conservative revolution(s), socialist legacies, and transnational silences in the trajectories of Polish feminism, Signs. University of Chicago Press, 385-411].
- გრაფი, ა. (2014). ომი „გენდერიზმის წინააღმდეგ“ პოლონეთში. [Graff, A. (2014). Report from the gender trenches: war against „genderism“ in Poland. European Journal of Women’s Studies].

25 მატერნალიზმის იდეა ავითარებს ფემინურობის ცნებას და იყენებს მას საზოგადოებაში ქალების ჩართულობის გასაზრდელად.

- დატა, ნ. (2013). ოჯახის შენარჩუნება. ევროპული მოძრაობა არ-ჩევანის წინააღმდეგ. [Datta, N. (2013). Keeping it all in the family. Europe's antichoice movement. Conscience. Vol XXIV, No 2, 22-27].
- ერვინი მ., ჯ. (2002). საუბრები სექსზე: ომი სექსუალური განათლე-ბის შესახებ აშშ-ში. [Irvine M., J. (2002).Talk about Sex: The Battles Over Sex Education in the United States. University of California Press].
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი (2013). „გენდერის წინააღმდეგ მიმარ-თული რეაქციის დაძლევა: უკრაინის, ბელარუსის, რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და პოლონეთის გამოცდილება". ჩა-მოტვირთულია ვებგვერდიდან: http://ua.boell.org/sites/default/files/gender_workshop_maket.pdf. [Heinrich Böll Foundation (2013). Materials of the Second International Gender Workshop – Overcoming Gender Backlash: Experiences of Ukraine, Bielarus, Russia, Georgia, Armenia and Poland . Kiev, Ukraine].
- ჰენკივსკი, ო., სკორიკი, მ. (2014). მიმდინარე მდგომარეობა და პოტენციური პასუხები გენდერული თანასწორობის წინააღმ-დეგ მებრძოლ მოძრაობებს უკრაინაში. [Hankivsky, O., Skoryk, M. (2014). The current situation and potential responses to movements against gender equality in Ukraine. East/West: Journal of Ukrainian Studies, p.19-44].
- ჰოიდესტრანდი, თ. (2014). მორალური აღორძინება და სამოქა-ლაქო აქტივიზმი: რუსეთის მშობელთა მოძრაობა. [Höjdestrand, T. (2014). Moral resurgence and civic action: The Russian parents' movement. In R. Hryciuk and E. Korolczuk (eds.) Dangerous liaisons: motherhood, fatherhood and politics. Warsaw University Press].

კულტურული ომი თუ ჩვეულებრივი ბიზნესი? პოლონეთში ქალისა და სქესობრივი უფლებების საწინააღმდეგო "უკურეაქციის" ბოლო შემთხვევები და ისტორია

მაგდალენა გრაბოვსკა

შესავალი

2003 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ტალღებს შორის დაკარგულები? ფემინისტური ქრონოლოგიისა და აქტივობის პარადოქსები თანამედროვე პოლონეთში“ აგნეშკა გრაფმა ერთ-ერთმა პირველმა წარმოადგინა ქალთა და სექსუალური უფლებების შესახებ პოლონეთის საზოგადოების „უკურეაქციის“ ანალიზი. ის ამტკიცებდა, რომ „ამ კონკრეტული მომენტისათვის ამერიკის ქრონოლოგია რომ გამოგვეყენებინა, მისთვის ალბათ „უკურეაქციის“ კონტექსტში ფორმით მესამე, შინაარსით კი მეორე ტალღა უნდა გვეწოდებინა“[1]. თუმცა ის ასევე აღნიშნავდა, რომ პოლონეთის ფემინისტური მოძრაობის ამგვარი პარადოქსული მომენტისათვის „სწორედ ახალი ანალიტიკური ჩარჩოებია საჭირო, ისეთი ჩარჩოები, რომლებიც ადგილობრივ სპეციფიკასა და პოლიტიკურ კონტექსტს, ასევე კულტურული სესხების დინამიკასაა მორგებული“[2]. აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე სოციალური პროცესების დასავლეთის ისტორიული ნარატივების საფუძველზე შეფასების ტრადიცია უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა. რეგიონის სოციალური ტრანსფორმაცია და მასში სამოქალაქო მოძრაობების განვითარება ხშირად გლობალური ტრანსფორმაციის პროცესისა და ტენდენციების ანარეკლად განიხილება. თუმცა ადგილობრივი კონტექსტი, რომელიც როგორც კონსერვატიული, ისე ფემინისტური რიტორიკისა და პრაქტიკის ფორმებსა და ინტენსიურობას განსაზღვრავს, ამგვარ შეფასებებში ხშირად ან საერთოდ არ განიხილება, ან არასათა-

1 გრაფი, ა. (2003), გვ. 102.
2 იქვე, გვ. 103.

ნადოდაა შეფასებული. ამ სტატიაში განხილულია, თუ როგორ უკავშირდება პოლონეთში ახლანდელი „უკურეაქცია“ ქალთა და სექსუალურ უფლებებზე ორ ისტორიულ მომენტს – 1953 წლის შემდგომ „დათბობას“ და 1989 წლის სისტემურ ტრანსოფორმაციას. „უკურეაქციის“ ბოლო შემთხვევებია „ხაზანის საქმე“ და წინადადება მასწავლებლებისათვის „სინდისის მუხლის“ შემოღების თაობაზე. ისინი ხანდახან განიხილება რელიგიური ან კულტურული ომის ნაწილად. ეს შემთხვევები კათოლიკური ეკლესიის დომინანტურ ან, როგორც ზოგი ექსპერტი მიიჩნევს, მზარდ როლზე მიუთითებს, თუმცა პოლონეთში ქალთა და სექსუალური უფლებების წინააღმდეგ „უკურეაქციის“ პირველი გამოვლინება ისინი ნამდვილად არ არის. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ამგვარი პროცესები მხოლოდ პოლონეთისთვისაა დამახასიათებელი. რა თქმა უნდა, ისინი განხილულ უნდა იყოს როგორც ქალთა და სექსუალურ უფლებებზე ტრანსნაციონალური საპასუხო რეაქცია, მაგრამ ასევე შესაძლებელია მათი დაკავშირება იმ ისტორიულ მოვლენებთან, რომლებმაც პოლონეთში კათოლიკურ ეკლესიას განსაკუთრებული მდგომარეობა შეუქმნეს. ეს კი ეკლესიის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, თავიანთი შეხედულებები ძალაუფლების პოზიციიდან გამომდინარე გამოთქვან და ამტკიცონ, რომ ისინი პოლონეთის კულტურისაგან, საზოგადოებისა და პოლიტიკისაგან განუყოფელნი არიან.

"ხაზანის საქმე"

2014 წლის ივლისში 36 წლის აგნეშკა X-მა საინფორმაციო საშუალებებს პროფესორ ბოგდან ხაზანის შესახებ მოუთხრო. ხაზანი ვარშავის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საავადმყოფოს დირექტორი იყო, როცა უარი განაცხადა 22 კვირის ფეხმძიმობა შეეწყვიტა. ქალის თქმით, მან იცოდა, რომ ნაყოფი სერიოზულად იყო დაზიანებული, არ ჰქონდა თავის ქალა და ტვინის დიდი ნაწილი. მიუხედავად ამისა, აბორტზე უარი უთხრეს. პროფესორმა ხაზანმა აბორტის გაკეთებაზე უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ არსებობდა „სინდისის მუხლი“, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, არ გაეწია პაციენტისთვის თავისი რწმენის საწინააღმდეგო მომსახურება.

ექიმს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა აბორტის გაკეთებაზე, მაგრამ ამ გადაწყვეტილების თაობაზე პაციენტს ძალიან გვიან აცნობა, რის გამოც ამ უკანასკნელმა პროცედურის სხვა საავადმყოფოში გავლა ვერ

მოახერხა. მეტიც, ექიმს მისთვის არ უთქვამს, სად გაუწევდნენ ამგვარ მომსახურებას, თუმცა „ექიმის პროფესიის შესახებ“ პოლონეთის 1996 წლის კანონის თანახმად, ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. ამას გარდა, ექიმის მიზანი იყო, ქალი დაერწმუნებინა, აბორტი არ გაეკეთებინა. ის ამტკიცებდა, რომ ნაყოფი სასიკვდილოდ დაზიანებული არ იყო, ბავშვი დიდხანს იცოცხლებდა და რამდენიმე ოპერაციასაც კი გადაიტანდა. მისი თქმით, ბავშვი ნაკლებად დაიტანჯებოდა, თუ „ბუნებრივი გზით“ დაიბადებოდა და დედა აბორტზე უარს იტყოდა.

ქალის პრეტენზიების გახმაურების შემდეგ ჯანდაცვის ეროვნულმა ფონდმა პროფესორ ხაზანის საავადმყოფოს შემოწმება დაიწყო და მისი განყოფილება 70 ათასი ზლოტით (დაახლოებით 15 ათასი ფუნტი სტერლინგი) დააჯარიმა. ამას გარდა, ექიმს პატიმრობაც ემუქრებოდა, რადგან პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე (მე-2) მუხლში ნათქვამია, რომ პირს, რომელსაც სხვა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ევალება, თუ ამ ადამიანს სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხის წინაშე დააყენებს, სამი თვიდან ხუთ წლამდე პატიმრობა უნდა მიესაჯოს. დაბოლოს, რამდენიმე კვირის შემდეგ ვარშავის მერმა, რომელიც პროფესორ ხაზანის დიდი ხნის მხარდამჭერი და მომხრე იყო, ეს უკანასკნელი საავადმყოფოს დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლა[3]. შემოწმების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პროფესორმა ხაზანმა განაცხადა, რომ დაირღვა მისი დაცვის უფლება. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მისი ქმედებები სამოქალაქო დაუმორჩილებლობადაც შეიძლება განხილულიყო.

ხაზანის საქმეზე დაუყოვნებლივ მოახდინა რეაქცია რამდენიმე ფემინისტურმა ჯგუფმა, მათ შორის, ფონდმა „ფემინოტეკამ“, „ცოძენიკ ფემინისტიჩნიმ“ („ფემინისტური ყოველდღიური“) და „8 მარტის ქალთა ასოციაციამ“. მათ საპროტესტო აქცია პოლონეთის პარლამენტის წინ გამართეს ლოზუნგით „სამედიცინო მომსახურება და არა – ვატიკანის მომსახურება“. აქტივისტები ამტკიცებდნენ, რომ იმ სიტუაციისათვის, რომელშიც ქალებს ჯანდაცვაზე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ, პასუხისმგებელი ჯანდაცვის მინისტრი ბარტოშ არტუკოვიჩი იყო. Facebook-ზე 4700 ადამიანმა განაცხადა, რომ აქციაში მონაწილეობას მიიღებდა[4].

3 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75968,16299596,Chazan_zwolniony___problem_zostaje.html#ixzz3AZYQb3Zx.

4 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75478,16150046,_Opieka_medyczna__a_nie_watykanska___Manifestacja.html#ixzz3AY37PQad.

"სინდისის მუხლი" და "რწმენის დეკლარაცია" ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში – პოლონური კონტექსტი

2014 წლის ზაფხულში, ხაზანის საქმის გარშემო კამათის დროს, არავის გაჰკვირვებია, რომ პროფესორი ერთ-ერთი იყო იმ 3 ათას ექიმს შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს „რწმენის დეკლარაციას". მასში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „ღვთის კანონი ადამიანის კანონზე მაღლა დგას", და წამოყენებულია მოთხოვნა, რომ „თანამედროვე ცივილიზაციის ანტიჰუმანური იდეოლოგიების" წინააღმდეგ აუცილებელია გარკვეული ზომების მიღება.

პოლონეთში „სინდისის მუხლი" მრწამსის საფუძველზე უარის თქმის უფლების ერთ-ერთი ფორმაა. ის 1996 წელს „ექიმის პროფესიის შესახებ"კანონით იქნა შემოღებული. ეს კანონი ექიმებს, მათ შორის, კბილის ექიმებს, სინდისის, რწმენისა და ღირებულებების საფუძველზე გარკვეული ტიპის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შეუზღუდავ შესაძლებლობას აძლევდა. ეს მომსახურება შეიძლება იყოს აბორტი, რომელიც სამედიცინო მოსაზრებებით, არის აუცილებელი, ხელოვნური განაყოფიერება და კონტრაცეპტივების გამოწერა. ამ მუხლის გამოსაყენებლად რამდენიმე პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. უპირველეს ყოვლისა, მისი გამოყენება არ შეიძლება საგანგებო შემთხვევებში, როცა პაციენტის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევებში ექიმი ვალდებულია, პაციენტს დაეხმაროს, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი რწმენა. მეორე: თუ ექიმი ამა თუ იმ მომსახურების გაწევაზე უარს ამბობს, მან პაციენტს ამ მომსახურების „ხელმისაწვდომობის" თაობაზე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან პაციენტი სხვა ექიმთან ან სხვა კლინიკაში უნდა გააგზავნოს. დაბოლოს, ექიმმა უნდა წარმოადგინოს თავისი ქმედების ახსნა, ხოლო თვით საქმე დოკუმენტებით უნდა გაამყაროს. თუ ექიმი მუდმივ კონტრაქტზე მუშაობს, ქმედებების შესახებ ინფორმაცია ზემდგომ პირებს უნდა მიაწოდოს.

„სინდისის მუხლის" დებულებები დეტალურადაა მოცემული სამედიცინო ეთიკის კოდექსში, რომელშიც ასევე ნათქვამია, რომ ექიმს თანამედროვე მედიცინის მიღწევებსა და თავის რწმენას შორის ბალანსის პოვნა უნდა შეეძლოს. თუ მედიცინის კანონში „მომსახურებაზე უარია" ნახსენები, კოდექსი ექიმს საშუალებას აძლევს, „პაციენტის მკურნალობა" შეწყვიტოს. არის ასევე გარკვეული გაუგებრობები „სინდისის მუხლთან" დაკავშირებით, რომელიც ექიმის დამოუკიდებლობის ხარისხს ეხება. მაგალითად,

კოდექსის საფუძველზე, ექიმი კონტრაცეპტივების გამოწერაზე უარს ვერ იტყვის, მაგრამ მედიცინის კანონით შეუძლია ასე მოიქცეს. ზოგიერთი იურისტი იმაზეც მიუთითებს, რომ „სინდისის მუხლის“ იდეა სხვა კანონებსა და პოლონეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ეს მუხლი მედდებსა და მეანებსაც ეხება. მისი გამოყენება მედდებსაც შეუძლიათ, ხოლო მეანებს უფლება აქვთ ექიმის მითითებას არ დაემორჩილონ, თუ ეს მითითებები მათ რწმენას ეწინააღმდეგება. როცა ასეთი რამ ხდება, მეანებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ზემდგომ პირებს და თავიანთი გადაწყვეტილება დაასაბუთონ. ბოლო ხანებში „სინდისის მუხლის“ გამოყენება ზოგიერთმა ფარმაცევტმაც მოითხოვა, რათა ექიმის მიერ გამოწერილი ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გაყიდვაზე უარის თქმის შესაძლებლობა ჰქონოდათ. მუხლის დამცველები ევროსაბჭოს მიერ 2010 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციაზე მიუთითებენ („კანონიერი სამედიცინო მომსახურების დროს მრწამსის საფუძველზე უარის თქმის უფლება“). ისინი ამტკიცებენ, რომ „სინდისის მუხლის“ არარსებობა ეწინააღმდეგება ფარმაცევტის ეთიკის კოდექსის მე-3 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ფარმაცევტმა სიცოცხლე და ჯანმრთელობა უნდა დაიცვას და ავადმყოფობის პრევენცია მოახდინოს, ასევე მე-4 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ფარმაცევტი თავისი სინდისის შესაბამისად უნდა მოქმედებდეს.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, „სინდისის მუხლი“ 2013 წელს მხოლოდ ორმა ექიმმა გამოიყენა (პოლონეთში სულ 300-ზე მეტი საავადმყოფოა), მაგრამ ეს დაზუსტებული რიცხვი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენი აბორტის გაკეთებაზე თქვეს უარი ექიმებმა. პროფესორი იაროსლავ კალინა, რომელიც ქალაქ ლოძის პირველი რეგიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობს, ამბობს: „პაციენტებთან საუბრისას ექიმები „სინდისის მუხლს“ არ ახსენებენ. ისინი უფრო ხშირად ამბობენ, რომ აბორტი დაგვიანებულია, ან უბრალოდ ეუბნებიან: „აბორტის გაკეთებას არ ვაპირებთ. მორჩა![5]“

მრწამსის საფუძველზე უარის თქმა მტკიცედ დამკვიდრდა პოლონეთის კანონმდებლობაში, თუმცა გარკვეული ტიპის მომსახურებაზე უარის განცხადების მექანიზმები მხოლოდ 2014 წელს შემოიღეს. 2014 წლის გაზაფხულზე, ჩენსტოხოვის 90-ე მოლოცვის დროს, იასნა გურას მონასტერში 3 ათასი ექიმი შეიკრიბა. მათ აერთიანებდათ იდეა, რომ კათოლიკური რწმენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პაციენტების სურ-

5 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wiadomosci.gazeta.pl/wiadomosci/1,114871,16303631,Klauzula_sumienia_w_bardzo_watpliwej_praktyce___Pacjentka.html.

ვილები, განსაკუთრებით იმ პაციენტებისა, რომლებიც კათოლიკურ ღირებულებებს არ იზიარებენ. ამ შეხვედრაზე გავრცელდა „რწმენის დეკლარაცია“. ამ დოკუმენტის ინიციატორი იყო ვანდა პულტავსკა, ექიმი, რომელიც კაროლ ვოიტილასთან (პაპ იოანე პავლე II-სთან) თავისი ხანგრძლივი მეგობრობით იყო ცნობილი.

დეკლარაცია ეფუძნება დებულებას, რომ „ადამიანის სხეული და სიცოცხლე ღვთის საჩუქარია, ამიტომ ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე წმინდა და ხელშეუხებელია“. დეკლარაციის ხელმოწერა პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ექიმი თავის რწმენას პაციენტის კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს იმ დროს, როცა კანონი კათოლიკურ დოგმებს ეწინააღმდეგება, მათ შორის – აბორტის, კონტრაცეფციისა და „მორალურად საკამათო“ სხვა მომსახურების შემთხვევაში. ექიმების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე მაცეი ჰამნაკევიჩი კი აცხადებს, რომ ქვეყნის სამედიცინო სფეროს ოფიციალური წარმომადგენლები „რწმენის დეკლარაციის“ თაობაზე პოზიციას არ დააფიქსირებენ და არც იმის თაობაზე გააკეთებენ განცხადებას, თუ რამდენად შეესაბამება დეკლარაცია სამედიცინო ეთიკის კოდექსს.

ამასობაში „რწმენის დეკლარაცია“ კიდევ ერთმა პროფესიულმა ჯგუფმა – მასწავლებლებმა გადაიღეს. 2014 წელს ბლოგერმა იანუშ გუჟანსკიმ, რომელიც თავს „პოლონელ კათოლიკე ნაციონალისტ მონარქისტს“ უწოდებს, შეადგინა პროექტი „პოლონელი მასწავლებლების რწმენისა და სინდისის დეკლარაცია“. პროექტში, რომლიც „კათოლიკე მასწავლებლებისა“ და პედაგოგიკის ფაკულტეტების სტუდენტებისთვისაა გამიზნული, ნათქვამია:

> „მე, პოლონეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მასწავლებელი, პირობას ვდებ, რომ შევასრულებ ჩემს მოვალეობებს, როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი. ვალდებულებას ვიღებ, რომ ყველაფერს გავაკეთებ პატრიოტული და სახარებისეული სულისკვეთებით პირადად ჩემი და ჩემი მოსწავლეების შესაძლებლობების სრულად განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის, პირადად ჩემი და ჩემი მოსწავლეების ზოგადი კეთილდღეობისა და სულის ხსნის გათვალისწინებით. ვალდებულებას ვიღებ, აღვზარდო და განათლება მივცე ახალგაზრდა პოლონელებს სიმართლისა და, უპირველეს ყოვლისა, ღვთიური ჭეშმარიტების სიყვარულის სულისკვეთებით, რადგან უფალი ჩვენი იესო ქრისტე საკუთარ თავზე ამბობდა, რომ ის უფრო დიდი ჭეშმარიტებაა, ვიდრე ego sum veritas“[6].

6 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75478,16395954,Kluzik_Rostkowska__Klauzula_sumienia_dla_nauczycieli.html#ixzz3AAJAf7mD.

დეკლარაციის მე-3 პუნქტის თანახმად, მასწავლებელმა უნდა აღიაროს, რომ ღვთის კანონი ადამიანის მიერ დაწერილ კანონზე მაღლა დგას, რადგან „ათეისტურმა ცივილიზაციამ“ შეიძლება კიდევ ერთხელ მიგვიყვანოს „ტოტალიტარულ გენოციდამდე“. ეს განცხადება კარგად წარმოაჩენს დეკლარაციის კავშირს წინა წლის დებატებთან, როდესაც „გენდერული იდეოლოგია“ კამათის საგნად იქცა. ამ დისკუსიებში პოლონეთის ბაღებსა და სკოლებში, ევროკავშირის რეკომენდაციების თანახმად, შემოღებული გენდერული თანასწორობის სასწავლო პროგრამები „იდეოლოგიურად“ მოიხსენიებოდა, რომელიც კომუნისტური რეჟიმის ავტორიტარულ და ტოტალიტარულ პრაქტიკას ჰგავდა.

მასწავლებლებისათვის „რწმენის დეკლარაციის“ შემოღების იდეას მხარი დაუჭირა პოლონეთის პარლამენტის წევრმა მაჟენა ვრუბელმა, რომელიც თვითონ პოლონური ენის მასწავლებელია. ის ამტკიცებდა, რომ დეკლარაცია „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს“ არ ეწინააღმდეგება და დასძენდა, რომ „ღირებულებათა რომელიმე სისტემისაგან იზოლირებულად ბავშვის აღზრდა შეუძლებელია. პიროვნებას რაღაც უნდა სწამდეს და რაღაც იდეალებით ხელმძღვანელობდეს“.

მეორე მხრივ, განათლების მინისტრი იოანა კლუზიკ-როსტკოვსკა ამ იდეას მკაცრად დაუპირისპირდა და განაცხადა, რომ მას პოლონეთში შეიძლება „კულტურული ომი“ მოჰყვეს. მისი თქმით, ის მზად იყო საერო განათლებისათვის ებრძოლა. მთავრობის წევრმა მალგოჟატა კიდავა-ბლონსკამ ასევე განაცხადა, რომ დეკლარაცია უკანონოა. მან გარკვევით აღნიშნა, რომ საჯარო სკოლები ნეიტრალურია და ამგვარ დაწესებულებებში დასაქმებული მასწავლებლებიც ნეიტრალურნი უნდა იყვნენ. „იმედია, – დასძინა მან, – რომ ეს დოკუმენტი „პროექტად“ დარჩება და პოლონეთის სკოლებში „რელიგიურ ომს“ არ დაუდებს სათავეს“[7].

პოლონეთის მასწავლებელთა ასოციაციის პრესმდივანმა მაგდალენა კუშმილასმა განაცხადა, რომ მასწავლებლები ვალდებული არიან სასწავლო პროგრამის შესაბამისად იმუშაონ, ამ პროგრამებში კი ევოლუცია უმთავრესი კომპონენტია. მისი აზრით, ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა „რწმენის დეკლარაცია“, შეიძლება ჩაითვალოს დარვინიზმის თეორიაზე დაფუძნებული არსებული სილაბუსების კრეაციონიზმის თეორიაზე გადართვის უკანონო მცდელობად. მან აღნიშნა, რომ საჯარო სკოლები კვლავაც არარელიგიური უნდა იყოს. „თუ ვინმე გრძნობს, რომ რწმენა მისთვის აუცილებელია, შეუძლია კერძო კათოლიკურ სკოლებს

7 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75478,16397460,Deklaracja_wiary_i_sumienia_nauczycieli___Ucze__myslac.html#ixzz3A4nzsdpU.

მიმართოს, თუმცა თვით ამ სკოლებშიც „საგანმანათლებლო კანონი“ ერთგვარად დაცული უნდა იყოს“[8].

ფართო კონტექსტი: კულტურული ომი თუ ჩვეულებრივი ბიზნესი?

„ხაზანის საქმე“ და პოლონეთის განათლების სისტემაში „რწმენის დეკლარაციის“ დამკვიდრების იდეა ხშირად განიხილება პოლონეთში გარდაუვალი კულტურული თუ რელიგიური ომის სიმპტომებად. თუმცა ბევრი ფემინისტი ინტელექტუალი და აქტივისტი აღნიშნავს, რომ ეს არ არის რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკის ცალკეული გამოვლინებები პოლონეთის სხვა მხრივ ლიბერალურ და სეკულარულ სახელმწიფოში (როგორც ამას პოლონეთის მთავრობა ამტკიცებს). ეს შემთხვევები უნდა განვიხილოთ მემარჯვენეების იმ ახალი სტრატეგიის ნაწილად, რომელიც ისტორიულად გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად გამოიყენება. როგორც ასეთი, ეს სტრატეგია პოლონეთში „იდოლოგიური ომების“ გაგრძელება უფროა, ვიდრე დასაწყისი. ორივე შემთხვევა გენდერულ და სექსუალურ უფლებებზე გლობალური „უკურეაქციის“ მაგალითია, თუმცა ამ მოვლენებს ფესვები პოლონეთის წარსულშიც აქვს, კერძოდ – სტალინის სიკვდილის შემდეგ დათბობის პერიოდსა და 1989 წლის ტრანსფორმაციაში.

„რწმენის დეკლარაციის“ საპასუხოდ პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერმა და ქალისა და შობადობის კონტროლის ფედერაციის ყოფილმა დირექტორმა ვანდა ნოვიცკამ დასვა კითხვა: „ვინ იქნება შემდეგი? ეს იმის ნიშანია, რომ პოლონეთი „რელიგიური სახელმწიფო“ ხდება, სახელმწიფო, რომელშიც რელიგიამ, კერძოდ – რომის კათოლიკურმა რელიგიამ, უნდა გადაწყვიტოს, რომელი კანონია პოლონეთში მნიშვნელოვანი. თუ კონკრეტულად სკოლებზე ვისაუბრებთ, ამას ჩვენი ბავშვების განათლებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეეძლება. ეს ბევრად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ რამდენიმე მასწავლებლის მიერ რწმენის გაცხადების საკითხი“[9]. ნოვიცკას აზრით, მომავალში ანალოგიური მუხლის შემოღებას სხვა პროფესიის ადამიანებიც მოითხოვენ და

8 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75478,16397460,Deklaracja_wiary_i_sumienia_nauczycieli___Ucze__myslac.html#ixzz3A4nzsdpU.

9 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wiadomosci.onet.pl/tylko-w-onecie/wanda-nowicka-deklaracja-wiary-nauczycieli-mnie-przeraza/14ts9.

ეს მხოლოდ დროის ამბავია. მისი თქმით, მასწავლებლებისათვის „რწმენის დეკლარაციის“ შემოღება სახიფათო პრეცედენტია, ვინაიდან ამით მათ საშუალება მიეცემათ, ევოლუციის თეორია არ ასწავლონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამეცნიერო პრინციპების საფუძველზე ასწავლეს, მასწავლებლებს შეეძლებათ ერთგვარ თვითცენზურას მიმართონ და ამგვარი მეცნიერებისაგან დისტანცია დაიჭირონ. ნოვიცკას ასევე მიაჩნია, რომ დეკლარაცია „პოლონეთის სკოლების იდეოლოგიზაციის“ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ექიმებმა და მასწავლებლებმა საკუთარ თავსა და რწმენაზე კი არ უნდა გაამახვილონ ყურადღება, არამედ თავიანთ მისიაზე, რომელიც პაციენტების დახმარებასა და ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვას გულისხმობს.

ნოვიცკას კათოლიკური ეკლესიის გავლენის ზრდა აშფოთებდა, განსაკუთრებით – სამედიცინო და საგანმანათლებლო სექტორებში. ამის მიზეზი მას ნამდვილად ჰქონდა. ის ფემინისტი აქტივისტი იყო, როცა1989-1993 წლებში, აბორტების თაობაზე დებატების დროს, სეკულარული პოლონური სახელმწიფოს გარდაცვალების მოწმე გახდა. მან საკუთარი თვალით იხილა, როგორ მოხდა კონკორდატის რატიფიკაცია 1993 წელს. ნოვიცკა პოლონეთის ტრანსფორმაციის მთელი პროცესის მომსწრეც იყო და დაინახა, როგორ დაწესდა უმკაცრესი აკრძალვა აბორტებზე, როგორ შემოიღეს რელიგიის, როგორც საგნის, სწავლება ბაღებში, დაწყებით და საშუალო სკოლებში.

ახლანდელ „უკურეაქციას“ სხვა ანალიტიკოსები და აქტივისტებიც პოლონელი მემარჯვენეების გრძელვადიანი მიზნების განხორციელების ახლებურ გზად განიხილავენ. „ხაზანის საქმისა“ და „რწმენის დეკლარაციის“ ხელისმომწერი სხვა ექიმების საქმის განხილვისას ფემინისტმა აქტივისტმა და მეცნიერმა აგნეშკა გრაფმა თამამად განაცხადა: „ისინი ექიმები კი არა, მისიონერები არიან“. გრაფის აზრით, მემარჯვენე აქტივისტების ბოლოდროინდელი ქმედებები კონსერვატორების მიერ გამოყენებულ პოლიტიკურ სტრატეგიაში ცვლილებების მანიშნებელია. თავდაპირველად, როგორც ეს წარსულში ხდებოდა, ისინი ცდილობდნენ, ცვლილებები შეეტანათ აბორტების შესახებ კანონში, რომელიც ისედაც საკმაოდ მკაცრი იყო, ახლა კი მათი მიზანი „სინდისის მუხლის“ მსგავსი საკანონმდებლო ხრიკების გამოყენებით სისტემის შეცვლაა. ამდაგვარი რამ მოხდა ვოლომინში, სადაც ადგილობრივმა მთავრობამ მის დაქვემდებარებაში მყოფი საავადმყოფოს მისიის განაცხადში ცვლილებები შეიტანა. დოკუმენტში ახლა ნათქვამია, რომ მუშაობისას

საავადმყოფო „ადამიანის სიცოცხლის დაცვის უპირობო ვალდებულებით ხელმძღვანელობს“. ასეთი ჩანაწერი იმის გარანტიას იძლევა, რომ საავადმყოფო სახსრებს ჯანდაცვის ეროვნული ფონდიდან მიიღებს, თუმცა კანონიერი აბორტების ჩატარებაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი დაჯარიმება შეუძლებელი იქნება[10]. გრაფის აზრით, შემდეგი ნაბიჯი კონსერვატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად სახელმწიფო მოხელეების გამოყენება იქნება. ასე მოხდა კოდიფიკაციის კომისიის წევრ მიხალ კრულიკოვსკის შემთხვევაში. კრულიკოვსკი პოლონეთში აბორტების შეზღუდვას საჯაროდ უჭერდა მხარს.

როგორც გრაფმა სამართლიანად აღნიშნა, ეს ახალი პრაქტიკა ერთმანეთს უთავსებს ულტრაკონსერვატიულ „ღირებულებებსა“ და ნეოლიბერალური წესრიგის პროპაგანდას, რაც 1989 წელს პოლონეთის ტრანსფორმაციისათვის დამახასიათებელი უცნაური კომბინაციაა. ამგვარ ნაზავს შეხვდებით ასევე ისეთ რელიგიურ ფუნდამენტალისტებთან, როგორიც იყო იაროსლავ გოვინი, იუსტიციის მინისტრი „სამოქალაქო პლატფორმის“ მთავრობაში (რომელიც თითქოს „პოლონეთის პროგრესული სახე იყო“). გოვინი მხარს უჭერდა პოლონეთის სახელმწიფოში კაპიტალისტურ რეფორმებს, ეწინააღმდეგებოდა ხელოვნურ განაყოფიერებას, ხოლო 2013 წელს „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიკაცია ჩაშალა.

თუმცა ეს ახალი სტრატეგიები არ ნიშნავს, რომ პოლონეთის საზოგადოებას მემარჯვენე მიმართულება აქვს აღებული. ისინი, ფაქტობრივად, გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დისკურსით მანიპულირება ისე, რომ პოლონეთის საზოგადება გარკვეული მიმართულების მიმდევრად წარმოჩინდეს. CBOS-ის ბოლო კვლევის თანახმად, პოლონელების 52% „რწმენის დეკლარაციის“ წინააღმდეგია და მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ექიმები, პირველ რიგში, პაციენტების კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდნენ; 73%-ს მიაჩნია, რომ ექიმს არ აქვს უფლება, პაციენტს მშობიარობამდე გასინჯვაზე უარი უთხრას; 62%-მა მხარი დაუჭირა მოსაზრებას, რომ ექიმს არ უნდა ჰქონდეს უფლება, კანონიერად დასაშვები აბორტის თაობაზე პაციენტს რჩევა არ მისცეს; დაბოლოს, რესპონდენტების 59%-მა განაცხადა, რომ ექიმი პაციენტს ხელოვნურ განაყოფიერებაზე უარს ვერ ეტყვის. პოლონელები აცხადებდნენ, რომ სეკულარულ სახელმწიფოს უჭერენ მხარს, ხოლო 2013 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 35 წლამდე ასაკის ქალები ნაკლებად არიან მიდრე-

10 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://wyborcza.pl/1,75968,16299596,Chazan_zwolniony___problem_zostaje.html#ixzz3AZYYutS0.

კილი ფეხმძიმობის აბორტით შეწყვეტისაკენ (13%), ვიდრე შედარებით ასაკიანი ქალები (36%). რადიკალურად განწყობილი მემარჯვენეების ბოლოდროინდელი ქმედებები შეიძლება განვიხილოთ სტრატეგიად, რომელიც პოლონეთის საზოგადოებაში მიდგომების ცვლის წინააღმდეგ და პოლონეთში საჯარო დისკურსში ჰეგემონიის შენარჩუნებისკენაა მიმართული. ამ კონტექსტში პოლონეთის საინფორმაციო საშუალებებისა და მემარჯვენე პოლიტიკოსების საჯარო დისკურსის მიზანი კათოლიკური ეკლესიის მიმართ პოლონელების დამოკიდებულების მრავალფეროვნებისა და ამბივალენტურობის მიჩქმალვაა. ამ მიზნით ყველა პოლონელი წარმოდგენილია ჰომოგენურ ჯგუფად, რომელიც კათოლიკურ ღირებულებებს უჭერს მხარს. მეორე მხრივ, იანუშ კორვინ-მიკეს ულტრაკონსერვატიული მემარჯვენე პარტიის ბოლოდროინდელი წარმატებები და ეკლესიის ისეთი აშკარა მოწინააღმდეგე პარტიების წარუმატებლობა, როგორებიცაა იანუშ პალიკოტის „ტვუი რუხი“ („შენი მოძრაობა“) და მწვანეები, იმაზე მიუთითებს, რომ პოლონეთში ამჟამად მემარჯვენე მიმართულება გაძლიერებულია და ეკლესიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლას ხმის მიცემის მოდელზე გავლენა არ მოუხდენია. ახლანდელ „უკურეაქციას“ თუ განვიხილავთ, უნდა დავასკვნათ, რომ კათოლიკური ეკლესიის ისედაც მძლავრი პოზიციები (ამას პოლონეთში არც ერთი უმთავრესი პოლიტიკური ძალა ეჭვქვეშ არ აყენებს) კიდევ უფრო მტკიცდება, რაც ისტორიული პროცესისა და წარსულში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია.

აღგილობრივი თუ ტრანსნაციონალური? ბოლოდროინდელი "უკურეაქციის" ისტორიული ფესვები პოლონეთში

პოლონეთში ქალთა და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების წინააღმდეგ გაჩენილი „უკურეაქცია“ ტრანსნაციონალური ტენდენციის ნაწილია. ეს ტენდენცია მშრომელებისა და უმცირესობების უფლებებზე „უკურეაქციასაც“ ეხება, რისი მაგალითიც სოციალური პროგრამების ბოლოდროინდელი შემცირებაა, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოქმნილი ვითარებით ახსნეს. ამ სურათის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი გაეროსა და ევროკავშირში ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების საკითხებში არსებული სტაგნაციაა. ამას გარდა, ხდება ფემინისტური იდეების გამოყენება

ნეოლიბერალურ დისკურსში, რადგან ფემინისტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს კრიზისის პერიოდი უდგას, ხოლო რადიკალურ (და) ფემინისტურ აქტივობას რეპროდუქციული უფლებების, ქალზე ძალადობისა და ლგბტი პირების უფლებების დარგში გლობალურ და ტრანსნაციონალურ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

აღმოსავლეთი ევროპისა და პოსტსოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში „უკურეაქცია" რეგიონში მომხდარი ისტორიული მოვლენების ჭრილში უნდა გაანალიზდეს. ეს მოვლენებია სოციალისტური ემანსიპაციის პოლიტიკის რეტრადიციონალიზაცია 1953 წლის შემდეგ და ნეოკონსერვატიული და ფუნდამენტალისტური დისკურსის ხელახლა გაჩაღება 1989 წლის შემდეგ. პოლონეთში კათოლიკური ეკლესიის დომინანტური მდგომარეობა ეჭვქვეშ არავის არასოდეს დაუყენებია, მას არავინ არასოდეს შებრძოლებია. ეს ეხება 1945 წლის შემდეგ მოსულ სოციალისტურ მთავრობასაც და 1989 წლის შემდეგ მოსულ დემოკრატიულ მთავრობასაც. შესაბამისად, პოლონეთის „უკურეაქციის" ფესვები უნდა ვეძებოთ დათბობის პერიოდში, როცა კათოლიკური ეკლესიის დომინანტური მდგომარეობა ქალის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფომ კიდევ ერთხელ განამტკიცა, და 1989 წლის შემდგომ ტრანსფორმაციაში, რომლის შედეგადაც ეკლესიის, როგორც პოლონეთის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური ძალის, პოზიცია სტაბილური გახდა.

თავის წიგნში „ქალები, კომუნიზმი და ინდუსტრიალიზაცია ომისშემდგომ პოლონეთში", მალგოჟატა ფიდელისი ამტკიცებს, რომ ორივე პროცესი – როგორც „გენდერული თანასწორობის" კომუნისტური პროექტის მისადაგება პოლონეთის კულტურასთან „დესტალინიზაციის ეპოქაში", ასევე 1989 წლის შემდგომი ტრანსფორმაცია, – უნდა განვიხილოთ, როგორც ქალთა უფლებების დაკნინების მაგალითები. საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში უფრო მეტი ზოგადი პოლიტიკური თავისუფლება იქნა მიღწეული, თუმცა კათოლიკურ ეკლესიასთან ალიანსს ქალის უფლებები შეეწირა. II მსოფლიო ომის შემდეგ „რადიკალური" სოციალისტური ცვლილებები მხოლოდ ცოტა ხნით მიმდინარეობდა და „პირადი" საკითხების საჯაროდ გამოტანის[11] იდეად ვერ დამკვიდრდა. ქალის ემანსიპაციის პროექტი პოლონეთში სხვა გზით წარიმართა, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ პოლონეთში სოციალიზმი სხვა გზით განვითარდა. 1953 წლის შემდეგ „დათბობას"

11 იგულისხმება დასავლური ქალთა მოძრაობის სლოგანი "Personal is Political", ანუ „პირადი საკითხები პოლიტიკური მნიშვნელობისაა".

პოლონეთში ქალების მდგომარეობისათვის ამბივალენტური შედეგები მოჰყვა[12]. „ერთი მხრივ, – ამტკიცებდა ფიდელისი, – ქალებს იმდენი მუშაობა აღარ უწევდათ, რამდენიც უშუალოდ ომისშემდგომ წლებში. გაჩნდა მშრომელთა უფლებების პატივისცემის მოთხოვნის უფრო მეტი შესაძლებლობა და მათ სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის შესახებ, აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მიეცათ. თუ ქალს ამის სურვილი ჰქონდა, შეეძლო სამუშაო მიეტოვებინა და მთელი დრო ოჯახისათვის დაეთმო. სახელმწიფომ აბორტის შესახებ კანონი დაამტკიცა და აბორტები ადვილად ხელმისაწვდომი და უფასო გახდა“[13]. თუმცა, მეორე მხრივ, 1953 წლის შემდეგ გატარებული რეფორმების მიზანი ომამდელი პერიოდის „გენდერული კონტრაქტის“ აღდგენა, კერძოდ კი – შრომის გენდერული განაწილება, ანუ ქალების მიერ საშინაო საქმის უფასოდ შესრულება იყო[14]. „სოციალიზმისაკენ მიმავალი პოლონური გზის“ იდეა, რომლის ავტორიც პოლონეთის მუშათა პარტიის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა იყო, რამდენიმე, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო მოცემულობის – კათოლიციზმის, ნაციონალიზმისა და სოციალიზმის შეთავსებას ემყარებოდა. „ადამიანური სოციალიზმის“ იდეა, რომელიც 1956 წლის შემდეგ წარმოიშვა, ძველი ძალებით ახალი წესრიგის დამყარებას ითვალისწინებდა. სოციალისტური სახელმწიფო ტრადიციულ ოჯახზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, ამიტომ „პოლონელი დედის“ ხატი გადამწყვეტი იყო. ამ კონტექსტში 1956 წელს მიღებული კანონი აბორტის შესახებ ქალს არჩევანის საშუალებას კი არ აძლევდა, არამედ ტრადიციულ ოჯახებს შვილების რაოდენობის კონტროლში ეხმარებოდა[15]. 1956 წლის კანონი აბორტის შესახებ მხოლოდ გათხოვილ შვილიან ქალებს ეხებოდა, თუმცა მათაც კი ნებართვა ექიმისა და ადვოკატისაგან უნდა აეღოთ, რაც იმას ნიშნავდა, რომ 1956 წლის კანონი ქალებს არჩევანის უფლებას არ აძლევდა. ამის საშუალება მათ მხოლოდ 1960 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ მიეცათ.

1989 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენებიც ზემოაღნიშნულის მსგავსი იყო. გამოთქმა „თვითშეზღუდვის რევოლუცია“, რომელიც იადვიგა სტანიშკისის 1982 წელს გამოქვეყნებული ცნობილი წიგნის სა-

12 ფიდელისი, მ. (2010), გვ. 170. ქალები, კომუნიზმი და ინდუსტრიალიზაცია ომის შემდგომ პოლონეთში.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 172.

15 იქვე, გვ.173.

თაურიდანაა გადმოღებული[16], 1980-იანი წლების „სოლიდარობის“ პოლიტიკური ფილოსოფიის აღსანიშნავად კვლავ ფართოდ გამოიყენება. თუმცა, კითხვა, თუ როგორ აისახა ეს პროცესი ფემინისტურ მოძრაობაზე პოლონეთის მშვიდობიან ტრანსფორმაციამდე, ამ ტრანსფორმაციის პერიოდში და მას შემდეგ, ისევ პასუხგაუცემელია. ერთი მხრივ, „სოლიდარობა“, განსაკუთრებით კი – 1985-1989 წლების ე. წ. „მეორე სოლიდარობა“, ქალებისთვის ინკლუზიური იყო – თავის რიგებში ქალი წევრებიც ჰყავდა და ფემინისტებიც. შანა პენმა და სხვებმა გვიჩვენეს, რომ ქალებმა „სოლიდარობის“ წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს. როგორც ორგანიზაციის ადგილობრივი ფილიალებისა და 1981 წლის შემდგომი იატაკქვეშა პრესის წარმომადგენლებმა, მათ კომუნისტური მთავრობის დამხობაში მნიშვნელოანი წვლილი შეიტანეს[17]. თუმცა რევოლუციის დასრულების შემდეგ, კავშირის მამაკაცმა ლიდერებმა ყურადღება კომპრომისებსა და რეფორმებზე გადაიტანეს, რის შედეგადაც თვითშეზღუდვის პარადიგმამ ქალების წინააღმდეგ იმოქმედა და სოციალური ცვლილებების თაობაზე დადებული პირობის შესრულება შეაფერხა. „სოლიდარობისა“ და ფემინიზმის გზები 1980-იან წლებში გადაიკვეთა, მაგრამ ისევ გაიყარა 1989 წლის შემდეგ, როცა პატრიოტული „თავისუფლების ფესტივალი“ კათოლიკურ ეკლესიასთან თითქოსდა აუცილებელი კომპრომისით დასრულდა. ეს კომპრომისული შეთანხმება, რომელსაც ტრანსფორმაციის შემდგომი ყველა მთავრობა იცავდა, მათ შორის, მემარცხენე და სოციალისტური მთავრობებიც, დღესაც ძალაშია. შედეგად, რეჟიმის დაცემის შემდეგ ქალთა საკითხები იდეოლოგიური მანიპულაციის საგანი გახდა, ხოლო ფემინისტები ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის მტრებად გამოცხადდნენ.

ნაწილობრივ მასკულინისტურ პოლიტიკასა და კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებაზე[18], ასევე „სოლიდარობის“ მიერ მშვიდობიანი რევოლუციის იდეალების ღალატზე საპასუხოდ ფემინისტები ლიბერალიზმზე დამყარებულ იდენტობის პოლიტიკაზე გადაერთვნენ. ახლად აღმოცენებულ ნაციონალიზმთან და რელიგიურ ფანატიზმთან საბრძოლველად ბევრი აქტივისტი, მათ შორის, ისინიც, ვინც ადრე „სოლიდარობის“ სოციალური სამართლიანობის იდეალებს ემსახურებოდა, ერთი შეხედვით, სეკულარულ და ლიბერალურ იდენტობაზე გადავიდა. ბევ-

16 სტანიშკისი, ი. (2011). თვითშეზღუდვის რევოლუცია.

17 პენი, შ. (2005). სოლიდარობის საიდუმლო. ქალები, რომლებმაც კომუნიზმი დაამარცხეს პოლონეთში.

18 უოტსონი, პ. (1993). (ანტი)ფემინიზმი კომუნიზმის შემდგომ.

რი აქტივისტისათვის დასავლეთთან თვითიდენტიფიკაციის სტრატეგია, რომელსაც უმთავრესად პოლონეთის ურბანული ინტელიგენციის წარმომადგენელი ქალები იყენებდნენ, სტრატეგიული ესენციალიზმის ერთ-ერთი ფორმა, ანუ „სოლიდარობის“ დაუსრულებელ რევოლუციაზე აუცილებელი პასუხი იყო და არა აღმოსავლეთ ევროპაში დასავლური ტიპის ფემინიზმის უბრალოდ გადმოტანის სურვილი.

„დასავლური ფემინისზმისაკენ“ შეტრიალება, ცხადია, უბრალოდ დასავლეთის ლიბერალური ფემინიზმის მეორე ტალღის მსგავსი სოციალური მოძრაობის ჩამოყალიბების სურვილით ვერ აიხსნება. ეს იყო სტრატეგია, რომელსაც აქტივისტები, მათ შორის – მეცნიერი სლავომირა ვალჩევსკა, ასე ხსნიდნენ: „ერთი მხრივ, იყო საკუთარი აზრის გამოხატვის აუცილებლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელი იყო გავმიჯნოდით ფემინიზმის იმგვარ რეპრეზენტაციას, როგორიც მას მარქსიზმიდან აღმოცენებულად წარმოაჩენდა“. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ 1990-იან წლებში სოციალიზმის პირობებში ცხოვრების შესახებ ცნობებში ქალები ძირითადად წარმოდგენილი არიან პასიურ მოწმეებად, რომლებიც ავტორიტარულ სოციალისტურ სახელმწიფოსა (პროფესიული სამსახურისა და საოჯახო საქმის „ორმაგი ტვირთით“) და ნამდვილი პოლიტიკური წარმომადგენლობის არარსებობას შორის აღმოჩნდნენ. სოციალისტურ სახელმწიფოს ფემინისტები ხშირად უყურებენ, როგორც სისტემას, რომელმაც ძალიან ცოტა გააკეთა არსებული გენდერული რეჟიმების შესაცვლელად. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში მამაკაცების ბატონობის საფუძვლებმა „ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ არ გამქრალა“[19]. ამდენად, სოციალიზმი განიხილება, როგორც „სახელმწიფო პატრიარქატი“, რომლის დროსაც ერთი მამაკაცის ძალაუფლება ერთ ქალზე შეიცვალა სახელმწიფოს ძალაუფლებით ყველა ქალზე“[20].

დასავლური ტიპის ლიბერალიზმის უკრიტიკოდ გადმოღებას მოჰყვა უარყოფითი რეაქცია, რომელიც ამჟამად შეიძლება „უკურეაქციის“ ნაწილად განვიხილოთ. კომუნიზმის რღვევაში იმ ყველაფრის უარყოფა იგულისხმებოდა, რაც ძველ სისტემასთან იყო დაკავშირებული, მათ შორის: კანონიერი აბორტი, დედების დახმარება, ხანგრძლივი დეკრეტული შვებულება და შრომის ბაზარზე ქალების მასობრივი ჩართულობა. ეს

19 ფოდორი, ე. (2002). მომღიმარი ქალები და მებრძოლი მამაკაცები.

20 ვორონინა, ო. (1997). საბჭოთა პატრიარქატი: წარსული და აწმყო.
ვერდერი, კ. (1994). სახელმწიფო პატრონაჟიდან ოჯახის პატრიარქებამდე: ერი და გენდერი თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპაში.

უკანასკნელი კი იმ გამონაკლისს წარმოადგენს, რითაც სოციალისტური სახელმწიფოები დასავლეთს უსწრებდნენ, თუმცა იგი ქალთა მოძრაობის „წარმატებად“ არ განიხილებოდა[21]. როგორც სლავომირა ვალჩევსკა აღნიშნავს, პირიქით, „ქალების ახლანდელ პასიურობასა და თვითორგანიზების უნარის ნაკლებობაზე“[22] პასუხისმგებლობაც ძველ სისტემას დაეკისრა. თუმცა ასეთი ნარატივი არ იძლევა 1989 წლის შემდგომი ტრანსფორმაციის ქალების წინააღმდეგ მიმართულ „უკურეაქციად“ ინტერპრეტაციის საშუალებას, რადგან ლიბერალური დემოკრატიის დამყარებასთან ერთად წარმოქმნილმა თავისუფალმა ბაზარმა ბევრი ძველ სისტემაში გარანტირებული ეკონომიკური და სოციალური უფლება გაანადგურა.

დასკვნა

თავის სტატიაში „ომი გენდერის წინააღმდეგ“ ტრანსნაციონალური პერსპექტივიდან – გაკვეთილები ფემინისტური სტრატეგიების შემუშავებისათვის“ პოლონელი სოციოლოგი ელჟბეტა კოროლჩუკი აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში ქალთა და სექსუალურ უფლებებზე ახლანდელი „უკურეაქციის“ ზენაციონალურ წარმომავლობას განიხილავს. ის ამტკიცებს, რომ „ომი გენდერის წინააღმდეგ“ არ არის მხოლოდ ადგილობრივი ფენომენი და ამჟამინდელი მემარჯვენე სტრატეგიები განხილულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, როგორც ტრანსნაციონალურ დონეზე „შემუშავებული“ რიტორიკული და პოლიტიკური ინსტრუმენტები ლგბტი პირებისა და ქალთა უფლებების მიმართულებით პროგრესის საწინააღმდეგოდ, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ძალისხმევა, რომლის მიზანიც გლობალური ეკონომიკური კრიზისითა და სოციალური უსაფრთხოების დონის დაცემით გამოწვეული შიშისა და იმედგაცრუების კონტროლია. მემარჯვენე პოლიტიკა ნამდვილად ტრანსნაციონალურია, მაგრამ როგორც ამ სტატიაში ვამბობ, მისი აღქმა მეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივ კონტექსტსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. მაგალითად, ამ სტატიაში აღწერილი პოლიტიკური დათბობისა და ტრანსფორმაციის პროცესები უდავოდ გლობალური მოვლენებია, რომლებმაც გადამწყვეტი როლი

21 გალი, ს., კლიგმანი, გ. (2000). გენდერის რეპროდუქცია: პოლიტიკა, ხალხი და ყოველდღიური ცხოვრება სოციალიზმის შემდგომ.
უოტსონი, პ. (2000). ტრანზიციის გადააზრება: გლობალიზმი, გენდერი და კლასი.
აინჰორნი, ბ., სევერი, შ. (2003). გენდერი და სამოქალაქო საზოგადოება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

22 ვალჩევსკა, ს. (1993). ქალთა ლიგა.

ითამაშეს ტრანსნაციონალური პოლიტიკის ტრანსფორმაციასა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკურ დინამიკაში; მათ ლგბტი პირებისა და ქალთა უფლებებისადმი გლობალურ მიდგომებზეც მნიშვნელოვნად იმოქმედეს. ეს მოვლენები მხოლოდ „რეგიონს“ არ შეხებია, იგი ლგბტი პირებისა და ქალთა საერთაშორისო მოძრაობების დისკუსიებისა და ახლანდელი „უკურეაქციისთვისაც“ რელევანტურია. თუ ამ მოვლენებს ადგილობრივი პერსპექტივიდან შევხედავთ და იმ ინსტიტუციურ და კულტურულ ინსტრუმენტებს გავაანალიზებთ, რომლებიც ადგილის შესაბამისად იცვლება (მათ შორის, ერთი „რეგიონის“ ქვეყნებს შორის განსხვავებების შესაბამისად, ანუ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ევროკავშირის ფარგლებს გარეთ თუ შიგნით არიან), გადამწყვეტი მნიშვნელობა ადგილებზე სათანადო სტრატეგიების ფორმულირებას უნდა მიენიჭოს. ამერიკელი აქტივისტისა და ფემინისტის – შარლოტ ბანჩის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ახლანდელ „უკურეაქციისთან“ ბრძოლისას „გლობალურად უნდა ვიფიქროთ და ადგილობრივად ვიმოქმედოთ“.

ბიბლიოგრაფია:

- აინჰორნი, ბ., სევერი, შ. (2003). გენდერი და სამოქალაქო საზოგადოება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. [Einhorn, B., Sever, Ch. (2003). Gender and Civil Society in Central and Eastern Europe. International Feminist Journal of Politics , p. 163].
- გალი, ს., კლიგმანი, გ. (2000). გენდერის რეპროდუქცია: პოლიტიკა, ხალხი და ყოველდღიური ცხოვრება სოციალიზმის შემდგომ. [Gal, S., Kligman, G. (2000). Reproducing Gender: Politics, Publics, and Everyday Life After Socialism. Princeton University Press].
- გრაფი, ა. (2003). ტალღებს შორის დაკარგულები? ფემინისტური ქრონოლოგიისა და აქტივიზმის პარადოქსები თანამედროვე პოლონეთში. [Graff, A. (2003). Lost between the Waves? The Paradoxes of Feminist Chronology and Activism in Contemporary Poland. Journal of International Women’s Studies. Vol 4 #2 April 2003, p 102].
- ვერდერი, კ. (1994). სახელმწიფო პატრონაჟიდან ოჯახის პატრიარქებამდე: ერი და გენდერი თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპაში. [Verdery, K. (1994). From Parent-State to Family Patriarchs: Gender and Nation in Contemporary Eastern Europe. East European Politics and Societies. 8:1, p. 225].

- ვალჩევსკა, ს. (1993). ქალთა ლიგა. [Walczewska, S. (1993). Liga Kobiet: Jedyna organizacja kobieca w PRL. Pełnym Głosem, 2, p. 4].
- პენი, შ. (2005). სოლიდარობის საიდუმლო. ქალები, რომლებმაც კომუნიზმი დაამარცხეს პოლონეთში. [Penn. Sh. (2005). Solidarity's Secret. The Women Who Defeated Communism in Poland. Kondratowicz. Ann Arbor: University of Michigan Press].
- სტანიშკისი, ი. (2011). თვითშეზღუდვის რევოლუცია. [Staniszkis, J. (2011). Samoograniczająca się rewolucja, Europejskie Centrum Solidarności].
- უოტსონი, პ. (1993). (ანტი)ფემინიზმი კომუნიზმის შემდგომ. [Watson, P. (1993). (Anti)Feminism after Communism. Who's Afraid of Feminism: Seeing through the Backlash, ed. Ann Oakley and Juliet Mitchell, New York: New Press, 144–62].
- ფიდელისი, მ. (2010). ქალები, კომუნიზმი და ინდუსტრიალიზაცია ომის შემდგომ პოლონეთში. [Fidelis, M. (2010).Women, Communism, and Industrialization in Postwar Poland. New York: Cambridge University Press, p. 170].
- ფოდორი, ე. (2002). მომღიმარი ქალები და მებრძოლი მამაკაცები. [Fodor, . (2002). Smiling Women and Fighting Men: The Gender of the Communist Subjecting State Socialist Hungary. Gender & Society 16:2, p. 236].
- ვორონინა, ო. (1997). საბჭოთა პატრიარქატი: წარსული და აწმყო. [Voronina, O. (1997). Soviet Patriarchy: Past and Present. Hypatia 8:4, p. 112].
- უოტსონი, პ. (2000). ტრანზიციის გადააზრება: გლობალიზაცია, გენდერი და კლასი. [Watson, P. (2000). Rethinking Transition: Globalism, Gender and Class, International Feminist Journal of Politics, 2:2, p. 185].

ემანსიპაციის ნაცრისფერი ზონა

თამარა ზლობინა

„ემანსიპაციის ნაცრისფერი ზონის“ ცნებას პატრიარქალურ საზოგადოებაში მცხოვრები ქალების მიერ შემუშავებული რამდენიმე ტიპის ტაქტიკის აღსანიშნავად ვიყენებ. როგორც ფემინისტი ფილოსოფოსი და ხელოვნებათმცოდნე პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან (უკრაინიდან), ვეცდები, აღვწერო მეთოდები, რომელთაც ქალები პატრიარქალური ზეწოლისაგან თავის დასაღწევად მიმართავენ. როგორც წესი, აქტივისტები და ექსპერტები, რომლებსაც ძირითადად დასავლეთში აქვთ განათლება მიღებული, ფემინისტურ მოძრაობად მხოლოდ პატრიარქატის წინააღმდეგ გააზრებულ დაპირისპირებას ან უფრო მეტიც – აჯანყებას თვლიან. თუმცა, ხშირად ჩვენი საზოგადოებების გამოცდილება უფრო განსხვავებულია.

დასავლეთისა და ჩვენი პოსტსოციალისტური/პოსტსაბჭოთა რეალობების შედარებამ ეს უკანასკნელი იმდენად წარუმატებლად წარმოაჩინა, რომ იმედგაცრუება და სასოწარკვეთილება გვეუფლება. ამის თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ ჩემეულ ხედვას, რომელიც საშუალო უკრაინელი ქალის ცხოვრებას ყოველი მხრიდან წარმოაჩენს. თუ გარკვეულ მოვლენებს მათივე კონტექსტიდან შევაფასებთ და არა რომელიმე თეორიული ცნების ფონზე, დავინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია ნორმიდან უმცირეს გადახვევაც კი (რომელიც სხვა მხრივ უხილავი რჩება). უკრაინაში ჯერ კიდევ უჩვეულოდ ითვლება, თუ ახალგაზრდა ქალი დაქორწინებული არ არის, არ ჰყავს შვილები ან მოკლე თმას ატარებს. დასავლეთ ევროპაში ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ უკრაინაში უბრალოდ მოკლედ შეკრეჭილი თმაც კი ბრძოლის (უხილავი ბრძოლის) შედეგი შეიძლება იყოს.

გაბედული აჯანყების, როგორც ბრძოლის ერთადერთი მეთოდის, განდიდებას ეჭვის თვალით ვუყურებ. რევოლუციები, პროტესტები, აჯანყებები, ამბოხებები და მსგავსი მოვლენები ყველას თვალში ხვდება. თვით ისტორიაც ჩვეულებრივ ომების, ამბოხებებისა და აჯანყებების თანმიმდევრობაზეა აგებული. ამგვარ ქმედებებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ძლიერი და ძლევამოსილი ადამიანები (ძირითადად – მამაკაცები) მიმართავენ, ისტორიაში თავისი ადგილი აქვს, ხოლო ძალადობა

სწორედ ის საფუძველია, რომელსაც ჰეროიკული ტრადიცია ემყარება. მიუხედავად ამისა, მოქმედებისა და ქცევის ამგვარი მოდელი ცვლილებებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა სულაც არ არის. ყოველთვის არის სხვა მიგნებები, ხედვები, ჟესტები, წინააღმდეგობის უმნიშვნელო აქტები და პირადი უფლებების დაცვის შემთხვევები, რომლებიც თვალში იშვიათად გვხვდება, მაგრამ ხანგრძლივი პროცესის შედეგად ცვლილებების მოტანა მათაც შეუძლიათ.

აქ ყურადღებას არ ვამახვილებ თვალშისაცემ ფემინისტურ გამოსვლებზე (უკრაინაში, მაგალითად, ასეთ გამოსვლებს „ფემინისტური შეტევა“, ანუ „ფემენი“ მართავს). ამის ნაცვლად ვეცდები, გავაანალიზო იდენტობის უმნიშვნელო ცვლილებები თვით ქალურობის პატრიარქალური იდეის ფარგლებში. მაინტერესებს ქალების ემანსიპაცია საფუძვლიდანვე, იმ ქალებისა, რომლებიც არც აქტივისტები არიან და არც ფემინისტების რიგებს უერთდებიან (ფემინიზმი უკრაინაში საყოველთაოდ მარგინალიზებული და დემონიზებულიც კი არის). ეს „ნაცრისფერი“ ემანსიპაცია გაცნობიერებული და აშკარად გამოხატული არ არის და პირდაპირ არც პატრიარქატს უარყოფს. ნაცრისფერი სადღაც შავსა და თეთრს შორისაა. შესაბამისად, „ნაცრისფერი ემანსიპაცია“ აღნიშნავს მოვლენას, რომელიც სადღაც პატრიარქატსა და ფემინიზმს შორისაა. ეს კარგი მეტაფორაა იმ ტიპის ცვლილებებისათვის, რომლებსაც იდეალური სიტუაციის შექმნა არ მოჰყვება, თუმცა მდგომარეობას საგრძნობლად აუმჯობესებს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ტიპური პატრიარქალური „უკურეაქციის“ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ „ნაცრისფერი ზონისადმი“ მგრძნობელობას, ანუ მისი არსებობის აღიარებასა და პოვნას იმ კავშირებისა, რომლებიც შეიძლება ფემინისტებსა და ემანსიპაციისათვის გაუთვითცნობიერებლად მებრძოლ ქალებს შორის არსებობდეს.

ამ „ნაცრისფერ ზონაში“ რომ გავერკვეთ, იმ ქალების მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები განვიხილოთ, რომლებიც ფემინისტები არ არიან, მაგრამ ემანსიპაციისაკენ მიისწრაფვიან. კერძოდ, ეს არის ოლენა ვორობიოვასა და ელმირა სიდიაკის ფოტოპროექტი და მაშა შუბინას ნახატები. ჩემი კვლევა ეფუძნება ლუკ ირიგარეს იდეას პროდუქტიული მიმესისისა და მასკარადის, როგორც ქალის სუბიექტად[1] ყოფნის, შესაძლო სცენარს. ქალების შემოქმედების განხილვისას ჰილარი რობინ-

1 ინგლ. subjectivity. ტერმინი „სუბიექტურობა“ აღნიშნავს, როგორ აღიქვამს თავის პიროვნებას თავად ქალი (სუბიექტი); რა მიაჩნია თავისი იდენტობის განმსაზღვრელად და რა მნიშვნელობებს ანიჭებს გარე ფაქტორების როლს ამ იდენტობის ჩამოყალიბებაში.

სონი აღნიშნავს, რომ ირიგარე იყენებს ტერმინების ერთგვარად განმეორებად კლასტერს – მიმი, მასკარადი, ნიღაბი, მიმიკრია, მიმესისი, რეპროდუქცია, რეპრეზენტაცია[2]. ამგვარ გამეორებას/რეპროდუქციას საზოგადოების ნორმატიულ მოთხოვნებთან მისადაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ის წინააღმდეგობრივია, რადგან მიმესისი და მასკარადი გულისხმობს, რომ სტრუქტურულად შეუძლებელია თავისუფალ არჩევანზე დამყარებული ინდივიდუალური იდენტობის არსებობა. მიუხედავად ამისა, ეს, იმავდროულად, პატრიარქალური ზეწოლისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას იძლევა და პირადი ავტონომიისათვის ქმნის სივრცეს.

მიმესისის ორი ტიპის აღწერისას ლუკ ირიგარე ამ წინააღმდეგობრიობაზე მიუთითებს: „არის მიმესისი, როგორც პროდუქცია, რომელიც შეიძლება უფრო მუსიკის სამყაროში არსებობდეს, და არის მიმესისი, რომელიც შეიძლება იმიტაციის, სარკისებრი ასახვის, გათანაბრებისა და რეპროდუქციის პროცესში გამოჩნდეს“[3]. ირიგარე მეორე პროცესს ფილოსოფიის მთელ ისტორიაში პრივილეგირებულად წარმოაჩენს და მის შედეგებს შორის ტანჯვასა და სურვილის პარალიზებას ხედავს. მიმესისის ეს ტიპი კონკრეტული კულტურული სისტემის ნაწილია და წარმოშობს ქალის იდენტობებს, რომლებიც პატრიარქალურ საზოგადოებას არის მორგებული. მეორე მხრივ, ირიგარესეული პროდუქტიული მიმესისის პირველმა ტიპმა შეიძლება შედეგად შემოქმედებითობა და წინააღმდეგობა მოიტანოს. მუსიკასთან შედარება პროდუქტიული მიმესისის როგორც პოტენციალის, ისე მისი საზღვრების გაცნობიერებაში გვეხმარება. მუსიკოსები კითხულობენ იმ ნაწარმოებს, რომელსაც ასრულებენ, ამასთან, მის ინტერპრეტაციასაც ახდენენ. სცენარის ხელახალი ინტერპრეტაციის საჭიროება მისგან დაშორების შესაძლებლობას ქმნის. ზოგ შემთხვევაში ამან შეიძლება პატრიარქალურ მოთხოვნებსა და არსებულ ფემინისტურ ქმედებებს შორის ღრმა ნაპრალი წარმოშვას. ირიგარეს თეორიული პოზიცია დაფარული პირადი მიზნების („ემანსიპაციის ნაცრისფერი ზონა“) ამოცნობის საშუალებას გვაძლევს იმ ქმედებებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, პატრიარქალურ მოთხოვნებს შეესაბამება.

კონკრეტულად რა მოთხოვნები აქვთ უკრაინელ ქალებს? საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სახელმწიფოსა და დასაქმებულ დედებს შო-

2 რობინსონი, ჰ. (2006). ხელოვნების წაკითხვა, ირიგარეს წაკითხვა: ქალების ხელოვნების პოლიტიკა.

3 ირიგარე, ლ. (1985). სქესი, რომელიც ერთი არ არის.

რის მანამდე არსებული „კონტრაქტი“[4]გაუქმდა. მას შემდეგ ქალის ორი ახალი მოდელი ჩამოყალიბდა. დისკურსი, რომელიც ეროვნულ ტრადიციებს, სულიერებასა და მორალს ეფუძნება, ყველაზე თვალსაჩინოდ ბერეჰინიას[5] პარადიგმაშია წარმოჩენილი. სახელმწიფოს ეროვნული იდეოლოგიის გავლენით, ბერეჰინიას სექსუალობა რეპროდუქციულ და ერის დამცველის ფუნქციამდე დავიდა. მეორე დისკურსმა კი ქალების სხეულისა და სექსუალობის მუდმივი კომერციალიზაციის/ექსპლოატაცის გზით შექმნა ბარბის პარადიგმა. ორივე შემთხვევაში ქალის ახალი მოდელი მამაკაცების სასარგებლოდ შეიქმნა და მიზნად დაისახა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურების ისეთი ფართო სპექტრის გაწევით, როგორებიცაა: შთამომავლობის რეპროდუქცია და მისი გამოკვება, აღზრდა და სექსი. როგორც ოქსანა კისი[6] ამბობს, საჯარო დისკურსში ამჟამად ორივე ასპექტია წარმოდგენილი და ეს ახალგაზრდა ქალების სოციალიზაციისათვის ორმაგ სტანდარტებს ქმნის. უკრაინაში ქალად ყოფნა ამ საპირისპირო მოდელების რაღაცნაირად გაერთიანებასა და „სუპერქალის“ იდენტობის მორგებას გულისხმობს. ისინი უნდა იყვნენ დედები, ოჯახური კერიის მცველები, ლამაზმანები და მარჩენლებიც. ეს ბოლო როლი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან არც ისე ბევრ უკრაინელ ქალს შეუძლია თავს უფლება მისცეს, იყოს უბრალოდ დიასახლისი, რომელსაც ქმარი არჩენს (თუმცა სიმბოლურად საქმე ხშირად სწორედ ასეა).

ქალებისთვის, როგორც თვითკმარი არსებებისთვის, სხვა ალტერნატიული მოდელი არ არსებობს. ყველაზე ცნობილი მდედრობითი სქესის საჯარო პირები ბერეჰინიასა და ბარბის მოდელების ვარიაციებს ასახიერებენ შესაბამისი რიტორიკითა და გარეგნობით. ამ დრომდე უკრაინის ყველაზე ცნობილი მდედრობითი სქესის პოლიტიკური ლიდერი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო ორივე როლს შეგნებულად იყენებს. ის ხშირად ჩნდება საჯაროდ ტრადიციული უკრაინული ვარცხნილობით, ნაწნავითა და ეროვნული

4 გენდერული იდეოლოგიის კონფიგურაციები 1990-იან და 2000-იან წლებში დეტალურად იქნა გაანალიზებული შემდეგ ნაშრომში: ჟურჟენკო, ტ. (2008). უკრაინა გენდერულ ჭრილში: ერის მშენებლობის პოლიტიკა.

5 სლავურ მითოლოგიაში ბერეჰინია მდედრობითი სქესის სულია, რომელიც კერიასთან და ოჯახთანაა დაკავშირებული. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ პერსონაჟმა ნაციონალისტური ტრანსფორმაცია განიცადა და დღეს ხშირადაა წარმოდგენილი, როგორც კერიისა და ოჯახის, ასევე – უკრაინელი ერის დამცველის სიმბოლოდ.

6 კისი, ო. (2005). არჩევა არჩევანის გარეშე. ფემინურობის დომინანტური მოდელები თანამედროვე უკრაინაში.

სამოსით, მაგრამ, ამასთან, ცნობილია, რომ ძვირადღირებული დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმელიც ხშირად აცვია. 2007 წელს ის ჟურნალ „ელის“ ყდაზეც კი აღმოჩნდა. თუმცა ახალგაზრდა ქალისათვის უკრაინაში კაცი/ქმარი ცხოვრების მწვერვალად უნდა ითვლებოდეს. წარმატებული პროფესიული კარიერა ქალისათვის არასასურველადაა მიჩნეული, ფინანსური დამოუკიდებლობა კი ქალურობად არ ეთვლება. მამაკაცი მიჩნეულია სხვა კაცებისგან დამცველად (ძალადობისა და სექსუალური ჩაგვრის დონე უაღრესად მაღალია), ხოლო სექსუალურ აქტიურობას ქალს საზოგადოება უწესობად უთვლის. ერთადერთი გზა, რომლითაც ქალს თვითრეალიზაციის საშუალება ეძლევა, ცოლობა და დედობაა.

დღეს ახალგაზრდა უკრაინელი ქალების სოციალიზაცია დამოუკიდებელ ქვეყანაში ახალი კონფიგურაციის გენდერული როლების ფონზე ხდება; ისინი ბერეჰინიასა და ბარბისთან ერთად იზრდებიან. გარკვეული ფართოდ ცნობილი ფემინისტური ალტერნატივა ამ კონფიგურაციას არ აქვს, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ზოგადად უკრაინელი ქალები ამჟამად არსებული მდგომარეობით კმაყოფილი არიან?

2012 წლის დეკემბერში გამოფენაზე „მოდელის დეტალების ნაკრები

ქალის ასაწყობად“ (გალერეა ჩ/ბ 5x5, ლვოვი), გამოფენილი იყო ელმირა სიდიაკის ფოტოები და ოლენა ვორობიოვას ტექსტები და დოკუმენტურად ნაჩვენები 1980-იან წლებში დაბადებული უკრაინელი ქალების პირადი ცხოვრება. დაბადების წლები მიანიშნებდა, რომ მათ საბჭოთა კავშირში ცხოვრების მცირე ან არავითარი გამოცდილება აქვთ. ფოტოებზე ქალები საცვლების ამარა, შინაურ გარემოში ჩანდნენ, ხოლო მოკლე ტექსტები მათი ცხოვრების, ოცნებებისა და სურვილების შესახებ მოგვითხრობდა. დახეული ფოტოები კოლაჟის სახით იყო აწყობილი, ხოლო გამოსახულების მთავარ ნაწილებს შორის დიდი ნაპრალები იყო დატოვებული. თეთრ ფონზე შექმნილი ეს ნაპრალები ნაშრომის სტრუქტურული ნაწილი იყო და მიანიშნებდა, რომ ქორწინებაზე, სილამაზეზე, საოჯახო საქმესა და ბავშვებზე კონცენტრირებული ტიპური ქალის ცხოვრების ზედაპირს მიღმა კიდევ რაღაც არის. ეს შეუცნობელი რაღაც იმდენად ძლიერია თავის უტყუარობითა და საზღვრების გადალახვის წყურვილით, რომ ჩვეულებრივი რეალობა განადგურებულია. საშიშროება ემუქრება „ქალურობის“ დაუკმაყოფილებელ, ფარისევლურ და დესტრუქციულ კულტურულ კონსტრუქტს, რომელსაც ქალები იძულებით ბაძავენ, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი მიზნები დაისახონ და დამოუკიდებელი შემოქმდებითი უნარები აღმოაჩინონ.

გვხვდება ქალთა ცნობიერების უმნიშვნელო, თუმცა ადვილად შესამჩნევი ამაღლება, რადგან ქალის აუცილებლად შესასრულებელ როლზე მათ გული სულ უფრო უცრუვდებათ და ილუზიებიც უქრებათ. ტექსტებისა და სურათების კომბინაციები სწორედ ამ გაუცნობიერებელ გაურკვევლობას გამოხატავს. ამ ფოტოებზე ქალის სხეული, ფაქტობრივად, არ არის ან თუ არის, მხოლოდ შიშველი, ხშირად ახლოდან დანახული შინაური ვითარების (მაგალითად, სამზარეულოს) ფონზე, ამიტომ, ფაქტობრივად, ახლომდებარე საგნებისაგან მისი გარჩევა შეუძლებელია. სახეები დაჩრდილულია (ხშირად კონფიდენციალობის დაცვის მიზნით), ხოლო თვალები (სუბიექტურობა) არ ჩანს. ვაგინის ფორმის თეთრი ლაკუნები დაჟინებით წარმოაჩენს ქალის სუბიექტურობას, რაც სიმბოლური პატრიარქალური წყობის ქვეშ დაფარული ქალურობის განხილვის შეუძლებლობაზე მიგვანიშნებს.

ოლენა ვორობიოვასა და ელმირა სიდიაკის პროექტი გვიჩვენებს, რომ უკრაინელი ქალები ბერეჰინიასა და ბარბის როლებითა და ალტერნატივის უქონლობით უკმაყოფილონი არიან. მეორე მხრივ, მაშა შუბინას ნახატები წინააღმდეგობის შესაძლო ტაქტიკასა და ალეტერნატივების გაუცნობიერებელ ძიებაზე მიგვითითებს.

„მოდელის დეტალების ნაკრები ქალის ასაწყობად“, ელმირა სიდიაკის ფოტოები და ოლენა ვორობიოვას ტექსტები
(გალერეა ჩ/ბ 5x5, ლვოვი, 2013 წ.)

შუბინა არ ამბობს, რომ ფემინისტია, იგი არც გენდერული საკითხებით დაინტერესებას ამჟღავნებს, თუმცა მისი შემოქმედება ქალის გამჭრიახობითაა გამსჭვალული. 2005 წლიდან მისი პროექტები ავტოპორტრეტებს ემყარება[7]. ნამუშევრებში „ავტოპორტრეტი“ (2005 წ.), „ჩემი ძვირფასი მეურვე“ (2006 წ.), „ფრენსისი. ოცნებებიდან“ (2007 წ.) და „ციფრული ნარცისიზმი“ (2007 წ.) მან თითქმის იდენტური მასალა და ავტოპორტრეტის საფუძველზე შექმნილი ფოტოები გამოიყენა, შემდეგ მათი ციფრული ვარიანტები შექმნა და ინტერნეტში პარტნიორების საძიებელ ვებგვერდებზე დადო. შუბინა აცხადებდა, რომ ამ გვერდებს ის იყენებდა იმ მეურვის მოსაძებნად, რომელიც კარიერულ წინსვლაში დაეხმარებოდა. გამოფენებზე ნახატებთან ერთად ვებგვერდებზე შემოსულ ხალხთან გამართული დიალოგებიც იყო გამოფენილი.

7 იხ. მხატვრის ვებგვერდი: www.shubinamasha.com.

მაშა შუბინა. „ციფრული ნარცისიზმი“ (გამოფენიდან „თაობები UsA“, კიევი, პინჩუკის სახელობის ხელოვნების ცენტრი, 2007 წ.)

როცა ავტოპორტრეტებზე თავს გლამურულ ლამაზმანად წარმოაჩენს, შუბინა ქალის მიმართ არსებული სოციალური მოთხოვნის მიმიკრიას აკეთებს და, იმავდროულად, თავად ირგებს ე.წ. „მამაკაცის მზერას“ , რითაც საკუთარი სურვილის ობიექტი ხდება. ამ გაუცნობიერებელი პარტიზანული მასკარადის გამათავისუფლებელი პოტენციალი საკმაოდ შეზღუდულია. უთვალავი ავტოპორტრეტის მეშვეობით შუბინა არ ეძებს ქალის სუბიექტურობის შექმნისა და სიმბოლური პატრიარქალური წესრიგის დანგრევის სტრატეგიულ გზებს, მაგრამ მას თავისი ნაშრომების შემქმნელისა და მომხმარებლის პოზიცია ერთდროულად უჭირავს. შუბინა საკუთარი მზერის მასკულინურ მზერასთან იდენტიფიკაციას ახდენს, სქესობრივ საზღვრებს ლახავს, მამაკაცის სურვილს გამბედავად იჭერს და ამით ტკბება. მისი მასკარადი თავისუფალ სივრცეს წარმოშობს: ქალურობა ისეთი რამაა, რაც შეიძლება „მოირგო“. შესაბამისად, თეორიულად მისი „მოშორებაც“ შესაძლებელია, თუმცა ეს პატრიარქალურ წესრიგში მოქცეული „სურვილის“ გაქრობასაც გულისხმობს. ასეთი მასკარადი წარმოქმნის „ტრანსგრესულ ორმაგობას, ალტერნატიულ სურვილებსა და „ქალურობის მითებისგან“ (ქალი, როგორც პასიური, გულისხმიერი, მლიქვნელი) გათავისუფლებისთვის კრიტიკულად საჭირო სივრცეს[8]. პატრიარქატისთვის ეს დაფარული საფრთხე და „მზერის“ მასკულინური სისტემის მორყევაა. ამავდროულად, მორჩილებასა და მსახურებაზე უარის თქმის შეფარული ტაქტიკაა.

8 ფლეთჩერი, ჯ. (1988). მასკარადის ვერსიები.

მაშა შუბინა, „გოგონას თამაში“, 2006 წ.

შუბინას ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნამუშევარია „გოგონას თამაში“ (2006 წ.). აქ ავტორი საბედისწერო ქალის, ანუ femme fatale-ს სახეს ქმნის, ხოლო ფეხბურთის ბურთი ფეხმძიმობის (ფიზიკური და კულტურული რეპროდუქციის) ასოციაციაა. მთავარ გმირს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია, „მუცელს“ ღამის პერანგით ფარავს და მნახველს გამომწვევი მზერით უცქერს. ეს ყველაფერი ქალისათვის დასაშვები ქცევის საზღვრებს საკმაოდ სცდება, რადგან გოგონა არც მოსიყვარულეა და არც თავის ბუნებრივ „მისიას“ ასრულებს: პირიქით, ის აშანტაჟებს. ფეხბურთის ბურთი, ერთ-ერთი ყველაზე მამაკაცური თამაშის სიმბოლო, იმაზე მიანიშნებს, რომ ის თავს ჯილდოდ კი არა, თამაშის მონაწილედ აღიქვამს. ავეჯი (სკამი და ტორშერი) გამომსახველობას მოკლებულია. ოჯახურ სიმყუდროვეზე, ბედნიერებაზე ან დედობის სიხარულზე არაფერი მიუთითებს. ქალი უარს აცხადებს მამაკაცის ან ერის სამსახურში ჩააყენოს თავისი რეპროდუქციული ბუნება და ამით გაიხაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეიძლება ბერეჰინიას ან ბარბის ჰგავდეს, მაგრამ ამ მოდელებით ნაკარნახევი გენდერული როლების შესრულება ნამდვილად არ სურს. ამის ნაცვლად ის ჯილდოს ითხოვს. არ ელოდება მამაკაცის „მზრუნველობას“, თავის მოთხოვნას აყენებს და მიზანსაც აღწევს.

შუბინას ნამუშევარზე გამოსახული ფიგურა „სტერვაა“ (femme fatale-ისა და bitch-ის[9] თემის პოსტსაბჭოთა ვარიანტი), რომელიც პატრიარქალური „უკურეაქციის: კონტექსტში ქალების მიერ შექმნილი წინააღმდეგობრივი გენდერული მოდელია. ინტერნეტფორუმზე http://matriarchat.ru/ (და ბევრ სხვა ადგილას) შეხვდებით სხვადასხვა რჩევას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ქალები, რომ მამაკაცებისაგან რაც შეიძლება მეტი მიიღონ (ყურადღება, რომანტიკული ვახშამი, არდადეგები, ძვირადღირებული საჩუქრები) და ემოციურად ან საოჯახო საქმის კეთებით არ ემსახურონ. ვებგვერდის მკითხველები ერთმანეთს უზიარებენ ტექნიკას, თუ როგორ შენიღბონ საჩუქრების მოთხოვნა და პრაგმატულად განიხილავენ პარტნიორთან ურთიერთობებს. „სტერვას“ მოდელი ქალებს საშუალებას აძლევს, მიზნები დაისახონ და მათი მიღწევის გზებიც გამონახონ, ეს კი განსხვავდება საზოგადოების მიერ აუცილებლად მიჩნეული პასიურობისა და მსახურებისაგან. „სტერვას“ მოდელის პოპულარობა (მიუხედავად უკრაინულსა და რუსულში ამ სიტყვისათვის დამახასიათებელი ძალიან უარყოფითი კონოტაციებისა) გვიჩვენებს, თუ რამდენად უკმაყოფილო არიან ქალები ახლანდელი გენდერული მოდელებით და როგორ გამოიხატება მათი ბერეჰინიასა და ბარბის მოდელებისაგან განსხვავებული ქალურობა.

ფემინისტის თვალთახედვით, „სტერვას“ მოდელი ზოგადად ჩაგვრის კიდევ ერთ საშუალებად აღიქმება, რადგან ის ქალურობის პატრიარქალურ წარმოდგენებს პირდაპირ არ უპირისპირდება. მიუხედავად ამისა, ამ მოდელს აქვს ისეთი მახასიათებლებიც, რომლებიც „ემანსიპაციის ნაცრისფერ ზონაში“ მის მოთავსებას შესაძლებელს ხდის. პირველი: ეს არის ქალებისთვის ქალების (და არა მამაკაცების, ნაციონალიზმის ან კაპიტალიზმის) მიერ შექმნილი მოდელი. მეორე: ის უარს ამბობს ქალის პატრიარქალურ ხედვაზე, რომლის მიხედვითაც, იგი მორჩილი და მსახურებისთვის გამზადებული უნდა იყოს. „სტერვა“ შეიძლება შეგნებულად ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ ამ მასკარადის უკან თავის მიზნებს მალავს. შესაბამისად, „სტერვას“ მოდელი ქალს შესაძლებლობას აძლევს, ჩაგვრის საშუალებები დამცავ ფარად გამოიყენოს.

ამგვარი ტაქტიკის პოზიტიური შედეგები ჩანს შუბინას ინსტალაციაში „მარია. ჩემი რელიგია თავად ვარ“ (კიევი, პინჩუკის სახელობის

9 ინგლ.: ძუკნა, ავი ქალი.

მაშა შუბინა. „მარია. ჩემი რელიგია თავად ვარ“, 2009 წ.

ხელოვნების ცენტრი, 2009 წ.), რომელმაც პრიზი დაიმსახურა. ინსტალაცია შედგება ნეონის ნათურებით განათებული ჯვრისგან, რომელზეც ავტორის 22 ავტოპორტრეტია განთავსებული. სურათებზე ავტორს სხვადასხვა ტანისამოსი აცვია და ვარცხნილობაც სხვადასხვაგვარი აქვს. ჯვარს ემატება ტელევიზორი, რომელიც ანთებულ საეკლესიო სანთლებს უჩვენებს. „ისტერიული“ გაზვიადებითა და ქალისათვის წაყენებული მოთხოვნების გადაჭარბებით შესრულების გამოყენებით შუბინა სიმბოლურ პატრიარქალურ წყობაში პატარა ავტონომიურ სივრცეს აგებს. ამ პოზიციიდან მას უკვე შეუძლია ისეთ უძლიერეს პატრიარქალურ ინსტიტუციაზეც კი მიიტანოს იერიში, როგორიც ეკლესიაა და თავისი მრავალი გამოსახულებით ერთი მასკულინური ღმერთი შეცვალოს. ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ თავის მამაკაც ღმერთს რეპროდუქციული და სექსუალური შესაძლებლობებით (ბერეჰინიასა და ბარბის სტილში) ემსახუროს, ის ამტკიცებს, რომ თვითონაა მოქმედი პირი და მამაკაცებს აიძულებს, მას ემსახურონ.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში დაბადებული ქალების თაობა უკრაინის საჯარო სივრცეში ახლა შემოდის. ახალგაზრდა უკრაინელი ქალების სოციალიზაცია სექსისტური სტერეოტიპების მიღებასა და უარყოფასთან ერთად ხდება, რადგან მათ არც

საკუთარი იდენტობის შექმნის რესურსები აქვთ და არც ქალის ალტერნატიული მოდელების მაგალითები. ამდენად, ისინი არჩევანის წინაშე დგანან: ან უნდა დაეთანხმონ პატრიარქალური ნეოლიბერალური ეკონომიკის, კონსერვატიული სახელმწიფოსა და სიმულაციური დემოკრატიის რეპრესიულ წესებს, ან მუდმივი ექსპერიმენტების მეშვეობით კერძო და საჯარო სივრცეებში სახალხო პოლიტიკის სრულიად ახალი სპექტრი შექმნან. ასეთი პოლიტიკა ხშირად აშკარად ფემინისტური არ არის, მაგრამ როგორც „სტერვას“ მოდელი გვიჩვენებს, არც მთლად პატრიარქალური ხასიათისაა.

ლუკ ირიგარე მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ქალის სუბიექტურობის შექმნისათვის მსოფლიოს ყველა ქალს მუდმივი ემანსიპაცია, ექსპერიმენტები და შემოქმედებითი მიდგომა მოეთხოვება. ამიტომ მან კონკრეტული სცენარების შეთავაზებისაგან თავი შეიკავა. მეც ასე მოვიქცევი. როგორც ფემინისტი აქტივისტი, ხშირად ვამჩნევ, როგორ რჩება შეუმჩნეველი წინააღმდეგობის მცირე აქტები და საკუთარი ძალისხმევით გაძლიერების შემთხვევები. სანაცვლოდ, უპირატესობა ენიჭება ამბოხის პირდაპირ ფორმებს. ამ ნაშრომში ვცადე, მეჩვენებინა, რომ ამბოხი და პატრიარქალურობის პირდაპირი უარყოფა ემანსიპაციის ერთადერთი ფორმა არ არის. ქალების შემოქმედება იმის მაგალითია, თუ რამდენად ეფექტიანი შეიძლება იყოს ნორმიდან მცირე გადახვევა და შეფარული მეთოდების გამოყენება. ქალების ხელოვნებასთან დაკავშირებული პროექტების ყურადღებით წაკითხვა და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინება, ასევე ფემინურობის გენდერულად განსაზღვრულ ნორმებზე დაკვირვება, წარმოაჩენს დიდ „ნაცრისფერ ზონას“ პატრიარქალურ ჩაგვრასა და ქალების გათავისუფლებას შორის, რაც ფემინისტებმა ცრურწმენების გარეშე უნდა აღიარონ. გლობალური პატრიარქალური „უკურეაქციის“ კონტექსტში ემანსიპაციის ეს „ნაცრისფერი ზონა“ სხვადასხვა მიზნის მქონე ქალებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სივრცედ უნდა განიხილებოდეს.

ბიბლიოგრაფია:

- ირიგარე, ლ. (1985). სქესი, რომელიც ერთი არ არის. [Irigaray, L. (1985). This Sex Which Is Not One. Cornell: Cornell University Press, p. 131].
- კისი, ო. (2005). არჩევა არჩევანის გარეშე. ფემინურობის დომინანტური მოდელები თანამედროვე უკრაინაში. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: https://www.academia.edu/1397854/Choosing_Without_Choice_Dominant_Models_of_Femininity_in_Contemporary_Ukraine. [Kis, O. (2005).Choosing Without Choice: Dominant Models of Femininity in Contemporary Ukraine. Gender Transitions in Russia and Eastern Europe. Hurd, M. Carlback, H. and Rastback, S. (eds.). Gondol in Publishers, Stockholm. P. 105-136].
- ჟურჟენკო, ტ. (2008). უკრაინა გენდერულ ჭრილში: ერის მშენებლობის პოლიტიკა. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.ehu.lt/uploads/files/book/docs/GenderRynkiUkraine_52de75e965777.pdf [Журженко, Т. (2008). Гендерные рынкиУкраины: политическая экономия национального строительства. ЕГУ, Вильнюс].
- რობინსონი, ჰ. (2006). ხელოვნების წაკითხვა, ირიგარეს წაკითხვა: ქალების ხელოვნების პოლიტიკა. [Robinson, H. (2006). Reading Art, Reading Irigaray: the Polititcs of Art by Women. London: I.B.Tauris & Co Ltd., p.17].
- ფლეთჩერი, ჯ. (1988). მასკარადის ვერსიები. [Fletcher, J. (1988). Versions of Masquerade. Melodrama and Transgression, Screen. Vol.29, no. 3, 43–71, p. 55].

გენდერული პრობლემები უკრაინაში: ევრომაიდნის პროტესტები – პატრიარქალური თუ ეგალიტარიანული?

თამარა მარცენიუკი

ევრომაიდნის საპროტესტო აქციებმა, რომლებიც უკრაინაში 2013-2014 წლებში გაიმართა, საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტიკაზე ძლიერ იმოქმედა. ქალები ამ მოვლენებში არა მხოლოდ „მხარდამჭერების", არამედ რევოლუციის „შემოქმედების" როლშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, უკრაინულ საზოგადოებაში ქალს მტკიცედ დამკვიდრებული ადგილი მაინც არ აქვს. არსებობს თუ არა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ქალს, როგორც გადაწყვეტილებების მიმღებსა და აქტივისტს, საშუალებას მისცემდა, საჯაროდ „ხილული" გამხდარიყო? როგორ აღიქვა საზოგადოებამ ქალის მონაწილეობა ევრომაიდნის მოვლენებში? არის თუ არა ნაციონალისტურ ნიადაგზე მომხდარი რევოლუცია აუცილებლად პატრიარქალური, ან შესაძლებელია თუ არა მასში ქალის თანასწორი მონაწილეობა?

ქალი უკრაინის საჯარო დისკურსში

ევრომაიდანში ქალების მონაწილეობა და ამ პროცესების გაშუქება საინფორმაციო საშუალებებით, უკრაინაში ქალების სოციალურ მდგომარეობას კარგად ასახავს. ეს ნაშრომი ქალის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროში უკრაინაში ამჟამად (2014 წლისათვის) არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვაა.

უკრაინაში გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისა და ქალის უფლებების გაძლიერების საქმეში ძირითადი მიღწევები და არსებული წინააღმდეგობები განიხილეს გენერალური ასამბლეის 23-ე საგანგებო სესიაზე (2000 წ.), „პეკინის დეკლარაციის შესრულების ეროვნული მიმოხილვა და სამოქმედო პლატფორმა" (1995 წ.) და 2014 წლის აპრილში ორგანიზაცია „გაეროს ქალების" მიერ პეკინის დეკლარაციის მიღების

20 წლისთავისადმი (2015 წ.) მიძღვნილ ანგარიშში[1]. მათში ნახსენებია სამი უმთავრესი მიღწევა: გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩოები, გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ქალების უფლებების გაძლიერება და მათთვის გენდერული განათლების უზრუნველყოფა. თუმცა, ამასთან ერთად, არის გადაუჭრელი პრობლემებიც, მაგალითად, სოციალურ და საჯარო ცხოვრებაში ქალების წარმომადგენლობის დაბალი დონე, გენდერული დისკრიმინაციის შესახებ ცნობიერების ნაკლებობა და ქალის როლის ზრდისათვის აუცილებელი ყოვლისმომცველი სტრატეგიის არქონა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა მოწყვლადი ჯგუფების (ვინც ორმაგი ან სამმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლია, მაგალითად, ბოშების, ლესბოსელების, ტრანსგენდერების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, შიდსით დაავადებულების, პატიმრებისა და ნარკომანების) მხარდაჭერა[2] დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ქალის უფლებების შესახებ საჯარო დისკურსში მარგინალიზებული ქალების პრობლემები თითქმის არასოდეს განიხილება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით მიღწეული წარმატების შედარება მოცემულია ყოველწლიურ „გენდერული უთანასწორობის გლობალურ ანგარიშში“, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს[3]. მართალია, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, ასევე შრომის ბაზარზე ქალების ჩართულობის მხრივ უკრაინას საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ საკმაოდ ცუდი სურათია[4]. საპარლამენტთაშორისო კავშირის მონაცემთა ბაზის თანახმად, ქალი პარლამენტარების რიცხვით უკრაინა 190 ქვეყნიდან 127-ე ადგილზეა[5]. დამოუკიდებლობის ოცზე მეტი წლის განმავლობაში პარლამენტარი ქალების

1 2014 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.unece.org/fileadmin/DAM/Gender/publication/NV111.07_att1_att2_att3_merged.pdf

2 იქვე, გვ. 43.

3 მსოფლიოში გენდერული უთანასწორობის შესახებ ანგარიშის შედგენა 2006 წელს ნაწილობრივ იმ მიზნით დაიწყო, რომ დადგენილიყო გენდერული თანასწორობის დონე კონკრეტულ ქვეყნებში და დროთა განმავლობაში მათ მიერ ამ მხრივ მიღწეული პროგრესი. ანგარიშებში ფასდება 136 ქვეყნის მონაცემები გენდერული უთანასწორობის ოთხ უმთავრეს ასპექტში (ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა და შესაბამისი შესაძლებლობები, მიღწევები განათლების დარგში, ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა და პოლიტიკური ძალაუფლება).

4 ჰაუსმანი, რ. (2013). გენდერული უთანასწორობის გლობალური ანგარიში.

5 2014 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.ipu.org/wmn-e/world.htm.

წილი უმაღლეს რადაში (უკრაინის პარლამენტში) 10%-ზე მეტი არასოდეს ყოფილა.

უკრაინის პოლიტიკასა და შრომის ბაზარზე გენდერული სეგრეგაცია (როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური) სერიოზული პრობლემაა. ქალებს ცოტა ფული და ნაკლებად ინტენსიური სოციალური ქსელები აქვთ, ხოლო გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, კიდევ უფრო აძლიერებს პატრიარქალურ შეხედულებას, რომ „ქალს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება“[6]. მეტიც, უკრაინელი ქალებისაგან ძირითადად ორი როლის შესრულებას მოელიან: „იყვნენ ლამაზები და გახდნენ დედები“[7]. ამ სიტუაციაში სხვა როლების შესრულება ძნელია, განსაკუთრებით – არეულობისა და კონფლიქტების ხანაში.

გენდერი, ერი და რევოლუცია: რამდენიმე თეორიული საკითხი

სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში წარმოიქმნება შემდეგი დილემა: როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეროვნული და გენდერული იდენტობები – ფემინიზმი და ნაციონალიზმი. რამდენიმე დისკუსია ამ საკითხზე ფემინისტ მეცნიერებსა და აქტივისტებს შორის ამჟამადაც მიმდინარეობს.

გენდერული როლების განსაზღვრა ხშირად ორ დაპირისპირებულ უკიდურესობას შორის ხდება. ესენია „პირადი“ და „საჯარო“ სივრცეები, რომელთაგან პირველი, ტრადიციულად, ქალის, ხოლო მეორე – კაცის სამყაროდ განიხილება. ე. წ. „გრანდ ნარატივში“[8] ისტორია „მამაკაცების ამბებადაა“ მიჩნეული, რადგან მასში მომხდარი უმთავრესი მოვლენები ძალადობასა და ბრძოლებთანაა დაკავშირებული, ხოლო რევოლუციები ძალადობის დიად აქტებად განიხილება. მასში მონაწილე ქალებს ივიწყებენ, ხოლო გულადი მამაკაცებისათვის ქება-დიდების შესხმა ნორმად ითვლება, რადგან ისინი ქვეყნისათვის თავის გასაწირად მზად არიან.

6 მარცენიუკი, თ. (2012). უკრაინის მეორე ნახევარი. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://postsovietpost.stanford.edu/discussion/ukraines-other-half.

7 კისი, ო. (2005). არჩევა არჩევანის გარეშე. ფემინურობის დომინანტური მოდელები თანამედროვე უკრაინაში.

8 ინგლ.: grand narrative. ტერმინი ჟან-ფრანსუა ლიოტარის მიერ არის დამკვიდრებული და გულისხმობს ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც იდეოლოგიზირებული და ინსტიტუციანალიზებულია.

ამგვარად, ქვეყანისათვის ქალის როლი ძირითადად რეპროდუქციასთანაა დაკავშირებული, ხოლო მამაკაცები დამცველებად მოიაზრებიან. ასეთ გენდერულ როლებს პატრიარქალურს ან სექსისტურს ვუწოდებ, რადგან ის ქალების უმეტესობას და მამაკაცების გარკვეულ ჯგუფებს მარგინალურ პოზიციაში აქცევთ.

სტატიაში „მოგზაური ფემინისტური აზრი: განსხვავებები და ტრანსკულტურულობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ფემინიზმში“[9] ალეინ სერვონკა წერს დასავლური თეორიების აღმოსავლეთი ევროპისთვის დამახასიათებელ კულტურულ გარემოში გადატანის პრობლემაზე. აქ იგულისხმება, რომ აღმოსავლეთი ევროპა დასავლეთისაგან მაინც განსხვავდება, რასაც სერვონკა განსხვავებული პოლიტიკური სისტემებითა და გამოცდილებით ხსნის. სერვონკა დასავლურ ფემინისტურ თეორიას ჰეგემონიურს და ძლიერს უწოდებს, და მას უპირისპირებს აღმოსავლურს, რომელსაც მარგინალურად მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, სერვონკა ხედავს არჩევანის თავისუფლებას დაქვემდებარებული ჯგუფის უნარში, არსებული თეორიებიდან და მეთოდებიდან საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად გააკეთოს არჩევანი.

აქვე დავძენთ, რომ იმავე არჩევანის თავისუფლება რევოლუციების ან კონფლიქტების დროს ქალების აქტივიზმითაც გამოიხატება. ასეთი მოვლენები დამოუკიდებლად მოქმედებისა და იმ საკითხების წამოჭრის საშუალებას იძლევა, რომლებიც უწინ არ განიხილებოდა. ჩვენი აზრით, ასეთი სიტუაციები მამაკაცების სფეროში „შეჭრის“ შანსია ქალებისათვის, ამის მაგალითებს კი ქვემოთ განვიხილავ. ვფიქრობთ, ფემინიზმის უპირველესი მიზანი ინკლუზიურობაა და, ამდენად, იგი „ნამდვილი“ თუ „ყალბი“ პროტესტების კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ. ნარინჯისფერი რევოლუციის დროს ქალები რევოლუციის წინამძღოლი კაცების „დამხმარეებად“ მიიჩნეოდნენ, ხოლო ევრომაიდნის დროს ქალები (და მამაკაცებიც) წინამძღოლების ადგილას იდგნენ. ამგვარ ინკლუზიურობასა და ქალების შანსს, თვითონ შეარჩიონ საკუთარი როლი, ეგალიტარიანულს ან ემანსიპატორულს ვუწოდებდი.

სანამ გავაგრძელებდეთ, ერთ შენიშვნას გავაკეთებ: ჩემი განმარტება გულისხმობს იდეალს, რომელიც რეალურ ცხოვრებაში შეიძლება ძნელად მისაგნები იყოს.

9 ცერვონკა, ა. (2008). მოგზაური ფემინისტური აზრი: განსხვავებები და ტრანსკულტურულობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ფემინიზმში.

ქალები და ევრომაიდნის პროტესტები: პატრიარქალური ცნებები

საპროტესტო აქციების დასაწყისში (2013 წლის 7-8 დეკემბერი) ჩატარებული კვლევის თანახმად[10], აქციაში მონაწილე ადამიანების თითქმის ნახევარი (44%) ქალები იყვნენ. მოგვიანებით, როცა ევრომაიდანი პარამილიტარისტული გახდა (ბარიკადებითა და რაზმებად დაყოფილი მონაწილეებით), მოედანზე მუდმივად მყოფი ქალების წილი 12%-მდე დაეცა (2014 წლის თებერვლის დასაწყისში ჩატარებული კვლევის თანახმად)[11].

პატრიოტიზმი ევრომაიდანზე გენდერული სეგრეგაციის ელემენტებს შეიცავდა. კვლევაში „გენდერი და ნაციონალიზმი მაიდანზე“[12] ოლესია ხრომეიჩუკი წერს:

> „ქალაქის მთავარი მოედანი საჯარო რევოლუციური მოქმედების, პატრიოტიზმისა და გმირობის სივრცედ იქცა. მოქმედი პირები იქ სხვადასხვაგვარად, მათი სქესიდან გამომდინარე იქცეოდნენ და საზოგადოებაც აქციის მონაწილეების ქმედებებს სქესის შესახებ ტრადიციული წარმოდგენების მიხედვით აფასებდა“.

ერთ-ერთ პლაკატზე ეწერა: „ერი მანამ იარსებებს, სანამ იქნებიან კაცები, რომლებიც მას დაიცავენ“. ევრომაიდნის საყოველთაო აღქმაში ასეთი მიდგომა საკმაოდ ტიპურია: ბარიკადები, მოლოტოვის კოქტეილები, ბრძოლები, კოცონები და გმირების დაღუპვა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუცია ძალადობის განდიდებად გარდაისახა.

პატრიარქალური დისკურსისათვის ევრომაიდანზე ქალების როლი დედით (მზრუნველი და მშველელი) ან ლამაზი ობიექტით (გმირობის შთამაგონებელი) შემოიფარგლებოდა. ზოგი ცნობილი ქალი – პოლიტიკოსი ან საჯარო პირი – შეიძლება აღქმულიყო „ერის დედის“ ვერსიად (რუსლანა, დოქტორი ოლგა ბოგომოლეცი). ის, რომ საჯარო დისკურსში ქალები არ ჩანდნენ (ან ცუდად ჩანდნენ), ისტორიული ფაქტებით ბევრჯერ დადასტურებულა. ამ მხრივ არც მაიდანი ყოფილა გამონაკლისი. ესეში „სად არიან უკრაინელი ქალები?“ ოლესია ხრომეიჩუკი ამბობს:

10 მაიდანი 2013: ვინ დგას, რატომ და რისთვის? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://kiis.com.ua/?lang=ukr&cat=reports&id=216&page=7.

11 მდგომარეობა მაიდანზე: რა შეიცვალა? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://kiis.com.ua/?lang=ukr&cat=reports&id=226&page=6.

12 ხრომეიჩუკი, ო. (2014). გენდერი და ნაციონალიზმი მაიდანზე.

„მიშელ ობამას მიერ უკრაინელი პოპმომღერლისა და მაიდანზე პროტესტის ხატის, რუსლანა ლიჟიჩკოსათვის „მამაცი ქალის“ ჯილდოს გადაცემა, თითქმის შეუმჩნეველი დარჩა“[13].

ქალები მათ შორის იყვნენ, ვინც პირველ რიგში ე.წ. საოჯახო სამუშაოს (დასუფთავება, მოვლა და საჭმლის მომზადება) ასრულებდა. ვინაიდან პირად ცხოვრებაში გაწეული სამუშაოსათვის ქალების დამსახურებას სათანადოდ იშვიათად აფასებენ, დიდი აღიარება მათ არც მაიდანზე გაწეული შრომის გამო მიუღიათ. ეს ყველაფერი რევოლუციურ ლექსიკონშიც აისახა. ევრომაიდანზე პოპულარული მისალმება „დიდება უკრაინას!“ (Слава Україні) და საპასუხო შეძახილი „გმირებს დიდება!“ (Героям слава!) მხოლოდ მამაკაცებს შეეხებოდა და ქალების როლს უგულებელყოფდა. ევრომაიდნის ძალადობრივი ფაზის დროს ქალებისთვის ბარიკადებზე ასვლა ან მათ გარშემო მდებარე მნიშვნელოვან ნაგებობებში შეჭრა ძალიან ძნელი იყო. პატრიარქალურ დისკურსში ქალებისთვის ბრძოლის ველზე შეჭრის შეზღუდვა იმას ნიშნავს, რომ ქალს „ბარიკადებზე სიკვდილის“ უფლება არ აქვს.

მილიტარიზმმა და ძალადობის საფრთხემ ქალების გარიყვა გამოიწვია. როცა პროტესტი ძალადობაში გადაიზარდა, მამაკაცებმა ქალები ბარიკადებს „მათივე უსაფრთხოებისათვის“ გაარიდეს. ერთი მხრივ, ეს „ქალებზე ზრუნვა იყო“, ხოლო, მეორე მხრივ, იმის თქმა, რომ ქალებს გადაწყვეტილებების მიღება და არჩევანის გაკეთება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ[14].

გენდერული და ქვიარ საკითხების მკვლევარი მარია მაიერჩიკი თავის ბლოგში წერდა: „მაიდანი მამაკაცურობისა და ჩვეულებრივი ქალთმოძულეობის აღლუმად გადაიქცა“[15]. მან რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა:

> „კულმინაცია იყო სენდვიჩების სამზარეულოები, ოხუნჯობა მაიდანის სცენაზე მყოფი ქალების თაობაზე, ფართოდ გავრცელებული მასხარაობა და რიტორიკა „ნაღდ კაზაკებზე, რომლე-

13 ხრომეიჩუკი, ო. (2014). სად არიან უკრაინელი ქალები? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://ukraineanalysis.wordpress.com/2014/03/07/where-are-the-women-of-ukraine/.

14 მელნიჩენკო, ა. (2014). რატომ სჭირდება უკრაინას ქალების რაზმი? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://ua.boell.org/uk/2014/03/25/navishcho-ukrayini-zhinocha-sotnya.

15 მაიერჩიკი, მ. (2014). ლოგიკის დაჭერა/სამყარო ქალების გარეშე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/zakhoplennya-lohik-svit-bez-zhinok.

> ბიც ქალებივით სახლებში არ სხედან“, და ასეთ განცხადებებში: „გვჭირდება ახალგაზრდა ქალები ევრომაიდნის კაზაკებისათვის დადებითი ატმოსფეროს შესაქმნელად“.

პატრიარქალური მიდგომის კიდევ ერთი მაგალითია ისეთი განცხადებები, რომლებიც ზოგიერთ სამზარეულოში იყო გაკრული: „ძვირფასო ქალებო, თუ ნაგავს დაინახავთ, დაგავეთ. რევოლუციონერებს [მამაკაცებს] ესიამოვნებათ“. სექსიზმის ეს და სხვა მსგავსი მაგალითები ევრომაიდნის ქალმა აქტივისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს.

ქალის სახეები უკრაინასა და რუსეთს შორის რთული ურთიერთობების ამსახველ რამდენიმე პლაკატში იყო გამოყენებული. მაგალითად, ლოზუნგებზე „რუსეთო, ხელები შორს უკრაინისაგან!“ ან „თავი დამანებე, დიდო ქვეყანავ!“ უკრაინელი ერი გამოხატული იყო მდედრობითი სქესის მსხვერპლის სახით. იყო ასევე პლაკატები, რომლებზეც გამოსახული იყო ქვეყნისათვის ტანჯული მტირალი (ან გასისხლიანებული) ქალი.

მაიდნის აქციებში აქტიურად ჩართულ ქალებს „რევოლუციის მუზებს“ უწოდებდნენ. რამდენიმე სიტუაციაში განსაკუთრებულად იყო აღნიშნული მათი სილამაზე, როგორც ქალურობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი. ევრომაიდანში ქალების მონაწილეობის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი სტატიის სათაური იყო „ევრომაიდნის ულამაზესი გოგონები რევოლუციურ სულს ამაღლებენ“[16]. ამავე სტატიაში ევრომაიდნის აქციებში მონაწილე ერთ-ერთი ქალი ამბობს:

> „ქალები რისკს უკეთ გრძნობენ და, როგორც წესი, აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ უფრო არიან განწყობილი. ქალების დამსახურებაა, რომ მაიდანზე ატმოსფერო საზეიმოა. ქალები „მუზებივით“ არიან და მოვლენებს სიხარულისა და თავისუფლების განცდას ანიჭებენ“[17].

ქალები მაიდანს იმით ალამაზებდნენ, რომ ბარიკადებს ნათელი ფერებით ღებავდნენ და ცეკვავდნენ. შეტაკებების დროს გადაღებულ ფოტოებზე ქალებს ვარდისფერი ან სხვა მკვეთრი ფერის სამოსი აცვიათ, თავზე კი ყვავილის გვირგვინები ადგათ, რაც რევოლუციის ატმოსფე-

16 უკრაინული დედანის სათაურია «Найкрасивіші дівчата Євромайдану запалюють дух революції» („ევრომაიდნის ულამაზესი გოგონები რევოლუციურ სულს ამაღლებენ“). 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://gazeta.ua/articles/politics/_najkrasivishi-divchata-evromajdanu-zapalyuyut-duh-revolyuciyi/533352.

17 იქვე.

როს ემოციურსა და უფრო მშვიდობიანს ხდის. ე.წ. „ანგელოზის ასეული“ (Ангельска сотня) ცდილობდა, ძალადობრივი კონფრონტაცია კომუნიკაციად გარდაექმნა. ზოგ ქალს პლაკატები ეჭირა. მათზე პოლიციისათვის განკუთვნილი მოწოდება ეწერა: „დამიცავი“, ხოლო ერთ ახალგაზრდა ქალს ეჭირა ბანერი წარწერით: „ცოლად გავყვები პოლიციელს, რომელიც ხალხის მხარეზე გადმოვა“. ამავდროულად, კამათობდნენ იმაზე, ქალების ასეთი ქმედებები პატრიარქალური სისტემის ზეგავლენით იყო გამოწვეული თუ ეგალიტარიანულ ხასიათს ატარებდა. ალბათ, რაღაც დოზით ერთიც იყო და მეორეც: არაძალადობრივი ქმედება ხომ პატრიარქალური მილიტარიზმისა და ქალის გარიყვის ალტერნატივაა.

ქალები და ევრომაიდნის პროტესტები: ეგალიტარიანული ცნებები

ვამტკიცებ, რომ ევრომაიდანი არ ყოფილა ჰომოგენური სივრცე. რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ხალხისგან ძალიან განსხვავებული ინიციატივები მოდიოდა, რაც ამტკიცებს, რომ რევოლუცია მხოლოდ ბარიკადებზე არ ხდება (როგორც ეს პატრიარქალური დისკურსის შემთხვევაში იქნებოდა). ევრომაიდანი „ღირსების რევოლუცია“ იყო და მოქალაქეებს თავიანთ უფლებებზე ხმამაღალი საუბრის საშუალება მისცა.

საჭმლის კეთებასთან, დასუფთავებასა და სხვების გართობასთან ერთად, ქალები ბარიკადებზეც იბრძოდნენ, მოლაპარაკებებსა და მშვიდობის დამყარებაშიც მონაწილეობდნენ და აქციებში მონაწილეებს სამედიცინო, საინფორმაციო, ლოგისტიკურ და საგანმანათლებლო მომსახურებასაც უწევდნენ. ქალები ასევე ცდილობდნენ, მათ მიერ შეტანილი წვლილი უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ნარინჯისფერ რევოლუციასთან შედარებისას, რადგან იმ დროს საპროტესტო აქციებში ქალების მიერ შეტანილი წვლილი აღარავის ახსოვს. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის სოციალურ ქსელებს (განსაკუთრებით – Facebook-ს) და ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებს. დღეს მაიდნის შესახებ უზარმაზარი ემპირიული მასალის, მათ შორის, ბლოგების, სურათების, ვიდეოების, პლაკატებისა და გამოსვლების ჩანაწერების მოპოვებაა შესაძლებელი.

ევრომაიდანში მონაწილე ქალები ცდილობდნენ, სექსისტური ტენდენციები არა მხოლოდ გაეკრიტიკებინათ, არამედ ალტერნატიულ მიდგომებსაც სთავაზობდნენ. ბევრი მოხალისე ქალი აქციის სხვა მონაწილეებს ძალიან სახიფათო ვითარებაში ეხმარებოდა. ერთი ასეთი

მაგალითია 21 წლის ოლესია ჟუკოვსკა, რომელსაც კისერში ტყვია მოხვდა და მაშინვე ტვიტერზე დაწერა: „ვკვდები“[18]. ოლესია გადარჩა და ცნობილიც გახდა თავისი სიმამაცის გამო.

ქალები და მამაკაცები ბარიკადებს ერთად აგებდნენ. ქალები აქციას ძნელად მოსაპოვებელი რესურსებით ამარაგებდნენ, მაგალითად, ნახმარი საბურავებითა და შეშით, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მაიდანზე მეტროთი მოჰქონდათ (იშვიათი რესურსების მოპოვების საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი უნარ-ჩვევების გამოყენებით). ამას გარდა, ივანო-ფრანკივსკიდან ჩამოსული 76 წლის ჰანა გოგოლის მსგავსი ქალები მოედანზე შეკრებილ ხალხს თავიანთი იქ ყოფნითა და ოპტიმიზმით ამხნევებდნენ.

ემანსიპატორული პრაქტიკის ერთ-ერთი მაგალითი (თუმცა სადავო) შეიძლება იყოს ძირითადად ქალებისაგან შემდგარი ასეულების ჩამოყალიბება ტრადიციული სამხედრო ასეულების ნაცვლად. ჟურნალმა „ელმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ევრომაიდნის საპროტესტო აქციების ფრონტის ხაზზე ქალებიც დგანან“ (2014 წლის თებერვალი). მებრძოლი ქალების ფოტოებით დასურათებულ სტატიაში ნათქვამია:

> „ევრომაიდნის საპროტესტო აქციაზე მთავრობის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციის სპეცრაზმს შორის შეტაკებების დროს ქალები აირწინაღებითა და ჯავშანჟილეტებით მამაკაცების მხარდამხარ იბრძვიან“[19].

ქალების მიერ განხორციელებულ ინიციატივებს შორისაა ქალთა პირველი ასეული (ოფიციალურად – ევრომაიდნის თავდაცვის 39-ე ასეული)[20], მე-16 ასეულის ქალების ოცეული (Жіноча чота), ზაპოროჟიელ ქალთა ასეული[21], დობილების ასეული[22] და ოლგა კობილიანსკას სახელობის ქალთა ასეული[23].

---

18 ბომანტი, პ. (2014). ვკვდები: ახალგაზრდა კიეველი მოხალისე ტვიტერზე წერს მას შემდეგ, რაც დაჭრეს. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.theguardian.com/world/2014/feb/20/i-am-dying-volunteer-tweet-shot-kiev-ukraine.

19 მოსი, რ. (2014). ევრომაიდნის საპროტესტო აქციების ფრონტის ხაზზე ქალებიც დგანან. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.elle.com/news/culture/womens-opposition-euromaidan-protest-kiev.

20 Facebook-ის გვერდი, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/39sotnya.

21 ქალაქი უკრაინის სამხრეთ ნაწილში.

22 Facebook-ის გვერდი, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/groups/sestrynska.sotnya/

23 Facebook-ის გვერდი, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/zhinocha.sotnya

ქალთა ასეულმა საინფორმაციო საშუალებების ყურადღებაც მიიპყრო, ისევე, როგორც თავდაცვის გაკვეთილებმა ქალებისათვის (ამ საკითხზე სტატიაც არის გამოქვეყნებული სათაურით „ევრომაიდნის ქალი მებრძოლები ენერგიულად უპირისპირდებიან უსამართლობასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციას“)[24]. საინტერესოა, რომ ეს სათაური, ერთი მხრივ, მილიტარისტული და პატრიარქალური რიტორიკის მაგალითიცაა („მებრძოლები“), ხოლო, მეორე მხრივ, ფემინისტურ ტერმინოლოგიასაც შეიცავს („უსამართლობა“, „სქესის ნიშნით დისკრიმინაცია“).

ქალების ამგვარ ინიციატივებს განსხვავებული რეაქცია მოჰყვა. მაგალითად, მაიდნის კომენდანტმა ანდრი პარუბიმ განაცხადა:

> „ისინი დაცვის მოხალისეებს პირველად დახმარებას უწევენ და ეხმარებიან, ზოგი კი თავდაცვითი რაზმების წევრიც არის. ამ ოცეულებს ფრონტის ხაზზე საბრძოლველად არასოდეს გავაგზავნით, მაგრამ მათ მაიდნის მოძრაობის დასაცავად სხვა საშუალებების გამონახვაც შეუძლიათ“[25].

ევრომაიდანზე რამდენიმე ფემინისტური პროექტიც განხორციელდა. მაგალითად, თავის პროექტში „ქალთა ხმები“, ფემინისტმა ჟურნალისტმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა ოლგა ვესნიანკამ სხვადასხვა ქალი აქტივისტის ამბები შეიტანა. ღია უნივერსიტეტში ფემინისტმა ბლოგერმა მარია დმიტრიევამ მსოფლიოსა და უკრაინაში ქალთა მოძრაობის შესახებ ლექციები წაიკითხა. შეიქმნა ასევე Facebook-ის ჯგუფი „ნახევარი მაიდანი: ქალთა საპროტესტო ხმები“ (Половина Майдану: Жіночий голос протесту)[26], ქალთა სოლიდარობის ღამე, რომლის დროსაც ქალებმა რიტმული მუსიკის თანხლებით გაიარეს მაიდანი, თან გაჰყვიროდნენ: „თავისუფლება, თანასწორობა, ქალთა სოლიდარობა!“ და ოლგა კობილიანსკას სახელობის ევრომაიდნის აქტივისტების ქალთა

24 თრენჩი, ნ. (2014). ევრომაიდნის ქალი მებრძოლები ენერგიულად უპირისპირდებიან უსამართლობასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.kyivpost.com/guide/people/euromaidan-women-warriors-eager-to-fight-injustice-sex-discrimination-336806.html.

25 ქალთა ასეულები ევრომაიდანზე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://euromaidanpr.wordpress.com/2014/02/05/a-female-squadron-forms-for-euromaidan.

26 Facebook-ის გვერდი, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/groups/255422234633303/.

ასეული, რომელიც ადამიანის უფლებებისათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისა და თანასწორობისათვის იბრძოდა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა[27].

ოლგა კუბილიანსკას სახელობის ქალთა ასეულის სტრუქტურა არ არის იერარქიული. მის ყველა წევრს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს. ასეული მუშაობს განათლების (მაგალითად, ატარებს ფოტოგამოფენას „ქალები მაიდანზე“), არაძალადობრივი წინააღმდეგობისა და თავდაცვის (თავდაცვის გაკვეთილები ქალებისათვის) სფეროებში.

მკვლევარებსა და აქტივისტებს ამ ასეულის მიმართ რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ამერიკელი მკვლევარი სარა ფილიპსი წერდა:

> „იმ გამოწვევებს, რაც საპროტესტო აქციების ფონზე ჩნდებოდა, ისინი შემოქმედებითად პასუხობდნენ. ამან კი პოტენციურად გზა გაუკვალა უკრაინული ფემინიზმის გაძლიერებას და ქალთა უფლებების პრინციპები შემოიტანა მოსახლეობის იმ სეგმენტებში, რომლისთვისაც მანამდე ფემინიზმი მიუღებელი იყო“[28].

მარია მაიერჩიკმა, მეორე მხრივ, ოლგა კობილიანსკას სახელობის ასეული მილიტარისტული დისკურსის გამოყენების გამო გააკრიტიკა:

> „სამართლიანობისა და თანასწორობის იდეებით შთაგონებულ აქტივისტებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მაიდანზე ქალები თანასწორნი არიან, მაგრამ ჟანრის წესებიდან გამომდინარე, მათი მოქმედება მემარჯვენე დისკურსის ლოგიკისაკენ გადაიხარა. „ქალთა ასეულმა“ მილიტარისტული ენა თავისსავე დასახელებაში გამოიყენა, განაცხადა, რომ უფლება აქვს ბარიკადებზე იბრძოლოს და თავდაცვის გაკვეთილების სწავლება დაიწყო. ამ ორგანიზაციის Facebook-ის გვერდიც უხვადაა „გალამაზებული“ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქალების სურათებით“[29].

---

27 ასეულს უკრაინელი მოდერნისტი მწერლისა და ფემინისტის – ოლგა კობილიანსკას (1863-1942) სახელი ეწოდა.

28 ფილიპსი, ს. დ. (2014). ქალთა ასეულები უკრაინის პროტესტების დროს: ფემინიზმი, ნაციონალიზმი და მილიტარიზმი მაიდანზე.

29 მაიერჩიკი, მ. (2014). 8 მარტი/მნიშვნელობების შეცვლა. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/do-8-bereznya-pro-pereplavku-smysliv.

როგორც ფემინისტმა მკვლევარმა და აქტივისტმა, ასევე იმ პირმა, ვინც საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა, მარიას ბლოგზე საპასუხო წერილი დავწერე[30]. ფემინისტ აქტივისტებსა და, ზოგადად, ქალებს არ შეუძლიათ არსებული პოლიტიკური და სოციალური მოვლენები არ გაითვალისწინონ. ჩემი აზრით, ქალთა უფლებებისათვის საბრძოლველად და პატრიარქატისათვის წინააღმდეგობის გასაწევად არაერთი გზა არსებობს, მაგრამ საყოველთაო მილიტარიზმისა და ომის დროს გეოპოლიტიკის პატრიარქალურ მეთოდებს მთლიანად ვერ გავემიჯნებით. ზოგი ტიპის დისკურსიის გაკრიტიკება აუცილებელია, მაგრამ პრაქტიკა და რეალობა თეორიისაგან ხშირად საგრძნობლად განსხვავდება. ამ რეალობის შესაცვლელად რთული და ხანგრძლივი ბრძოლაა საჭირო, ერთ ჯერზე ერთი ნაბიჯი უნდა გადაიდგას. სხვადასხვა „ფრონტზე“ ბრძოლითა და ამ ფრონტებს შორის სოლიდარობით ეს ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იქნება.

ვეთანხმები ფემინისტ მკვლევარსა და აქტივისტ ოქსანა კისს, რომელიც წერდა, რომ უნდა „გამოვიყენოთ დომინანტური დისკურსები კონკრეტული ვითარების შესაბამისად, შესაძლებლობისა და აუცილებლობის მიხედვით, ერთმანეთისადმი სოლიდარობის გამოხატვით ძველი ცნებები ახალი მნიშვნელობებით გავამდიდროთ“. ფემინისტური აქტივიზმი მხოლოდ „სათანადო“ სტრატეგიებისა და ბრძოლის ფორმების გამოყენებას არ ნიშნავს. მისი მნიშვნელობაა „თავისუფლება, თანასწორობა, ქალთა სოლიდარობა!“

ამ კონტექსტში ვიხსენებ ევრომაიდნის იმ ინიციატივებს, რომელთა განხორციელებას ქალები ხელმძღვანელობდნენ ან რომლებიც ქალების მნიშვნელოვანი მონაწილეობით დაინერგა. კერძოდ, „საავადმყოფოს მცველი“ (Варта в лікарні)[31], „უსაფრთხო ტრანსპორტი“ ან „ინიციატივა E+“[32], „ევრომაიდანი SOS“ ან „ევრომაიდანი SOS ევროპა“ და სხვა ცხელი ხაზები, „ავტომაიდანი“[33], საგანმანათლებლო პროექტი „თავისუფალი უნივერსი-

30 მარცენიუკი, თ. (2014). 8 მარტი/ქალების ასეულები ანუ უფლება მნიშვნელობებზე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/do-8-bereznya-zhinocha-sotnya-abo-pravo-na-smysly-vidpovid-na-stattyu-mariyi.

31 Facebook-ის ჯგუფი,2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით. www.facebook.com/groups/599765216758120/.

32 ეს ჯგუფები 2014 წლის 21 იანვარს ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის დახმარების გასაწევად შეიქმნა. იხ. Facebook, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/helpEplus.

33 მოძრაობა, რომელიც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომას ითხოვდა, ძირითადად მძღოლებისაგან შედგებოდა. ისინი აქციებში მონაწილეთა ბანაკებსა და თავშეყრის ადგილებს იცავდნენ. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://en.wikipedia.org/wiki/AutoMaidan.

ტეტი“, სტუდენტური ცენტრი, მაიდნის სამოქალაქო სექტორი, Єлюди – მაიდნელები (ამბები მაიდანზე მყოფი ხალხის შესახებ)[34] და სხვ.

დასკვნები

ევრომაიდანი ჰეტეროგენული სივრცე იყო და ბევრ ინიციატივას მოიცავდა. ეს იყო ეროვნული და გენდერული დისკურსების (ექსკლუზიური და ინკლუზიური სივრცეები) რთული ნაზავი. ვინაიდან უკრაინულ საზოგადოებაში ქალის, როგორც დედისა და ლამაზი ობიექტის, როლი დიდწილად პატრიარქალური შეხედულებებით არის განსაზღვრული, იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ჩამოშორებულია. შესაბამისად, უკრაინელ ქალებს ტრადიციული გენდერული როლებისაგან თავის დაღწევა ძალიან უძნელდებათ. მიუხედავად ამისა, ქალებმა მოახერხეს რევოლუციის „დამხმარენი“ კი არა, „შემოქმედნიც“ გამხდარიყვნენ.

ევრომაიდნის დროს გამოყენებული პრაქტიკა და დისკურსები პატრიარქალურისა (ქალების გარიყვა, მილიტარიზაციისა და ეროვნული გმირების თაყვანისცემა) და ეგალიტარიანულის (ინკლუზიური) ნაზავი იყო. ამ უკანასკნელმა ქალებს საშუალება მისცა, ეჭვქვეშ დაეყენებინათ მილიტარიზმი, დაენგრიათ პროტესტის ტრადიციული ფორმები და მოვლენების განვითარებაში მიეღოთ მონაწილეობა.

ბიბლიოგრაფია:

- ბომანტი, პ. (2014). ვკვდები: ახალგაზრდა კიეველი მოხალისე ტვიტერზე წერს მას შემდეგ, რაც დაჭრეს. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.theguardian.com/world/2014/feb/20/i-am-dying-volunteer-tweet-shot-kiev-ukraine. [Beaumont, P. (2014). ‘I am dying,’ young volunteer medic tweets after being shot in Kiev].
- ევრომაიდნის ულამაზესი გოგონები რევოლუციურ სულს ამაღლებენ. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://gazeta.ua/articles/politics/_najkrasivishi-divch

34 Facebook-ის გვერდი, 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით: www.facebook.com/maidaners.

ata-evromajdanu-zapalyuyut-duh-revolyuciyi/533352. [Найкрасивіші дівчата Євромайдану запалюють дух революції].

- თრენჩი, ნ. (2014). ევრომაიდნის ქალი მებრძოლები ენერგიულად უპირისპირდებიან უსამართლობასა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციას. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.kyivpost.com/guide/people/euromaidan-women-warriors-eager-to-fight-injustice-sex-discrimination-336806.html. [Trach, N. (2014). EuroMaidan women warriors eager to fight injustice, sex discrimination].
- კისი, ო. (2005). არჩევა არჩევანის გარეშე. ფემინურობის დომინანტური მოდელები თანამედროვე უკრაინაში. [Kis, O. (2005). Choosing Without Choice: Predominant Models of Femininity in Contemporary Ukraine. Morell, I. A., Carlback H. (eds.), Gender Transitions in Russia and Eastern Europe, Stockholm: Gondolin Publishers].
- მაიდანი 2013: ვინ დგას, რატომ და რისთვის? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://kiis.com.ua/?lang=ukr&cat=reports&id=216&page=7. [Maidan 2013: Who is standing, why and for what?]
- მაიერჩიკი, მ. (2014). ლოგიკის დაჭერა/სამყარო ქალების გარეშე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/zakhoplennya-lohik-svit-bez-zhinok. [Mayerchyk, M. (2014). Seizing the Logic/A World Without Women in Krytyka].
- მაიერჩიკი, მ. (2014). 8 მარტი/მნიშვნელობების შეცვლა. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/do-8-bereznya-pro-pereplavku-smysliv. [Mayerchyk, M. (2014). On the Occasion of March 8th/ Recasting of Meanings].
- მარცენიუკი, თ. (2014). 8 მარტი/ქალების ასეულები ანუ უფლება მნიშვნელობებზე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://krytyka.com/ua/community/blogs/do-8-bereznya-zhinocha-sotnya-abo-pravo-na-smysly-vidpovid-na-stattyu-mariyi. [Martsenyuk, T. (2014). On occasion of March 8th / The Women's Squadron, or the Right to Meanings].
- მარცენიუკი, თ. (2012). უკრაინის მეორე ნახევარი. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://postsovietpost.stanford.edu/discussion/ukraines-other-half.

[Martsenyuk, T. (2012). Ukraine's Other Half. Post-Soviet Post, online Stanford University journal, 27 March].

- მდგომარეობა მაიდანზე: რა შეიცვალა? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://kiis.com.ua/?lang=ukr&cat=reports&id=226&page=6. [From Maidan-Camp to Maidan-Sich: What did change?]
- მელნიჩენკო, ა. (2014). რატომ სჭირდება უკრაინას ქალების რაზმი? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://ua.boell.org/uk/2014/03/25/navishcho-ukrayini-zhinocha-sotnya.
- მოსი, რ. (2014). ევრომაიდნის საპროტესტო აქციების ფრონტის ხაზზე ქალებიც დგანან. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.elle.com/news/culture/womens-opposition-euromaidan-protest-kiev. [Moss, Rebecca (2014). Women Stand at the Frontlines of the Euromaidan Protest in Kiev. In Elle].
- უკრაინის ეროვნული მიმოხილვა: პეკინის დეკლარაციის იმპლემენტაცია. 2014 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.unece.org/fileadmin/DAM/Gender/publication/NV111.07_att1_att2_att3_merged.pdf
- ფილიპსი, ს. დ. (2014). ქალთა ასეულები უკრაინის პროტესტების დროს: ფემინიზმი, ნაციონალიზმი და მილიტარიზმი მაიდანზე. [Phillips, S. D. (2014). The Women's Squad in Ukraine's protests: Feminism, nationalism, and militarism on the Maidan. In American Ethnologist, Vol. 41, No. 3, pp. 414–426].
- ქალთა ასეულები ევრომაიდანზე. 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://euromaidanpr.wordpress.com/2014/02/05/a-female-squadron-forms-for-euromaidan. [A female squadron forms for EuroMaidan, EuroMaidan Press].
- ცერვონკა, ა. (2008). მოგზაური ფემინისტური აზრი: განსხვავებები და ტრანსკულტურულობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ფემინიზმში. [Cerwonka, A. (2008). Traveling Feminist Thought: Difference and Transculturation in Central and Eastern European Feminism. Signs: Journal of Women in Culture and Society 33 (4): 809-832].
- ხრომეიჩუკი, ო. (2014). გენდერი და ნაციონალიზმი მაიდანზე. [Khromeychuk, O. (2014). Gender and Nationalism on the Maidan.

In Marples, D. (ed), Euromaidan, (Stuttgart: IbidemVerlag; New York: Columbia University Press, forthcoming].

- ხრომეიჩუკი, ო. (2014). სად არიან უკრაინელი ქალები? 2014 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://ukraineanalysis.wordpress.com/2014/03/07/where-are-the-women-of-ukraine/. [Khromeychuk, O. (2014). Where are the Women of Ukraine?“ in Current Politics in Ukraine].
- ჰაუსმანი, რ. (2013). გენდერული უთანასწორობის გლობალური ანგარიში. [Hausman, R. (2013). Global Gender Gap Report. Geneva: World Economic Forum].

გენდერული უთანასწორობის კვლევის საზღვრები ბელარუსში

ვოლჰა პიატრუკოვიჩი

2014 წლის განმავლობაში, შედარებით მოკლე პრიოდში, გენდერზე ორიენტირებული ორი კვლევითი პროექტი განხორციელდა და მათი შედეგები გამოქვეყნდა. ეს პროექტები იყო: „ბელარუსი: ქვეყნის გენდერული დახასიათება“[1], რომელიც მსოფლიო ბანკმა ჩაატარა, და მეორე: „რომელი აქტორები არიან დაკავებული გენდერული საკითხებით ბელარუსის რესპუბლიკაში? ანალიზი“[2]. ამ უკანასკნელს ევროპის ექსპერტიზისა და კომუნიკაციის ოფისი უძღვებოდა.

მსოფლიო ბანკის კვლევა ძირითადად ეკონომიკურ საკითხებზეა კონცენტრირებული. მასში გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც ბელარუსში საცხოვრებელი პირობების შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა და ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებებს აფიქსირებს.

მეორე მხრივ, ბელარუსში გენდერული თანასწორობის საკითხების კვლევა ბელარუსმა მეცნიერებმა ჩაატარეს. მათ ყურადღება გაამახვილეს ბელარუსში გენდერთან დაკავშირებული აქტორების საქმიანობაზე (ეს აქტორები ძირითადად ქალები, მამაკაცები, გენდერის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და აკადემიური დაწესებულებები იყო).

ორივე კვლევაში რამდენიმე გენდერული საკითხი განიხილება. მათ შორის ბევრი მსგავსებაა, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებებიც არის. ამ კვლევებში ბევრი მონაცემია მოყვანილი, თუმცა ისინი ყოვლისმომცველობისგან მაინც შორს არის და ორივეში რამდენიმე მნიშვნელოვანი „თეთრი ლაქაა“.

1 ათამოვი, ა., სათარი, ს. (2014). ბელარუსი: ქვეყნის გენდერული დახასიათება.

2 ბუროვა, ს., იანჩუკი, ო. (2014). რომელი აქტორები არიან დაკავებული გენდერული საკითხებით ბელარუსის რესპუბლიკაში? ანალიზი.

მსოფლიო ბანკი ბელარუსში გენდერული თანასწორობის შესახებ

მსოფლიო ბანკის კვლევაში ნათქვამია, რომ ბელარუსის კანონმდებლობა „გენდერულად ბრმაა“, ანუ ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებებს ვერ ხედავს. იმავდროულად, აღნიშნულია კანონმდებლობაში არსებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. მაგალითად, არ არსებობს კანონი ოჯახში ძალადობის და გენდერული დისკრიმინაციის შესახებ.

ბელარუსის საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობას მრავალი ასპექტი აქვს. მაგალითად, ბელარუსი ქალები უფრო განათლებულები არიან, ვიდრე მამაკაცები, თუმცა მათი ანაზღაურება გაცილებით მცირეა. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ქალები პროფესიებს უფრო სოციალურ სფეროში ან განათლების სისტემაში ირჩევენ, სადაც შედარებით დაბალი ანაზღაურებაა. უფრო იშვიათია, მათ ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებული სფერო აირჩიონ ან ბიზნესი წამოიწყონ. ეს შეიძლება აიხსნას ტრადიციული შეხედულებებით, თუ რომელი სამსახური „შეეფერება“ ქალს და რომელი – მამაკაცს, აგრეთვე იმ ფაქტით, რომ ქალებს ურჩევნიათ, მოქნილი სამუშაო საათები ჰქონდეთ, რათა სამსახურისა და ოჯახის სამუშაო ერთმანეთს შეუთავსონ.

კიდევ ერთი მაგალითი მამაკაცების სიკვდილიანობის მაღალი დონეა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მდგომარეობა ამ მხრივ უმჯობესდება, მაგრამ შრომისუნარიანი მამაკაცების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ქალებთან შედარებით, მაინც 4.3-ჯერ მაღალია[3]. ძალიან ბევრ მამაკაცს აწუხებს გულსისხლძარღვთა დაავადებები, არაგადამდები დაავადებები, ტრავმები (მათ შორის, ავტოავარიებში და ალკოჰოლური ინტოქსიკაციისაგან მიღებული დაზიანებები, ხშირია თვითმკვლელობები, მკვლელობები და სიკვდილიანობის სხვა გარეგანი მიზეზები).

ბოლო მონაცემებით, ოჯახში ძალადობა ბელარუსში კვლავაც დიდი პრობლემაა. ქალების 75% ამბობს, რომ მათ ამის გამოცდილება ჰქონიათ. ოჯახში ძალადობას საზოგადოებაც ლოიალურად ეკიდება, რადგან ბევრს ეს პირად საქმედ მიაჩნია და პოლიციისათვის შეტყობინებას საჭიროდ არ თვლის. ამ მხრივ ყველაზე დაჩაგრული ჯგუფი განათლების არმქონე, ბავშვიანი ქალები არიან.

სხვადასხვა მიზეზის გამო, ქალთა სიღარიბეც ერთ-ერთ პროლემას წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით მარტოხელა და პენსიონერ ქალებს

3 კალინინა, თ. (2012). ბელარუსის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გენდერული განზომილება.

ეხებათ. საპენსიო ასაკი ბელარუსში ამჟამად ქალებისათვის 55 წელია, მამაკაცებისათვის – 60. თუ ორივე ფაქტორს გავითვალისწინებთ, მამაკაცების სიკვდილიანობის მაღალი დონე და ქალის დაბალი ხელფასი ხნიერ ქალებს სიღარიბის სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს.

ანგარიში ბელარუსში გენდერული თანასწორობის შესახებ

ბელარუსის კანონმდებლობით, ქალები და მამაკაცები თანასწორნი არიან, თუმცა, თანასწორობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, კანონში საპასუხო მექანიზმები გათვალისწინებული არ არის. სახელმწიფო ინსტიტუციებს არ შეუმუშავებიათ გენდერული სტრატეგია; არ არსებობს სისტემა, რომელიც კანონის ფარგლებში მოაქცევდა გენდერული დისკრიმინაციის შემთხვევებს.

ბელარუსში გენდერი განათლების არც ერთ დონეზე არ ისწავლება. შედეგად, ხალხს გენდერული თანასწორობისა და მისი დადებითი მხარეების შესახებ ძალიან დაბალი ცნობიერება აქვს. გენდერული საკითხებით არც სახელმწიფო ინსტიტუციები და აკადემიური წრეები ინტერესდებიან. უკეთეს შემთხვევაში, ასეთ საკითხებს საკუთრივ ქალების პრობლემად განიხილავენ. გენდერული თანასწორობის ამგვარი ვიწრო გაგება კი იმას ნიშნავს, რომ ქალების გარდა, სხვა ჯგუფებში მის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება.

რა არის პრობლემა?

ზემოხსენებული კვლევები, ფაქტობრივად, უყურადღებოდ ტოვებს ბელარუსისათვის მნიშვნელოვან პრობლემებს. ამ „თეთრი ლაქების“ არსი რომ გავიგოთ, უნდა გავიხსენოთ მიშელ ფუკოს შეხედულება იმაზე, თუ როგორ წარმოიქმნება ძალაუფლება და ცოდნა. ფუკო ცოდნას აღწერს, როგორც ძალაუფლებაში არსებული ურთიერთობებისა და ინფორმაციის მიღების სურვილის ერთობლიობას. ის წერს: „ძალაუფლება ცოდნის გარეშე ვერ განხორციელდება, ხოლო ცოდნა აუცილებლად წარმოშობს ძალაუფლებას“[4]. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ორი-

4 ფუკო, მ. (1980). ძალაუფლება/ცოდნა: *რჩეული ინტერვიუები და სხვა ნაშრომები.*

ვე კვლევაში გარკვეული რეალობა ისეა შერჩეული და აღწერილი, რომ ასახავს ამ კვლევების ჩამტარებელ ადამიანთა და ორგანიზაციათა შეხედულებებსა და მიზნებს.

მსოფლიო ბანკის კვლევის შემთხვევაში მისი ძლიერი და სუსტი მხარეები შეიძლება ორგანიზაციის ეკონომიკური ხასიათითა და ძლიერი ლიბერალური მიდრეკილებებით აიხსნას. გენდერული უთანასწორობის შესახებ მონაცემთა ინტერპრეტაციაზე გავლენა სწორედ ამ ფაქტმა იქონია.

ბელარუსში გენდერული თანასწორობის საკითხების კვლევა იმ ბელარუსმა სოციოლოგებმა ჩაატარეს, რომლებსაც ქვეყნის ქალთა მოძრაობაში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდათ. ხშირად მათი ჩართულობა იმის წინაპირობად იყო მიჩნეული, რომ ყველა მარგინალური ჯგუფის საჭიროებები და პრობლემები, რომლებსაც სხვა გენდერულ კვლევებში ყურადღება არ ექცევა, განხილული და წარმოდგენილი იქნებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა და კვლევის საბოლოო ვარიანტმა ეს მოლოდინი ნამდვილად ვერ გაამართლა. როგორც ჩანს, კვლევის დასკვნებზე გავლენა იმ ფაქტმაც იქონია, რომ ავტორები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქალთა ორგანიზაციებში, რომლებიც ოჯახში ძალადობის საკითხებს სწავლობდა.

კვლევის ნაკლოვანებები, სულ მცირე, ორი მიზეზით აიხსნება:

1. ყურადღების გამახვილება გენდერული პოლიტიკის საკითხებზე

აქტორების ფართო სპექტრისა და მათი გამოცდილების, საქმიანობისა და პრაქტიკის კვლევის ნაცვლად ისეთი სუბიექტები შეირჩა, რომლებიც ძირითადად გენდერული პოლიტიკის დოკუმენტების შექმნით იყვნენ დაკავებულები. შედეგად, ყველა ის, ვისაც გენდერულ/ოჯახის პოლიტიკასა და სამთავრობო დაწესებულებებთან კავშირი არ ჰქონდა, კვლევის ყურადღების მიღმა დარჩა.

2. ბინარული მიდგომა (ყურადღების გამახვილება მხოლოდ ქალსა და მამაკაცზე)

კვლევაში მხოლოდ ქალებზე ან მამაკაცებზე მოპოვებული ინფორმაციაა წარმოდგენილი. ორი სქესით ამგვარი ექსკლუზიური დაინტერესება ლგბტი პირებისა და მათ უფლებებს, რეალობებს, მიღწევებსა და პრობლემებს უყურადღებოდ ტოვებს.

რეპროდუქციული უფლებები?

საოცარია, მაგრამ არც სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები ყოფილა განხილული, მიუხედავად იმისა, რომ გენდერთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემაში ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. 2014 წელს სიცოცხლის დამცველი ორგანიზაციები და ეკლესია ძალიან აქტიურობდნენ. ისინი ატარებდნენ კამპანიას „ერთად სიცოცხლის გადასარჩენად“[5]. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი იყო „აბორტისაგან თავისუფალი კვირა“, რომელიც ბელარუსის რამდენიმე რეგიონში აღინიშნა (ჯანდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით). აქციის გაცხადებული მიზანი არა მხოლოდ აბორტების რიცხვის შემცირება, არამედ ფეხმძიმობისა და ბავშვების აღზრდის მიმართ დადებითი განწყობის შექმნა იყო.

„აბორტისაგან თავისუფალი კვირა“ დედის დღეს დაამთხვიეს და მის ჩატარებას სხვებთან ერთად „მის ბელარუსი 2014“ უჭერდა მხარს. ყველა ღონისძიება გომელის ოლქის ჯანდაცვის დეპარტამენტის, ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“, მართლმადიდებელ ცენტრ „ლადუშკის“ (რომელიც დედისა და ბავშვის უფლებებს იცავს) და კათოლიკური მრევლის მიერ იყო ორგანიზებული[6]. გაიმართა კონფერენცია, მიმდინარეობდა კონსულტაციები, გომელის ქუჩებში ვრცელდებოდა მასალები, რამდენიმე საავადმყოფომ განაცხადა, რომ აბორტებს არ გააკეთებდა.

კონსერვატიულ იდეებს ბელარუსში ასევე ავრცელებს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოჯახი – ერთობა – მამული“[7]. ამ ორგანიზაციის გაცხადებული მიზანია უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების შეჩერება, სულიერი ტრადიციების აღორძინების ხელშეწყობა და მრავალრიცხოვანი ოჯახების მხარდაჭერა. ორგანიზაციის პროექტებს შორისაა „სკოლა მშობლებისათვის“, მართლმადიდებლური ფსიქოლოგიის სკოლა, თანამედროვე ქრისტიანული კულტურის ფესტივალი, სიცოცხლისა და ოჯახის დაცვის კამპანიები და კრიზისული ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრი.

აბორტებისა და გენდერის წინააღმდეგ მოქმედი ამ ორგანიზაციების ბევრ დამფუძნებელსა და ორგანიზატორს მჭიდრო კავშირი აქვს ბელარუსის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც მათ სახელმწიფოს-

5 ბელარუსის არც ერთ რეგიონში ერთი კვირის განმავლობაში აბორტები არ გაკეთდება. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.belta.by/ru/all_news/society/Na-nedelju-ot-abortov-otkazhutsja-v-kazhdom-regione-Belarusi_i_669172.html.

6 „აბორტისაგან თავისუფალი კვირის“ ფარგლებში გომელში აქციები ჩატარდა. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://belapan.by/archive/2014/10/14/media_antiabort/

7 ოჯახი – ერთობა – მამული. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://edinenie.by/

გან მხარდაჭერის მოპოვებაში ეხმარება და საავადმყოფოებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში საქმიანობის საშუალებას აძლევს. ეკლესია და მთავრობა ნამდვილად უჭერენ მხარს მრავალრიცხოვანი ოჯახების მომრავლებასა და შობადობის ზრდას. მოსახლეობის ამჟამად არსებული რიცხვი რომ შენარჩუნდეს, შობადობის მაჩვენებელი ბელარუსში 1.515-იდან (2011 წ.) 2.15-მდე მაინც უნდა გაიზარდოს[8].

2014 წლის აგვისტოში პრეზიდენტმა ლუკაშენკომ განაცხადა, რომ იწყებს პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მესამე და შემდგომი ბავშვის დაბადების შემთხვევაში ოჯახი 10 000 აშშ დოლარს მიიღებს[9]. ეს თანხა ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში დაიდება და, ინფლაციის გათვალისწინებით, ყოველწლიურად დაკორექტირდება. პროგრამა 5 წელიწადს გაგრძელდება, აღნიშნული თანხები კი ბავშვის მიერ სრულწლოვანების (18 წელი) მიღწევისას გახდება ხელმისაწვდომი. თანხების გამოყენება მხოლოდ ოჯახის საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, ბავშვის განათლებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის ან დედის პენსიაზე დანამატის სახით იქნება შესაძლებელი. ამას გარდა, 2014 წლის დეკემბერში მთავრობამ განაცხადა, რომ 5%-ით ამცირებს საოჯახო სესხების საპროცენტო განაკვეთებს იმ ოჯახებისათვის, რომლებშიც ორი პატარა ბავშვია[10].

ამ ტიპის პოლიტიკა ცხადყოფს, თუ რატომ არის ბელარუსის მთავრობა დაინტერესებული სიცოცხლის დამცველი ორგანიზაციების საქმიანობით და რატომ ანიჭებს უპირატესობას მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს გენდერულ თანასწორობასთან შედარებით. გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს სახელმწიფო ან სამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირ არ აფინანსებენ, მაგრამ აშკარაა, რომ მათ მიმართ დადებითი განწყობაა, რასაც ისიც მოწმობს, რომ სიცოცხლის მხარდამჭერ ორგანიზაციებს კლინიკებში, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში მუშაობა უადვილდებათ.

8 გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიში ბელარუსის მოსახლეობის შესახებ (2009).

9 ლუკაშენკომ ბელარუსში „დიდი ოჯახის“ პროექტის განხორციელება მოიწონა. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.belta.by/ru/all_news/president/Lukashenko-odobril-realizatsiju-v-Belarusi-proekta-Bolshaja-semja_i_678190.html.

10 საპროცენტო განაკვეთი ორშვილიანი ოჯახებისთვის გაცემულ შეღავათიან კრედიტებზე 5%-მდე შემცირდება. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://news.tut.by/realty/426738.html.

ბიბლიოგრაფია:

- ათამოვი, ა., სათარი, ს. (2014). ბელარუსი: ქვეყნის გენდერული დახასიათება. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან http://documents.worldbank.org/curated/en/2014/03/19399576/belarus-country-gender-profile. [Atamanov, A. Sattar, S. (2014) Belarus: Country Gender Profile].
- ბუროვა, ს., იანჩუკი, ო. (2014). რომელი აქტორები არიან დაკავებული გენდერული საკითხებით ბელარუსის რესპუბლიკაში? ანალიზი. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://oeec.by/sites/default/files/Full-Text-2014-09-02.pdf. [Burova S.,Yanchuk O. (2014). АНАЛИЗ сектора Республики Беларусь, субъекты которого занимаются вопросами гендерного равенства].
- გაეროს მოსახლეობის ფონდის ანგარიში ბელარუსის მოსახლეობის შესახებ (2009). ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://unfpa.by/en/directions/demografia/.[UNFPA report on population and development].
- კალინინა, თ. (2012). ბელარუსის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გენდერული განზომილება. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან (რუსულ ენაზე): http://minzdrav.gov.by/dadvfiles/000723_427042_Probl_1_N2_12.pdf. [Kalinina, T. (2012). Gender dimensions of mortality among the population of the Republic of Belarus. Questions of Healthcare Organization and Information Support 2].
- ფუკო, მ. (1980). ძალაუფლება/ცოდნა: რჩეული ინტერვიუები და სხვა ნაშრომები. [Foucault, M. (1980). Power/Knowledge: Selected Interviews and Other Writings 1972-1977. P. 52].

ჩვენ ეს შეგვიძლია! ქალის უფლებების გაძლიერება, კონსერვაჟიული "უკურეაქციისათვის" წინააღმდეგობის გაწევა და გენდერული სტერეოტიპების დაძლევა ჩეხეთში

ანა სმიგელს-კავკოვა, ვერონიკა შპრინცოვა

1. გენდერული (უ)თანასწორობა ჩეხეთში – სტატუს კვო

გენდერული უთანასწორობის გლობალური ანგარიშის[1] თანახმად, ჩეხეთი 136 ქვეყანას შორის 83-ე ადგილზეა. ეს ანგარიში იწერება ისეთი ფუნდამენტური კატეგორიების საფუძველზე, როგორებიცაა: ქალების ჩართულობა ეკონომიკაში, მიღწევები განათლების სფეროში, ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა, პოლიტიკური მონაწილეობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანა მუდმივად სიის შუაშია. მაგალითად, 2012 წელს მას 73-ე ადგილი ეკავა, რაც იმას მოწმობს, რომ აღნიშნულ კატეგორიებში წინსვლა სხვა ქვეყნებს მეტი აქვთ, ვიდრე ჩეხეთს. ქვემოთ ორი ძირითადი სფეროს მონაცემებს მოვიყვანთ – პოლიტიკურ მონაწილეობას და ქალების ჩართულობას შრომით ბაზარზე.

ქალების არასაკმარისი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან მას ზოგადად ქალის უფლებებსა და შესაძლებლობებზე პირდაპირი უარყოფითი გავლენა აქვს. ჩეხეთის კონსტიტუციის თანახმად, ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ, თუმცა უთანასწორობა საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში აღმოფხვრილი არ არის.

1.1. ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში

რაც შეეხება ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში, მსოფლიო და, კერძოდ, ევროპის დონეზე, აქ ჩეხეთის პოზიცია საშუალოზე დაბალია. ზოგ საკითხში სიტუაცია პარადოქსულია. მაგალითად, 2010 წელს არ-

1 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2013). გენდერული უთანასწორობის გლობალური ანგარიში.

გრაფიკი 1: ქალების წარმომადგენლობა დეპუტატთა პალატის კანდიდატებად დასახელებულ და არჩეულ პირთა შორის 1996-2013 წლებში



წყარო: ჩეხეთის სტატისტიკის ოფისი

ჩეულ პარლამენტში ქალების წარმომადგენლობა ისტორიაში ყველაზე მაღალი იყო (22%), თუმცა მთავრობა მხოლოდ მამაკაცებისაგან შედგებოდა. პირველი ქალი (ისიც არა მინისტრის თანამდებობაზე) მხოლოდ მთავრობის დამტკიცებიდან ერთი წლის თავზე დაინიშნა.

2013 წლის არჩევნების შემდეგ დეპუტატთა პალატაში (ქვედა პალატა) ქალები 19.5%-ს შეადგენენ, ხოლო მათი წარმომადგენლობა სენატში (ზედა პალატა) კიდევ უფრო დაბალია (17.3%).

მე-2 გრაფიკში ნაჩვენებია, რომ განსახილველ პერიოდში სენატში მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალების რიცხვი ნაკლებია, ვიდრე დეპუტატთა პალატაში. ამას გარდა, მდგომარეობა სწორხაზოვნად არც ერთ პალატაში არ ვითარდება.

ბოლო ხანებში მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი თანამდებობებზე ხშირი ცვლილებების გამო მერყეობდა. ამის კარგი მაგალითია პრემიერ-მინისტრ პეტრ ნეჩასის მთავრობა. 2010 წელს დამტკიცდა მთავრობა, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ, სამი წლის შემდეგ კი სამთავრობო თანამდებობების თითქმის 19% ქალებს ეკავათ.

სამთავრობო თანამდებობებზე ქალების ყოფნა გარკვეულწილად ჰგავს იმ ქაოსურ პოლიტიკურ სიტუაციას, რაც ზოგადად დამახასიათებელია ჩეხეთისათვის (იხ. გრაფიკი 3). ამასთან, არ არის არავითარი ხელშესახები კავშირი ქალების წარმომადგენლობასა და მთავრობის ტიპს (არჩეულს თუ დროებითს) შორის (1992 წლიდან ქვეყანას სამი დროებითი მთავრობა ჰყავდა).

გრაფიკი 2: არჩეული ქალი კანდიდატები დეპუტატთა პალატასა და სენატში 1996-2013 წლებში



წყარო: ჩეხეთის სტატისტიკის ოფისი

გრაფიკი 3: ჩეხეთის მთავრობაში ქალების წარმომადგენლობის ცვლა 1992-2013 წლებში



* დროებითი მთავრობა

წყარო: ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის ინტერნეტგვერდი (www.vlada.cz)

ქალების წარმომადგენლობა რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებში ოდნავ უფრო მაღალია, თუმცა პროცენტული მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს (30%) იქაც იშვიათად უახლოვდება.

ქალები აწყდებიან უამრავ ბარიერს, რაც მათ პოლიტიკაში წარმატების გზას უკეტავს. არის ინდივიდუალური ბარიერები (თავდაჯერებულობის ნაკლებობა, საოჯახო მოვალეობები) და სტრუქტურული ბარიერები (პატრიარქალური ოჯახი, გენდერული სტერეოტიპები). პოლიტიკურ პარტიებში საკმაოდ ბევრი ქალია გაწევრიანებული, თუმცა ლიდერებს შორის ისინი არ არიან (უხილავი ბარიერები, ე.წ. „შუშის ჭერი“). თანამდებობებზე დანიშვნისას კვოტებს ჩეხეთის მხოლოდ ერთი, მწვანეთა პარტია იყენებს. ამდენად, ქალებს არ აქვთ ფართო შესაძლებლობა, პოლიტიკურ პროგრამებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღონ.

1.2. ქალები შრომის ბაზარზე

გენდერული უთანასწორობა შრომის ბაზარზეც შესამჩნევია. უნივერსიტეტდამთავრებულთა შორის უმეტესობა ქალია (61%), მაგრამ მათი შემოსავალი და ეკონომიკური შესაძლებლობები მამაკაცებისას საგრძნობლად ჩამორჩება. გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე თვალის გადავლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რამდენად მაღალი სტრუქტურული ბარიერები ხვდებათ ქალებს. მაკკინზის თანახმად[2], აღმასრულებელ კომიტეტებსა და კომპანიების საბჭოებში ქალებს თანამდებობების მხოლოდ 8% უკავიათ და ცვლილებების (დადებითის თუ უარყოფითის) არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს. დელოიტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ჩეხეთის 100 უდიდეს კომპანიაში საბჭოების წევრებს შორის ქალები მხოლოდ 7.6%-ს შეადგენდნენ.

ვერტიკალური გენდერული სეგრეგაციის გარდა, შრომის ბაზარზე ჰორიზონტალური სეგრეგაციაც არის. „ფემინიზებულ“ სფეროებში, მაგალითად, სოციალურ სამუშაოებში, ჯანდაცვაში, დაწყებით და საშუალო განათლებაში, ხელფასები უფრო დაბალია, ვიდრე იმ სექტორებში, სადაც მამაკაცები ჭარბობენ (საინჟინრო სპეციალობები, მრეწველობა, ფინანსები). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტდამთავრებულებს შორის უმეტესობა ქალია, გენდერული უთანასწორობა უმაღლესი განათლების სისტემასა და აკადემიურ წრეებშიც შესამჩნევია.

2 მაკკინზი (2012), ქალების საკითხი მნიშვნელოვანია: გარღვევა.

არათანაბარი ანაზღაურების მაჩვენებელი ჩეხეთში 24.1%-ია, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელზე მაღალია[3]. ტრადიციული გენდერული სტერეოტიპები ბევრ სპეციალობაში აქამდე შენარჩუნებულია. ამ მიმართულებით, ყველაზე დიდი პრობლემა სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსია.

წლების განმავლობაში ჩეხეთის მთავრობას ქალთა ეკონომიკური ჩაგვრის გამოსასწორებლად არც სტრატეგია შეუმუშავებია და არც სათანადო პროგრამები განუხორციელებია. სიტუაცია კარგად შეაფასა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მირეკ ტოპოლანეკმა, რომელმაც განაცხადა, რომ „ქალს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს და არ ჰყავდეს შვილი, რის შემდეგაც მას სამსახურის შოვნის ისეთივე შესაძლებლობა ექნება, როგორიც მამაკაცს“. აღსანიშნავია, რომ სამ წლამდე ასაკის ბავშვების მომუშავე დედები ნამდვილად ზარალდებიან ბავშვის მოვლის საჯარო დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობის გამო.

ბოლო ორმა – მემარჯვენე და კონსერვატიულმა მთავრობამ (2006-2013 წლებში) დადებითი ცვლილებების გასატარებლად მიმართული ყველა ინიციატივა დაბლოკა. ამჟამად ხელისუფლებაში მყოფი სოციალისტების, ქრისტიან-დემოკრატებისა და ANO 2011-ის კოალიცია, რომელიც ხელისუფლებაში 2014 წელს მოვიდა, აცხადებს, რომ სურს, გააუმჯობესოს ქალების მდგომარეობა და გაატაროს პოლიტიკა, რომელიც სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსს დაარეგულირებს. თუმცა კოალიციას ჯერ არანაირი სტრატეგია არ წარმოუდგენია. აქ აღსანიშნავია ერთი დადებითი ცვლილება: სრულიად შეიცვალა ჩეხეთის მთავრობის მიდგომა ევროკომისიის დირექტივისადმი, რომელიც კომპანიების მმართველ საბჭოებში ქალების წარმომადგენლობას შეეხება. წინა მთავრობამ ეს დირექტივა არ მიიღო, ახალი მთავრობა კი ამ პოლიტიკას ეთანხმება.

2. რა არის გენდერული თანასწორობის უმნიშვნელოვანესი საკითხები?

როგორც ზემოთ ითქვა, ქალების არასაკმარისი წარმომადგენლობა გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესში სერიოზული პრობლემაა და ამ მხრივ სიტუაციის გასაუმ-

3 ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.czso.cz/csu/2013edicniplan.nsf/t/6E00276680/$File/1413134441.pdf.

ჯობესებლად არავითარი სისტემური მიდგომა არ არის შემუშავებული. ბევრი პოლიტიკოსი და ცნობილი პირი გმობს ქალთა გაძლიერების სპეციალურ ზომებს (იგივე კვოტირების სისტემას), რადგან მათ „თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვად" მიიჩნევს, თუმცა ვერც რაიმე ალტერნატივას გვთავაზობს. სხვა პრობლემური საკითხებია ქალის რეპროდუქციული უფლებები და ქალთა მიმართ ძალადობა. ამ ყველაფერს საფუძვლად კვლავაც გენდერული სტერეოტიპები და ძალაუფლების არათანაბარი განაწილება უდევს.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის „ტრადიციული" მოდელი უკვე იშვიათად გვხვდება, ქალი კვლავაც მზრუნველად, ხოლო მამაკაცი მარჩენლად ითვლება. სოციალურ ჯგუფებს შორის სიღარიბის მხრივ ყველაზე ბევრი პრობლემა მარტოხელა დედებს აქვთ (კიდევ ერთი ასეთი ჯგუფი მარტოხელა მოხუცი ქალები არიან). ქალების მოვალეობა, ჩვეულებრივ, საოჯახო საქმე და ბავშვების მოვლაა[4]. წინა მთავრობის მიერ გატარებულმა ე.წ. „ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ"[5] (განსაკუთრებით – 2010-2013 წლებში) გენდერული უთანასწორობა კიდევ უფრო გააღრმავა, ხოლო თანასწორობის მხარდასაჭერი პროგრამები და ინსტიტუციური გარანტიები შეასუსტა.

ჩეხეთში შეზღუდულია ქალის უფლება თავისუფლად აირჩიოს მშობიარობის ადგილი და იგნორირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ჯანდაცვის სამინისტრო ყურადღებას არ აქცევს სამეცნიერო მიღწევებს უსაფრთხო მშობიარობის დარგში, რის გამოც მშობიარე დედებს ბევრი ზედმეტი სამედიცინო პროცედურის გავლა უწევთ.

მეანები, რომლებიც ქალებს სახლში ამშობიარებენ, იდევნებიან. გახმაურდა შემთხვევა, როცა მეან ივანა კენიგსმარკოვას სახლში დაბადებული ბავშვის სიკვდილი დაბრალდა (ბავშვი რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა, მეანს ბრალი საავადმყოფომ წაუყენა და არა ბავშვის მშობლებმა). სასამართლომ კენიგსმარკოვა დამნაშვედ სცნო, 2 მილიონი ჩეხური კრონით დააჯარიმა და თავისი პროფესიით მუშაობა აუკრძალა. საავადმყოფოში მომხდარ ანალოგიურ შემთხვევებს თუ გავითვალისწინებთ, სასამართლოს გადაწყვეტილება საკმაოდ მკაცრი იყო. მეტიც, სასამართლოს სტანდარტული პროცედურები არ დაუცავს და მეანის მხარდამჭერი საექსპერტო დასკვნა არ გაუთვალისწინებია. საბოლოოდ, განაჩენი საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა.

4 ევროპელ ქალთა ლობი (2012). ქამრების შემოჭერის პოლიტიკის გავლენა ევროპაში ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე.
5 ინგლ.: Austerity Measures.

სახელმწიფო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სათანადო ზომებს ჯერ კიდევ არ იღებს. ტერმინი „ოჯახში ძალადობა“ ზოგადი გაგებით გამოიყენება (ქალის, ბავშვისა და მამაკაცის წინააღმდეგ ძალადობას გულისხმობს). მეორე მხრივ, ტერმინის „ქალთა მიმართ ძალადობა“ განმარტება სექსუალურ ძალადობას ოჯახში ძალადობისაგან არ ასხვავებს[6]. 2010 წელს სექსუალური ძალადობის შემთხვევების 86%-ში მსხვერპლი ქალები იყვნენ (აქედან ქალების 38% პარტნიორების მხრიდან გარკვეული სახის ძალადობის მსხვერპლია)[7], მაგრამ ნეჩასის მთავრობამ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციას ხელი არ მოაწერა. საბედნიეროდ, მოქმედმა მთავრობამ კურსი შეცვალა და ამ კონვენციის რატიფიკაციას გეგმავს.

3. რა გაკეთდა?

3.1. სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების როლი

მოქმედი მთავრობა გენდერულ პოლიტიკას ადრინდელ კონსერვატიულ მთავრობებთან შედარებით მეტი გაგებით ეკიდება. 2006-2013 წლებში თანასწორი შესაძლებლობების პოლიტიკას ჩეხეთის ყველა მთავრობა უგულებელყოფდა, ხოლო ადამიანის უფლებების სამინისტრო (რომელიც ამ საკითხებით იყო დაკავებული) 2010 წელს საერთოდ გაუქმდა. მდგომარეობის გამოსწორებას საკმაო ხანი დასჭირდა, თუმცა 2014 წლის იანვარში ადამიანის უფლებებისა და თანასწორი შესაძლებლობების მინისტრის თანამდებობა, ბოლოს და ბოლოს, ისევ შეიქმნა და 2014 წლის გაზაფხულზე გენდერული თანასწორობის საკითხები შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროსაგან ისევ მთავრობის ოფისს გადაეცა.

დიდი ხნის განმავლობაში, ჩეხეთის მთავრობა გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად ან ძალიან ცოტას, ან საერთოდ არაფერს აკეთებდა. უამრავ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ექსპერტს მთავრობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საბრძოლველად და პოლიტიკოსებისათვის საერთაშორისო ვალდებულებების შესახსენებ-

6 პარტნიორებს შორის ურთიერთობებში ძალადობის დროს მსხვერპლის 95% ქალია. ჩეხეთში დიდი ხნის განმავლობაში ოჯახური ძალადობა სქესისაგან დამოუკიდებელ მოვლენად განიხილებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

7 ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტი (2003). ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, საერთაშორისო კვლევა.

ლად დიდი დროისა და ენერგიის ხარჯვა უხდებოდა. გამონაკლისია ორი მიმართულება, სადაც გარკვეული წინსვლა შეინიშნება, ისიც, ძირითადად, ევროკავშირის დაფინანსების წყალობით: ესაა პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის ბალანსის, ასევე ოჯახში ძალადობის საკითხები.

ყოველ წელს ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაცია „ფორუმი 50%“ აფასებს დეპუტატთა პალატაში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების პოზიციებს და არჩევს „ქალებისადმი მეგობრულად განწყობილ პარტიას“. ამ შეჯიბრებას უკვე დიდი ხანია მწვანეთა პარტია იგებს. ზოგადად თუ ვისაუბრებთ, კონსერვატიული ან მემარჯვენე პარტიები გენდერული საკითხების მიმართ დაინტერესებით არ გამოირჩევიან, რადგან ისინი ამტკიცებენ, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი შესაძლებლობები უკვე აქვთ. ერთადერთი საკითხი, რომელსაც ისინი ყურადღებით ეკიდებიან, სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსია (მაგალითად, სამოქალაქო დემოკრატიის პარტია კომპანიებში საბავშვო ბაღებისა და საოჯახო საბავშვო ბაღების გახსნას უჭერს მხარს).

როგორც წესი, პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე პარტიები გენდერულ საკითხებს მეტ ყურადღებას აქცევენ და ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის მიღწევის საქმეში სახელმწიფოს როლს გამოკვეთენ. 2006-2013 წლებში მთავრობაში არც ერთი მემარცხენე პარტია არ იყო წარმოდგენილი და, შესაბამისად, გენდერული დღის წესრიგი უყურადღებოდ დარჩა. მდგომარეობა შეიცვალა მოქმედი ხელისუფლების დროს. აქამდე ყველაზე დიდი წინსვლა გენდერული თანასწორობისათვის აუცილებელი ინსტიტუციური სტრუქტურების აღდგენა იყო. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი არჩევნებში გენდერული კვოტების შემოღების შესახებ. ეს ინიციატივა ეკუთვნოდა ადამიანის უფლებებისა და თანასწორი შესაძლებლობების მინისტრ იჟი დინსტბირს, რომელიც კვოტების შემოღების მომხრეა. კანონპროექტმა სამინისტროებში განხილვის ეტაპი უკვე გაიარა და ამჟამად მინისტრთა კაბინეტში უნდა განიხილონ. თუმცა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა (ეს პარტია კოალიციის წევრია) განაცხადა, რომ მისი პარტია ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერს. შესაბამისად, იმის შანსი, რომ პარლამენტი ამ კანონპროექტს დაამტკიცებს, მცირეა. მიუხედავად ამისა, მისი შემუშავება დიდი წინგადადგმული ნაბიჯია და შესაძლებლობას იძლევა, გენდერული თანასწორობის საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში კვლავ დადგეს.

3.2. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი

ბოლო წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, რადგან ეს ერთადერთი სექტორი იყო, სადაც გენდერული თანასწორობის მეთოდოლოგია და კონცეფციები მუშავდებოდა. სამსახურისა და ოჯახური ცხოვრების ბალანსის საკითხებში არასამთავრობოებმა ბიზნესმენებთან ერთად პროგრამების განხორციელებაც მოახერხეს (თანაც ისე, რომ, როგორც წესი, სახელმწიფოსგან არავითარი მხარდაჭერა არ მიუღიათ, ან თუ მიიღეს, ეს მხარდაჭერა მინიმალური იყო).

მოქმედ მთავრობას გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია, მაგრამ ჯერ ისევ ძალიან ადრეა იმაზე საუბარი, თუ რამდენად წარმატებული იქნება მისი პროგრამები და რამდენად იქნება მათში გათვალისწინებული თანასწორი შესაძლებლობების სამთავრობო საბჭოს, ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

მთავრობის საგრანტო პოლიტიკა გრძელვადიანია, ამიტომ ბევრი ორგანიზაციის საქმიანობა სამსახურისა და ოჯახის ბალანსის პრობლემებზეა კონცენტრირებული, რადგან თავდაპირველი მიზნების განხორციელებისათვის საბრძოლველად მათ არც ადამიანური და არც ფინანსური რესურსები მოეპოვებათ. თუმცა, მთავრობის გარდა, არის ასევე ძალიან აქტიური სამოქალაქო სექტორი და ბევრ შემთხვევაში გენდერულ და ქალის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო დაწესებულებებში შექმნილ ვაკუუმს ავსებენ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა გაერთიანებულია ქოლგა ორგანიზაციაში „ჩეხეთის ქალთა ლობი (CWL)“, რომელსაც ამჟამად 28 წევრი ჰყავს[8]. CWL ძირითადად ისეთ სფეროებში მუშაობს, როგორებიცაა: სექსუალობა და ქალის რეპროდუქციული უფლებები, პროსტიტუცია და ტრეფიკინგი, ქალთა მიმართ ძალადობა, გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობებზე ქალების წარმომადგენლობის ზრდა, ქალი შრომის ბაზარზე, გენდერული როლები და სტერეოტიპები. CWL „ევროპის ქალთა ლობის“ წევრია, ეს უკანასკნელი კი ყველაზე დიდი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციაა ევროპაში.

2012 წელს შეიქმნა ახალი ორგანიზაცია „ქალთა კონგრესი“, რომელიც პოლონეთის ქალთა კონგრესის მოდელის საფუძველზე ჩამოყალიბდა. „ქალთა კონგრესი“ სახალხო ორგანიზაციაა. მისი ერთ-ერთი მიზანი სხვა-

8 www.czlobby.cz/en/home/.

დასხვა სექტორის (აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საინფორმაციო საშუალებების, კომპანიებისა და ა. შ.) დაკავშირებაა იმ მიზნით, რომ ჩატარდეს არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი და მოინახოს პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზები. ორგანიზაციის პირველი დიდი შეკრება, რომელსაც თითქმის ათასი ადამიანი ესწრებოდა, 2013 წლის 15 ივნისს ჩატარდა. განხილვის უმთავრესი საგანი შრომის ბაზარზე ქალის მდგომარეობა იყო. მეორე კონფერენცია, რომელზეც ძირითად საკითხად ქალისა და საინფორმაციო საშუალებების ურთიერთობა განიხილეს, 2015 წლის 20 ივნისს ჩატარდა.

კიდევ ერთი კოალიცია, რომელიც გენდერული უთანასწორობის საკითხებზე მუშაობს, არის Social Watch. ორგანიზაციის მისიის განაცხადში ნათქვამია, რომ ის არის „მოქალაქეთა ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელი, რომელიც იბრძვის სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, დისკრიმინაციისა და რასიზმის ყველა ფორმის მოსასპობად, სიმდიდრის თანასწორად განაწილების უზრუნველსაყოფად და ადამიანის უფლებების დასაცავად. „ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და გენდერულ სამართლიანობას და გარკვევით აღვნიშნავთ, რომ ყველას აქვს უფლება, არ იცხოვროს სიღარიბეში. Social Watch აკონტროლებს, თუ როგორ ასრულებენ მთავრობები, გაეროს სისტემაში შემავალი და საერთაშორისო ორგანიზაციები ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო დონის ვალდებულებებს სიღარიბისა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის საქმეში“[9]. Social Watch ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშებს ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული უთანასწორობის მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ („Social Watch-ის ანგარიში“[10]).

დასკვნა

ბოლო წლებში ჩეხეთის პოლიტიკა ქაოსური გახდა. 2006-2013 წლების მთავრობები ნეოლიბერალური დღის წესრიგითა და კონსერვატიული ღირებულებებით ხელმძღვანელობდნენ. ამის გამო, გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისთვის სათანადო პირობები არ შექმნილა. ამას ისიც დაემატა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ გატარე-

9 www.socialwatch.org.
10 www.socialwatch.cz/?cat=71.

ბულმა „ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ“ და სხვა რეფორმებმა ქალებზე გაცილებით უარყოფითი გავლენა მოახდინა, ვიდრე მამაკაცებზე.

მოქმედმა მთავრობამ გენდერული თანასწორობა პრიორიტეტად აქცია. აქამდე მიღწეულ მის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და თანასწორი შესაძლებლობების სამინისტროს აღდგენა, მთავრობის ოფისისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელახლა გადაბარება და კანონპროექტი გენდერული კვოტების შესახებ. მიუხედავად ამისა, ამ საკითხებში გადამწყვეტ როლს ჯერ კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციები თამაშობენ. ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამის გამოცდილება აქვთ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ პოლიტიკური ახირებები მათზე გავლენას ნაკლებად ახდენს.

ბიბლიოგრაფია:

- ევროპელ ქალთა ლობი (2012). ქამრების შემოჭერის პოლიტიკის გავლენა ევროპაში ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობაზე. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.womenlobby.org/spip.php?action=acceder_document&arg=2053&cle=71883f01c9eac4e73e839bb512c87e564b5dc735&file=pdf%2Fthe_price_of_austerity_-_web_edition.pdf. [European Women’s Lobby (2012). The price of austerity – The impact on women’s rights and gender quality in Europe].
- მაკკინზი (2012), ქალების საკითხი მნიშვნელოვანია: გარღვევა. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.mckinsey.com/“/media/McKinsey%20Offices/Spain/PDFs/Women_matter_mar2012_english. [McKinsey (2012). Women matter: making the breakthrough].
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (2013). გენდერული უთანასწორობის გლობალური ანგარიში. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www3.weforum.org/docs/WEF_GenderGap_Report_2013.pdf. [World Economic Forum (2013). Global Gender Gap Report].
- ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიის ინსტიტუტი (2003). ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, საერთაშორისო კვლევა. ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://studie.soc.cas.cz/index.php3?lang=cze&shw=246. [The International Research of Domestic Violence Against Women CZ].

ფემინისტური გამოცდილება სერბეთში

ელენა ვიშნიჩი

ახალი ფემინისტური ისტორია – სერბეთის მაგალითი

ჩვენი ძირითადი უფლებების (საარჩევნო, სამუშაო ადგილის შერჩევის, განათლების, აბორტისა და გაყრის) დაცვა დღეს თითქოს გარანტირებულია, მაგრამ პატრიარქალური სისტემა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას გამუდმებით ცდილობს, რითაც გვიმტკიცებს, რომ რეგენერაციის უნარი აქვს. „სივრცის შექმნა ისეთი ადგილის შექმნას გულისხმობს, რომელიც ადამიანებს დაეხმარება გაერკვნენ, თუ სად არიან და ვინ არიან“[1]. შესაბამისად, იმის აღქმა, რომ მოქმედება, დაკარგული და შეძენილი სივრცეების გადახედვა უწყვეტად გრძელდება, თავისუფალი სივრცეების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი შესაძლო ფორმაა. ფემინისტურმა მოძრაობამ ქალის ემანსიპაციისათვის ბრძოლის პროცესში დასაწყისიდანვე სხვადასხვა სტრატეგია შეიმუშავა. მეტიც, მან სისტემური ჩაგვრისაგან შევიწროებულ სხვა ჯგუფებთან სოციალური სოლიდარობის პოლიტიკური მოდელიც ჩამოაყალიბა.

პირველი სერბული ფემინისტური ინიციატივები იუგოსლავიაში 1970-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. ბელგრადის სტუდენტურ კულტურულ ცენტრში 1978 წელს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია „ამხანაგი ქალი: ქალის საკითხი“[2] სერბეთში ფემინიზმისათვის გადამწყვეტ მოვლენად ითვლება. სწორედ აქ „საჯაროდ პირველად განიხილეს ქალის პრობლემები, საინფორმაციო საშუალებებში ფემინიზმს ადგილი დაეთმო“[3]. ამ კონფერენციას იუგოსლავიის ყველა მხარეში ფემინიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ზაგრებში შეიქმნა სოციოლოგთა ასოციაციის ქალთა განყოფილება „ქალი და საზოგადოება“, ხოლო ზაგრების მხარდაჭერით იმავე სახელწოდების ფემინისტური ჯგუფი 1981 წელს ბელგრადშიც შეიქმნა. 1987 წელს ლიუბლიანაში ჩატარდა პირველი ფემინისტური ყრილობა, რომელსაც მონაწილეები მთელი იუგოსლავიიდან დაესწრნენ. ყრილობამ „ქალების ალტერნატი-

1 ელინი, ნ. (2002), გვ. 66.
2 სერბ.: Drugarica Žena: Ženskopitanje.
3 პაპიჩი, ჟ. (1989).

ული პოლიტიკური აქტივობის არსებობა და ამ სფეროში ქალების ჭეშმარიტი აქტივიზმი“ წარმოაჩინა[4].

სერბეთში ფემინისტური მოძრაობა სხვადასხვა პროფესიისა და ფემინისტური თეორიის კარგად მცოდნე სულ რამდენიმე ენთუზიასტმა ქალმა წამოიწყო. მრავალპარტიული სისტემის დამკვიდრებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტი ფემინისტური ჯგუფი შეიქმნა. 1990-იანი წლების დასაწყისში ისინი რეჟიმს, მის მიერ წარმოებულ ომებსა და საზოგადოებაში მოძალებულ პატრიარქალურ ტენდენციებს დაუპირისპირდნენ.

„სერბეთში საომარმა სიტუაციამ ფემინიზმის ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. ფემინისტებს სერბეთიდან სხვა რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან კონტაქტები არ გაუწყვეტიათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობაზე უარს ეუბნებოდნენ. მათ სურდათ, ომზე საკუთარი პასუხისმგებლობის, როგორც სერბეთის კოლექტიური პასუხისმგებლობის ნაწილის, შესახებ ესაუბრათ. ნამდვილი ძალა მათ 1992-93 წლების ინტენსიური მობილიზაციის პერიოდში მოიკრიბეს, როცა შეძლეს თავისუფლად გადაადგილება და, შესაბამისად, სერბი დეზერტირების დამალვა, მათთვის მეგზურობის გაწევა ან საზღვარგარეთ გადაყვანა“[5].

„ტრადიციების გარდა, ჩვენს საზოგადოებაში ქალების ჩაგვრა დომინაციის ინსტრუმენტად გადაიქცა და ბუნებრიობის ელფერი შეიძინა, (ეს ყოფილი იუგოსლავიის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაშიც ხდებოდა და ახალ სახელმწიფოებშიც ხდება). ამას დაემატა სერბეთის ომი, რომელმაც სისტემაში არსებული ბზარის წყალობით ახალი თავისუფალი სივრცე გააჩინა. სახელმწიფო ომის მიზეზით წარმოქმნილ სოციალურ და ჰუმანიტარულ კრიზისს, ფაქტობრივად, ვერ აკონტროლებდა და ვერც თვალს ადევნებდა, რადგან ომით იყო დაკავებული. ქალებმა ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ამ უყურადღებოდ დატოვებული სივრცით ისარგებლეს. ამას ისინი სხვადასხვა საშუალებით აღწევდნენ, რითაც არა მხოლოდ საკუთარი თვითშეგნება შეცვალეს, არამედ ის საზოგადოებაც, რომელშიც მოქმედებდნენ“[6].

ფემინისტურმა ჯგუფებმა ომისა და გარდამავალ პერიოდში დანგრეული სოციალური სისტემის ნორმალიზაცია და დემოკრატიზაცია სცადეს და რამდენიმე ალტერნატიული პოლიტიკური სტრუქტურა ჩამო-

4 კოლინი, მ., ჩიჩკარიჩი, ლ. (2010), გვ. 122.

5 2013 წლის 15 ივნისის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.yurope.com/zines/republika/arhiva/96/145/145-16.html, accessed 15 June 2013.

6 2014 წლის 28 ივნისის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://rwfund.org/sites/default/files/Zen_u_crn_Beog.pdf, accessed 28 June 2014.

აყალიბეს, რამაც სერბეთში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში უმთავრესი როლი ითამაშა[7]. თუმცა, პოლიტიკის სამყაროში აქტიური ჩართულობის მიუხედავად, ფემინისტური ჯგუფების, ოპოზიციურად განწყობილი ქალი პოლიტიკოსებისა და რეფორმატორი ქალების მიერ შესრულებული სამუშაო მუდმივად უყურადღებოდ რჩებოდა. ამგვარად, პატრიარქალური სტრატეგია შეექმნა ადვილად მანიპულირებადი ქალები, შეიცვალა უჩინარი ქალების შექმნის სტრატეგიით. იმ საკითხში გარკვევა, თუ ვინ არის გარიყული და ვინ არა, და ჩართულობისა და გარიყულობის სხვადასხვა დონის განსაზღვრა დაგვეხმარება, გავიგოთ, როგორ მუშაობს მჩაგვრელი სისტემა[8]. სერბეთის სახელისუფლებო სტრუქტურების ქმედება გარკვეულწილად თანმიმდევრულია, მაგრამ ასევე თანმიმდევრულია ფემინისტური აქტივობაც და სისტემის მეტნაკლებად შეცვლას სწორედ ამ აქტივობამ შეუწყო ხელი. „ფემინიზმი პოლიტიკის ნაწილია და ამ ქვეყნებში ეს უნდა მიანიშნებდეს არა მხოლოდ იმაზე, რომ „პირადი საკითხები პოლიტიკური მნიშვნელობისაა“, როგორც ეს ძველად იყო, არამედ იმაზეც, რომ ფემინიზმი მილიტარიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგაა მიმართული“[9].

ეს სტატია რეგიონში ფემინიზმის ისტორიის ერთი მონაკვეთის ასახვის მცდელობაა, ფემინიზმისა, რომელიც პოლიტიკურ ველში შეიჭრა. კვლევა ქალთა ცენტრის, INDOK-ის არქივში მოპოვებულ დოკუმენტებს ეფუძნება[10].

7 ამ დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა „ალტერნატიული კულტურული ცენტრი“ (N. Žunić), რომელშიც სხვადასხვა ჯგუფი წარმოიქმნა, მაგალითად, „დახმარების ხაზი SOS“ ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისათვის, „ქალთა ავტონომიური ცენტრი“, „ქალების უსაფრთხო სახლი“, „ინცესტის მსხვერპლთა ცენტრი“, ასევე ომის მოწინააღმდეგე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, მაგალითად, „ ქალები შავებში“, „ქალთა ლობი“, „ქალთა პარლამენტი“, ხოლო 1992 წელს შეიქმნა „ქალის შესწავლისა და კვლევის ცენტრი“ და ქალთა პირველი გამომცემლობა „ფემინისტი 94“.

8 ვიშნიჩი, ე., ლონჩარევიჩი, კ. (2011), გვ 22.

9 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: www.h-alter.org/vijesti/ljudska-prava/zenski-stomak-i-zenska-prava/.

10 ქალთა მოძრაობის ამ არქივში ინახება დოკუმენტები, მასალები და ფოტოსურათები, რომლებიც რეგიონისა და მთელი მსოფლიოს ქალებისა და ქალთა მოძრაობების მდგომარეობას ასახავს. არქივში ინახება 1970-იანი წლებისა და უფრო ადრეული პერიოდის მასალები. არქივს აქვს სპეციალური განყოფილება, რომელშიც INDOK-ისთვის ნედა ბოჟინოვიჩის მიერ მიწოდებული ხელნაწერები და დოკუმენტები ინახება.

ფემინისტური წინააღმდეგობის მეთოდები

დემოკრატიული საზოგადოების შესაქმნელად აუცილებელია, არსებობდეს და მხარდაჭერილი იყოს პოლიტიკური კულტურა, რომელიც ქალებისა და მამაკაცების აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს, მაგრამ 1990-იანი წლების რეტრადიციონალიზაციის პერიოდში ქალის როლისა და მოვალეობების თაობაზე ტრადიციული პატრიარქალური სტერეოტიპები კვლავ აქტუალური გახდა. ამ პერიოდის განმავლობაში ქალების ერთმა ჯგუფმა, რომელიც ომსა და მამაკაცებისა და „სახელმწიფოს სტრუქტურულ ძალადობას“ ეწინააღმდეგებოდა[11], ახალი პოლიტიკური სივრცეები და განსხვავებული ქალების პოლიტიკა შექმნა.

1990 წლის 9 დეკემბერს სერბეთში პირველი მრავალპარტიული არჩევნები გაიმართა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა რამდენიმე ფემინისტური ჯგუფი, რომელთა მიზანი ქალის უფლებების დაცვა იყო. მათ შორის იყო ქალთა პარტია EST (ქალები, ეთიკა, სოლიდარობა, ტოლერანტობა) და „ბელგრადის ქალთა ლობი“. EST-მა, ფემინისტურმა ჯგუფმა „ქალი და საზოგადოება“ და „ქალთა ლობიმ“ ჩამოაყალიბეს „ქალთა პარლამენტი“, რომელიც მამაკაცების პარლამენტის მუშაობას აკონტროლებდა. „ბელგრადის ქალთა ლობი“ პოლიტიკურ პარტიებში მყოფ ქალთა ქსელებში მუშაობდა, მართავდა ღონისძიებებს არჩევნების წინ და ქალთა უფლებებსა და ინტერესებს ლობირებდა. 1993 წლის სექტემბერსა და 1997 წლის ივლისს შორის „ქალთა ლობიმ“ 59 საჯარო ღონისძიება ჩაატარა, იცავდა ადამიანის უფლებებსა და ქალის რეპროდუქციულ უფლებებს, აპროტესტებდა მამაკაცების მხრიდან ძალადობას. ომის საწინააღმდეგო აქტივობებზეც დიდი ძალისხმევა დაიხარჯა[12]. ამ ქმედებების გავლენაზე მსჯელობა ძნელია, თუმცა აშკარაა, რომ მათი მეშვეობით ახალი და განსხვავებული პოლიტიკური სივრცეები გაიხსნა. იმ დროს ბევრ პოლიტიკურ პარტიას ქალი ფუნქციონერები ჰყავდა, თუმცა პარლამენტის წევრებს შორის ქალები იშვიათობა იყო. ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალი დისკრიმინებული იყო და სქესობრივი განსხვავება „პოლიტიკური ძალაუფლების სფეროდან ქალების გარიყვისა და პოლიტიკური განსხვავების შექმნის საფუძვლად“ იქცა[13].

---

11 ჩიჩკარიჩი, მ. (2010), გვ. 124.

12 თვით სლოვენიაში მომხდარ პირველ კონფლიქტამდე „ბელგრადის ქალთა ლობის“ ერთ-ერთმა წევრმა და სლოვენიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდედრობითი სქესის წევრებმა ერთობლივი მოწოდება გაავრცელეს „ქალები მშვიდობისათვის“.

13 პატერმანი, ქ. (2000).

1990-იან წლებში მილიტარისტულმა ნაციონალიზმმა რეტრადიციონალიზაციამდე მიგვიყვანა. ქალის სხეული განიხილებოდა, უპირველეს ყოვლისა, რეპროდუქციის და, აქედან გამომდინარე, ერის გაძლიერების საშუალებად. 1990 წელს კანონპროექტს მოსახლეობის პოლიტიკის შესახებ და სხვა რეპრესიულ კანონებს, ასევე სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის აგრესიულ აბორტების საწინააღმდეგო პოლიტიკას ფემინისტური ჯგუფების მიერ ორგანიზებული საპროტესტო ქმედებები მოჰქვა. ძალიან ბევრმა სერბმა ქალმა საპროტესტო პეტიციას მოაწერა ხელი.

ომის წინააღმდეგ პირველი დემონსტრაციები სერბეთის ეროვნული ასამბლეის წინ გაიმართა. ეს დემონსტრაციები ქალთა სამმა ორგანიზაციამ გამართა, კერძოდ – „ქალთა პარლამენტმა“, „ბელგრადის ქალთა ლობიმ“ და „ქალთა პარტიამ“. ამით ამ ორგანიზაციებმა ომის საწინააღმდეგო მოძრაობას ჩაუყარეს საფუძველი. მათი ერთ-ერთი ღონისძიება იყო „ანთებული სანთლების ცერემონია“, რომელიც ომში დაღუპულებს ეძღვნებოდა და ეროვნული ასამბლეის წინ 1991 წლის 8 ოქტომბრიდან 1992 წლის 8 თებერვლამდე, ყოველ საღამოს იმართებოდა. აქციის ორგანიზატორი იყო ორი ქალი – ნატაშა კანდიჩი და ბილანა იოვანოვიჩი. მონაწილეთა შორის უმრავლესობა ქალი იყო. ამ პერიოდში დაარსდა ასევე ორგანიზაციები „ქალები შავებში“ და „ომის მსხვერპლ ქალთა ცენტრი“ (ეს უკანასკნელი ძირითადად ქალებთან და ბავშვებთან მუშაობდა). ორგანიზაციის „ქალები შავებში“ პირველი ღამისთევა სტუდენტური კულტურული ცენტრის წინ 1991 წლის 9 ოქტომბერს გაიმართა. მას შემდეგ ორგანიზაცია აქტიურად ეწევა ომისა და ძალადობის წინააღმდეგ პროპაგანდას.

სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმის დამხობა ოპოზიციისა და ძლიერი სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის განუწყვეტელი ძალისხმევის შედეგი იყო. ამ პროცესში ქალთა ჯგუფებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. წინააღმდეგობის მოძრაობის ნაწილი იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და სტუდენტების პროტესტი სერბეთში 1996 წლის ნოემბრიდან 1997 წლის თებერვლამდე[14], გაყალბებული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ოპოზიციურმა კოალიცია „ზაედნომ“ („ერთად“) სერბეთის დიდ ქალაქებში მასობრივი საპროტესტო აქციები გამართა. „დამოუკიდებელ ქალთა ცენტრმა SOS-მა“, „ფემინისტი 94-მა“ და „ბელგრადის ქალთა ლობიმ“ წამოიწყეს კამპანია „ქალებო, მოიმარჯვეთ სასტვენები!“. მათ ღია წერილში ახსნეს, რატომ ეწოდა კამპანიას ეს სახელი: „სტვენის დროს საკუთარი თავის მესმის; სტვენის დროს სხვებს ესმით ჩემი; სტვენით თავს ვიცავ; სტვენა მაძლიერებს!“.

14 1996-1997 წლების სტუდენტური პროტესტების ორგანიზატორების დაახლოებით ნახევარი ქალები იყვნენ. ბლაგოევიჩი, მ. (1998), გვ. 359.

1997 წელს ფემინისტური ჯგუფი „ქალი და საზოგადოება“ დარეგისტრირდა სახელწოდებით „ქალთა ინიციატივების ასოციაცია (Ažin)“. მისი ძირითადი მიზანი „ქალის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ქალთა აქტივობის ამაღლება“ იყო. 1999 წელს დაფუძნდა კიდევ ერთი ჯგუფი „განსხვავებული ხმა“. მისი მიზანი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივისტების გაერთიანება და პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა იყო. 2000 წლის მაისსა და ივნისში ქსელმა „ქალებს ეს შეუძლიათ“ (რომელიც Ažin-მა და სამუშაო ჯგუფმა „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სტაბილურობის პაქტი გენდერული თანასწორობისათვის“ დააფუძნეს) ვოივოდინასა და სერბეთის 43 ქალაქში განახორციელა პროგრამა „ცოდნა დემოკრატიისათვის“. მის ფარგლებში პოლიტიკური პარტიების ქალ წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებსა და პროფკავშირების წევრებს ტრენინგები ჩაუტარდათ. იმავე წელს კონფერენციაზე „ქალთა პოლიტიკური პერსპექტივები“ წამოაყენეს მოთხოვნა, რომ ქალებს პოლიტიკაში თანაბარი წარმომადგენლობა ჰქონოდათ, ხოლო „განსხვავებულმა ხმამ“ ამომრჩეველი ქალებისათვის ჩაატარა კამპანია ლოზუნგით „შენი ხმა განსხვავებული ხმაა“. 2000 წლის სექტემბრის არჩევნებში კოალიცია DOS-მა (სერბეთის დემოკრატიული ოპოზიცია) გაიმარჯვა. სლობოდან მილოშევიჩის რეჟიმმა არჩევნების შედეგები არ სცნო, რასაც ბელგრადში, ფედერალური ასამბლეის შენობის წინ, 5 ოქტომბრის მასობრივი დემონსტრაცია მოჰყვა. ამ პერიოდის განმავლობაში ბევრ ქალს პოლიტიკური აქტივობა არ შეუწყვეტია, თუმცა ამას 2000 წლის სექტემბრის არჩევნებში არჩეული ქალების რიცხვის ზრდა არ მოჰყოლია. პარლამენტის 178 ადგილიდან ქალებმა მხოლოდ რვა დაიკავეს. მინისტრის თანამდებობაზე არც ერთი ქალი არ დანიშნულა.

შემდგომში ქალთა ჯგუფები ახალ კამპანიებზე გადავიდნენ. ასეთი იყო კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც 2001-2010 წლებში ტარდებოდა. მისი მიზანი საკუთარი უფლებების შესახებ ქალების ინფორმირება და გადაწყვეტილებების მიმღებთა საკანონმდებლო რეფორმებზე დაყოლიების ლობირება იყო. სერბეთის 2003 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ „განსხვავებული ხმა“ მთელ სერბეთში 39 ქალაქის ქალთა ორგანიზაციებთან ერთად ატარებდა კამპანიას „გამოდი და ხმებით აჯობე!“

აღსანიშნავია ასევე ამავე პერიოდში ქალების მიერ წამოყენებული სხვა ინიციატივები, მაგალითად, „არა ჩვენი სახელით“ (2004 წ.), რომელიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ ბრალდებულ-

თა უფლებების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ იყო მიმართული (შეგროვდა 18 200 ხელმოწერა), „ახალი კონსტიტუციის თაობაზე ჩასატარებელი რეფერენდუმის ბოიკოტის ინიციატივა“ (2006 წ.), „დეკლარაცია სრებრენიცის შესახებ“ (2005 წ.) და გაეროს 1325-ე რეზოლუციის საფუძველზე მიღებული დეკლარაცია „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“ (2006 წ.). 2005 და 2006 წლებში ორგანიზაციამ „ქალები შავებში“ რამდენიმე კამპანია წამოიწყო, მაგალითად, ჯარში სავალდებულო გაწვევის გაუქმების მოთხოვნით, სერბეთში მზარდი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ, ომის დროს დანაშაულის ჩამდენთა დასჯისა და ჰააგის ტრიბუნალთან თანამშრომლობის მოთხოვნით, გაეროს 1325-ე რეზოლუციის შესრულების მოთხოვნით, „ქალის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ“ რეზოლუციის მიღების მოთხოვნითა და „ეკლესიებისა და რელიგიური თემების შესახებ“ კანონის წინააღმდეგ მოთხოვნით.

ხშირმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, გაურკვევლობამ და საზოგადოებაში არსებულმა განხეთქილებამ ქალთა ჯგუფებს რთული სამოქმედო პირობები შეუქმნა და ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ძალიან გაართულა. ქალთა ჯგუფები გავლენას ახდენდნენ ქვეყნის პოლიტიკაზე იმით, რომ, მაგალითად, გენდერული მეინსტრიმინგის მეთოდებზე მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, სერბეთის ბევრი დაწესებულება გენდერული როლების ტრადიციულ განაწილებას დღემდე ინარჩუნებს.

ფემინისტური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია: გამოწვევები

2000 წლის სექტემბრის არჩევნების შემდეგ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შემოსაღებად და პოლიტიკაში ქალების როლის ტრანსფორმაციის მიზნით პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ეს მეთოდი იყო გენდერული მეინსტრიმინგი, რომელსაც ქალთა გაძლიერების სპეციალური ზომებისა და თანასწორობის პოლიტიკის გატარება ერთვოდა თან. გენდერული მეინსტრიმინგის უპირველესი ფუნქცია გენდერული პოლიტიკის ყველა დონეზე განმახორციელებელი ინსტიტუციების შექმნა იყო.

სერბეთის რესპუბლიკამ გენდერული თანასწორობის ეროვნულ დონეზე განხორციელების შემდეგი მექანიზმები შემოიღო: პარლამენტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის კომიტეტი (2003 წ.), ხოლო მთავრობასთან

– გენდერული თანასწორობის საბჭო (2003 და 2004 წლები), შემოღებულ იქნა ომბუდსმენის მოადგილის თანამდებობა გენდერული თანასწორობის საკითხებში (2008 წ.) და დაარსდა გენდერული თანასწორობის სამმართველო (2008 წ.). მსგავსი დაწესებულებები შეიქმნა ვოივოდინას ავტონომიურ მხარეშიც, მათ შორის, გენდერული თანასწორობის კომიტეტი ასამბლეაში (2003 წ.), გენდერული თანასწორობის სამხარეო ინსტიტუტი (2004 წ.), მხარის ომბუდსმენის მოადგილის თანამდებობა გენდერული თანასწორობის საკითხებში (2006 წ.) და თანასწორობის დაცვის კომისრის თანამდებობა (2010 წ.). ეუთოს პროექტის ფარგლებში 2005 წლისათვის 50 მუნიციპალიტეტში შეიქმნა გენდერული თანამშრომლობის კომიტეტები, თუმცა არ მოიპოვება ინფორმაცია იმის თაობაზე, რამდენად წარმატებით მუშაობდნენ ისინი ან განაგრძობენ თუ არა არსებობას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში სერბეთის რესპუბლიკის მთავრობამ დაჩქარებული წესით მიიღო რამდენიმე კანონი და სამოქმედო გეგმა, რომლებშიც ქალების როლი მხოლოდ ნომინალურია, ფუნდამენტური ღირებულებებისა და პოლიტიკის საფუძვლიანი ცვლილებები კი ჯერ არსად ჩანს.

სერბეთში არსებული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციებს სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების მანდატი არ აქვთ, რის გამოც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი როლი მარგინალურია. ისინი მხოლოდ და მხოლოდ არაეფექტური სახელმწიფოს „კოსმეტიკურ დანამატს“ წარმოადგენენ[15]. მეორე მხრივ, „ქალთა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მარგინალიზაციისა და იგნორირების ტენდენციაც“[16] აშკარაა.

ფემინისტურმა მოძრაობებმა რეგულარულად უნდა შეისწავლონ თავიანთი მიღწევები და დანაკარგები. იმავდროულად, მათ უნდა სცადონ, საკუთარი ქმედებები გარკვეულწილად უწყვეტი იყოს. ფემინისტური თეორიისა და პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი რეალობის მუდმივი განხილვა და განსჯა, ასევე აზროვნების მიღებული მოდელების, მათ შორის – ფემინისტურის, კრიტიკაა. სწორედ ასევე, ინსტიტუციებსაც სჭირდებათ სწავლა „თავიანთ სტრუქტურებში ფემინისტური მოთხოვნების ინტეგრაციისა და მათი სახელმწიფო პოლიტიკად გადაქცევის“ პროცესში[17].

15 2013 წლის 3 ივლისის მდგომარეობით ჩამოტვირთულია ვებგვერდიდან: http://www.zamirzine.net/spip.php?article3135.

16 http://www.womenngo.org.rs/images/CEDAW/srbija_alternativni_izvestaj-kombinovano.pdf. (2014 წლის 4 ივლისის მდგომარეობით).

17 კესიჩი, ვ. (2007), გვ. 14.

თანამედროვე სერბეთის საზოგადოებაში საკანონმდებლო ჩარჩოებმა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების მიზნით შექმნილმა მექანიზმებმა ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის უზრუნველყოფა ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, ფემინისტური პოლიტიკური მოძრაობა ძალიან ძლიერია, ფემინისტები ხშირად ჩნდებიან საჯაროდ, მხარს უჭერენ საკანონმდებლო და პოლიტიკურ რეფორმებსა და თამამ სამოქალაქო აქტივობას, ისინი ისეთ სენსიტიურ სოციალურ საკითხებს განიხილავენ, როგორებიცაა: სიღარიბე, წარსულისთვის თვალის გასწორება, ომის დროს ჩადენილი დანაშაულები, კორუფცია, ჰომოფობია და ა. შ.

ბიბლიოგრაფია:

- ბლაგოევიჩი, მ. (1998). ქალთა ხილული ისტორიისკენ: ქალთა მოძრაობა 1990-იანი წლების ბელგრადში. [Blagojević, M (1998). Towards the visible women's history: Women's movement in Belgrade in the nineties, Center for Women's Studies].
- ელინი, ნ. (2002). პოსტმოდერნული ურბანიზმი. [Ellin, N. (2002) Postmodern Urbanism, Orion – art, Belgrade].
- ვიშნიჩი, ე., ლონჩარევიჩი, კ. (2011). ლგბტიქ ადამიანების რეპრეზენტაციის პოლიტიკა სერბულ მედიაში [Višnjić J., Lončarević, K. (2011). Politics of the representation of LGBTIQ population in the Serbian media. Labris, Organization for Lesbian Human Rights, Belgrade].
- კოლინი, მ., ჩიჩკარიჩი, ლ. (2010). სერბეთში ქალების ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობა ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში. [Kolin, M., Čičkarić, Lj. (2010). Economic and political participation of women in Serbia in the context of European integrations. Institute of Social Sciences, Belgrade].
- პაპიჩი, ჟ. (1989). სოციოლოგია და ფემინიზმი. [Papić, Ž. (1989). Sociology and Feminism. Research and Publishing Center SSO Serbia, Belgrade].
- პატერმანი, ქ. (2000). სექსუალური კონტრაქტი. [Pateman, C. (2000) The Sexual Contract, Women's Infoteka, Zagreb].

ავტორები

ბელარუსი

ვოლჰა პიატრუკოვიჩი

ფემინისტი აქტივისტი და მკვლევარი

ვოლჰა პიატრუკოვიჩს დამთავრებული აქვს ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მინსკი) ენათმეცნიერებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (ბაკალავრის ხარისხით) და ვილნიუსის ევროპული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი გენდერული საკითხების განხრით (მაგისტრის ხარისხით). იკვლევს გენდერული პოლიტიკის საკითხებს, რეპროდუქციის სოციალურ მართვას, გენდერული საკითხების ასახვას საინფორმაციო საშუალებებში და სამოქალაქო საზოგადოებას. როგორც აქტივისტს, ჩატარებული აქვს სემინარები ბელარუსის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. როგორც რედაქტორი, ეხმარებოდა ფემინისტურ ჟურნალს „ქალი და პოლიტიკა: ახალი მიდგომა პოლიტიკისადმი". 2013-2014 წლებში ვოლჰა იკვლევდა გენდერული თანასწორობის საკითხებს ბელარუსში.

პოლონეთი

მაგდალენა გრაბოვსკა

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, ვარშავა

მაგდალენა გრაბოვსკას დოქტორის ხარისხი აქვს მოპოვებული ქალისა და გენდერული საკითხების კვლევებში. არის პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის (ვარშავა) ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი. მისი ნაშრომები ეხება ტრანსნაციონალურ ფემინიზმს, აღმოსავლეთი ევროპის ქალთა მოძრაობებს და ქალის ემანსიპაციის სახელმწიფო სოციალისტურ კონცეფციებს. მალგოჟატა ფუშარასთან, იოანა რეგულსკასა და იოანა მიზელინსკასთან ერთად გამოქვეყნებული აქვს წიგნი „თანამშრომლობა თუ კონფლიქტი? სახელმწიფო, ევროპის კავშირი და ქალი" (2009) და „მეორე მსოფლიოს მონაწილეობა: კონსერვატიული რევოლუციები, სოციალისტური მემკვიდრეობა და ტრანსნაციონალური სიჩუმე პოლონური ფემინიზმის ტრაექტორიებში" (Signs: Journal of Women in Culture and Society 37:2, 385-411 (2012)). გრაბოვსკა პოლონეთში დისკრიმინაციის წინააღმდეგ

მებრძოლ რამდენიმე ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, რომელთა შორისაა ფონდი „ფემინოტეკა“ და „პოლონეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ასოციაცია“.

ელჟბეტა კოროლჩუკი

მკვლევარი, გოტენბურგის უნივერსიტეტი, შვედეთი

ელჟბეტა კოროლჩუკი შვედეთის გოტენბურგის უნივერსიტეტის მკვლევარი და ვარშავის უნივერსიტეტის გენდერული კვლევების განყოფილების ლექტორია. რენატა ჰრიცუკთან ერთად რედაქტორობდა ნაშრომებს „მშვიდობით, პოლონელო დედავ. დედობის დისკურსები, პრაქტიკა და წარმომადგენლობა თანამედროვე პოლონეთში“ (2012) და „სახიფათო კავშირები. დედობა, მამობა და პოლიტიკა“ (2014).

საქართველო

ანა არგანაშვილი

ფსიქოლოგი და აქტივისტი, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“

ანა არგანაშვილს აქვს მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიასა და პროფესიულ თერაპიაში. მუშაობს ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებებზე. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აქტივისტი, მუშაობს მარგინალურ ჯგუფებთან და მხარს უჭერს ფსიქიკური პრობლემების მქონე, შესაბამის დაწესებულებებში მოთავსებული ქალების უფლებებს. ანა ასევე მუშაობს გენდერული და ოჯახში ძალადობისაგან დაზარალებულ პირებთან. მისი ბოლო დროის საქმიანობა ქალის შრომით უფლებებს, სამუშაო ადგილზე ქალის დისკრიმინაციასა და სექსუალურ შევიწროებას ეხება.

ეკატერინე აღდგომელაშვილი

მკვლევარი და აქტივისტი

ეკატერინე აღდგომელაშვილი მკვლევარი და ქალის უფლებების დამცველია. 2000 წლიდან ის „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორია და ხელმძღვანელობს (2005 წლიდან) ქალთა უფლებების პროგრამას, რომელიც ლესბოსელი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებრივ გაძლიერებას ისახავს მიზნად. 2006-2009 წლებში მუშაობდა საქართველოში პირველ ლგბტ ორგანიზაცია „ფონდ ინკლუზივის“ პროგრამის დირექტორად

და ჟურნალ „მეს“ რედაქტორად. 2003 წლიდან გენდერისა და სექსუალობის მკვლევარია. არის საქართველოში გენდერისა და ლგბტ საკითხებზე რამდენიმე სახელმძღვანელოს, კვლევის, ანგარიშისა და პოლიტიკური გეგმის ავტორი/თანაავტორი. მათ შორისაა სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია ქართულ საინფორმაციო საშუალებებში, ლბთ ქალების მდგომარეობა საქართველოში, საქართველოში მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2010) 5 რეკომენდაციის განხორციელება და საქართველოში ლბთ ქალების თვითდესტრუქციული ქცევის კვლევა. 2013 წელს ეკატერინე აღდგომელაშვილმა მიიღო ქალთა უფლებების დამცველის სპეციალური ჯილდო 17 მაისის დემონსტრაციის დროს დაზარალებული ლბთ ქალი აქტივისტების დახმარებისა და მხარდაჭერისათვის და საქართველოში ლბთ ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული მუშაობისათვის.

სერბეთი

ელენა ვიშნიჩი

ფემინისტი აქტივისტი და ფემინისტურ კულტურულ ცენტრ „ბეფემის“ თანადამფუძნებელი; ბელგრადის ქალთა კვლევითი ცენტრის ლექტორი და და თანამშრომელი

ელენა ვიშნიჩმა სოციოლოგიის ფაკულტეტი ნიშში დაამთავრა. აქვს ბელგრადის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრის ხარისხი გენდერულ კვლევებსა და პოლიტოლოგიაში. ამჟამად სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს ნოვი სადში. არის ფემინისტური კულტურისა და აქტივობის ფესტივალ „ბეფემის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი, ბელგრადის ქალის კვლევითი ცენტრის ლექტორი, თანამშრომელი და ფემინისტი აქტივისტი. მისი კვლევების არეალია გენდერთან, საინფორმაციო საშუალებებთან, კულტურასთან და პოპულარული კულტურის ანთროპოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, ასევე ნაშრომები: „სოლიდარობა და ფემინისტური პოლიტიკა“ (2010) და „ლგბტ პირების რეპრეზენტაცია მედიაპოლიტიკაში სერბეთის მაგალითზე“ (2011), ორივე კატარინა ლონჩარევიჩთან ერთად; აგრეთვე – „ფემინისტური საქმიანობა და ინიციატივები თანამედროვე სერბეთში“ (2011) და „ლგბტ ადამიანები სერბეთის ბეჭდვით მედიაში“ (2012).

სლოვაკეთი

ზუზანა მადიაროვა

დოქტორანტი და საზოგადოება ASPEKT-ის აქტივისტი

ზუზანა მადიაროვა ამჟამად ბრატისლავის კომენიუსის უნივერსიტეტის ევროპული კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტია. დამთავრებული აქვს კომენიუსის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გენდერული კვლევების ფაკულტეტი. მისი სადოქტორო ნაშრომი სლოვაკეთის 1989 წლის ხავერდოვან რევოლუციაში ქალების მონაწილეობის საკითხებსა და დღევანდელი პოლიტიკისათვის ისტორიაში ქალის როლის გაუთვალისწინებლობის შედეგებს ეხება. 2005 წლიდან აქტიურად თანაშრომლობს სლოვაკეთის ქალთა პირველ არასამთავრობო ორგანიზაცია ASPEKT-თან, სადაც ისეთ საკითხებზე მუშაობს, როგორებიცაა: ქალი, როგორც პოლიტიკის სუბიექტი, პოლიტიკური და საინფორმაციო კომუნიკაციები, გენდერულად სენსიტიური ენა და ა. შ. სხვა ავტორებთან ერთად გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი, მაგალითად, „Politiky a politiky. Aspektypolitickej komunikácie“ („პოლიტიკა და პოლიტიკოსები. ქალის, როგორც პოლიტიკის სუბიექტის, ასპექტები“; ASPEKT 2011) და „Politikavylúčeniaaemócií. Aspektypredvolebnej kampane 2012“ („აკრძალვის პოლიტიკა და ემოციები. 2012 წლის საარჩევნო კამპანიის ასპექტები“; ASPEKT 2012).

სომხეთი

ანა ნიკოღოსიანი

აღმასრულებელი დირექტორი, „საზოგადოება ძალადობის გარეშე“, სომხეთი

ანა ნიკოღოსიანს მაგისტრის ხარისხი აქვს მოპოვებული ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაში. მონაწილეობდა ათობით საგანმანათლებლო და მხარდამჭერ ღონისძიებაში გენდერული თანასწორობის, ქალის ლიდერობის, მშვიდობისათვის ხელმშეწყობის, გენდერული ძალადობის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ლგბტ პირების უფლებების საკითხებზე. მონაწილეობდა Equitas-ის მიერ ორგანიზებულ ადამიანის უფლებების 32-ე საერთაშორისო სასწავლო პროგრამაში (კანადა), ქალების სტატუსის კომისიის 58-ე სხდომაში (ნიუ-იორკი) და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ უცხოელ ლიდერთა საერთაშორისო პროგრამაში. არის სომხეთის

კოალიცია „შეწყდეს ქალთა მიმართ ძალადობა“, სამხრეთი კავკასიის ახალგაზრდა ქალების ქსელის, ასოციაციის „ქალთა უფლებები განვითარებაში“, საერთაშორისო მოძრაობის „ქალები შავებში“«, ქსელ ASTRA-სა და ASTRA Youth-ის წევრი. არის ასევე ახალგაზრდა ფემინისტთა ფონდ FRIDA-ს მრჩეველი სომხეთის საკითხებში და ამ ორგანიზაციის დროებითი საბჭოს თავმჯდომარე.

უკრაინა

თამარა ზლობინა

ფემინისტი ფილოსოფოსი და ხელოვნებათმცოდნე

თამარა ზლობინა უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის თანამედროვე მხატვარი ქალების შემოქმედებას სწავლობს. დაინტერესებულია რეპროდუქციისა და სიყვარულის ცნების ფემინისტური ანალიზით. თამარა ზლობინა მუშაობს, როგორც ფემინისტი მწერალი და გენდერული საკითხების ექსპერტი, სხვადასხვა უკრაინულ და საერთაშორისო ჟურნალსა და არასამთავრობო ორგანიზაციაში. იყო ჟურნალ „კომონსის“ (კიევი) ერთ-ერთი რედაქტორი ფემინიზმისა და თანამედროვე ხელოვნების განხრით (2009-2012). 2011-2012 წლებში მუშაობდა მოწვეულ რედაქტორად ჟურნალ „არტ აქტივისტში“ (მინსკი, ბელარუსი). მიღებული აქვს ახალი ევროპული კოლეჯის შავი ზღვის რეგიონის სტიპენდია (ბუქარესტი, რუმინეთი, 2011) და Gaude Polonia-ს სტიპენდია (ვარშავა, პოლონეთი, 2013).

თამარა მარცენიუკი

ეროვნული უნივერსიტეტის კიევ-მოჰილას აკადემია/ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი

თამარა მარცენიუკი სოციოლოგიის დოქტორია. მისი ინტერესის მთავარი სფეროა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, განსაკუთრებით კი – გენდერული ურთიერთობები. არის უკრაინის ეროვნული უნივერსიტეტის კიევ-მოჰილას აკადემიის სოციოლოგიის განყოფილების ასოცირებული პროფესორი, გერმანიის აკადემური გაცვლის სამსახურის (DAAD) მოწვეული პროფესორი და ვიადრინის ევროპული უნივერსიტეტის (ოდერის ფრანკფურტი, გერმანია) მკვლევარი. იმ კურსებს შორის, რომლებსაც თამარა კითხულობს, აღსანიშნავია: „შესავალი გენდერულ კვლევებში“, „გენდერი და პოლიტიკა“, „ფემინიზმი, როგორც სოციალური მოძრაობა და სოციალური თეორია“ და „მასკულინიზმი და მამაკაცის კვლევები“. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობდა სახელმძღ-

ვანელოებისა და ანთოლოგიების მომზადებაში (Gender, Politics and Society in Ukraine, Toronto University Press, 2012). თამარას ბოლო ნაშრომი ეხება ქალებისა და ლგბტ პირების აქტივობას უკრაინაში, ძირითადად – ევრომაიდნის 2013-2014 წლების პროტესტებში.

უნგრეთი

ბორბალა იუჰასი

„უნგრეთის ქალთა ლობი“, თავმჯდომარე

ბორბალა იუჰასმა დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტი ELTE ისტორიისა და ინგლისური ენის სპეციალობებით. მოგვიანებით მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ისტორიაში ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. მუშაობდა მასწავლებლად, ისტორიკოსად, გენდერული საკითხების მკვლევრად და საჯარო მოსამსახურედ გენდერული თანასწორობის სპეციალობით, ასევე – არასამთავრობო ორგანიზაციის მოხალისედ და თანამშრომლად. 2008 წლიდან არის „ევროპის ქალთა ლობის“ საბჭოს წევრის მოადგილე, ხოლო 2010 წლიდან – საბჭოს წევრი. 2012 წელს გახდა „უნგრეთის ქალთა ლობის“ თავმჯდომარე. ცხოვრობს ბუდაპეშტში 10 წლის ქალიშვილთან ერთად.

ჩეხეთი

იანა სმიგელს-კავკოვა

„ფორუმ 50%-ის“ აღმასრულებელი დირექტორი, „ჩეხეთის ქალთა ლობისა“ და „ევროპის ქალთა ლობის“ საბჭოების წევრი, „პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი წარმომადგენლობის კომისიის“ თავმჯდომარე

იანა სმიგელს-კავკოვა პოლიტოლოგიას ნიდერლანდების ქალაქ ლეიდენში სწავლობდა. 2005 წლიდან მუშაობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე. 2009 წლიდან არის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის მებრძოლი არასამთავრობო ორგანიზაციის „ფორუმ 50%-ის“ დირექტორი. როგორც პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის თანასწორი წარმომადგენლობის კომისიის ჯერ წევრი, შემდეგ კი – თავმჯდომარე, მონაწილეობდა „კვოტების მეშვეობით პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მომზადებაში. 2010 წელს „ფორუმ 50%-მა“ წარმატებით ჩაატარა ჩეხეთის საყოველთაო არჩევნებში ქალი კანდიდატების მხარდაჭერის კამპანია.

ვერონიკა შპრინცოვა

ექსპერტი და ტრენერი გენდერულ საკითხებში, „ფორუმი 50%“

ვერონიკა შპრინცოვა გენდერულ საკითხებს პრაღის კარლის უნივერსიტეტში სწავლობდა. ამჟამად ის იმავე უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციას პოლიტოლოგიაში წერს. მუშაობს „ფორუმ 50%-ში“ მკვლევრად, ტრენერად და პროექტის კოორდინატორად. ძირითადად მუშაობს ისეთ საკითხზე, როგორიცაა ქალების როლი გადაწყვეტილებების მიღებისას. არის ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობების საბჭოს წევრი.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს, დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე, განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის, ან, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან თანამშრომლობით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მიისწრაფვის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ასევე, ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.

www.ge.boell.org

რედაქტორი: თამარ ასათიანი
ყდის დიზაინი: მაგდა ცოცხალაშვილი
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანზე: სოფო ტაბატაძის ნახატი
დაბეჭდილია: შპს „სეზანი“

„უკურეაქციის“ კონცეფცია გენდერული თანასწორობისადმი წინააღმდეგობას გულისხმობს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, აერთიანებს იდეოლოგიურად საკმაოდ განსხვავებულ საინიციატივო ჯგუფებს. ასეთი ჯგუფები მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედებენ და ტრადიციების თავგამოდებული დამცველები არიან. წინამდებარე პუბლიკაციაში თავმოყრილი სტატიების ავტორებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იმის თაობაზე, თუ რამდენად დაეხმარება „უკურეაქციის“ ცნება რეგიონალური და მსოფლიო ტენდენციების არსის გაგებას. მიუხედავად ამისა, ეს კონცეფცია ერთგვარი ათვლის წერტილია იმის წარმოსაჩენად, თუ რა მოხდა ბოლო პერიოდში და სამომავლოდ რა სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ.

ISBN 978-9941-0-8408-9

9 789941 084089 >